ბეჭთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, არის უნივერსიტეტთა პრესტიჟული საერთაშორისო ქსელების წევრი.

უმნიშვნელოვანესია სასწავლებლის ბოლოდროინდელი მიღწევები: განსაკუთრებული მოვლენაა ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN) თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა, რასაც კიდევ ერთხელ გილოცავთ. ეს ნიშნავს, რომ ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში, მკვლევრებთან ერთად, სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტებიც აქტიურად ჩაერთვებიან. ესაა სრულიად ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ჩვენი ახალგაზრდებისთვის. ასევე მინდა ალვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ტექნიკური უნივერსიტეტისა და საფრანგეთის რენის 1 უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში შეიქმნა. ორდიპლომიანი საბაკალავრო პროგრამის ამოქმედება უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალური აღმნიშვნის გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

## თარიღული დოკუმენტები

„დავით გურგენიძის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის 60 წლის იუბილე, მნიშვნელოვანი ღირსახსოვარი მოვლენაა.

ბატონმა დავითმა თავისი შრომითა და ცხოვრების წესით შეძლო, მოეპოვებინა გამოცდილი ინჟინრის, დამსახურებული ენერგეტიკოსის, ნაყოფიერი მეცნიერის, ღვაწლმოსილი პედაგოგისა და წარმატებული მენეჯერის სახელი. დავით გურგენიძე ღირსებით აღსავსე გულანთებული ქართველი, ერთგული მეგობარი და საუცხოო მეოჯახეა.

ბატონი დავითი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, დანტე ალიგიერის საზოგადოების ოქროს მედლით, ლიეტუვის რესპუბლიკის სახელმწიფო რაინდის ჯვრით, ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი ნიკოლაძის მედლებით, უურნალისტთა საერთაშორისო ფონდის ჯილდოთი „ოქროს ფრთით“.

2020 წლიდან ის, ტექნიკური ინტელიგენციის სამჭედლოს ხელმძღვანელობს: „კოვიდით“ გამოწვეულ რთულ პერიოდში მან შეძლო, განეხორციელებინა „რბილი“ საგანმანათლებლო რეფორმები, მოახერხა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის სახეცვლილება, ღვაწლმოსილი პროფესურის მოტივაციის ამაღლება, სტუდენტური რესურსების გააქტიურება, მათი პრობლემების მოგვარება, საერთაშორისო კომუნიკაციების გაფართოება, საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აღიარების მოპოვება და ამ ცოდნის ტაძრის საუკუნოვანი ისტორიის ბრწყინვალებით აღნიშვნა იუნესკოს ეგიდით.

დავითი გურგენიძემ, როგორც წარმატებულმა ლიდერმა, მოახდინა რექტორთა კონფერენციის მოდერნიზაცია და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელების ერთობით შეძლო ეს კოლეგიური ორგანო გამხდარიყო მნიშვნელოვანი აქტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობის ახალი ხედვების იმპლემენტაციის საქმეში.

ბატონი დავითის ცხოვრებისეული გამოცდილება ცოცხალი მაგალითია ახალგაზრდობისთვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღზრდილი სტუდენტები დღეს წამყვან პოზიციებზე მუშაობენ მსო-



ფლიო დონის ისეთ სამეცნიერო ცენტრებსა და კოლაბორაციებში, როგორებიცაა: CERN (უენევა), KEK (იაპონია), FermiLab (აშშ).

მჯერა, რომ ბატონი დავით გურგენიძე კიდევ ბევრჯერ იტყვის ლირსეულ სიტყვას ჩვენი ქვეყნის სადიდებლად.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი  
გიორგი ამილახვარი**

# ელექტრონური ერთიანობის ფინანსი

„ერთადერთი ჭეშმარიტი ფუფუნება  
ადამიანთა ურთიერთობის ფუფუნებაა“

ანტუან სენტ ეგ ზიუპერი

დავით გურგენიძეს ბავშვობიდან ვიცნობ. ჩვენი ურთიერთობა იწყება სულ პატარაობიდან, იმ უმანკო დროიდან, სადაც ორი გული ერთმანეთს შეხვდა და მთელი ცხოვრების განმავლობაში დამყარდა ურყევი კავშირი. ჩვენ არამხოლოდ ერთმანეთის ოჯახის წევრები, არამედ კარგი მეგობრებიც ვართ. ბავშვობიდან ვიცოდით, რომ ჩვენი ცხოვრების გზები სამუდამოდ იქნებოდა გადაჯაჭვული. წუთისოფლის გასავლელი ბილიკები სულაც არ ყოფილა მარტივი, მაგრამ ნუგეშს ერთმანეთთან ვპოულობდით, ჩვენი მეგობრობა იყო სინათლის შუქი, რომელიც გზას გვინათებდა ცხოვრების ქარიშხლებისას.

დავითი ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, ყურადღებას იქცევდა მისი ზრდილობით, რაც ოჯახმა ასწავლა. ყოველივე ამან ჩამოაყალიბა სამართლიან, სამშობლოსთვის გულანთებულ კაცად, რომელიც მუდამ ზრუნავს ახალგაზრდების განვითარებასა და ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდაზე. მისთვის გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, მომავლის რწმენა, იმედი არასდროს დაუკარგავს, მისი დევიზი ყოველთვის იყო და არის – „ენა, მამული, სარწმუნოება“... დავით გურგენიძე ტყუილისმოძულე, მართალი, პირდაპირი ადამიანია. ყოველთვის იაზრებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც თანამდებობას სდევს. გამოირჩევა ინოვაციური იდეებით, რის გამოც არაერთი ახალგაზრდისთვის გამხდარა მაგალითი. მან შექმნა გარემო, რომელიც სტიმულს აძლევს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, დაუღალავად იშრომონ.

დავითი აღიზარდა პატრიარქალური ტრადიციების მიმდევარ ოჯახში, სადაც ყოველთვის დომინირებდა დიდი მოაზროვნის ადლერის სენტენცია: „ოჯახი არის საზოგადოება მინიატურაში, რომლის მთლიანობაზეც დამოკიდებულია მთელი საკაცობრიო საზოგადოების უსაფრთხოება“. ამ მხრივ მისაბაძი იყვნენ დავითის წინაპრე-



ბი, რომლებიც უდიდეს პატივს მიაგებდნენ მშობლიურ კერას. მათ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ დავითი და მისი მეუღლე, პროფესიით ექიმი მარინა თოფურია-გურგენიძე. ქალბატონი მარინა გახლავთ განათლებული, ერუდირებული, სათნოებითა და კეთილშობილებით აღსავს ადამიანი. მისი თვისებებიდან, ოჯახისა და მეუღლის სიყვარულთან ერთად, განსაკუთრებით გამოვყოფი უდიდეს თავმდაბლობასა და მოწინებას, როგორც თავისიანების, ასევე მისი მეუღლის მშობლების, ახლობლებისა და ნათესავების მიმართ.

თავად დავითს ცხოვრების წესად აქვს ქცეული სხვათა წარმოჩენა, მხარდაჭერა, წახალისება, რაზეც დიდ დროსა და ენერგიასა ხარჯავს. განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება ეროვნული ტრადიციების მიმართ. დავითის რწმენისა და გამარჯვების წყარო, სწორედ წარსულში, მისი წინაპრების, დედ-მამისა და ნათესავ-მეგობართა ადათ-წესებშია ფესვგადგმული. მის ბუნებაში სკურპულოზურად იკითხება მთელი ქართველი ერის ისტორია, ქართველი ხალხის დევნა, თავ-დაცვა, უკომპრომისო ბრძოლა, მარცხიც, მაგრამ, ამასთანავე სულის წვრთნაც, სიმტკიცეცა და გამარჯვებაც... ხშირად ამბობდა, თუ სხვებმა ვერ შეძლეს შენი სიმართლის დადგენა, მაშინ თავად „უნდა დაადგინ“ – როცა სხვებს არ სურთ, დაგიბრუნონ წართმეული, მაშინ „თავად უნდა დაიბრუნო“, ნამდვილ საქმეს პატარა რისკი უთუოდ უნდა ახლდეს!

მისი მოღვაწეობა ყოველთვის მომავლის სამსახური იყო და არის,

მისი ყოველდღიური საზრუნავი კი – აკეთოს ის, რაც ქვეყნის, ერის მომავალს სჭირდება. ახლა, როდესაც ცხოვრება საგრძნობლად გართულდა, ახალგაზრდობას მეტად მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში უხდება ყოფნა, საჭიროა დავითისნაირი მამულიშვილების გვერდით დგომა, მიბაძვა მათი, ვინც, მიუხედავად დევნისა, უამრავი დაბრკოლებისა, ლირსეულად განვლო რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზა და შექმნა საკუთარი, არც თუ ისე ურიგო ბიოგრაფია. მისი წინაპრების სამოსახლოსთან, სოფელ ხოტევთან არასოდეს გაუწყვეტია კავშირი. 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროს, რითაც შეეძლო, დახმარებას უნდა ამბროლაურის რაიონს.

დავითის ავტორიტეტი საზოგადოებაში საყოველთაოდაა აღიარებული. მას მომადლებული აქვს გასაოცარი ნიჭი და უნარი, უაღრესად რთულ, დრამატულ სიტუაციებში, მიიღოს ერთადერთი–ზუსტი და სწორი გადაწყვეტილება.

ვინც იცის, რომ უსამართლოდ ისჯება, მან ისიც იცის, რომ სამართლი არსებობს და ჭეშმარიტება ბოლოს და ბოლოს აღსრულდება. გავიჩენოთ ის ავადსახსნებელ პერიოდი (საუბარია სააკაშვილის რეზიმზე), როდესაც აქტუალური იყო ფრაზა: „ჩვენი სამართალდამცავები არასოდეს ცდებიან“. იმ დროში გონიერი კაცისთვის თავისუფლება ეფემერა იყო. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ დავითმა გამოავლინა ბრძოლის უინი, ფარ-ხმალი არ დაუყრია და იბრძოლა ბოლომდე, არ დათმო პოზიციები, მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა და დღევანდელობა ამის ნათელი დასტურია. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ეროვნული ერთიანობა აქცევს ერს სახელმწიფოდ და განსაზღვრავს ქვეყნისა და მისი ხალხის კეთილდღეობას. დღემდე მაკვირვებს მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა-ეს იყო და არის მოქალაქეობრივი გმირობის მაგალითი, შეურიგებელი სული, ვაჟა-ცური შემართება. დავითი გაჭირვებასა და უბედურებაში პირველი მაშველი იყო და არის, მას ვერავითარი სამეცნიერო საქმე ვერ შეაფერხებდა, როცა შეეძლო, ყველას დამშვიდებასა და დახმარებას ცდილობდა–დრო, ფული, თანაგრძნობა, ფიქრი – ყველაფერი უხვად ემეტებოდა.

ჩემო დავით! კარგად მოგეხსენება, დაბადების დღე მნიშვნელოვანი თარიღია. სიცოცხლე ხომ საჩუქარია, შესაძლებლობა, დავფიქრდეთ, გადავხედოთ განვლილ ცხოვრებას და შევცვალოთ ის უკეთესობისკენ... მუდამ უნდა გვახსოვდეს ის მომენტები, რამაც გაგვზარდა და ჩამოგვაყალიბა, რამაც დღევანდელობამდე მოგვიყვანა. შენ ყოველთვის მადლიერი ხარ იმისა, რაც გაქვს, თამამად გაჰყურებ განვლილ გზას და წინ მიიწევ. ჩვენი ნათესაობაცა და მეგობრობაც საგანძურია,

ენით აღუწერელი საგანძურო, რომელიც ანთებული ცეცხლივით გიზ-გიზებს ჩვენს გულებში.

მინდა მოგილოცო 60 წლის იუბილე, გისურვო წელთა სიმრავლე, ჯანმრთელობა, მხეობა და კიდევ ბევრი წარმატება. დაე, არასოდეს მოგვმლოდეს ერთმანეთის იმედი და სიყვარული...

**ავთო ენუქიძე  
საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი**

# ეჭვის და მომარტინი პოზიცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოსს, სასიქადულო მამულიშვილს, დავით გურგენიძეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვულოცავ დაბადების 60 წლის იუბილეს. სურვილები ნამდვილად დიდია, რადგან იგი გამოირჩევა ცხოვრებით, რომელიც ქვეყნის სამსახურს, ინოვაციურ კვლევებსა და მუდმივად მომავალ თაობაზე ზრუნვას მოიცავს.

90-იან წლებში, როცა ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა უდიდესი დანაკარგი და ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა ადამიანებს, როცა პოლიტიკური დაძაბულობა პიკს აღწევდა, როცა რუსული პოლიტიკური ძალები აშკარა ზეწოლას ახდენდნენ იმ ქართველებზე, რომლებიც დევნილების მიმართ არაერთ საქველმოქმედო დახმარებას გასცემდნენ, მიუხედვად უდიდესი წინააღმდეგობისა, პოლიტიკური დევნისა და რეპრესიებისა, დავით გურგენიძე რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში, დიდი დახმარებას უწევდა ქართველ ემიგრანტებს, რომლებიც დევნილობაში იმყოფებოდნენ და საჭიროებდნენ პერმანენტულ თანადგომას სხვადასხვა მიმართულებით.

ზოგადად, ომი ყველაზე სასტიკი რამ არის, რაც კაცობრიობამ მრავალგზის გადაიტანა და უამრავი მსხვერპლიც გაიღო. ცხოვრებაც ომია, რომელიც აყალიბებს ადამიანის პიროვნულ თვისებებს, თვითშეგნებას, მსოფლმხედველობას... დავით გურგენიძისთვისაც ასეა – სამოცი წელი არც ისე დიდი დროა იმ დამსახურების, შრომის, ავტორიტეტის მოსაპოვებლად რაც მან ამ დროის განმავლობაში შესძლო.

ის ახლაც დიდი ინტერესითაა ჩართული ყველა იმ საკითხში, რაც ჩვენი ქვეყნის დაკარგულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველებზე ზრუნვას ეხება. ეს გამოიხატება საქმიანი ურთიერთობებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა იმ სოციალურ პროექტებს, რომლებიც დევნილი სტუდენტებისადმი განსაკუთრებულ დახმარებას ეხება. ჩვენი სამინისტროსა და უნივერსიტეტის უშუალო ჩართულობით სტუდენტებს მაქსიმალურად უმარტივდებათ უნივერსიტეტის მმართველ რგოლებთან ურთიერთობა, რაც შეიძლება ეფექტურად და მოკლე ვადებში.

სოციალური პროექტების ფარგლებში უნივერსიტეტში ტარდება



საქველმოქმედო ღონისძიებები, შემოქმედებითი საღამოები, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, შეხვდნენ ცნობილ და წარმატებულ ადამიანებს, შექმნილია, დაუცველ, დევნილ, მარჩენალდაკარგულ, ჯანმრთელობაშეზღუდულ სტუდენტთა ბაზა, რომლებიც სხვადასხვა თხოვნით მიმართავენ ადმინისტრაციას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანამშრომლობის მთავარი ამოცანაა, ჩვენი ქვეყნის მომავალი გავაძლიეროთ სტუდენტებისთვის დახმარების განვით, მათი იდეებისა და პროექტების ხორციელებით, რაც ბატონი რექტორის უშუალო პატრონაჟით მიმდინარეობს.

ამის დასტურია სულ რამდენიმე ხნის წინ ჩატარებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი კოფერენცია.

ღონისძიების ფარგლებში კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს აფხაზეთის 30-წლიანი ოკუპაციის პირობებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

კონფერენციას ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჩვენი მთავარი მიზანია სტუდენტების შესაფერისი კარიერული განვითარებისთვის ხელსაყრელი სისტემის დანერგვა, უნივერსიტეტისთვის კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა.

ბატონ დავითს კიდევ ერთხელ ვულოცავთ დაბადების დღეს. მის მიერ ღირსეულად განვლილი გზითა და გამოცდილებით მოტივირებულები ვართ, რომ უნივერსიტეტისა და ჩვენი სამინისტროების ურთიერთობა კიდევ უფრო პრესტიული და მნიშვნელოვანი გახდეს, რაც შეიძლება მეტ სტუდენტს მივცეთ საშუალება, აქტიურად ჩაებას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და ფეხი აუწყოს მის გულის ცემას. ეს კი საბოლოოდ იმ მიზანს გაამართლებს, რისკენ სწრაფვაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მის გამორჩეულად ნოვატორ რექტორს აქვს – სამომავლოდ, ქვეყანას განვითარებული, განათლებული, ერუდირებული, ჯანსაღად მოაზროვნე ჯანმრთელი თაობა მართავდეს.

რუსლან აბაშიძე  
აფხაზეთის ავტონომიური  
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

## გამორჩევი

დათო გურგენიძე ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის გამორჩეული ფიგურაა, ვინ არის დათო გურგენიძე – გამოცდილი ინჟინერი ? დამსახურებული ენერგეტიკოსი ? პროდუქტიული მეცნიერი ? ღვაწლმოსილი პედაგოგი ? თუ წარმატებული მენეჯერი ? ამათგან, თუნდაც ერთ კითხვაზე დადებითი პასუხი, უდავოდ საკმარისი იქნებოდა ადამიანის ღვაწლის შესაფასებლად. ამ შემთხვევაში ბატონი დავითის პიროვნება ყველა კითხვას აღმატებულ ხარისხში პასუხობს დადებითად.

როგორც წესი, საიუბილეო თარიღების აღნიშვნისას პიროვნების ღვაწლი და ამაგია განსჯის საგანი. ამ დროს მოპოვებული რეგალიების გამომზეურებით, ჩრდილში რჩება ის ღირსებები, რამაც განაპირობა ჭარმაგი კაცის „ბეღლის ხვავი და ბარაქა“.

ბატონი დავითი ღირსებებით სავსე ქართველია.

მან რთული გზა განვლო და აჩვენა ხასიათის სიმტკიცე – ვერც ბიზნესით მოპოვებულმა კეთილდღეობამ ჩააგდო ხიბლში და ვერც ბოროტებით აღსავსე ჟამთასვლამ გატეხა.

არ უდალატა არც ქვეყანასა და არც ოჯახს. თავად სამართლიანობის განსახიერებამ, მოთმინებით იღვანა სამართლის უზენაესობის აღსასრულებლად.

ბატონი დავითი ახალგაზრდობას უყვარს. იციან მისი ხასიათი – არასდროს დატოვებს მათ პრობლემებთან მარტო, არასდროს დაჰპირდება მათ ირეალურს და არასდროს დაამადლებს მათ საჭირო დროს და საჭირო სიტუაციაში სათანადო რეკომენდაციას.

რატომ მოინადირა ამ კაცმა რექტორობის ერთ ვადაში პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა გულები? ტექნიკური ინტელიგენციის ასობით დამსახურებულმა ადამიანმა მასში მტკიცე პატრონი იპოვა, დამნახველი და დამფასებელი ხელმძღვანელი აღმოაჩინა.

ბატონი დავითის მომთხოვნელობის შესახებაც ყველამ კარგად იცის. მისი პრინციპულობაც ბევრს გამოუცდია, თუმცა ამით არავინ გაუნაწყენებია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუ საკითხი საერთო საქმის ღალატს ეხება, თუ სიცრუესთან გვაქვს საქმე და თუ პირმოთხოვის ნიშნები აღმოაჩინა პირად ურთიერთობებში, მაშინ ეს ბუნებით ტოლერანტი კაცი, შეუვალი და დაუნდობელი ხდება.

ბოლოს, სამსახურებრივად, როგორც მისი უშუალო ხელმძღვანელი, თამამად ვაცხადებ: არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩვენი გუნდი საქვეყნო საქმის კეთების საერთო ფერხულშია ჩაბმული; ყოველ-დღიური გამოწვევების ფონზე რთულად გვიწევს ახალი ხედვების პრაქტიკაში დანერგვა და სწორედ ასეთ სიტუაციაში, საზოგადოების მსახურების ამ გზაზე, ყველას გვაქვს ბატონ დავით გურგენიძის ურყევი იმედი, რომ თავის საკეთებელს ყოველთვის უზადოდ აღას-რულებს და კოლეგებს მედეგობის მაგალითს მისცემს.

მჯერა, რომ ბატონ დავითს 60 წლის ასაკში კარიერული ევერესტი ჯერ ბოლომდე არ დაულაშქრავს.

წარმატებები, შენ, ჩემო მეგობარო!

ნოდარ პაპუკაშვილი  
საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრის მოადგილე  
პროფესორი

## ბატონი დავით გურგენიძე მრავალმხრივ ნიჭიერი, გამორჩეული და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია.

ბატონი დავით გურგენიძე მრავალმხრივ ნიჭიერი, გამორჩეული და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია. იგი უცილობლად დიდი ნოვატორი გახლავთ და დღენიადაგ ცდილობს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამორჩეული იყოს მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში და ამისთვის არ იშურებს ენერგიას. სიახლეების კვალდაკვალ ცდილობს ახალი და საინტერესო კავშირების დამყარებას. მისი მიზანია, საგანმანათლებლო სფეროში მყარად და ღირსეულად დამკიდრდეს სტუ-ის საუკუნოვანი აკადემიური ტრადიციების მქონე საინჟინრო სკოლა. რექტორის უდიდესი დამსახურებაა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს შეხვდა, როგორც თანამედროვე, ავტორიტეტული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო-კვლევითი ინსტიტუცია.

ემოციებითა და დადებითი განწყობით სავსე აღმოჩნდა ჩემთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძისთვის 60 წლის იუბილის მილოცვა. მეამაყება, რომ მქონდა მასთან მუშაობის შესაძლებლობა, ჯერ როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორს და შემდეგ-ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტს.

საინტერესო და ღირებული გამოცდილება იყო ბატონ დავითთან, როგორც უნივერსიტეტის რექტორთან თანამშრომლობა. მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო მისი გამორჩეული პიროვნული თვისებები. იგი გულისხმიერებით, სამართლიანობით, უშუალო და მეგობრული დამოკიდებულებით ყოველთვის ამახსოვრებს თავს კოლეგებსაც და სტუდენტებსაც. ის აკადემიურ პერსონალს მუდამ უჭერს მხარს იმ ინიციატივების განხორციელებაში, რომლებიც სიახლეების დანერგვას, განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და სტუდენტებისათვის საინტერესო სასწავლო გარემოს შექმნას უკავშირდება. ყველასთვის თვალსაჩინოა მისი მოტივაცია და ძალისხმევა, გააგრძელოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუკუნოვანი ტრადიციები, აამაღლოს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა და ამით გაუმტკიცოს ღირსეული ადგილი უმაღლესი განათლების სისტემაში.

დიდია ბატონი დავით გურგენიძის ღვანლი საქართველოს სამშენებლო და ენერგეტიკის სფეროში, როგორც პრაქტიკული, ისე

აკადემიური საქმიანობის თვალსაზრისით. ის დღემდე დიდ როლს ას-რულებს ამ მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების პროცესში მეცნიერული მიდგომების დამკვიდრებაში, როგორც საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ჩემთვის როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონი დავითის მხარდაჭერა საქართველოს თავდაცვის ძალების მიმართ, კერძოდ, სამხედრო საქმის პოპულარიზაციისა და სამხედრო მოსამსახურებზე ზრუნვის სოციალური პოლიტიკის კუთხით. ეს მხარდაჭერა აისახა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ურთიერთობანამშრომლობის მემორანდუმსა და მის ფარგლებში განხორცილებულ არაერთ აქტივობაშიც, რომლის მიზანია ახალგაზრდების სამხედრო საქმით დაინტერესება, ქართული ჯარის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სამხედრო მოსამსახურთა შვილებისათვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და თავდაცვის თემატიკაზე მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს თანამშრომლობა და მხარდაჭერა გახლდათ საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების თემაზე ჩემი სადოქტორო ნაშრომის მოტივაცია.

მჯერა, რომ ბატონი დავითი შემდგომი საქმიანობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის პოზიციაზეც და მის მიღმაც, გამორჩეულად სახელმწიფოებრივი მიდგომით კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის, კერძოდ, ინჟინერიისა და ენერგეტიკის სფეროების განვითარებასა და გაძლიერებაში.

ვულოცავ 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და წარმატებებს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების კეთებაში! მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა და პატივისცემა!

გრიგოლ გიორგაძე  
საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე,  
საერთაშორისო ურთიერთობის დოქტორი

## ფართო ენსემბლის მოღვაწეობა

სამოცი წელი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნებისა და საქმიანობის მწვერვალადაა მიჩნეული. ბერძნები მას „აკმეს“ ეძახიან. როცა ახლობელ საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერსა და მეცნიერების ორგანიზატორს ამ თარიღს (სამოცი წლის იუბილეს) ულოცავ, კმაყოფილების ღრმა გრძნობა გიპყრობს. ერთი იმიტომ, რომ ექვსი ათეული წლის განმავლობაში მიღოცვის ობიექტს ბევრი აქვს გაკეთებული; მეორე იმიტომ, რომ წინ ცხოვრების დიდი გზაა გასავლელი და იმედია, რომ იგი კვლავ შეუფერხებლად, წარმატებულად ივლის.

დიახ, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს სამოცი წელი შეუსრულდა. ბატონი დავითი გამორჩეულია მიზანსწრაფულობით, პრობლემების მკვირცხლად, გონივრულად გადაჭრის უნარით, ადამიანებთან კეთილი ურთიერთობით (იგი განსაკუთრებულია კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ).

დავით გურგენიძე აღიარებულია ჰიდროტექნიკურ მეცნიერებაში. იგი ნაყოფიერად მუშაობს ჰიდროენერგეტიკის (დიდი და მცირე ჰესები), ჰიდრომელიორაციის, ჰიდროეკოლოგიური, წყალსამეურნეო პრობლემების შესწავლა-გადაჭრაში. არ არის შემთხვევითი, რომ იგი საქართველოს ენერგეტიკული აკადემიის წევრია (აკადემიკოსი), საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრია (აკადემიკოსი), აღიარებულია საქართველოს დამსახურებულ მშენებლად. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ზღვისა და წყალსაცავების ნაპირდამცავი კონსტრუქციების დაპროექტების მეთოდების შემუშავებაში.

აკადემიკოსი დავით გურგენიძე ფართო მასშტაბის საერთაშორისო მოღვაწეობას ეწევა, მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც გამოდის შთამბეჭდავი მოხსენებებით სხვადასხვა აქტუალურ პრობლემაზე (ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოება, მცირე ჰესების პრაქტიკაში გამოყენების უპირატესობა, გარემოს დამცავი და ნაპირდამცავი ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობა და სხვ.) და წარმატებებს აღწევს.

ცალკე უნდა აღინიშნოს დავით გურგენიძის საქმიანობა ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ მუშაობის დროს (2001-2004 წწ.), როცა მისი უშუალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ბევრი სამეცნიერო-პრაქტიკული და ინოვაციური იდეის რეალიზაცია მოხდა.



ჩემთვის განსაკუთრებულია დავით გურგენიძის, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოღვაწეობა. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ბატონი დავითი ჭეშმარიტი რექტორია, ღრმადა ჩართული სასწავლო პროცესში, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტობისთვის შექმნილია მეტად საინტერესო, საქმიანი ატ-მოსფერო. იგი წარმატებით ფლობს სიტუაციას, რაც მისი რექტორობის სამი წლის განმავლობაში ამკარად დაეტყო უნივერსიტეტს. ყველა რგოლი, სამეცნიერო თუ სასწავლო, თავის ადგილზეა. ნიშანდობლივია, რომ რექტორი ფიქრობს მომავალზე. გაიზარდა კონტაქტები საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებთან. სწორედ აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთაც იქნა აღიარებული ის დიდი ავტორიტეტი, რაც რექტორის მიზანსწრაფული შრომის შედეგად უნივერსიტეტმა მოიპოვა.

ხაზგასასმელია, რომ აკადემიკოსი დავით გურგენიძე აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა – ავტორია მნიშვნელოვანი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოებისა, მსოფლიოს წამყვან გამოცემებში იპეჭდება მისი სტატიები, არის სადისერტაციო ნაშრომების

მეცნიერ-ხელმძღვანელი, იგი არაერთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია.

მნიშვნელოვანია დავით გურგენიძის, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის საქმიანობა. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ცოტა ხნის წინ აკადემიკოსად—აკადემიის წევრად არჩეული ბატონი დავითი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაში.

სამოცი წელი – აკმე, ეტაპია ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, ამასთან წინაპირობაა მომავალი საქმიანობისა. გვინდა მრავალუამიერი სოცოცხლე და დიდი წარმატებები ვუსურვოთ აკადემიკოს დავით გურგენიძეს მომავალი დიდი ცხოვრების გზაზე.

**როინ მეტრეველი  
საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,  
პრეზიდენტი**

# ცეკვის მართვის ტრანსფორმაციის

დათო გურგენიძე 60 წლისაა! როცა იგი დაიბადა, მე 26 წლის ყმაწვილი ვიყავი, საკანდიდატო ნაშრომი მქონდა წარდგენილი და თამადობაც არ მეშლებოდა. ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ ჩვენი გზები ვერ გადაიკვეთებოდა, მის შესახებ მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი უახლოესი მეგობრის თამაზ გოგავას სიძის მეგობარი იყო. ეს უკანასკნელი ქებით ამკობდა, მის ნიჭიერებას, შრომის უნარსა და კაცობას ხაზს უსვამდა. დათო გურგენიძეს პირისპირ, ხუთკაციან სუფრაზე შეხვდი, როცა იგი უკვე გეპეის რექტორი იყო და ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მერე ჩვენი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა, ამიტომ გავკადნიერდები და 60 წლის ვაჟკაცს, მოხუცი ადამიანის გულის თქმა მინდა გავაგებინო.

იმ სფეროში, რაშიც მან აკადემიკოსობას მიაღწია, ბევრი არ გამეგება და ვერას ვიტყვი, მაგრამ ძნელბედობა გამოვლილს, ვგონებ, არ მეშლება ადამიანის ავ-კარგის შეცნობა და ამ მხრივ მინდა დავითის ლირსებანი აღვნიშნო: უპირველეს ყოვლისა, როცა „გეპეის“ შენობაში მოვხვდი, გამაკვირვა იმ სივრცულმა ველმა, სადაც სახელგანთქმული ქართველი მეცნიერებისა და მოღვაწეების სურათებია გამოფენილი, მთლად ჩლუნგი თუ არ ხარ და ამ სურათებს გულდასმით ჩაუკვირდები, მიხვდები, რა ანუხებს ბატონ დავითის და საითვენაა მისი ფიქრები მიმართული: ეს არის ჩვენი წინაპრების ნიჭიერების დაფასება, სამშობლოსადმი მათი გულწრფელი, თავდადებული სამსახურისა და სიყვარულის არდავიწყება და წარმოჩენა, რაც მომავალ თაობას ერთგვარად შთააგონებს სამომავლო მიზნებსა და მისწრაფებებს. ეროვნული სულისკვეთება ბატონი დავითისა, იქიდანაც ჩანს, რომ გეპეიში მოსვლისთანავე მან შექმნა მოძლეობათა და მოცეკვავეთა გუნდი, ძველი ქართული სიმღერისა და ცეკვის ტრადიციის მხარდამჭერი რექტორი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ძველი ქართული ხელოვნების ესთეტიკურ საფუძველსა და მრნამსს სწორედ ეს ველი ასაზრდოებს, მავანი შეიძლება ამ მიღწევებს არად, მეორე ხარისხოვნად მიიჩნევდეს, მაგრამ, ვინც ასე ფიქრობს, მთლიანად მოწყვეტილია ეროვნულ სულისკვეთებასა და ჩვენი კულტურის საფუძველს. ბატონი დავითის დადებითი თვისებებიდან, კიდევ ბევრს გამოვარჩევთ, მთავარი მაინც ის არის, რომ ბატონი დავითი სიღრმისეულად აფასებს უნივერსიტეტის კოლექტივს, ცოცხალს თუ განსვენებულს დიდ პატივს მიაგებს, არ ივინყებს მათ ღვანლსა და დამსახურებას. ასევე, მეგობრული დამოკიდებულება აქვს სტუდენტებთან და ცდილობს,

დაეხმაროს ახალგაზრდებს მომავლი ცხოვრების გარკვევაში. სამწუხაროდ, თავისუფლებისა და დემოკრატიის წინ წამოწევით, ახალგაზრდების დიდი ნაწილი, უფრო მეტად ლალ ცხოვრებას ეტანება, მეტიც, მათი მთავარი მიზანი დიპლომის მიღებაა და არა პროფესიის გათავისება, რაც ერთობ საზიანოა, როგორც თავად მათვებს, ასევე ჩვენი ქვეყნისათვის.

მისი მოღვაწეობის დიდზე დიდი დამსახურებაა ის არის, რომ ცდილობს, ქველებური დიდება დაუბრუნოს „გეპეის“, უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც ზრდიდა კვალიფიციურ კადრებს და ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მხარეს ამშვენებდა მათი აშენებული ხარისხიანი, ძლიერი და გამორჩეული შენობები თუ ძეგლები, ასევე არ უნდა დაგვავინაყდეს, რომ ბატონი გურამ ბზვანელის თავკაცობით შექმნილმა კვარტეტმა გაამდიდრა ჩვენი მუსიკალური სამყარო. გვახსოვს გასხივოსნებული და ხალხის საამაყო „გეპეი“, მაგრამ დადგა მძიმე ჟამი და ბოლო ხანებში თითქმის ჩაქრა ის ნათება, ჩვენს ქვეყანას რომ ანათებდა, დაბნელდა, თითქოს დაინგრა, დანაწევრდა ეს დიდებული ტაძარი. სწორედ ამ ტაძრის ძველებური სილამაზისა და შინაგანი არსის აღდგენას შეუდგა დავით გურგენიძე და უნდა ვთქვა, რომ დინჯად, მაგრამ საფუძვლიანად ეწევა ამ ერთობ ძნელ საქმეს და დიდი იმედი უნდა გვქონდეს, რომ ბოლომდე მიიყვანს მას. და კიდევ ერთიც, ჩემი აზრით, მთავარი – ეს დავით გურგენიძის შინაგანი სამყაროა, მას არ დაუკარგავს კაცური ღირსება. სამწუხაროა დღეს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სარბიელზე, დიდი ილიას სიტყვებს თუ გავიმეორებთ, ქონდრისკაცობამ იმატა, რომლებსაც თავის ეგოისტური „მე“-ს გარდა, არაფერი არ ანაღვლებთ. ყველამ თავისი საცხოვრისი შემოიღობა და თქვა – მთავარია, მე ვიყო კარგად, ქვეყანა წყალსაც წაუღიაო, წინ წამოიწია ცხოვრების წესმა: სხვისი ჭირი-ღობეს ჩხირიო, შურმა და მტრობამ იმატა, ურთიერთდალატმა და დასმენამ. შეიძლება თამამად ვთქვა, რომ ამ ეგოისტურ წუმშეში დავითი არ შესულა და არც შევა. იგი არის კეთილი, სხვისი ჭირის გამზიარებელი, უყვარს წინსვლა და წარმატება. უღალატო მეგობარია, ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული და იმედი ჩაგრულთა და გაჭირვებულთა.

60 წელს გილოცავ, ჩემო დავით, იყავი მუდამ გულლია და მამულზე ფიქრით დამძიმებული. სიყვარულის ძალა არ ჩაგიკლას უფალმა.

**ელიზბარ ჯაველიძე  
აკადემიკოსი-მდივანი**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,  
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

# ქვეყნის საჭირო კაცი უძრავი სიკათის კათაბის უნარით

თანამედროვე ეპოქაში უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, იყო სამაგალითო ტრადიციების მქონე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის რექტორი. ზოგადად, საგანმანათლებლო კერების როლი სრულიად განსაკუთრებულია უძველესი კულტურის მქონე ქვეყნების ცხოვრებაში და ამით საქართველო მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებს ნამდვილად არ ჩამორჩება.

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების არსებობის პირობებში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. მეცნიერული სიახლეების მხარდაჭერა, პოპულარიზაცია, აღიარება, მოწონება მრავალმხრივი პროცესების მართვასთან არის დაკავშირებული.

სწორედ ამ კონტექსტიდან გამომდინარე ისაუბრა ბატონ დავით გურგენიძეზე მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა, აკადემიის გენერალურმა მრჩეველმა, ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი კვესიტაძემ:

-ბატონ დავითს 20 წელია ვიცნობ. მასთან მეგობრობა მაკავშირებს. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. რაც დრო გადის, ჩვენი ურთიერთობა არ ირღვევა. ზოგადად, მასთან შეხვედრა, საუბარი, მუდამ ქნის ოპტიმიზმის, მხარდაჭერის, იმედის განცდას. იგი თანამედროვეობის ლირსეული წარმომადგენელია, რომელსაც დროის განუწყვეტილ დინებაში შეუძლია აკეთოს საქვეყნო საქმე – როგორც მამულიშვილმა და როგორც საქმის უბადლო პროფესიონალმა, თანამედროვედ მოაზროვნე მეცნიერმა, როგორც სიახლეების მუდმივად მაძიებელმა.

წლების წინ, ბატონ დავითს უდიდესი მხარდაჭერა და ნდობა გამოუცხადეს. მსოფლიო პანდემიის, -COVID-19-ის მძვინვარების ჟამს, იგი აირჩიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად. ყველასათვის ცნობილია, რომ იმ პერიოდში მწვავე და ზოგჯერ არ-სებობისთვის მძიმე გამოწვევების წინაშე დადგა მრავალი უმაღლესი სასწავლებელი. ეკონომიკური კრიზის გამო საუბარი იყო მრავალი საგანმანათლებლო პროგრამის შენარჩუნებაზე, საკადრო ცვლილებებსა და არაერთ უსიამოვნო ასპექტზე, რასაც უშუალოდ ადამიანებ-



ის ბედი უკავშირდებოდა. მრავალი ურთულესი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ბატონშა დავით გურგენიძემ მაღალი სტანდარტებით წარმართა დისტანციური სწავლების პროცესი. მეტსაც გეტყვით, მისმა მოსვლამ გამოაცოცხლა უნივერსიტეტი: შესანიშნავი აკადემიური სივრცე, თანამედროვედ აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, წარუშლელ მთაბეჭდილებას ტოვებს როგორც სტუდენტებზე, ასევე ნებისმიერ ადამიანზე.

უახლოეს წარსულში, ტექნიკურ უნივერსიტეტს ვესტუმრე პროფესორ ბესარიონ მესხთან ერთად. ბატონი ბესარიონი გახლავთ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საგანმანათლებლო და პოლიტიკურ სფეროებში განთქმული და დიდად პატივცემული ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი. იყი გაოცდა ბატონი დავითის შემართებით, უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტებით, სასწავლო ტექნიკითა და გამოგონებებით, აღჭურვილობით, აკადემიური სტაფით, მოაზროვნე სტუდენტებით, ახალგაზრდა მეცნიერებით, გუნდური შემართებითა და, ზოგადად, მისით, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული საინჟინრო უმაღლესი დაწესებულების ინტერესებზე არ გადის – ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტისა და მისი რექტორის უშურველი ძალისხმევა დაკავშირებულია ქვეყნის აღმშენებლობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საინჟინრო სკოლის აღორძინებასთან.

ბატონმა ბესარიონ მესხმა მადლობის წერილიც კი გამოგზავნა, სადაც წარმოაჩენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განსაკუთრებულობას პოსტისაბჭოთა სივრცეში.

-ბატონ დავით გურგენიძეზე შემიძლია ვისაუბრო მხოლოდ დადებით ასპექტში. მაოცებს მისი საქმიანი, კრეატიული უნარი. ის უდავოდ ნიშიერი მეცნიერია. დროთა განმავლობაში არაერთ პროექტზე გვისაუბრია. იგი არამარტო ჰიდროტექნიკაში, არამედ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მეცნიერების სხვა დარგებშიც არაჩვეულებრივად ერკვევა, ამიტომ უდიდეს ყურადღებას აქცევს და თანამედროვეობისთვის პრიორიტეტულ საქმედ მიაჩნია აგრარული მიმართულების ყველაზე ტრენდულ ფაკულტეტად წარმოჩენა, ქართული სოფლის ალორძინება.

ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ ტექნოლოგიურ რუკაზე, რომელიც აღნერს, რა ტექნოლოგიები იყო ადრე საქართველოში, დღეს რა არის და სამომავლოდ რისი პერსპექტივები გვაქვს. ყოველივე ეს გათვლილია ხარისხიან და მოთხოვნად პროდუქტზე.

ზოგადად, საბჭოთა მილიტარიზაციისგან განსხვავებთ, სულ სხვა მიზნებია – ქვეყნის ეკონომიკა და, რა თქმა უნდა, ყველა ძლიერი ტექნოლოგია, უნდა ემსახურებოდეს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს. ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი შეიძლება საბაზისოდ იქნესგამოყენებული. უნდა მოხდეს აგრარული ფაკულტეტისა და სხვა უნივერსიტეტების სინთეზი.

ბატონი დავითის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა, ნიჭიერი ადამიანის პატივისცემა და სრული მხარდაჭერა სამეცნიერო ასპარეზზე. ის კარგად იცნობს და აფასებს ქართული საინჟინრო სკოლის ღირსეულ წარმომადგენლებს, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და მათ კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის კეთების შესაძლებლობას აძლევს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქვეყნის საინჟინრო ცენტრი იყო და არის. საავტორო მოწმობების რაოდენობით ყოფილი გვის სსრკ-ში || ადგილზე იყო – წარმოუდგენლად დიდი მაჩვენებელია. სტუ-ში ოდითგანვე საინტერესო პროფესიონალთა გუნდი მოღვაწეობდა და 100 წლის შემდეგ, სწორედ ამ ნინაპირობით, ბატონ დავითს კიდევ უფრო რთული მისია დაეკისრა. ეს ურთულესი და პასუხისმგებლობით სავსე გზაა.

ბატონი დავით გურგენიძე, როგორც რექტორი, როგორც მეგობარი, როგორც პედაგოგი, როგორც შემფასებელი, ძალიან მომთხოვნია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ. აი, ზუსტად ის კაცია,

რომელიც დღეს არამარტო უნივერსიტეტს, არამედ, ქვეყნის საინ-ჟინრო საქმეს რომ სჭირდება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, იგი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მეცნიერი და ინჟინერია, რომელიც დღენიადაგ ქვეყნის მსახურებაშია. დავითი დაინტერესებულია სიახლეებით, საქმიანი კომუნიკაციით, საქმისთვის პერსპექტიული, ფართო კავშირებით ქვეყნის შიგნითა და გარეთ. ის ენერგიას არ იშურებს უნივერსიტეტისთვის სასიკეთო საქმეების კეთებისთვის.

დღიდი ინტერესით აკვირდება და ურთიერთობს ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან, რადგან მომავალ თაობას ჩვენი ქვეყნის საყრდენ წერტილად და გამნევს ძალად მიიჩნევს.

საჭირო კაცია, უშურველი სიკეთის კეთების უნარით!

მის ადამიანურ თვისებებზე თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილი ვაჟკაცია, სიტყვის კაცი! აფასებს ადამიანურ ურთიერთობებს. საქმეში, რა თქმა უნდა, მთავრობაზე სრულად ორიენტირებულია, ცდილობს, ფეხდაფეხ მიჰყვეს მათ მოთხოვნას, რაც ნამდვილად გამართლებულია საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე.

მიმაჩნია, რომ 10 წლის შემდეგ, ტექნიკური უნივერსიტეტი ძველ სახეს კი არ აღიდგენს, არამედ იქნება ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლებელი, მსოფლიო მასშტაბით—საინჟინრო განათლების საბაზისო დაწესებულება.

ბატონ დავითს დიდი პატივისცემით ვულოცავ 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, უდიდეს ენერგიას, მისიონერულ გზაზე მოღვაწეობა გააგრძელოს ასეთივე შემართებით და მუშაობაში ყველა შეგნებული ადამიანი დაუდგება გვერდით, რადგან შესანიშნავად ფლობს საქმიანი ურთიერთობის უნარს.

**პ.ს.** სტუ სულ მალე, შეიძლება მთავრობის ძირითადი საყრდენი ძალა გახდეს. მიმაჩნია, რომ იმ დიდმა საინჟინრო პროექტებმა, რომლებიც შემოდის, შეფასება სტუ-ში უნდა გაიაროს. ბატონ დავითს პროფესიონალთა გუნდთან ერთად ამის დიდი უნარი აქვს.

გიორგი კვესიტაძე  
აკადემიკოსი, აკადემიის გენერალური მრჩეველი.  
ს. დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის  
ინსტიტუტის დირექტორი

# შებეჭრი მართვაზე, ესოდები ძირითა ღა გაუკონვრობით განვიცი გზა ნერგაბისკან

(აკადემიკოს დავით გურგენიძის  
საიუზილიო თარიღის გამო)

ვინ მოთვლის, რამდენ სირთულეს, გამოწვევას თუ ჩასაფრებულ მოულოდნელობას გაუსწორა თვალი წარბშეუხრელად იუბილარმა. ლვთის მადლით, საბოლოოდ გამოიწროო, გამოიბრძმედა და მისი სახით თანამედროვე საქართველოში ჩვენ წინაშეა წარმატებული ხელმძღვანელი უდიდესი ეროვნული საქმისა, რასაც სამშობლოსთვის ტექნიკური ინტელიგენციის მომზადება ჰქვია. გავიხსენოთ, როგორი სახელოვანი, პატრიოტი ქართველები უძღვებოდნენ ჩვენში ამ საქმეს; რა საოცრებანი აკეთეს და აშენეს და როგორ უფრთხილდებოდა ყოველთვის მათ უკვდავ სახელებს თავად იუბილარი; რაოდენ რთული და საპასუხისმგებლო, მნიშვნელოვანი ინსტიტუტია მისდამი რწმუნებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ყოფილი „გეპერ“, რომელზეც უწინაც იდგა და დღესაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის საერთო ეროვნული წარმატება და წინსვლა.

უმაღლესი ტექნიკური განათლების ამ უმნიშვნელოვანეს კერას, ჩვეულებრივ, სათავეში ედგნენ ერთმანეთზე უკეთესი სასახელო რექტორები, რომლებიც შესანატრი ერთგულებითა და გულმოდგინებით, სიზუსტითა და სოციალური მოთხოვნის შესაბამისად ასახიერებდნენ დღრისა და მოსახლეობის გემოვნების შესაფერისი ლიდერის თვისებებს. ასეა ამჯერადაც – ბარაქალა!..

მაინც რა იყო და არის ის ძალა, რომელმაც დავით გურგენიძეს პიროვნული, მოქალაქეობრივი, პროფესიული, მეცნიერული წარმატება და აღიარება მოუტანა? ასე იყო უწინ, დეკანობისა თუ მინისტრის მოადგილეობისას; ასევეა დღეს, როდესაც ის უკვე რექტორისა და აკადემიკოსის რანგში მოღვაწეობს.

შეიძლება, გამჭირვებოდა კიდევაც ამის განჭვრეტა, ცოცხალი შემსწრე და პირუთვნელი მოწამე რომ არ ვყოფილიყავი მისი კარიერის დასაწყისისა. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიურულს, „გეპეის“ პროექტორად მომიწია მუშაობა. საკმაოდ „აჭრი-

ლი“ გარდამავალი ხანა იყო: იწყებოდა საინტერესო, მაგრამ მკაცრი და საქმიან დაუნდობელი ცვლილებების პერიოდი. საზოგადოება შიშმა და ძრნოლამ შეიპყრო. დრტვინავდა ხალხი და გაურკვევლობა-ში მოელოდა არც თუ სასიკეთო ცვლილებებს, მათ შორის – საკადრო პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დაწესებულებები გან-აგრძობდნენ ფუნქციონირებას მოჩენებითი უდრტვინველობით, მა-გრამ შინაგანი შფოთვითა და მღელვარებით.

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ მაშინ, სრულიად ახალგაზრ-და დავით გურგენიძე აქტიურად იყოს ჩართული შრომითი და აღმ-შენებლობითი საქმიანობის ფერხულში უდალატოდ უძლვება მასზე გაპიროვნებულ არაერთ საქმეს, ფუნქციასა და უბანს. თანაც, შეი-ძლება ითქვას, მისთვის ჩვეული რაჭული სიდინჯითა და პასუხისმგე-ბლობით. ამას ყოველთვის ემატებოდა სევდა და საოცარი შინაგანი მგზნებარება, ცეცხლი, რომელიც მარტო კი არ ათბობს, არამედ, ენ-ერგიას, შნოსა და ლაზათს მატებს ხოლმე ადამიანურ ძალისხმევას. ასე განვლო დღევანდელმა იუბილარმა დავით გურგენიძემ მთელი ცხოვრების გზა ინსტიტუტის ფარგლებში, თუ სამთავრობო სტრუქ-ტურებში, ქვეყნის შიგნით თუ უცხოეთში. საქართველოს მეცნიერე-ბათა აკადემიის ნამდვილი წევრობა კი ერთ-ერთი კანონზომიერება გახლდათ წარმატებული მოღვაწეობის მის კარიერულ ნუსხაში.

ჭარმაგობის ზღვარს მიტანებული დავით გურგენიძის ხელთ დღე-საც ჯერ კიდევ მრავალი შესაძლებლობა და საფუძვლიანი მოლოდ-ინია. მინდა ვირწმუნო, რომ აკადემიკოსი დავით გურგენიძე თავად-აც მზადაა და ჩვენი საზოგადოებაც მომზადებული ჰყავს შემდგომი შემოქმედებითი თაოსნობებისა და წარმატებების ვრცელ გზაზე.

დალოცვილი ჰქონიდეს ცხოვრების „გოლიათთან მებრძოლ“ ჩვენს კოლეგას ეს გზა სათონ, ღირსეულ მეუღლესა და შესანიშნავ, მყუდ-რო ოჯახთან ერთად.

**მინდია უგრეხელიძე  
აკადემიკოსი**

# საქართველოს მოავტოსატვის ხასიათი

ჩემმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ლი-დერობის, ორგანიზაციული მოღვაწეობის ნიჭი ღვთით ბოძებული ჯილდოა და აქედან გამომდინარე – მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!

სწორედ ამგვარ პიროვნებად მიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი აკადემიკოსი დავით გურგენიძე – ბუნებისგან მრავალმხრივი ნიჭით შემკული, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ქართული ტრადიციების თანაზიარი, სანიმუშო მეგობარი, ქართველი მეცნიერი, რომელმაც პიდროტექნიკის დარგში მრავალი საყურადღებო ნაშრომი შექმნა.

ბატონი დავითი დღეს რექტორია საქართველოს ერთ-ერთი, რომ იტყვიან, „ცოდნის ტაძრისა“, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში არაერთი სახელგანთქმული სპეციალისტი აღზარდა!

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს კარგად ვიცნობ, რადგან გარკვეული წლების განმავლობაში იქ მომინია მუშაობა. რასაკვირველია, დროთა ცვლილება და ახალი გამოწვევები არა მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას, არამედ თვით ხელმძღვანელსაც უყენებს ახალ ამოცანებს. ამავე დროს, მოდის ახალი თაობა და ჩნდება მოთხოვნილება პრობლემების ახლებურად გააზრებისა და გადაჭრისა, რაც მხოლოდ ენერგიულ, ნიჭიერ წინამძღოლს შეუძლია!

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, ბატონი დავითის ხელმძღვანელობით, მრავალი ცვლილება განხორციელდა. იგი მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც ნოვაციის გარეშე ცხოვრება და საქმიანობა წარმოუდგენლად მიაჩინიათ.

დავით გურგენიძე გახლავთ გამორჩეული პიროვნება საზოგადოების ფართო წრეში, ახალგაზრდობიდანვე მიზანდასახული, ნოვატორი. ყოველივე ამის დასტურია ის მრავალი რეფორმა, რაც მან ტექნიკურ უნივერსიტეტში განახორციელა!

მისასალმებელი და უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სულ ახლახან აშშ-ში გამოიცა პიდროტექნიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი ვრცელი მონოგრაფია.



ღირსეულ პიროვნებას, აკადემიკოს დავით გურგენიძეს ვულო-  
ცავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს  
სიცოცხლეს ჩვენი ახალგაზრდობისა და ერის საკეთილდღეოდ!

რამაზ ხუროძე  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,  
აკადემიკოსი

# საქართველოს ინიციატივის ბრწყინვალ ნარმალური და კადაში განვითარების კადაში განვითარების და კადაში განვითარების

ბატონმა დავით გურგენიძემ გაიარა გზა რიგითი ინჟინრიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობამდე. დღეს იგი ხელმძღვანელობს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და საპასუხისმგებლო დაწესებულებას-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელიც მრავალდარგიანი და მრავალათასიანი სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციაა. მისი ხელმძღვანელობა ურთულესია, ამასთანავე უდიდესია ქვეყნისა და ერის წინაშე საპასუხისმგებლოც. ბატონი დავითი ამ დიდ მოვალეობას თავდადებით, სიყვარულითა და დიდი გულმოდგინებით ასრულებს. განსაკუთრებით მისი სტუდენტებთან და ახალგაზრდა მეცნიერებთან დამოკიდებულებაა აღსანიშნავი. იგი მათ მიმართ ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენს, გვერდში უდგას და ხელს უწყობს მათ.

როგორც აკადემიკოსი, ბატონი დავითი აქტიურად არის ჩართული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცხოვრებაში, არის აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

ბატონ დავითს მიღებული აქვს როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალი ჯილდო. როგორც მაღალი რანგის პროფესიონალი, მეცნიერი და ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტი, საქართველოს კულტურის ფონდმა 2023 წელს მას მიანიჭა დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ლაურეატის საპატიო წოდება და გადასცა შესაბამისი მედალი და სიგელი.

ჩვენი ქვეყნისთვის თავდადებულ კაცურ კაცს, ბატონ დავით გურგენიძეს ვულოცავ იუბილეს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სიხარულს.

თამაზ შილაკაძე  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის აკადემიკოსი,  
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

## პატილი გენერირების და განვითარების მიზანით

დავით გურგენიძე საოცარი ბიოგრაფიის პატრონია.

ჩვენი დრამატული სინამდვილის ქარბორიებმა მის კისერზე მთელი სიმწვავით გაიარა.

წუთისოფლის აინონა-დაინონამ იგი ზოგჯერ ძნელად გასაძლებ ფიორდებს მიანარცხა, მაგრამ კაცისგან გაწირული, ღმერთმა არ გაწირა.

იმ შავბნელ დროში, როცა ადამიანის ბედს მავანნი კამათლებივით ათამაშებდნენ, დავით გურგენიძე არაერთგზის იყო ინსინუაციის მსხვერპლი, თუმცა წუთისოფლის ყოველ ტალღა-გრიგალს ძლიერი წებისყოფით სძლია.

მართალი იყო და იმიტომ!

ახლა ცხოვრების ის მომენტები ერთი კაცის ცხოვრების გზაზე ენაჭარტალა „არამკითხე მამიდებს“ ტენდენციური განსჯის საგნად რომ სურდათ ექციათ, უკლებლივ ყველა ღირსებისა და მოქალაქეობრივი გაბედულების ფურცლებად შევიდა დავით გურგენიძის ცხოვრების წიგნში.

ეს იმას ნიშნავს, რომ მას განუკითხაობის ეპოქაში გულარხეინობის ყურბალიშზე არ ეძინა.

იგი იბრძოდა.

იბრძოდა რაინდულად და ვაჟკაცურად.

ახლა ზოგი მათგანი, ვინც საქართველოს ცხოვრებას უმნარებდა, ციხეში ზის, ზოგი კი სრულიად სამართლიანად ისტორიის სანაგვეზე მოისროლა ჩვენმა ერმა.

ეს ყველაფერი ისტორიაა თავისი ზიგზაგური მრავალფეროვნებითა და ლაბირინთული წიაღსვლებით.

ახლა იგი საქართველოს ყველაზე დიდი უნივერსიტეტის – ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორია.

ჩემი ბრძოლა მწარე სიზმარივით უკან დარჩა, იგი მხოლოდ და მხოლოდ მოგონებათა სამყაროს ეკუთვნის, თუ სიმართლე გინდა, მე ბრძოლაში ახლა ვარო, იტყვის ხოლმე.

ძნელ დროს მოუნია უმაღლესი განათლების ფლაგმანის სათავეში დგომა.

ის იყო, უნივერსიტეტები დიდი რეფორმების (ბოლონის პროცესი) მტკიცნეული მეტამორფოზიდან გამოდიოდნენ და ახლებურ

ლარ-თარგზე იწყებდნენ ცხოვრებას, რომ მსოფლიოს კორონავირუსის ვეებერთელა შავი ტალღა დაატყდა.

იოლი როდი იყო სწავლის პროცესისთვის სრულიად უჩვეულო, აქამდე არნახულ ფორმაზე გადასვლა, ფორმაზე, როცა პროფესორები სახლიდან გაუსვლელად კითხულობდნენ ლექციებს, ხოლო სტუდენტები ასევე კომპიუტერებისა და „ზუმების“ საშუალებით ადევნებდნენ თვალს ლექციის „მსვლელობას“.

ეს გახლდათ ურთულესი სამი წელი.

და ეს სამი ექსპერიმენტული წელი ტექნიკურმა უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა.

რექტორის კაბინეტში გვიანობამდე ენთო სინათლე.

უნივერსიტეტის ურთულეს საგანმანათლებლო მექანიზმს განუწყვეტლივ აკონტროლებდა.

როცა კორონას ქარბორიამ გადაიარა, მერე არანაკლებ ძნელი იყო სტუდენტების თავიანთ ბუდეში დაბრუნება, სალექციო აუდიტორიების კვლავინდებურად შევსება და საუნივერსიტეტო ცხოვრების ჩაყენება კალაპოტში.

გარდა რაინდული პირადი თვისებებისა, გარდა მისაბაძი ორგანიზატორული უნარისა, ბატონი დავითი საოცრად ზნეკეთილი და მლ-მობელი გულის პატრონია.

კორონას მძვინვარების პერიოდში, როცა სიკვდილის აჩრდილი უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის რომელიმე წევრს დაეცემოდა, რექტორი ყველგან ასწრებდა მისვლას, ნიადაგ პანაშვიდზე იდგა, გარდაცვლილს უმაღლეს პატივს მიაგებდა.

მახსოვს იმ დღეებში დამირეკა, ბატონო რეზო, უმორჩილესად გთხოვთ, ამ დღეებში გარეთ არ გამოხვიდეთო.

სული გამითბო ამ ყურადღებამ.

ცხოვრების დიდი სკოლის გავლამ დავით გურგენიძეს გამოუმუშავა ადამიანის ყველაზე საშური თვისებები: თავმდაბლობა, სულ-გრძელობა, ყურადღებიანობა და სიკეთის ქმნის ნიჭი.

არ ჰგავს იმ გრძელ კაბინეტიანებს, მოსაცდელში რომ ჩაამწკრივებდნენ მთხოვნელებს ან მდივან ქალებს რომ ათქმევინებდნენ, დღეს ვერ მიგიღებთ, არ სცალია, მოხსენებაზე მუშაობსო.

ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეხვიდეთ რექტორთან და დარწმუნდეთ, იქ დაგხვდებათ გულისყურიანი, ჭემმარიტად ინტელიგენტი მასპინძელი.

ერთ მაგალითს შემოგბედავთ:

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ბიძინა ნანობაშვილი უნივერსიტეტში უფროს სპეციალისტად მუშაობდა. მოხდა ისე, რომ ბატონი ბიძინა მშობლიურ სოფელში გახლდათ კახეთში, როცა უფროსი სპეციალისტის კონკურსი ჩატარდა.

შემხვდა გულშემოყრილი.

არ ვიცოდი, თუ კონკურსი ტარდებოდა, არც არავინ გამაფრთხილა. ახლა მეუძნებიან, ჩვენთან აღარ მუშაობო. რა წყალში ჩავვარდე, რით ვარჩინო ოჯახი. ვისაც მივმართე, ყველა ხელებს ასავსავებსო.

რექტორთან მიდი, მხოლოდ ის გიშველის-მეთქი, დავაიმედე.

სამი დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან, სიხარულისგან სახეგაბად-რული:

შენ აგაშენა ღმერთმა, ეს რა კაცი ყოფილა, არა თუ აღმადგინა, ხელფასიც მომიმატაო.

იცის რექტორმა კაცის ყადრი!

ყველა თაობის მიმართ ერთნაირად ლოიალური და ობიექტურია.

ამ კეთილდიმილიან, სიმპათიურ კაცს ადამიანური ურთიერთობის სიქველე და ოსტატობა მიჰმადლა ბუნებამ, ამიტომაც მასთან საუბრისას დაძაბული არა ხარ, იუმორის გრძნობაშერეული სითბო იღვრება მისი გამოხედვიდან.

მართალია, უნივერსიტეტი აპოლიტიკური დაწესებულებაა, მაგრამ მის ხელმძღვანელს მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიცია უნდა ჰქონდეს.

დავით გურგენიძეს ამ მხრივაც არაფერი ეშლება.

იგი სიტყვითა და საქმით ეროვნული, ხალხისთვის მზრუნველი ხელისუფლების მხარესაა.

გარდა თვალსაჩინო ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი საქმიანობისა, ბატონი დავითი თანმიმდევრული, ნიადაგ მაძიებელი მეცნიერ-მკვლევარიცაა.

წარმატებულმა სამეცნიერო საქმიანობამ მას საქართველოს ეროვნული აკადემიის ნადვილი წევრობა და არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მოუპოვა.

რა დამავინყებს, როცა რუსეთის საოკუპაციო ძალები თავს დაესხნენ უკრაინას, დავით გურგენიძემ ჩვენი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების მწირი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა:

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის მოძმე ერის დახმარებისთვის აუცილებელი საშუალებები მოაგროვა, რკინის ქა-ლამნები ჩაიცვა და კიევს გაემგზავრა.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, რექტორი მშვენიერი ოჯახის მამა და ულალატო მეგობარია.

მოკლედ, თხემით ტერფამდე ქართველია ქართველი მამულიშვილის მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათით.

დაბადების 60 წლისთავს ვულოცავ ჩემს მეგობარს, დიდბუნებოვნებითა და ღირსებით აღავსე დავით გურგენიძეს.

რევაზ მიშველაძე  
საქართველოს სახალხო მწერალი,  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,  
ქართული ფენომენის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი

## მოხმავებით და გამოცემით გამოჩენაი იღენი

ამბობენ, ლიდერებად იბადებიანო. ალბათ, ასეც არის. მაგრამ ცხოვრება რთული ფენომენია, ხილულისა და უხილავისგან შემდგარი პროცესი, რომელიც სიმკაცრით გამორჩეულ გამოცდას უწყობს ადამიანს. დაბადებიდან თანდაყოლილ ღირსება-თვისებას მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს ბუნებრივი გარემო, ზნეობრიობა, საზოგადოებრივი აზრის სიცოცხლისუნარიანობა, რწმენის ზემოქმედების ძალა, პოლიტიკური სისტემის თვისებრიობაც. ამიტომ ამბობენ, რომ ადამიანი ეპოქის, დროის შვილიაო, რომლის პიროვნებად, მით უფრო ლიდერად ჩამოყალიბება დროსა და სივრცეში, ფორმალური და არაფორმალური შეხედულებების (წესების) გავლენით ხდება.

ბუნებრივია, დავით გურგენიძე, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა, გამონაკლისი ვერ იქნებოდა. იგი ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებით გამორჩეულ და საზოგადოებაში აღიარებულ ოჯახში დაიბადა. დროის შესაფერისი განათლება მიიღო, პროფესიონალად ჩამოყალიბდა და ცხოვრების არც ერთ ეტაპზე დროში არ ჩარჩენილა. საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ პოზიციებზე მოღვაწეობაში მუდმივად, სწავლითა და მაღალი პასუხისმგებლობით ინვრთნებოდა მისი პიროვნული თვისებები, ღირსებები, განგებისაგან ბოძებული ნიჭი და „ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუაც“. ამით უნდა აიხსნას, რომ ცხოვრების რთული გზა დღემდე წარმატებით განვლო. გამოცდილებითაც გამოჩენილი ლიდერის სანიმუშო მაგალითი შექმნა და დღეს წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომლის როლი საქართველოს აღმშენებლობაში უნიკალური იყო და მომავალშიც ასე იქნება.

ტექნიკურ უნივერსიტეტში კონცენტრირებული ქართული საინჟინრო აზრი, ინტეგრირებული ცოდნის დაუფლების უნიკალური გამოცდილება და შესაბამისი საკადრო პოტენციალი მთლიანობაში ის სტრატეგიული რესურსია, რომლის რაციონალური და ეფექტური გამოყენებით შესაძლებელია გლობალურ პროცესებთან ადაპტირება, ახალი პარადიგმის – იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად, დაიცავი მდგრადი განვითარების პრინციპები –მოთხოვნების დაცვა.

დავით გურგენიძის, როგორც ლიდერის წარმატებული მხარეა ის, რომ ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკუთარი სტილით (ხელწერით) სრულად პასუხობს კაცობის, ქართული ფენომენის ილიასეული განსაზღვრის ყველა მოთხოვნას. იგი ამაყად და დამსახურებულად ატარებს ოჯახის კაცის, გვარის კაცის, თემის კაცის, ერის კაცის – ზოგად კაცის სტატუსს, რაც ერთეულთა ხვედრია მხოლოდ.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცდილი კოლექტივისა და მისი რექტორის მასშტაბური აზროვნება, რთულ ბუნებრივ და საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებში მყისიერად წვდომის უნარი, განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული ხედვა, ხელს შეუწყობს ქვეყნის წინაშე ახალი გამოწვევებით დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ჯანმრთელობასა და მორიგ წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ დავითს.

### ნოდარ ჭითანავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს  
საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების  
შემსწავლელი ცენტრის მთავარი  
მეცნიერი თანამშრომელი

## ეს განცხადების პროცესი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩემი 50 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობის პერიოდი ბევრ მოვლენასა და პროცესთანაა დაკავშირებული. კარგად მახსოვს, მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოჩენილი რექტორის, იოსებ ბუაჩიძის დიდი რუდუნება საქართველოს საინჟინრო კერის ტექნიკური აღმშენებლობის, სასწავლო და სამეცნიერო პროცესების გასაძლიერებლად, რომელიც გაგრძელდა აკადემიკოსების: არჩილ ძიძიგურის, თეიმურაზ ლოლაძის, გოჩა ჩოგოვაძის, რამაზ ხუროძის, არჩილ მოწონელიძისა და არჩილ ფრანგიშვილის რექტორობის პერიოდშიც.

ასწლოვანი ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი – აკადემიკოსი დავით გურგენიძეა, რომელსაც დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

### ბატონო დავით!

საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა დარგობრივი აკადემიის სახელით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, გისურვებთ ჩვეული შემართებით გელვანოთ დიდხანს ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრძანდებით ქვეყნის პირველი და უმთავრესი საინჟინრო სკოლის ღირსშეული რექტორი. თქვენი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა რეფორმებმა უფრო მეტად გაუთქვა სახელი ამ უნივერსიტეტს. ბოლო პერიოდში მეტად გამომჟღავნდა თქვენი, როგორც ხელმძღვანელის ნიჭი და უნარი.

საგულისხმოა, რომ თქვენი რექტორობის პერიოდში პომპეზურად აღინიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავი, ოქროს მედლები გადაეცით დამსახურებულ პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილს; ბოლო პერიოდში დაგეგმეთ და დაამყარეთ სასწავლო-სამეცნიერო კავშირები უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან; მოხდა სასწავლო პროგრამების გაცვლა ჩეხეთთან, იტალიასა და პოლონეთთან. გაგრძელდა მუშაობა ახალ – ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სპეციალობების გასახსნელად.

ბატონო დავით! მომავალშიც ჩვეული ენერგიითა და მონდომებით გააგრძელეთ დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებლის აღმშენებლობისა და განვითარების პროცესი.

### იგორ კვესელავა

საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა დარგობრივი აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი

# საქაური საქმეების სათავადოები

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან – აკადემიკოს დავით გურგენიძესთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. ის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია. მისი, როგორც ღირსეული მოღვაწის მრავალმხრივობის მაგალითი, მრავალჯერადი და მრავალმხრივი საქველმოქმედო საქმიანობაა.

დავით გურგენიძემ თავისი ყოფის წესად კაცური კაცის ცხოვრება აირჩია-დროთა ცვალებადობის მიუხედავად, მას ეს პრინციპი არ შეუცვლია. არჩეულ გზაზე სიტკბოც იგემა და სუსტიც გამოსცადა, სილარიბისა და საზოგადოებრივი ავტორიტეტის ფასიც გაიგო. ხშირად არჩევანის შეცვლის საკითხიც დამდგარა, მაგრამ ცხოვრების შემოთავაზებული კონიუქტურით არ უცხოვრია.

სიცოცხლის მე-60-ე წელი ბატონი დავითის შემოქმედებითი ცხოვრების უმთავრესი ეტაპია. მას ურთულეს პირობებში ჩამოუყალიბდა პიროვნული თვისებები, როცა ქვეყანაში მძიმე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები იყო.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მისი ხელმძღვანელობა ტექნიკურ უნივერსიტეტში, დაემთხვა მსოფლიოში ურთულეს პერიოდს – კოვიდ-პანდემიას. მიუხედვად სირთულეებისა, ბატონი დავითის მხარდაჭერით, არაერთი მნიშვნელოვანი ახალი სასწავლო პროგრამა შეიქმნა, მათ შორის უცხოენოვანი. ეს პროცესები დღემდე აქტიურად მიმდინარეობს და უნივერსიტეტი საგანმანათლებლო სისტემაში, საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად ყველაზე ტრენდულ მიმართულებებს სრულიად ახალ პლატფორმაზე ახორციელებს. მოეწყო და გაიმართა ლაბორატორიები, ჩატარდა არაერთი საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი, დარეგისტრირდა უამრავი ახალი გამოგონება, განხორციელდა მომავალი თაობისთვის სასიკეთო საქმეები.

ჩემთვის, როგორც სემეკის თავმჯდომარისთვის, განსაკუთრებით ყურადსაღებია ბატონი დავითის პროფესიული გამოცდილება ენერგეტიკის დარგში. ის გახლავთ ენერგეტიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ამასთან, მას, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, აქვს დადგმული სიმძლავრეების საექსპლუატაციო ანალიზისა და მონიტორინგის (ჰიდროენერგეტიკული, სამელიორაციო



ნაგებობებისა და თბოელექტროსაფგურების) დიდი გამოცდილება. სხვადასხვა პერიოდში იგი აგრეთვე მონაწილეობდა ენერგეტიკული, სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქციაში, მათ შორის მუშაობდა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პიდრონაგებობის – ენგურპესის მშენებლობაზე. ბატონი დავითი გახლდათ საქართველოს სათბობენერგეტიკის მინისტრის მოადგილე. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კი მას ეკავა არაერთი მნიშვნელოვანი პოსტი ენერგეტიკისა და პიდრონინჟინერიის კუთხით. მისი ხელმძღვანელობით საქმაოდ ღირებული თეორიული და პრაქტიკული კვლევებია წახალისებული, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალურობას.

კარგად მახსოვს, ჩვენი უშუალო შეხვედრები ტექნიკურ უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთაც. მას მუდმივად ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რა გვქონდა სხვადასხვა პერიოდში ტექნიკური უნივერსიტეტისთვის გაკეთებული და ამის ხაზგასმას არასდროს ივიწყებს. სულ ახლახან, სტუდენტი ახალგაზრდობისთვის საჯარო ლექცია ჩავატარე. მთელი ამ ხნის განმავლობაში პატივისცემის ნიშნად გვერდიდან არ მომშორებია, არადა, ვინ იცის, რამდენი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი.

ლირსეული ადამიანის შესაქებად, ბატონ დავითს, სიტყვები არ ენანება, თუ ვინმეს რამე შეეშალა, შენიშვნის მიცემის აკადემიური და დახვეწილი ფორმა ხშირად პროფესიული სრულყოფის ინსპირაციაც გამხდარა.

საოცარია ერთი ადამიანისგან ასეთი მრავალმხრივი საზოგადოებრივი, სამეცნიერო საქმიანობა, რომლის მიზანიც უცვლელია – მეტი შესძინოს ოცდამეერთე საუკუნის ქართული საინჟინრო ცოდნის ხაზინას.

### ბატონო დავით!

თქვენი მოღვაწეობა სტუდენტი ახალგაზრდობისთვის ზნეობრივი მაგალითია – მაგალითი ბრძანდებით, როგორ უნდა იცხოვოს კაცმა ამ უკიდეგანოდ საინტერესო და გამოწვევებით აღსავსე წუთისოფელში.

უდიდესი პატივისცემით გილოცავთ 60 წლის იუბილეს. გისურვე-ზო წარმატებებს, სიმხნევეს, დლეგრძელობასა და მრავალი სასიკეთო საქმის ლირსეულად და წარმატებით დაგვირგვინებას.

დავით ნარმანია  
სემეკის თავმჯდომარე,  
პროფესორი

## მართველი სამართლის – ქვეყნის ტიტულის ღიაბაზი

ჩვენი ქვეყნის პირველი საინჟინრო სკოლის–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში უდავოდ მრავალი სასიკეთო სიახლის ინიციატორი და განმახორციელებელია. ბოლო 4 წლის განმავლობაში, მიუხედავად მძიმე პანდემიური პერიოდისა, აღნიშნულ საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა, პირიქით – შეიცვალა ინფრასტრუქტურა, უფრო მოდერნიზებული გახდა სასწავლო გარემო და, რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა და აკრედიტაცია მოიპოვა საერთაშორისო მნიშვნელობის საგანმანათლებლო პროგრამებმა. ამგვარმა ცვლილებებმა კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახადა უნივერსიტეტი მსოფლიოს აკადემიურ სივრცეთა არეალში.

ბატონი დავითის რექტორობის პერიოდში სტუ-ის ცხოვრებაში არაერთი სასიკეთო სიახლე დაინერგა – მისი ინიციატივით შეიქმნა სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ლაბორატორიები, სადაც მუშაობენ ნიჭიერი ახალგაზრდები და მათი უნიკალური სტარტაპების განსახორციელებელი ეტაპები ბატონი დავითის უშუალო პატრონაჟითა და თანადგომით მიმდინარეობს.

ადამიანში ერთ-ერთი უმთავრესია მადლიერების გრძნობა, რომელიც ხშირად შეუდარებლად უფრო ამაღლებულია, ვიდრე მატერიალური და კარიერული მიღწევები. ამიტომ არის, რომ მის ირგვლივ უამრავი მოტივირებული და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანია მობილიზებული.

აკადემიკოს დავით გურგენიძეს პირველად შევხვდი პროფესორ ლია კახიანის 80 წლისთავის საიუბილეო ბანკეტზე, სადაც იგი მეუღლესთან, ქალბატონ მარინასთან ერთად მობრძანდა. არაჩვეულებრივი წყვილის პარმონიული ოჯახური იდილია ამ პატარა სივრცეში უფრო მკაფიოდ გამოვლინდა. იმ პერიოდში ბატონი დავითი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ხასიათის სიმტკიცეში, კოლეგებთან და სტუდენტ ახალგაზრდობასთან უშუალო დამოკიდებულებაში გამორჩეულად იგრძნობოდა ფართო დიაპაზონის ორგანიზაციორული მონაცემები, მან, სამშენებლო ფაკულტეტს,



რომელსაც დიდი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიციები აქვს, არა მარტო ღირსება და იერსახე აღუდგინა, არამედ კიდევ უფრო წარმოაჩინა და გააძლიერა სამეცნიერო მუშაობა, რაშიც მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმული სტუდენტები და ამ ერთობლივი კოლაბორაციით მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

ბატონი დავითი კვლავ შემართებით მოღვაწეობს ახლა, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიზანდასახული, შემოქმედებითი, დაუღალავი და შედეგზე ორიენტირებული რექტორი.

მე-60 საიუბილეო წელს, მინდა, სულ სხვა კუთხით წარმოვაჩინო აკადემიკოსი დავით გურგენიძე. ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, საუბარი მქონდა რადიომრეწველობის მინისტრის მოადგილესთან, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ლოსევთან, როცა იხილებოდა ჩემი

დანიშვნის საკითხი სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელად. მან მკითხა:

-რა არის ის, რასაც ყველაზე მეტად აფასებთ მეცნიერებში?

ჩემი პასუხი იყო:

– პირველი, მეცნიერის მიერ მასწავლებლის პატივისცემა და მისი ღვაწლის დაფასება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკუთარი მიღწევებით მას გაუსწრებს და მით უმეტეს, თუ მასწავლებელზე მეტ აღიარებას მიაღწევა...

...და რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, როცა ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე პროფესორმა და ან უკვე აკადემიკოსმა, დავით გურგენიძემ, აღნიშნა აღმზრდელის, პროფესორ ნიკოლოზ მოწონელიძის გადამწყვეტი დამსახურება მის პროფესიულ და კარიერულ წინსვლაში, რამაც განაპირობა მისი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად არჩევა.

ბატონმა დავითმა განმარტა ისიც, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მიუხედავად სხვა მიმართულებით კარიერული წინსვლისა, პროფესორმა ნიკოლოზ მოწონელიძემ იგი დატოვა მშობლიურ კათედრაზე იმ გათვლით, რომ არ მოსწყვეტოდა მეცნიერებას და სწორედ ამ გზაზე მავალს მიეღწია წარმატებისთვის.

დასაწყისში აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ, ადამიანში ერთ-ერთი უმთავრესია მადლიერების გრძნობა, რომელიც ხშირად შეუდარებლად უფრო ამაღლებულია, ვიდრე სხვა მატერიალური და კარიერული მიღწევები.

ლირსების კაცის, დავით გურგენიძის ცხოვრების უდიდესი და უმთავრესი მისია ლირსეული თაობის აღზრდაა, რომელთა გონიერ დგას ჩვენი ქვეყნის აწმყოცა და მომავალიც. 60 წლის იუბილარს იდეალურად აქვს გააზრებული, რომ კარგი პედაგოგი, ლიდერი, ხელმძღვანელი ადამიანობის „სახელოსნოში“ საზოგადოებას უწვრთნის ლირსეულ მომავალს.

ელგუჯა მექმარიაშვილი  
აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი

## სათემ-საქავალი გზას ერთეულები

დამოუკიდებელი საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში რამდენ უსამართლო თავდასხმასა და შემოტევებს გაუძლეს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და მისმა პროფესურამ. მათ შორის გამონაკლიისა არც პროფესორი, ან უკვე აკადემიკოსი დავით გურგენიძე გახლავთ. ბრძენეკაცს უთქვამს, სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰყარგავსო – ეს სიტყვები ზუსტად ასახავს ბატონი დავითის ცხოვრებისა და ქველმოქმედების ზოგად ქარგას.

უნივერსიტეტის წინააღმდეგ მოწყობილი პროვოკაციული აქციების მიუხედავად, მან მტკიცე, გაბედული ნაბიჯები გადადგა და აკადემიურ საბჭოზე, წევრთა უპირატესი მხარდაჭერით, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის აკადემიური თანამდებობა მოიპოვა. სულ მალე, ა(ა)პ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის წევრებმაც მხარი დაუჭირეს აკადემიის წევრად მის არჩევას. ამ საპატიო წოდების მინიჭების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ იგი აკადემიის წამდვილ წევრად აირჩია. ბატონ დავითს, ამ წარმატებათა ფონზე, ქველმოქმედების სურვილი ერთი წუთით არ დაუკარგავს. მთელი შემართებით, დიდი ენთუზიაზმითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ახორციელებს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის – მეცნიერების, განათლების, კულტურის უდიდესი ტრადიციების კერის მისიაა, მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლებისა და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა. სწორედ ამ პრინციპთა გათვალისწინებით ახორციელებს ცოდნის ახალი ველის იდენტიფიცირებასა და განვითარებას უძლიერეს აკადემიურ გუნდთან ერთად.

ზოგადად, სტუ-ის ხედვა დაფუძნებულია ქართულ და დასავლურ საუნივერსიტეტო კონცეპტუალიზებაზე, რომელიც ეყრდნობა ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციას,

რის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საერთაშორისო გამოცდი-ლების არა მარტო პასიური გაზიარება, არამედ საერთაშორისო სა-მეცნიერო მიღწევებში თანასწორუფლებიანი მონაწილეობა. ბატონი დავითი სწორედ ამ ხედვის მატერიალიზების მთვარი გზამკვლევია ქართულ საინჟინრო სკოლაში. მას გულწრფელად ვულოცავ 60 წლის იუბილეს. ეს ასაკი იდეალურია განვითარის ბრძნული გააზრებისათვის, ახალი იდეებისა და ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ინტელექტური ბაზისის შესაქმნელად, სადაც სა-ქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა გადამყვეტი სიტყვა უნდა თქვას.

ბატონი დავით, დიდი პატივისცემით გისურვებთ ამ გზის ღირ-სეულად და წარმატებით გასრულებას!

შოთა ფაფიაშვილი  
ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეტე ერევანი II მოედანი 1  
ტელ: (995 32) 2990378  
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com



CATHOLICOS-PATRIARCH  
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi 0114  
Tel: (995 32) 2990378  
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს,  
ბატონ დავით გურგენიძეს

ბატონო დავით,

გულითადად გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. თქვენ შრმანდებით  
საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და წამყვანი უმაღლესი  
სასწავლებლის რექტორი, რაც დიდ პატივთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაცაა,  
რადგან ჩვენი მომავალი თაობის სერიოზული ნაწილის ხვალინდელი დღე თქვენს  
სივრცეში ყალიბდება. ეს მეტად რთული და საინტერესო პროცესი კი უდიდეს  
ძალისხმევას ითხოვს, მითუმეტეს ჩვენს როგორისა და სწრაფად ცვალებად დროში.

დმრთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და მოგცეთ უნარი ამ ჯვრის ღირსეულად  
მტვირთველობისათვის, რაც, განათლებასთან ერთად, ახალგაზრდებში სულიერი  
დირექტულებების განმტკიცებასაც გულისხმობს.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

# ეპისტოლას საქართველოს რესტორანთა საბჭოს თავმდებომანის სტა-ის რესტორანს, ბაზონ ლავით გარემონდას

თქვენი მაღალლირსებავ,  
ბატონო დავით!

სიყვარულით გილოცავთ  
დაბადებიდან მე-60 წლისთავს. ჩე-  
მთან ერთად საქართველოს ტექნი-  
კური უნივერსიტეტის თეოლოგის  
სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის  
ყველა თანამშრომელი და დოქტო-  
რანტი პატივისცემით გილოცავენ  
ლირსშესანიშნავ იუბილეს.

არა მხოლოდ საქართველოს  
სამეცნიერო საზოგადოება და სტუდენტი ახალგაზრდობა, არამედ  
წმიდა ეკლესიაც მუდამ აღნიშნავს თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობა-  
სა და მაღალ პიროვნულ თვისებებს.

ნიშნად ამისა, საქართველოს უწმიდესმა და უნეტარესმა, კათო-  
ლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოგანიჭათ ყველაზე მაღალი ლირსება და



დაგაჯილდოვათ თქვენ და ჩვენი  
უნივერსიტეტი საქართველოს  
მართლმადიდებელი ეკლესიის  
უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა  
გიორგის ოქროს ორდენით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ  
და გისურვებთ ხანგრძლივ და  
ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენი  
ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ.



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
თეოლოგის სასწავლო-სამეცნიერო  
ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

\* \* \*



აკადემიკოს დავით გურგენიძეს გულითადად ვულოცავ 60 წლისიუბილეს. მისი სარექტორო მოღვაწეობის დროს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხარისხოვნად მაღალ საფეხურზე ავიდა. მან, ქვეყნის განვითარებაში პერსპექტიულ გზად საგანმანათლებლო რესურსების მართვა აირჩია. ამ პროცესში კი მთავარი მამოძრავებელი ძალა სტუდენტები არიან. დავით გურგენიძე დიდი შემართებით ახორციელებს დასახულ მიზნებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. მისი საუკეთესო თვისებებიდან აღსანიშნავია მასშტაბური აზროვნება, კრეატიული ხედვები, ადამიანური და ღირებულებითი კატეგორიები. ეს ის თვისებებია, რომლითაც წარმატებული რექტორისა და გულისხმიერი პიროვნების სახელი დაიმკვიდრა. დალოცოს მაღალმა ღმერთმა ბატონი დავითი და მისი ოჯახი. განვლილი წლები, დაგროვილი გამოცდილება და ენერგია კვლავ წარმართოს საყვარელი უნივერსიტეტის განსავითარებლად და ერთგული ადამიანების გასახარებლად.

**დეკანოზი  
ლევან მათეშვილი**

## სიყვარულით მოსიარელი კაცი

ისტორიას თუ რეტროსპექტიულად გადავხედავთ, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ ქვეყანის განვითარებასა და წინსვლას ყოველთვის საქმეზე შეყვარებული, პროფესიონალი ადამიანები უნიკობენ ხელს. მათ ზურგზე დგას ის „დიდი საქმენი,“ რომლითაც მომავალი თაობები ამაყობენ ხოლმე. სწორედ ასეთი პიროვნებაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, რომელიც სამეცნიერო საქმიანობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას საოცრად ჰარმონიულად უთავსებს ერთმანეთს. ცხოვრების დიდი ნაწილის განმავლობაში დავით გურგენიძე შეჭიდებული იყო ორ საქმეს – საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და ბიზნესსაქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული დიდ პროექტებში, ერთი წამით არ შეუწყვეტია ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობა. რექტორის რანგში ეს სინერგიზმი უდევს საფუძვლად მის მოღვაწეობას. უნივერსიტეტის აღმავლობის ეტაპი დიდწილად ამ პრაქტიკული გამოცდილების შედეგი უნდა იყოს. ასეთი მასშტაბის სარეაბილიტაციო საქმიანობა, რაც ბოლო წლებში მიმდინარეობს, ათეული წლებია სტუ-ში არ განხორციელებულა. ბატონ დავითის თითქმის ყველა საფეხური აქვს გავლილი, დაწყებული მეცნიერ-თანამშრომლიდან რექტორის პოზიციით დამთავრებული.

ადმინისტრაციული პოზიციების პარალელურად დავით გურგენიძე აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა. იგი ავტორია ათობით მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოსი, მათ შორის ისეთი წიგნებისა, რომლებიც მსოფლიოს წამყვანმა გამომცემლობებმა დაბეჭდა. ეს საერთაშორისო აღიარება დარგის სპეციალისტთა მიერ არაერთგზის აღინიშნა.

დავით გურგენიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსია. იგი იმავდროულად არის ნამდვილი წევრი საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკის აკადემიებსა, ასევე საპატიო პროფესორი ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტისა, უკრაინის ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტისა და სომხეთის არქიტექტურისა და მშენებლობის ნაციონალური უნივერსიტეტისა.

ეს ყველაფერი არის დავით გურგენიძის ბიოგრაფიის ოფიციალური ნაწილი. ადამიანი მხოლოდ სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით არ ფასდება. პიროვნული თვისებები ადამიანის ლიბოა, რომელსაც ეფუძნება ნებისმიერი ჩვენგანი. საძირკველი ჩვენი ცნო-



ბიერებისა სწორედ ეს ფასულობებია. დავით გურგენიძე იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც, რაკი შემოდის შენს ცხოვრებაში, თავისი ღირსებებითა და კაცობით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. იგი ადამიანური ურთიერთობების აკადემიკოსია და შენც სათუთად უფრთხილდები ამ ფენომენს.

ჩემო დავით, 60 წელი არც ბევრია და არც ცოტა. ცხოვრებისეული გამოცდილების დასაგროვებლად საკმარისია, მომავალი გეგმების განსახორციელებლად კი-შუა ასაკია, წინ უამრავი საინტერესო პროექტი გელის. მინდა გისურვო მხნეობა და ჯანმრთელობა, რათა დიდხანს ჰყავდე ოჯახს, სამეგობროსა და ქვეყანას.

ჯაბა სამუშა  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

## ერა თავისა თვისისათვის მხოლოდ...

ადვილი საქმე არ გახლავთ დავით გურგენიძეზე საუბარი – მეგობრის პორტრეტისათვის სიტყვებს შერჩევა უნდა. ერთია მისალოცი ტექსტის მოფიქრება და მეორე, ესოდენ ძვირფასი ქართველის თვისებების წარმოსაჩენად საჭირო ლექსიკის მოძებნა. გამოგიტყდებით, როდესაც გავიგე, რომ სამოცი წელი უსრულდებოდა, ვერაფრით დავიჯერე-60 წლის ბობოქარი ცხოვრება, რასაც ჰქვია დროის გახედვნა...

დათო გურგენიძე დრო-უამის გამხედნავი კაცია. როდესაც საისტორიო წყაროებს ჩავკირკიტებ, როდესაც სისხლის წვიმაში მყოფი მემატიანის მოგუდული ხმა ჩამესმის, როცა ბრძოლის ველზე გასული, ზიარებამიღებული, ხმალამოწვართული ქართველების ყიუინა დამბურდგლავს, რატომდაც ეს კაცი წარმომიდგება – ვგონებ, დათოსნაირი ქართველები იყვნენ ჩვენი წინაპრები – საჭურველდალენილები და ჯაჭვის პერანგშემორღვეულები ბრძოლას მაინც რომ აგრძელებდნენ. „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“ – გალაკტიონის კოსმიური ხმა ჩამესმის და ვთვლი, რომ ეს სიტყვები სრულიად მიესადაგება დავით გურგენიძეს, მისი გულ-გონება, მისი ფიქრი, მისი ცხადი და სიზმარი მხოლოდ ქართული საქმეებით საზრდოობს.

„არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა“ – ეს სოლომონ დოდაშვილის საფლავის ეპიტაფიაა. ეს სიტყვები თითოეული ქართველის ცხოვრების წესი უნდა იყოს, როგორც დათო გურგენიძისათვის ქცეულა, რომელმაც თავისი წუთისოფელი, ენერგია და ილაჯი სამშობლოს, ქართულ საქმეებს მიუძღვნა.

რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო, რომ მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მთლიანი სურათი წარმოაჩინოს. საუკეთესო შვილი, მეუღლე და მამა, საუკეთესო მეგობარი, საზოგადო მოღვაწე, ქართული საქმეების ლაბა ხარი, ჩვენი სახელოვანი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

**ბატონო დავით!**

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავ სამოცი წლის საიუბილეო თარიღს, სამეგობროს დიდო იმედო და ახალი თაობების გზის გამკვალავო. უყვარხარ უფალს და საქართველოს. ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება!

გიორგი სოსიაშვილი  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი

## მთალის ხე...<sup>1</sup>

კაცმა არ იცის, სამყარო მართავს რიცხვებს, თუ პირიქით – რიცხვები სამყაროს; ან სად არის ამ სამყაროში ჩვენი რიცხვების, მათი დინების ადგილი. ვერც იმ კითხვაზე გვექნება პასუხი, რომელი რიცხვი რომელს სჯობს და რომელია ჩვენი დინებებისთვის უფრო „აღმატებული“ – უფრო საბედისწერო ან უფრო „მკვეთრი“. ფაქტი ერთია, ბედიცა და ბედისწერაც მუდამ მათ მხარესაა, ვინც ზუსტად იცის, რა სურს და რატომ...

ასეა, ცხოვრებას ის უყვარს, ვინც „ურწყულ“ უდაბნოს გარს არასდროს უვლის.

რჩეულთა ხვედრია, მუდამ იყო ცხოვრების დუღილში, ქარტეხილში, დინებებში. ფირდოუსს რომ დავესესხოთ, ბედისგან ის ჯილდოვდება ბედნიერებით, ვინც გულით სამართლიანია”...

და თუ ადამიანში თავმოყრილია სამართლიანობაცა და შეუპოვრობაც, მაშინ ის რჩეულია, რომლის მიმართაც მუდამ პოლუსური, მკვეთრი განწყობა აქვთ გარშემომყოფთ.

ბედი და ბედისწერა იშვიათად გადაგყირის ასეთ ადამიანებს, მაგრამ ერთხელ მაინც აუცილებლად შეგვახვედრებს მათ.

დავით გურგენიძე ერთ-ერთი მათგანია.

გამორჩეული კაცი!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობა და საუკუნოვანი უნივერსიტეტის რექტორობა ლოგიკური შედეგია ფორმულისა – „ზომიერად და ნელა – გზა წარმატებისკენ“...

თუმცა, ყველაზე დიდი „შედეგი“, ალბათ, უფრო სიყვარულია – ის სიყვარული, რომელიც ასე უხვადაა დავით გურგენიძის ორგვლივ მუდამ და რომელსაც თავადაც ასე უხვად გასცემს.

გასულ წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეზე სტუმრის სტატუსით მიწვეულს, ჩვეულებრივი, სტანდარტული დღესასწაულის ნაცვლად უცნაურად ამაღლელვებელი წუთები დამხვდა – რექტორმა უნივერსიტეტის ყველა ასაკოვანი, ყოფილი პროფესორ-მასწავლებელი მოიწვია „გეპეის“ საიუბილეო საღამოზე. კიბეებს მიუყვებოდნენ თმაშევერცხლილი მეცნიერები, რომლებიც სათითაოდ გაიხსენეს, დააჯილდოვეს, მოეფერნენ. იყო ამ წამებში რაღაც საოცრად ამაღლელვებელი, ადამიანური და განუმეორებელი...

ესეც დავით გურგენიძის კაცობის წანილია;



ეს დეტალი, ბევრს ამბობს კაცზე, რომელიც 60 წლისა ხდება...

ამიტომაც დავინუეთ მილოცვა სწორედ ციფრებით...

60 წელი ის ასაკია, ბევრი რამ რომ უკვე უკანაა დატოვებული და ადამიანი წინ უფრო დიდი ძალით მიდის, რადგან უდავოა, მუდამ მაინც წინაა ყველაზე მთავარი!

ბატონი დავითის უმთავრესი წლებიც წინაა;

წლები, რომელიც ისევ იქნება ბობოქარიც, დაუდგრომელიც, რიხიანიც და თან ადამიანობით სავსე.

60 წელი ის ასაკია, რომლისგანაც უამრავი სხვა რიცხვი და ამბავი „იბადება“.

როგორც მათემატიკოსმა, პითაგორას სიტყვებით უნდა დავასრულო – „დასაწყისი მთელის შუაშია“...

60 წელიც დასაწყისია... მთელის შუა – სავსე იდეებით, იდეალებით, ხედვითა და ინტერესებით...

წინ ის მომავალია, წარსულზე ბევრად მეტს რომ გვპირდება...

კახაბერ კორძაია  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი

## ლაპით გერგანიძე - 60

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე – ალიარებული მეცნიერი, ლირსეული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მამულიშვილი – იუბილარია.

ვინც დავით გურგენიძეს იცნობს, უყოფმანოდ დამეთანხმება, რომ გულისხმიერი და უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანია. გამოირჩევა განსაკუთრებული სიყვარულითა და ერთგულებით, როგორც მისი პროფესიის მიმართ, ასევე იმ უნივერსიტეტისადმი, სადაც პროფესიონალებს უზრდის ქვეყანას.

გენიალური კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი ამბობდა: „არ არსებობს დაბრკოლება მისთვის, ვისაც აქვს ნიჭი და შრომის-მყვარეობა“. დიახ, ასეა! საკმაოდ ნაყოფიერია ბატონი დავითის 60 წელი: ასეულობით სამეცნიერო ნაშრომი–სტატიები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, გამოგონებები, მისი ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციები, საქველმოქმედო საქმეები.

მას, როგორც გამორჩეულ პროფესიონალს, იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. დავით გურგენიძე იმ მეცნიერთა წრეს მიეკუთვნება, რომლებსაც ქართული ინტელექტუალური საგანძურის, ეროვნული ღირებულებების უცხოეთში წარმოჩენა საუკეთესოდ შეუძლია. სრულიად დამსახურებულად მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფოსა და უცხოეთის ჯილდოები–ორდენები, მედლები, დიპლომები, რომელთა სიაც ფრიად შთამბეჭდავია.

აქედან გამომდინარე, არც არავის გაპევირვება, რომ 2023 წელს ის გახდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი და ეს მნიშვნელოვანი აკადემიური ინსტანცია კიდევ ერთი ლირსეული მკვლევარით გამდიდრდა.

ბატონი დავითი გამორჩეული ქართული ოჯახის თავკაცია. მასზე, მის პირად ღირსებებზე ნებისმიერ ასპექტში – ადამიანურსა თუ პროფესიულზე, დიდხანს შეიძლება საუბარი. მინდა დაგარწმუნოთ, ეს არ იქნება ლიტონი სიტყვები. პირიქით, ისინი მიახლოებითაც კი ვერ შეგვიქმნიან სრულ პორტრეტს ჩვენი სახელოვანი იუბილარისა.

ბატონი დავითი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი გულშემატკივარია. ჩვენს უნივერსიტეტს ბედმა განსაკუთრებული პოლიტიკური მისია დააკისრა–მშობლიური ქალაქიდან შორს, მისთვის არაბუნებრივ გარემოში, იქცეს ქართველებისა და აფხაზების გამაერთიანებელ ძალად, კონსენსუსის პლატფორმად. ამ საქმეში



მნიშვნელოვანია აღიარებულ მეცნიერთა, მათ შორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მხარდაჭერა და თანადგომა, რაც ბატონმა დავითმა ქმედითად არაერთხელ გამოხატა.

აკადემიკოს დავით გურგენიძეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის სახელით ვულოცავ იუბილეს. დიდი ხნის სიცოცხლესა და წარმატებებს ვუსურვებ! ბატონი დავითი თავისი სამეცნიერო საქმიანობის ზენიტშია კიდევ დიდი და მნიშვნელოვანი იდეების განხორციელების პერსპექტივით.

ზურაბ ხონელიძე პროფესორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,  
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

## გაცნობილი და ცაოცირი გზავნილი

ბატონი დავით, მაქვს პატივი და სასიამოვნო შესაძლებლობა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურისა და ადმინისტრაციის, ექიმებისა და მეცნიერების, სტუდენტებისა და რეზიდენტების სახელით დაგიდასტუროთ გულწრფელი სიყვარული, პატივისცემა და მოგილოცოთ 60 წლის იუბილე!

დამეთანხმებით, ადამიანის ცხოვრებაში 60 წელი მონიფული შემოდგომის პერიოდის დასაწყისია: უკვე არის დათესილი შრომის ნაყოფით ტკბობის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, ნინ ძალიან ბევრი დროა ახალი ჩანაფიქრების რეალიზების, სიკეთისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმისა და თვითგანვითარებისათვის.

ბევრი ვიფიქრე ამ წერილის უანრის შერჩევისას და ბოლოს გადავწყვიტე – გულწრფელობა ამერჩია, რამეთუ ეს ის თვისება და სტილია, რითაც თქვენ ურთიერთობთ საზოგადოებასთან, მეგობრებთან, სტუდენტებთან, კოლეგებთან.

წარმოსახვაში ჩვენი ცხოვრება სხვადასხვა საინტერესო ადამიანისა თუ მოვლენის კალეიდოსკოპად გამოიყურება ხოლმე, რომლის თითოეული კადრის უკან მოგონება, გამოცდილება, მაგალითი, სიხარული თუ წყენა დგას. დროთა განმავლობაში შთაბეჭდილებები ერთმანეთს ავსებს, ზოგი ქრება, ზოგი კი მუდმივ და მყარ ადგილს იკავებს ჩვენ ცხოვრებაში. ჩვენთვის საინტერესო ადამიანებთან ცხოვრება ზრდასრულ ასაკში ცხადყოფს, რომ ჩამოყალიბებული ფასეულობების სისტემები ამ დროს სინქრონიზდება ხოლმე.

ბატონი დავით, სწორედ ასეთი დამოკიდებულება მაკავშირებს თქვენთან არაერთი წლის განმავლობაში . 2020 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესაჭიობის საპატიო და ურთულესი საქმე ჩაგაბარათ თქვენმა კოლექტივმა, ერთად ვემსახურებით უმაღლეს განათლებას, ერთად ვმონაწილეობთ ქვეყნის მომავლის მშენებლობაში. აქვე აღვნიშნავ, რომ მეტად საპასუხისმგებლო და რთულია თქვენი მოღვაწეობა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის თავმჯდომარის პოზიციაზე, რასაც წარმატებით ართმევთ თავს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის თითოეული წევრი აფასებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის როლს ქართული საუნივერსიტეტო განათლების საქმეში.

ამიტომაცაა, რომ ვმეგობრობთ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი კოლეგებიცა და სტუდენტებიც.

### ბატონო დავით!

მამაკაცის ცხოვრებაში უპირობოდ არის, როგორც მინიმუმ, ორი უმნიშვნელოვანესი მანდილოსანი – დედა და მეუღლე, ქალბატონები, ვისი ბედნიერება და კეთილდღეობა მამაკაცის ღირსების საკითხია. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ქალბატონი ჯილდა, – უკეთილშობილესი, სამაგალითო ადამიანური და პროფესიული თვისებებით უხვად დაჯილდოვებული ადამიანი, რამდენიმე ათეული წელი მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და მისი ნაადრევი წასვლით უამრავ ადამიანს ატყინა გული; თქვენი მეუღლე, ქალბატონი მარინა – მაღალი პროფესიონალიზმით, თანშობილი დელიკატურობით, კორექტულობითა და მომზიბვლელობით სავსე ქალბატონი, დღეს ქართული მედიცინის მდიდარი ისტორიის კვლევას და ამ საგანძურის მარგალიტების მომავალი თაობისათვის გადაცემის საპასუხისმგებლო საქმეს ხელმძღვანელობს. თქვენი ავკარგიანობის, სტუმართმოყვარეობის, უფროს-უმცროსობის პატივისცემის, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციისა და საიმედოობის საფუძველი იმ გარემოშია, რომელსაც ეს გამორჩეული ქალბატონები ქმნიდნენ და ასე იქნება მუდამ.

ჩემო დავით, თქვენ არა მარტო პროფესიული და აკადემიური, არამედ ემოციური ძაფები გაკავშირებთ ჩვენს უნივერსიტეტთან, რაც აძლიერებს და ამყარებს საერთო მეგობრობას.

გისურვებთ ფიზიკურ და სულიერ სიმწნევეს, ოჯახისა და ახლობლების კარგად ყოფნას, თანამოაზრების გვერდში დგომას, მრავალ ახალ ჩანაფიქრს და მათ დროულ განხორციელებას, წინსვლას ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღის სასიკეთოდ!

მინდა დაგარწმუნოთ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გვერდით. ჩვენი დიდი სურვილია, ერთად ვიაროთ „ტრადიციებით, მომავლისკენ“!

**ზურაბ ვადაჭკორია,  
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო  
სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**

# საქართველოს საკათოლიკო

ბატონო დავით,  
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი გულითადად გილოცავთ  
დაბადებიდან 60 წლის იუბილეს.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს ქართული  
სამეცნიერო სკოლის კიდევ უფრო განვითარების საქმეში ჩვენი ერისა  
და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სერგო ტეფნაძე  
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორი

\* \* \*

ბატონო დავით, გილოცავთ იუბილეს!

თქვენი წაყვანიერი და უამგარო მოღვაწეობა შეამსიშვი მაგალითა ახალგაზრდა თაობებისათვის.  
სამდგრად ფასდაუდებელია ის წევლით, რომელიც თქვენი ღირსეული მოღვაწეობით შექვეთ მეტნიურების განვითარებაში.

გულიწრფელად გისურვებთ სიკეთეს, ჯამშირელობას და დაეგრძელობას.

პატივისცემით,

Best Regards  
Capt. Murtaz Devadze

Rector  
LEPL „Batumi State Maritime Academy“  
Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia



## ეხებეზრების სამსახური

აკადემიკოსი, ბატონი დავით გურგენიძე იმ ადამიანთა შორისაა, რომლებიც გაცნობისთანავე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენენ შენზე და რწმუნდები, რომ სანდო მეგობარი და სამედიცინური პირები შეიძინები. ჩვენი პირველი შეხვედრა საქმიან ვითარებაში შედგა. ახალარჩეული რექტორი უფროს კოლეგას შევხვდი და, ჩემდა გასაოცრად, არანაირი უხილავი ბარიერი არ გაჩნდა ჩვენ შორის. კონკრეტული საკითხების განხილვის შემდეგ კი მივხვდი, რომ არა მხოლოდ მეგობრულ, არამედ ძალიან გამოცდილ ადამიანსა და პროფესიონალს ვესაუბრებოდი.

ჩვენი ყოველი მომდევნო შეხვედრა უფრო და უფრო მარწმუნებდა, რომ სწორი დასკვნები გავაკეთე – ბატონ დავითი გამორჩეულად მიზანდასახული პიროვნებაა, რომელიც ერთგულად ემსახურება უმაღლესი განათლების სფეროს და შესანიშნავად უძღვება საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

უმთავრესი კი, რაც ბატონ დავითს ახასიათებს, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ახლგაზრდების გამორჩეული სიყვარულია. ამიტომაცაა, რომ მისი ყოველი ნაბიჯი ერთნაირად მისაღებია როგორც ახალგაზრდების, ასევე უფროსი თაობის კოლეგებისათვის. სიკეთე და მხნეობა მინდა გისურვო, ბატონ დავით, გამარჯვება და წარმატება ყოფილობის თქვენი თანმდევი ისეთ საპასუხისმგებლო საქმეში, რასაც უმაღლესი განათლების მსახურება ჰქვია. დიდხანს ეიმედებოდეთ ქვეყანას, ტექნიკურ უნივერსიტეტს, ოჯახსა და მეგობრებს!

### შალვა ჭკადუა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,  
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

# მისამართის განვითარება

სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სახელით გულითადად ვულოცავ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, პატონ დავით გურგენიძეს 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ყოველგვარ სიკეთეს, აკადემიურ წინამდებარების, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე.

ნანა შარიქაძე,

სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

The screenshot shows an email message. At the top left is a profile picture of Nino Enukidze, followed by her name and email address: **Nino Enukidze <nino.enukidze@btu.edu.ge>**. To her right are icons for 'to me', a star, and a reply arrow. The date and time are listed as **Fri, Sep 15, 4:54 PM**. On the far right are icons for 'Turn off for: Georgian' and other settings.

The email content starts with a language selector: **XA Georgian ▾ > English ▾ Translate message**. On the right side of the message area, there is a link: **Turn off for: Georgian X**.

The message body is in Georgian and reads:

მოგესალმებით,  
მადლილია შემოსავაზემისთვის, სისმიგრისით უზრიანაობით მიღებულია:

„პატიოზი დავით, კუპრიჩველი, სიკეთით და წარმატებებით საქართველოს გისტრიცებით.  
გამართება და მოექინება სწორედ ის გზაა, რომლითაც გამოითანდება ჩვენი ქვეყანა და ამ პრიცესი,  
ყავის დოფინის გრძილებები მიმდევრულობაში წილით მიერჩინ  
შესაძლებლობა. პატიოზისკებით, ჩიტო ერტებენ“

Below the message, there is a signature block for **Nino Enukidze**, which includes her title as **Rector** and **Professor, PhD**. There is also a logo for **BTU | BUSINESS & TECHNOLOGY UNIVERSITY**.

At the bottom of the email, there is a footer with social media links for **Facebook**, **LinkedIn**, and **Instagram**, along with the university's website address: [www.btu.edu.ge](http://www.btu.edu.ge).

## ნაციონალური და გამორჩეული ცოდნი

მინდა მთელი სულითა და გულით მივულოცო დაბადებიდან 60 წელი ჩემს მეგობარსა და კოლეგას ბატონ დავით გურგენიძეს.

ასეთი თარიღები იმითაცაა ლირსშესანიშნავი, რომ ხდება განვლილი ცხოვრებისეული გზის ერთგვარი შეჯამება და რა კარგია, რომ დღეს ასეთად წარმოგიდგება შესანიშნავი მეცნიერი და გულისხმიერი მეგობარი, ნაღდი თბილისელი და გამორჩეული ლიდერი, ქვეყნის პატრიოტი და საუკეთესო ეროვნული ტრადიციების მატარებელი კაცი.

60 წელი არ არის ცოტა, მაგრამ ბატონი დავითი ისეთი ჭაბუკური შემართებით ხელმძღვანელობს უმდიდრესი ტრადიციების მქონე საუკუნოვან უნივერსიტეტს, ისეთი ენერგიით უძღვება სამეცნიერო კვლევებსა თუ საზოგადოებრივ საქმეებს, რომ ვიცი, კიდევ მრავალი ათწლეულის განმავლობაში იდგება ბურჯად და მეციხოვნედ ერისა და ქვეყნის სამსახურში.

წარმატებას გისურვებ მეგობარო, პირად ცხოვრებაში, სამეცნიერო ასპარეზზე და თაობათა აღზრდის მამულიმვილურ საქმეში.

გიორგი შალუტაშვილი,  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

# საქართველოს ციფრული განვითარების მინისტრი

გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს. თქვენი ცოდნისა და პროფესიონალიზმის წყალობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მრავალი წელია ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი, მაღალ-ინტელექტუალური და მოწინავე უნივერსიტეტია. სიყვარულმა და საქმისადმი ერთგულებამ განაპირობა თქვენდამი უდიდესი პატივის-ცემა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის, ხოლო განსაკუთრებულმა პიროვნულმა თვისებებმა-თქვენი მიზნების მიღწევა და წინსვლა.

გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ახალ იდეებსა და მრავალწლიან ნაყოფიერ მუშაობას.

ზურაბ კაკულია  
ჰელიკოპტერის და საინჟინრო გეოლოგიის  
ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

Levan Tvidiani <rector@dtmu.edu.ge>  
to me ▾

Fri, Sep 15, 9:36 AM ⚡ ⓘ

🇬🇪 Georgian ▾ > English ▾ Translate message Turn off for: Georgian ✖

შემოსილი მისამართზე დაკავშირდეთ,

განვითარებული საინჟინრო თარიღის და გისურვების კიდევ მრავალი წლის წალღირების სიცოცხლეს,

ჯანმრთელობის, მედიცინური და წარმატებების პროფესიული და საზოგადოებრივი

მოღვაწეობის სფეროებში.

პატივისცემით,

დავით გურგენიძე,  
მეცნიერების დოკტორი, პროფესორი,  
რექტორი,  
დაფილ ტექნიკური სამედიცინო უნივერსიტეტი  
თბილისი 0159,  
ლეიკონის ქ. 2/6  
[www.dtmu.edu.ge](http://www.dtmu.edu.ge)



From: Jemal Gabella <jabella.jemal07@gmail.com>  
Sent: Thursday, September 14, 2023 4:12 PM  
To: [rector@dtmu.edu.ge](mailto:rector@dtmu.edu.ge)  
Subject: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამსახურისა და სკოლაში უწინვერთობის  
დეკანის მოადგილურ პროფესორი კუმულუ გამებულის

## აკადემიკოსი დავით გურგენიძე

# 60

თვალიაჩინო მეცნიერმა, სასახლო პიროვნებამ, საქართველოს მეცნიერებათა კონფერენციას აკადემიკოს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა დავით გურგენიძემ მეცნიერდებოდა აღვილი ჩვენი კვეთის გამოჩენილ მეცნიერთა შორის და ეტაპიზეც მოიპოვა. ჩვენი საზოგადოება კარგდ იყოს მის სახელით, პედაგოგურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, იმ დრიდ ყურადღებას, რომელსაც ბაჟონი დავითი როგორც პროფესიონალ, დევანტ და შემდგომ რექტორი უთმის ახალგაზრდა თაობის პროფესიული განვითარების საკითხებს, სეროოდ კი სტუდენტები ახალგაზრდობა ყოველთვის იყო მისი განსაკუთრებული ზორების საგანი და დღესაც ასეთად ჩეხება.

დოდო, სამაგალითო პრომითო გზა განვითარება დაგეთმა - მისი პრომითო პიროვნებია იწყება ქალაქ მწხვევაში სამრეწველო კომინაჟის მუნიც დასაქმიერდან. შემდეგ ის მუნიციპატია ზემოქადა, მინარელუმბადა ინჯურტების მეზრებლობაში, პროტესტოლი გამოიყენება მოიყვანეს როგორც საქართველოში, ისე საზღვანოებრივ აქტებით პიროვნელობით, კოდორის პიროვნელობით და პილოტის პიროვნელობით ასეთი საზღვანოებისა და თბილისის განვითარების საქასპლოუაჟიკო ანალიზსა და მონიტორინგზა, სხვადასხვა უწერებითი კულტურული, სამუსახლეო და სამრეწველო ობიექტის მეზრებლობა-რეასონის ჩილებითამა.

ბაჟონი დაგეთმა არის რამდენიმე უწინეთსობრივისა და ინსიტუტურის სახალინო დოქტორი და პროფესიონალ. მეცნიერებას განვითარებაში მისი დიდი ლენიდი ასანიშნავდა 2023 წელს ის არჩევულ იქნა საქართველოს მეცნიერებას ეროვნული აკადემიის წამდგრად წევრნად - აკადემიკოსად, მისი ღამილის აღიარება იყო ის, რომ საზღვანოები ახალგაზრდობის აღზრდაში შეისწილი პირადი წლილისათვის 1999 წელს ბაჟონი დაგეთმა დაგენდოლოდებულ ლინების ორგანიზა, ხოლო 2023 წელს - დანცე ალიგორიზმის საზოგადოების იქნის მედლითა და დასტურით.

განსაკუთარებით აღსანიშნავია მისი როგორი რექტორის კამპენიუნიური და ღრმად გაზირებული დამოკიდებულება აღსარელი მეცნიერებისა და ბიოსისტერიზმის ინჟინირინგის თანამდებობის განვითარების საკითხებადმი.

ბაჟონი დაგეთმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განვითარებით თასები, ლინერულ მატერიალებს, აღსარებულ მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეობის, შესანიშნავ მოწვევების, მაბასა და მაბარის დამატების შე-60 წლისათვას, კიბელრეზონ კანმინისტერობას, ხანგრძლივ სიკორდელის, ნაყოფილ შემოქმედებით, სამეცნიერო-კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქავეყნის აღმუნებლობის საქმეში.

აკადემიკოსი

დ. ჭ. გურგენიძე

აკადემიკოსი გვია ჯაფარიძე

ქ. თბილისი, 17 იუნისი, 2023 წელი



ოფიციალური საინვესტიციო  
მისიანი კონფერენციალური  
სამუშაო  
საქართველოს მთავრობის  
მინისტრის  
სამინისტრო

OFFICIAL ANNIVERSARY  
GREETINGS FROM  
FOREIGN EMBASSIES  
AND UNIVERSITIES





\* \* \*

“I wish to congratulate Rector of the Technical University of Georgia, Academician Davit Gurgenidze, on his 60th birthday and express my gratitude for his strong contribution to the promotion of Italian language and culture in Georgia, as well as for his continuous support to the development of academic co-operation with Italian Universities”.

**Enrico Valvo  
Ambassador of Italy to Georgia**

\* \* \*

„მსურს მივულოცო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს 60 წლის იუბილე და მადლიერება გამოვხატო საქართველოში იტალიური ენის და კულტურის პოპულარიზაციაში და იტალიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის.“

**ენრიკო ვალვო  
იტალიის ელჩი საქართველოში  
პატივისცემით**

\* \* \*

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა არსებობის საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქვეყნის ინდუსტრიული და საინჟინრო-ტექნიკური დარგების განვითარების პროცესში. მის კედლებში აღიზარდნენ და მოღვაწეობდნენ საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერები, მკლევრები და პედაგოგები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში.

ტექნიკური უნივერსიტეტი ფეხდაფეხ მიჰყვება განათლების სფეროში არსებულ სიახლეებს და მზარდი გლობალიზაციის პირობებში ცდილობს, უპასუხოს თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს.

წარმატებისა და პროგრესის მიღწევა შეუძლებელია ხელმძღვანელების თავდადებისა და დაუდალავი შრომის გარეშე. უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეჰქონდათ მის რექტორებს.

ბატონი დავით გურგენიძე მათი მემკვიდრეობის ლირსეული გამგრძელებელია და აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის მუდმივი განვითარებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის საქმეში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი პირადი წვლილი საქართველოში იტალიური ენისა და კულტურის გავრცელებაში, რისთვისაც ის 2023 წელს დაწეს ალიგიერის საზოგადოების მიერ ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

იტალიური ენისა და კულტურის ინტერდისციპლინური კურსების შექმნა და იტალიის წამყვან უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობის წამოწყება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოსა და იტალიის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული სივრცეების უფრო მეტად ინტეგრაციის პროცესში.

გულითადად ვულოცავ აკადემიკოსს დავით გურგენიძეს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ კვლავ ღირსეულად გაეგრძელებინოს უნივერსიტეტის საამაყო ისტორიის საუკუნოვანი ტრადიცია.

კონსტანტინე სურგულაძე  
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი  
იტალიის რესპუბლიკაში



EMBASSY  
OF THE REPUBLIC OF LITHUANIA  
TO GEORGIA

2023-10-16 №. 38.9.3) SD 38 - 190

Dear Mr. Rector, dear Davit, dear friend

*Dear Davit,*

I would like to offer you my kind greetings and sincere congratulations on your 60<sup>th</sup> jubilee, wishing you good health, academic excellence and success for the Georgian Technical University under your sound leadership.

Let me also take a moment to appreciate your friendship and steadfast support to the projects of our Embassy, as well as graciously hosting the Lithuanian Language and Culture Center, which has served as a beautiful corner of Lithuania in Georgia, attracting many bright young people to study Lithuanian language and further contribute to the friendship of our nations.

I am very pleased that your diligent contribution to Lithuanian-Georgian relations was recognized and rewarded by H.E. President of the Republic of Lithuania, Gitanas Nausėda, by presenting to you Lithuanian State decoration – the Knight's Cross of the Order of Merit for Lithuania.

I look forward to seeing the partnership between Lithuania and the Georgian Technical University, as well the partnership between our Embassy and your university, grow and flourish even further. We will do our best to foster this for years to come.

Once again, accept my heartfelt congratulations on this occasion,

Sincerely,

Ambassador

Andrius Kalindra

D. Nozadze +995 599 004599

29 Krtisanisi str.  
0114 Tbilisi  
Georgia

Tel.: +995 (32) 291 29 33

E-mail: amb.ge@urm.lt

# საქართველოს ტენიკური ენივარსიტეტის ჩატორს ეკადემიკოს ეპიზოდი

ბატონი დავით,

ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მინდა გადაგიხადოთ საქართველოსა და ლიეტუვის საგანმანათლებლო და სამეცნიერო წრეებს შორის არსებული თანამშრომლობის განმტკიცებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი ლიეტუვური ენისა და კულტურის ცენტრის მიმართ თქვენ მიერ გამოხატული უპირობო მხარდაჭერით, ქართველ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, ლიეტუვის უნივერსიტეტებში მიიღონ ევროპული უმაღლესი განათლება და ამასთანავე გააღრმავონ საქართველო-ლიეტუვას შორის არსებული ხალხთაშორისი მეგობრული კავშირები.

ნება მიბოძეთ, ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ 60 წლის იუბილე. გისურვებთ უშრეტ ენერგიას და ბევრ წარმატებას, როგორც საქართველო-ლიეტუვის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირების შემდგომ განვითარებაში, ისე ათიათასობით ქართველი ახალგაზრდისთვის სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი უმაღლესი განათლების მიწოდების საქმეში.

სალომე შაფაქიძე  
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი  
ელჩი ლიეტუვის რესპუბლიკაში



საქართველოს დემოკრატიული,



ფინანსთა, მდგრადი და უფლებულის სამსახურის მიერ  
მდგრადი გადაწყვეტილების სამსახურის სამსახურის  
მიერ გადაწყვეტილების სამსახურის სამსახურის  
მდგრადი გადაწყვეტილების სამსახურის სამსახურის

გენერალური დირექტორი.

Tamar Tariashvili, P.M.D.

Permanent Representative of Georgia to the Council of Europe

A handwritten signature in black ink, appearing to read "Tamar Tariashvili".

Permanent Representation of Georgia to the Council of Europe  
6, rue Jean Hermann  
67 000 Strasbourg, France

დრომის გურიებიდან  
104

Dr. Romina Gurashi, Ph.D  
Department of Political Sciences  
Faculty of Political Science, Sociology, Communication  
Sapienza University of Rome  
Piazzale Aldo Moro, 5, 00185 Rome (Italy)

Georgian Technical University  
17 David Guramishvili Ave,  
Tbilisi (Georgia)

October 13<sup>th</sup>, 2023


Subject: Birthday Wishes to the Rector

Dear Rector,

I wish you a healthy, long and prosperous life. Happy Birthday Prof. D. Gurgenidze.  
I really appreciated your leadership and I feel that today is the day when I can express our wholeheartedly wishes for a brilliant future to come.

On your birthday Rector, I wish to you many more horizons to conquer, many more dreams to live, many more happy times to witness and many more milestones to achieve.

Respectfully,



Romina Gurashi  
Research Fellow of Sociology  
Lecturer of Sociology of organization and administration



**ITALIAN HOSPITALITY SCHOOL**  
SOCIETÀ A RESPONSABILITÀ LIMITATA  
VIALE TRASTEVERE 209 00153 ROMA  
WWW.SCHOOL.IT / INFO@HOSCHOOL.IT  
+ 39 34567 12997

11 October 2023,

Rome

To His Excellency,

Subject: Congratulations letter


Honorable Rector Gurgenidze,

On behalf of the scientific staff of Italian Hospitality School (IHS), please accept my sincerest congratulations on your special day.

I was honored to meet you in Rome Italy, during the presentation of illustrated book of Giorgio Abkhazi, where you were invited as a special guest. Thanks to your presence It was a gorgeous evening, full of emotions, which made us really proud of our university.

May this year begin to serve you all the good things of life and bring you endless happiness and joy in your career and family. We wish your whole administration strength and more wisdom. Congratulations on the good fortunes you have brought to the university community and the nation at large.

Wishing you all the best



Nino Gabelia,  
Head of Study Department



Prof. Roberta Iannone  
Department of Political Sciences  
Faculty of Political Science, Sociology, Communication  
Sapienza University of Rome  
Piazzale Aldo Moro, 5, 00185 Rome (Italy)

Georgian Technical University  
17 David Guramishvili Ave,  
Tbilisi (Georgia)

October 13<sup>th</sup>, 2023

Subject: Letter of appreciation to the Rector for his birthday

Dear Rector,

In the day of your birthday I am writing to you to congratulate you on your current administration work for the Georgian Technical University. You have done amazing work and without you, The Georgian Technical University would not have been what it is today. On behalf of the institution I represent, I want you to know that we do appreciate your person and the administration and scientific work you have carried out. I am therefore happy to wish you a very happy birthday and look forward to another 100 years of achievements like the previous ones.

Respectfully,

A handwritten signature in black ink, appearing to read "Roberta Iannone".

Roberta Iannone  
Full Professor of Sociology

# ENRICO FERMI INSTITUTE

933 E. 56<sup>th</sup> St. • Chicago, IL 60637 • tel (773) 702-7823 • efi.uchicago.edu



THE UNIVERSITY OF  
CHICAGO

*Office of the Director*

October 16, 2023

Dear Professor Gurgenidze:

My colleague Prof. Zviadi Tsamalaidze informed me of your 60<sup>th</sup> birthday celebration. I wanted to take the opportunity to wish you a happy birthday, and to tell you how much we have appreciated our collaboration with Prof. Tsamalaidze and his colleagues at GTU. We are collaborators on the DUNE Experiment, a world-leading neutrino experiment involving 1500 collaborators from around the world. I served as co-leader of the DUNE Collaboration from 2017-2021, and had the opportunity to visit GTU in 2019.

Again, please accept my best wishes for your 60<sup>th</sup> birthday.

Sincerely,

A handwritten signature in blue ink that reads "EC Blucher".

Edward C. Blucher  
Director, Enrico Fermi Institute  
Professor of Physics

დავით გერმეგიძე

107

მუზეუმის  
მუზეუმის

## CONGRATULATIONS, YOSHI

Dear Professor Gurgenidze,

My name is Yoshi Uchida, of the Imperial College London Department of Physics, and I am Collaboration Board Chair for the COMET Muon-to-Electron Conversion Search Experiment.

On behalf of my colleagues on the experiment, as well as those of us here at Imperial College London and the United Kingdom, we wish you all the best on the occasion of your 60th birthday.

We hope you have a wonderful day, and look forward to continuing our fruitful collaboration with GTU for many years into the future!

## KIND REGARDS FROM GENEVA, JOACHIM

Dear David,

I would like to congratulate you also in the name of my colleagues here at CERN to your 60th birthday! I hope this message finds you at good health. One year has passed already since my visit to Georgia and it is still very present in my memory. Thank you very much again for this wonderful experience.

I wish you all the best for the future, most importantly health. And hope to meet you soon again.



INTER-UNIVERSITY RESEARCH INSTITUTE CORPORATION  
HIGH ENERGY ACCELERATOR RESEARCH ORGANIZATION

1-1.OHO.TSUKUBA-SHI  
IBARAKI-KEN,305-0801 JAPAN  
<http://www.kek.jp/>  
E-Mail: naohito.saito@kek.jp

October 16, 2023

Dear Professor David Gurgenize,

I hope this letter finds you in good health and high spirits. On this special occasion of your 60th birthday, I wanted to take a moment to extend my warmest congratulations and heartfelt best wishes to you.

Over the years, it has been both an honor and a privilege to collaborate with you and Georgian Technical University on various research endeavors. Your leadership and dedication to the pursuit of knowledge have not only shaped the academic landscape at GTU but have also had a lasting impact on the broader global academic community.

As we celebrate this milestone in your life, I wanted to express my gratitude for the support and guidance you have provided throughout our collaborative efforts. Your wisdom and vision have been instrumental in our shared achievements, and I look forward to continuing our fruitful collaboration in the future.

Turning 60 is a remarkable milestone, and I hope this year brings you an abundance of joy, good health, and continued success in all your endeavors. May this new chapter in your life be filled with exciting opportunities and memorable moments.

Once again, happy 60th birthday, Professor David Gurgenize. Your leadership inspires us all, and I am grateful for the opportunity to know and work alongside you. Here's to a bright future and many more years of collaboration and friendship.

Warmest wishes,

Naohito SAITO  
Director of Institute of Particle and Nuclear Studies, KEK

Częstochowa, October 3, 2023

To the Rector of the Technical University of Georgia

**Congratulatory letter****Dear Professor Davit Gurgenidze,**

On the occasion of his 60th birthday anniversary, on behalf of the Faculty Civil Engineering of Częstochowa University of Technology authorities and on my own behalf, I would like to express my deep respect to the Professor and heartfelt wishes for health, satisfaction with numerous life achievements and prosperity in his personal life.

Mr. Professor's many years of multi-faceted organizational, scientific and educational activity is an example of authentic service to the interests of the University, which is one of the pillars of Georgian society and the center of the country's scientific and educational life. I believe that your achievements will contribute to further strengthening the position of the the Technical University of Georgia on the international forum and to strengthening cooperation between our universities.

I am sure that you will continue your efforts to strengthen Georgian-Polish friendship. Thanking you for your long-term cooperation, I wish you good health and good cheer for the next years of life.

**With respect and best wishes**

Kierownik dyscypliny naukowej

Wydział Budownictwa

Politechnika Częstochowska

  
*Dr. hab. Małgorzata Ulewicz, prof. PCz***【BOD】**

Service Office for the Scientific Discipline of Civil Engineering and Transport

Częstochowa University of Technology

Street Dąbrowskiego 69, 42-201 Częstochowa

tel. +48 34 325 09 67, e-mail: biuro.rdn.ilit@pcz.pl





EUROPEAN ORGANIZATION FOR NUCLEAR RESEARCH  
COMPACT MUON SOLENOID COLLABORATION

URL : <http://cms.cern.ch>



Dr. Tiziano Camporesi  
CERN /EP Department  
CH - 1211 GENEVA 23  
Switzerland

Tel. +41 22 767 2677  
E-mail [Tiziano.Camporesi@cern.ch](mailto:Tiziano.Camporesi@cern.ch)

To: **David Gurgenidze**  
Rector of Georgian Technical University

Geneva, October 16, 2023

Votre référence / Your reference :

Notre référence / Our reference :

Dear David

I hope this letter finds you in excellent health and high spirits. As we celebrate another year of your remarkable journey through life, I am delighted to extend my warmest and most sincere birthday wishes to you. Your birthday is not just a personal milestone but an occasion for all of us at GTU to express our gratitude and admiration for your dedicated leadership and unwavering commitment to our institution.

Your role as the rector of GTU has been instrumental in shaping the future of countless students, faculty, and staff members. Your leadership has helped foster an environment of academic excellence, innovation, and inclusivity. Under your guidance, the university has flourished, expanding its horizons and reaching new heights in education and research.

Your tireless efforts, integrity, and dedication have not only earned the respect of your colleagues but also the hearts of students who look up to you as a role model.

As you celebrate another year of life, may you find time to reflect on your accomplishments and the positive impact you've made on the lives of so many. Your dedication to GTU has been nothing short of extraordinary.

On this special day, I wish for you to have moments of joy, relaxation, and the opportunity to spend quality time with your loved ones. May the year ahead be filled with good health, happiness, and continued success in all your endeavors.

Happy birthday, David! May your day be as exceptional as the leadership you have provided to GTU. I look forward to many more years of collaboration and friendship.

Yours Sincerely,

Dr. Tiziano Camporesi

Prof. Lech Dzienis,  
Rector of Bialystok University of Technology  
in period 2012-2020

16 of October 2023

**His Magnificence Rector  
Georgian Technical University  
Dear Professor David Gurgenidze**

*Dear David !*

*On the occasion of the extraordinary Jubilee that is the 60th birthday, I offer you, Dear Davit, my warmest congratulations! It is a great pleasure for me that on this special day for you, I can send you very special wishes to remain in good health, achieve extraordinary success in your professional work and to have company of many wonderful friends, to which I would also like to belong. And we have a lot in common!*

*Fate met us a long time ago, but it did not allow us to get know each other, when in 1981-83 we studied at the same university. It was not until 35 years later that I had the honor and great pleasure of meeting you as the Dean of the Faculty of Civil Engineering at Georgian Technical University. We create science in the same discipline, we were or are currently Rectors, we have both been awarded the titles of Honorary Professor and Honorary Doctor respectively, and we have a wonderful and eternal friendship.*

*I admire you for having achieved so much in your life, which is a source of great pride for your family and friends. The 60th Anniversary is also an excellent reason to summarize the current way of life and reflect on what else can be done.*

*Therefore, with all my heart I wish you further success, fulfillment of dreams and energy to implement further plans. May this Jubilee Day be an opportunity to celebrate with family and friends and to reflect on the future, which can bring you much more good.*

**Многая лета !**

Sincerely Yours





**НАЦІОНАЛЬНА АКАДЕМІЯ  
ПЕДАГОГІЧНИХ НАУК  
УКРАЇНИ**

04053, Київ-53, вул. Січових стрільців, 52а  
Тел./Факс (044) 226-31-80  
E-mail: [info@naps.gov.ua](mailto:info@naps.gov.ua)  
Web-сайт: [naps.gov.ua](http://naps.gov.ua)

**NATIONAL ACADEMY  
OF EDUCATIONAL SCIENCES  
OF UKRAINE**

52a, Sichovykh striltsiv Str., Kyiv, 04053, Ukraine  
Tel./Fax (044) 226-31-80  
E-mail: [info@naps.gov.ua](mailto:info@naps.gov.ua)  
Web-сайт: [naps.gov.ua](http://naps.gov.ua)

03.10.2023 № 2-7/127

**Mr. David Gurgenidze**  
**Rector of the Georgian Technical University,**  
**Academician of the Engineering Academy of Georgia,**  
**Georgian Energy Academy and**  
**Georgian Academy of Legal Sciences**  
**Doctor of Sciences in Engineering, Professor**

**Dear Professor Gurgenidze,**

On behalf of the National Academy of Educational Sciences of Ukraine and personally myself, I warmly congratulate you, a talented scientist organizer of education, known not only in Georgia, but also in Ukraine, on the occasion of a wonderful date - your 60th birthday!

You are a well-known scientist in the field of performance analysis and monitoring of energy capacities installed in Georgia and abroad (hydropower, irrigation and drainage hydropower plants, and thermal power plants), as well as participation in the construction and reconstruction of various energy, civil, and industrial facilities; a public figure, a bright representative of scientific and intellectual European elite. You are characterized by high professionalism, scientific principle, academic culture, responsibility, spiritual nobility and an undeniable desire to achieve the goals of the strategy for the development of the material and technical base of the Georgian Technical University, which has a 100-year history, to increase its international authority and recognition in the world.

In all the positions you held, you generously shared your many years of professional experience and life wisdom. You direct your multifaceted scientific talent and innovative and creative potential to the development of the human personality, its education, upbringing, professional development, enrichment of the scientific and educational space and the development of the value system of Georgia, to the needs of Georgian education, science and culture.

I wish you, dear Professor, good health and creative success in your work. Let your patriotism, self-sacrifice in work, high spirituality and inexhaustible energy, high professionalism and responsibility, enthusiasm for the work you do, determination in achieving the set goal, life wisdom and talent contribute to the development of education and science in Georgia, and the expansion of fruitful cooperation with scientific and educational institutions of Ukraine!

**Yours sincerely,**  
**President of the NAES of Ukraine,**  
**Academician of the NAS of Ukraine,**  
**Academician of the NAES of Ukraine**



Vasyl KREMEN

## **YOSHI KUNO - SPOKESPERSON OF THE COMET EXPERIMENT, JAPAN**


Dear Prof. Dr. David Gurgenize, Record of GTU,  
I have known that today is your birthday. If so, wishing you continued happiness and many more years of wonderful memories ahead and I celebrate your 60th birthday.  
With best regards.

## **ANGELA FATTORETTI DEAR RECTOR, PROF. DAVIT GURGENIDZE**

Warmest congratulations on reaching this remarkable milestone!  
May this special day be a joyful celebration of your wisdom, leadership and dedication, surrounded by loved ones, and marked by well-deserved recognition.  
Here's to continued success, health, inspiration, happiness and countless achievements in the years to come.  
Happy 60th Birthday!  
Sincerely



**UNIVERSITÀ  
DEGLI STUDI DELLA  
TUSCIA**



EUROPEAN ORGANIZATION FOR NUCLEAR RESEARCH  
COMPACT MUON SOLENOID COLLABORATION

URL : <http://cms.cern>



*Dr. Luca Malgeri*  
CERN CMS Team Leader

CERN - EP Department  
CH - 1211 GENÈVE 23  
Switzerland

Tel. +41 22 766 2873/767 4534  
E-mail [Luca.Malgeri@cern.ch](mailto:Luca.Malgeri@cern.ch)

*Prof. David Gurgenidze*  
Rector of  
Georgian Technical University

დავით გურგენიძე

115

ცალკეულ წლის

Geneva, 16 October 2023

Votre référence / Your reference :

Notre référence / Our reference : CMS-20231016/LM/ka

**Subject: Birthday Greetings**

Dear Prof. Gurgenidze,

I hope this letter finds you in good health and high spirits. On this special occasion, I wish to extend my warmest and most heartfelt birthday greetings to you.

Your leadership and dedication have not only enriched the academic community in Georgia but have also had a profound impact on the CMS experiment at CERN and in particular in the common projects among our teams. Your vision, commitment, and tireless efforts have propelled the Georgian Technical University to greater heights of excellence.

I remember vividly your hospitality and support at the time of our visit last year with Prof. Tiziano Camporesi and Prof. Joachim Mnich. It was my first visit to your country, and I was really impressed by your competence, dedication and forward looking attitude. I felt being among friends more than colleagues and I am looking forward to a renewed and long partnership with your Institute in my new role of CERN CMS team leader taking over from Tiziano.

As you celebrate this milestone in your life, may you be surrounded by the love and appreciation of those whose lives you have touched.

Once again, happy birthday, Prof. Gurgenidze. Your leadership is an inspiration, and I look forward to witnessing the continued growth and success of GTU under your guidance.

Warmest regards,

Dr. Luca Malgeri  
CERN CMS Team Leader



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ  
«ԱԿԱԴԵՄԻԿՈՍ Ի.Վ. ԵՂԻԱԶԱՐՈՎԻ ԱՆՎԱՆ ՋՐԱԲԱՆԻ ՀԱՆՈՎԱՐԵԼԻ ԵՎ  
ՀԱՅՈՑԵՄԱՆԿԱՐ ԲՈՒԺԻՈՒՆ» ՓԲԸ

“INSTITUTE OF WATER PROBLEMS AND HYDRAULIC ENGINEERING AFTER ACADEMIC  
I.V.EGHIAZAROV” CJSC

ՅԱՅՆԱԿԱՐ ՎՈԴՆԱ ՊՐՈՅԵԿՏՆԵՐԻ ՀԱՆՈՎԱՐԵԼԻ ԵՎ  
ՀԱՅՈՑԵՄԱՆԿԱՐ ԲՈՒԺԻՈՒՆ» ՓԲԸ

Հայաստանի Հանրապետություն, ք.Երևան, 0047, Արմենակյան 125  
Republic of Armenia, Yerevan, 0047, Armenakyan str.125  
Հայաստան, ք.Երևան, 0047, Արմենակյան 125

② + (374) 10 65 - 47-31  
e-mail: jhhi@jhhi.am

N09/10/23 03. 10 2023

**The researchers of the Institute of Water Problems and Hydraulic Engineering  
named after Academician I.V. Yeghiaziarov congratulate Academician Davit  
Gurgenidze on the occasion of his 60th glorious anniversary.**

Academician Gugendiz's contribution is particularly great in strengthening the spiritual ties between Georgian and Armenian scientists. It is no coincidence that after he assumed the position of the rector of the Technical University of Georgia, the contacts of the researchers of the two brotherly republics increased dramatically, both in terms of participation in conferences and the publication of scientific articles. We believe that the time is near when we will be able to conduct joint research in a number of important directions, such as the problems of complex use of water resources and ensuring the safety of hydrotechnical structures. We also expect the deepening of cooperation in educational processes and joint participation in international programs.

Congratulating academician Davit Gurgenidze, we wish him good health and achievements of new heights. It is also thanks to his unfailing dedication that the brotherly relations between our two peoples are becoming warmer and more sincere day by day.

**On behalf of the scientific council of the institute:**

Doctor of technical sciences, professors Hovhannes Tokmajyan, Arestak Sarukhanyan, Mher Markosyan, Albert Margaryan, Vache Tokmajyan, Petros Hambardzumyan

Doctor of Economics, Professor Ashot Markosyan, Candidate of Sciences Associate Professors Armen Babayan, Nver Mikayelyan

Աշոտ Ք. Բ. Տ

## **DEAR PROF. GURGENIDZE,**

I would like to congratulate with you in the occasion of your 60th birthday. I was informed by our collaborator Zviadi Tsamalaidze about the event.

Best wishes

Roberto Petti

Professor of Physics  
Department of Physics and Astronomy  
University of South Carolina, USA

## ლიტერატურის ცენტრი კულტურის ცენტრი

პატივცემულო რექტორო,

დღეს, როდესაც დაბადების დღეს აღვნიშნავთ, გვინდა ჩვენი ყველაზე თბილი და გულწრფელი მოლოცვა გამოგიგზავნოთ. თქვენმა ხელმძღვანელობამ და თავდადებამ არა მარტო აამაღლა ჩვენი უნივერსიტეტი, არამედ მოახდინა დიდი გავლენა ლიეტუვური ენისა და კულტურის გავრცელებაზე საქართველოში. ვართ თქვენი უაღრესად მაღლობლები ლიეტუვური ენისა და კულტურის ცენტრის დაუღალავი მხარდაჭერისთვის.

დღეს, თქვენს განსაკუთრებულ დღეს, გვინდა გამოვხატოთ თქვენდამი დიდი მადლიერება განათლების განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის და იმ განეული შრომისთვის, რომელიც საზოგადოების განვითარებას ემსახურება, აფასებს ჩვენი ხალხის ტრადიციებსა და ფასეულობებს.

დაე, ეს დღე აღსავსე იყოს სიხარულით, გისურვებთ ჯანმრთელობას და ყველა მისწრაფების ასრულებას.

თქვენდამი საუკეთესო სურვილებით!

პატივისცემით,



Marija Šulaberidze  
Sakartvelo Tekhniko universiteto  
Lietuvos kalbos ir kultūros centras  
 info.lit@vdu.lt  
 +370 520 467  
 +370 522 3040  
 Lietuvos kalbos ir kultūros centras,  
Vilniaus universitetas, Naugėnų g. 49, Telčiai



**„אנו כהן“**



## სიყვარულისა და სიკათის სავანა – ჩაზღონის ეროვნული

დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით გზას რომ დაადგები, თვალწინ იშვიათი სანახაობა იშლება – ენით ართქმული, რაღაც ზღაპრული. სილამაზის მისტერიათა ლაპირინთებს მთები და მთებზე დაფენილი ნისლები ზოგან აბუნდოვანებენ, უმეტესად კი ისეთ პერზაჟებს ქმნიან, რომ შენდაუნებურად აღმოგხდება „ გამარჯობა, სილამაზე!“ და მთელი არსით გრძნობ უკვდავი ტაეპების ძალას:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,

ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,

ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა...“

საქართველოს უმდიდრესი და თვალწარმტაცი ბუნება მრავალი შემოქმედების შთაგონება გამხდარა:

„სხვა საქართველო სად არის?

რომელი კუთხე-ქვეყნისა?!“...

მსოფლიოში მართლაც გამორჩეულნი არიან რაჭა და რაჭველები.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გენიალური რეჟისორები მსოფლიო კინემატოგრაფიის შედევრებს ქმნიდნენ, რაჭამ და რაჭველებმა უდიდესი ყურადღება მიიქციეს: მდიდარი კულტურით, მრავალფეროვანი, ეგზოტიკური ბუნებით – ალპური ტბებით, ულამაზესი ჩანჩქერებით, სამკურნალო წყლებით, ხუროთმოძღვრების საოცარი ძეგლებით, რომელთა ანალოგიც იშვიათად მოიძებნება მსოფლიოს ხუროთმოძღვრების შედევრების ნუსხაში.

დიახ, კინოზე ვსაუბრობდი, სწორედაც, რომ

„რაჭა ჩემი სიყვარული“,

„ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“

არამარტო ის ფილმებია, რომლებშიც დიდი სიყვარულით, დახვეწილი იუმორით, დაუვიწყარი კინოგმირებით, კადრის გამომსახველობითი კულტურით, მხიარული და სევდანარევი ადამიანური ისტორიებით – რაჭასა და რაჭველებზეა შექმნილი, რომელთაც ნებისმიერი ასაკის ადამიანი დიდი ინტერესით უყურებს და მთელი სიცხადით გრძნობს, რატომ არის რაჭა სიყვარულის სავანე.

მაინც რა გამოარჩევს ამ საოცარ მხრეს?!

ზოგადად, სამყაროს დაუსრულებელ წრებრუნვაში ქვეყანა, სოფელი, კუთხე – ადამიანების გარეშე სასიცოცხლო ძალას კარგავს და



ნაქალაქარად, ნასოფლარად, ნასახლარად ქცეს, მაგრამ ამ კუთხის დახვეწილი, დინჯი, ადამიანური დიდბუნებოვნებით შემკულმა ხალხმა სამყაროს დაუმტკიცა, რომ „ადამიანი ადამიანისთვის დღეა“, რომ „კაცი კაცის წამალია“, რომ „ჭირსა შიგან გამაგრება“ და მოყვასის სიყვარული, ალიარება, პატივისცემა, დანდობა რაჭველებს ისე მტკიცედ აქვთ შესისხლხორცებული, როგორც წმინდათაწმინდა ენიგმა... ადამიანური ღირსება მათთვის უმთავრესია...

დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო საქართველოს მართლაც შესანიშნავ და ეგზოტიკურ კუთხეზე, რომელიც წელიწადის ოთხივე დროს ისეთი ლამაზია, რომ მისი ნებისმიერი კუნძული გენიალურ ფერწერულ ტილოზე უფრო შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელია...

როგორც ამბობენ, მახვილი თვალი და ნათელი გონებაც კი უძლურია ყოველივე ამის გადმოსაცემად.

გენიალურმა გალაკტიონმა ნიკორწმინდის ტაძრით აღტაცებას „დიდებული სხივის გამობრწყინება“ უწოდა და სამყაროს კიდევ ერთი შესანიშნავი გზავნილი უძლვნა, რომელშიც:

„მზერა ქართულია  
სივრცის დაუნჯებით,  
თვალი გართულია  
ფრთიან ფასკუნჯებით:  
ფრთები, ფრთები გინდა,

კიდევ ფრთები გინდა,  
გინდა დაეუფლო  
სივრცეს ნიკორნმინდა!“

და ამგვარი სივრცეები, სამოთხის დარ რაჭაში მრავლადაა, ვი-  
საც აქ ფეხი დაგვიდგამს, წამით მაინც დავმუნჯებულვართ და გაგვ-  
იფიქრებია: „შეჩერდი წამო, რა მშვენიერი ხარ!“

### დრო ზამიანობისა

სიყვარულით შექმნილ და სიძულვილით გაჯერებულ სამყაროში, სადაც სტიქია ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი მტერი გახდა, რაჭე-  
ლებისთვისაც არაერთგზის აღმოჩნდა საპედისწერო. ჩვენ ამჟამინ-  
დელი სტუმრობას თან სდევდა დარდი – შოვში 3 აგვისტოს ჩამოწვა  
მეწყერი, რომლის დამანგრეველ შედეგებს დღესაც ებრძვიან რაჭაში.  
სამძებრო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა, მთელი საქა-  
რთველო სტიქიის მსხვერპლთა ჭირისუფალი გახდა.

რაჭაში ჩვენი სტუმრობის მიზანი ერთი ძალიან ნიჭიერი, რაჭუ-  
ლი წარმომავლობის ქართველი კაცის – აკადემიკოსის, პროფესორის,  
საქართველოს დამსახურებული მშენებლის, საქართველოს ტექნი-  
კური უნივერსიტეტის რექტორის დავით გურგენიძის უკეთ გაცნობის  
მცდელობა გახლდათ.

ამბობენ, ათასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი ჯობსო. ცხადზე  
უცხადესია ისიც, „ადამიანში ნათელი რომ შეიცნო, შენშიც უნდა იყოს  
მსგავსი სხივი“ და რადგან დედამიწაზე ადამიანზე გონიერი შემფასე-  
ბელი (დროსთან ერთად) არ არსებობს, როგორც კარგი ამბების გამ-  
ზიარებელი, დიდ გოდერძი ჩოხელს დავესესხები: „ყველა ადამიანი  
მოთხოვთ მგონია და ყოველ მათგანს სათაურს ვუძებნი... დედამიწა  
არის მზითა და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი  
ცოცხალი მოთხოვთ დადის. დიდებულია ეს წიგნი! თვითონ მოთხ-  
ობები უდგამენ კარგ მოთხოვბებს ძეგლებს, უხილავი შემოქმედის  
ხელით იწერება და იშლება ეს წიგნი“ ...

## „ნინაართაგან თავიდა ყველა“

### დავით გურგენიძე (ბიძაშვილი)

ბატონი დავით გურგენიძის რაჭველ მეგობრებთან და ნათე-სავებთან მთავარი მედიატორი ბატონი ჯემალ გაბელია გახლდათ. ამბროლაურის ცენტრში, სადაც სამარკო ლვინის – „ხვანჭკარის“ უზარმაზარი ძეგლი დგას, სტუმართმოყვარე რაჭველი კაცისთვის დამახასიათებელი ამაღლებული, დინჯი, გულწრფელი ემოციით შეგვეგება ბატონი დავითის ბიძაშვილი, თანატოლი, თანაშეზრდილი, სეხნია – დავით გურგენიძე, რომელმაც პირველივე წინადადებაზე მიიბყრო ყურადღება განსაკუთრებული უშუალობით. სწორედ ის გახლდათ ადამიანი, ვინც მოგვითხრო წინაპრებზე, რომელთა არსებობაც მათ ცნობიერებაში ის უმთავრესი ციტადელია, რომლითაც აწმყო საამაყოა და დროის უწყვეტი კავშირის მოცემულობითაც უდიდეს ენერგიას და მისწრაფებას ქმნის, როგორც პრეცედენტი, საუკეთესო მაგალითი – თავდაუზოგავი შრომის, ბრძოლის, ერთ-გულების, გატანის, შენების, ერთობისა და სიყვარულის... ასეთი სამაგალითო მშრომელი წინაპრები გვყავდნენ-იგონებს ბატონი



დათო: „ჩვენი წინაპრებისთვის წიგნის, შრომის სიყვარული ნიშნავდა ბავშვობიდან დამოუკიდებელ ადამიანებად ჩამოყალიბებას, რომ მომავალში შეგვძლებოდა გვეცხოვრა, გვეაზროვნა, გვემოქმედა არამხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მათთან ურთიერთობა უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება გახლდათ.

ბაბუა – დავით გურგენიძე და ბებია – ოლია ქევანიშვილი ფუტკრებივით მშრომელი ადამიანები იყვნენ. საკუთარი მეურნეობა ჰქონდათ, ჩვენი ოჯახი ერთ-ერთ მდიდარ ოჯახად ითვლებოდა. ბებია ისეთი მშრომელი იყო, რომ მის გამრჯეობაზე ლეგენდები დადიოდა, ამბობდნენ, რომ წამით არ ჰქონდა მოცლა, დასვენების დროსაც უქმად არ ხარჯავდა... შვილიშვილებზე მოამაგე და მზრუნველი ბებია, ყოველთვის ცდილობდა მე და დათოს საუკეთესო სათამაშოები გვქონოდა. პირველად ველოსიპედებიც მან გამოვიწერა და ეს ემოცია დღემდე დაუვინწყარ მოგონებად დაგვრჩა. იშვიათი ბავშვობა გვქონდა, სწორედ მაშინ ვიგრძენით, რომ ოჯახი უმთავრესი და უწმინდესი კერაა, ნაცსაყუდელი, სიმტკიცე და მაგალითი – ყველგან და ყველაფერში გზას რომ გიკვალავს და სიამაყეს გმატებს. დავითის მამა, ბატონი ზაურ გურგენიძე რაჭასა და რაჭველებზე მოამაგე ადამიანი იყო. 1991 წელს, რაჭაში მიწისძვრის დროს დიდი დახმარება გაუწია დაზარალებულ მოსახლეობას და არაერთ ადამიანს აუშენა საცხოვრებელი სახლი. გარდა ამისა, ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას შესაბამისად უწყობდა ხელს სწავლასა და სათანადოდ დასაქმებებში.

ამ გადმოსახედიდან, ჩემს ბიძაშვილს, უძვირფასეს, დასაფასებელ ადამიანს მინდა მივულოცო დაბადების 60 წელი და ვუსურვო დღეგრძელობა, მშვიდობა და უდიდესი სიკეთე, რასაც თავისი ცოვრების წესიდან, ხასიათიდან ქმედებიდან გამომდინარე ნამდვილად იმსახურებს. ის მარტო გურგენიძეების იმედი კი არა, მთელი რაჭის და რაჭველების საყრდენი კედელივითაა...“

## უშურველი თანადგომა აღამიანებს

**დავით გაგოშიძე (რაჭა-ლეჩიშვილისა და ქვემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი)  
თენგიზ ველიაშვლი (გამგებლის მოადგილე)**

იშვიათად ნახავთ ადამიანს რაჭაში, ვისაც სიკეთის დანახვისა და კეთების ნიჭი არ ჰქონდეს. არათერს ვაზვიადებ, პირიქით, მისაბაძია მათი გამოხატვის დახვეწილი, კულტურული ფორმები. მთავარი ამ მონათხრობში ის არის, რომ სიტყვებს შორის იგრძნობა ადრესატი-სადმი უდიდესი მადლიერება.

დავით გაგოშიძისა და მისი მოადგილის თენგიზ ველიაშვილის მონათხრობი, ბატონი დავით გურგენიძისა და მისი ოჯახის უშურველი და დაფარული ქველმოქმედების ამბავია. მაგალითია იმისა, როგორ უნდა გიყვარდეს შენი კუთხე, პატივს სცემდე, ამყარებდე მამაპაპისეულ არეალს და სიკეთის კეთება ცხოვრების მთავარ მოთხოვნილებად გექცეს.

გამოგიტყვდებით, ვერანაირი მხატვრული ფორმა ვერ მოვუძებნე ამ მონათხრობს, რადგან ფაქტები საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ავტენტი დროს – აფხაზეთისა და სამარიალოს დაკარგვას, სამოქალაქო ომსა და ძმათა შორის სისხლისღვრას უკავშირდება, ამიტომ სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ მონათხრობს, სადაც მთავარი საქმე, კვლავ უსახლკაროდ დარჩენილი, გაუბედურებული ადამიანების თანადგომა და მხარდაჭერაა და ეს მაშინ, როცა არც მის გამკეთებელს ულხინდა...



„1995 წელს დავინიშნე ამბროლაურის გამგებლად. იმ დროს, საქართველოში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, შიდა დაპირისპირებები. რაიონში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა დამხვდა, რადგან 1991 წლის 29 აპრილს მოხდა საშინელი მიწისძვრა. ფაქტობრივად, რაიონის უმეტესი საცხოვრებელი სახლები, საბიუჯეტო ორგანიზაციები, ადმინისტრაციული შენობები დაინგრა. იმ უმძიმესი პერიოდში ჩვენი მთავარი მიზანი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა იყო, განსაკუთრებით კი ფქვილის მოწოდების პრობლემა დადგა. გარდა ამისა, ამ დროს რაჭაში დევნილთა დიდი ნაკადი შემოვიდა. ამბროლაურის მოქმედ სასტუმროსა და პროფესიულ სასწავლებელში შევასახლეთ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები. თითქმის ყველა შენობის რესურსი გამოვიყენეთ, მაგრამ მათვის სურსათით უზრუნველყოფა უმთავრეს პრობლემად რჩებოდა. ერთ დღეს, შემოვიდა ჩემი მოადგილე – თენგიზ ველიაშვილი და მითხრა, რომ დავით გურგენიძისგან ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოგვივიდა. ამდენი წლის შემდეგაც შეუძლებელია ემოციების გარეშე გავიხსენო ეს დღე. ავტომობილი გაზ-53 დატვირთული იყო ფქვილითა და სხვადასხვა საკვები პროდუქტით. შევქმნით კომისია და საკვები გადაუზანილეთ მათ, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებდა დახმარებას – დევნილებზე, ომის მონაწილეებზე, უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებზე.

მიმართია, რომ ადამიანმა მადლიერება სახალხოდ უნდა გამოხატოს, თუმცა, დავით გურგენიძე ამას არასდროს ითხოვს, მეტიც – გვიკრძალავდა გახმაურებას. მაშინ, როდესაც პროდუქტებით დაგვეხმარა, არც კი ვიცნობდი. სწორედ იქიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. არ გეგონოთ, რომ ეს ერთჯერადი ქმედება იყო, ის ყველაფერს აკეთებდა რაიონისთვის სხვადასხვა სირთულისა და ტიპის პრობლემების მოსაგვარებლად.

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ის ყოველთვის გამოხატავდა მხარდაჭერას განათლების მიმართულებით არსებული პრობლემების გადასაჭრელად. 90-იან წლებში სკოლას და სკოლის პედაგოგებს ურთულესი ეტაპი დაუდგა-ქეყენაში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა საგანმანათლებლო სექტორი ურთულესი გამოწვევების წინაშე დააყენა. რაიონის ხელმძღვანელები პერმანენტულად ვხვდებოდით პედაგოგებს და დაწვრილებით განვიხილავდით პრობლემებს. ყველაზე საჭიროროტო კი ინფრასტრუქტურა და სახელფასო ფონდი იყო.

პირველი საჯარო სკოლა, სადაც 350 ბავშვი სწავლობდა, მიწისძვრამ გაასწორა მიწასთან, ამიტომ სწავლა ე.წ. რკინის ვაგონებში

მიმდინარეობდა. მსგავსი ტიპის მეტალის კონსტრუქცია ზამთარში ვერ თბებოდა, მზიან ამინდებში კი გაუსაძლისად ცხელდებოდა. ერთი სიტყვით, სასწავლო პროცესისთვის გამოუსადეგარი იყო. პედაგოგების თხოვნა სკოლის აშენება გახლდა. ეს მიზანი ბატონი დავითის თანადგომით განვახორციელეთ. იქვე დაისვა რაიონის საფეხბურთო გუნდის დაფინანსების საკითხი, სადაც მრავალი ნიჭიერი, მოტივირებული ახალგაზრდა თამაშობდა. გუნდის ხელმძღვანელი გია შარაბიძე სავარჯიშოდ ელემენტარულ ინვენტარს ითხოვდა.

მოგეხსენებათ, რომ ადამიანს ბავშვობიდან აქვს განსაკუთრებული მისწრაფება, ჰოპი. ბატონი დავითი ბავშვობაში, მდინარე ხოტეულას სანაპიროზე თანატოლებთან დიდი ენთუზიაზმით თამაშობდა ფეხბურთს და სწორედ ეს გახლდათ იმ თანადგომის ინსპირაცია, რომელიც მან გაუწია უდავოდ ნიჭიერ, ახალგაზრდა სპორტსმენებს. სპორტული ინვენტარის საკითხის მოგვარების შემდეგ, ბატონმა დავითმა მიკროავტობუსი შეგვიძინა. იმ დროს, საქართველოში სულ რამდენიმე გუნდს ჰყავდა საკუთარი ტრანსპორტი. საწვავისა და მძლოლის დაფინანსებაც ბატონმა დავითმა აიღო საკუთარ თავზე. რაიონში მრავლად იყვნენ მოტივირებული ფეხბურთელები და მოჭიდავეები. ეს გუნდები საქართველოს ჩემპიონატში წარმატებთ მონაწილეობდნენ.

ბატონები დავით გაგოშიძე და თენგიზ ველიაშვილი სულმოუთქმელად საუბრობდნენ რაიონში განხორციელებულ ქველმოქმედებება, რომელიც მოიცავდა მშენებლობის, გზების, განათლების, გაჭირვებული, სწეული ადამიანების, ტაძრების მშენებლობის, არაერთჯერადად დაფინანსების ისტორიებს. მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი უურნალისტი და მსმენელი, ამ ამბებს 21-ე საუკუნის ადამიანის გამორჩეულ თვისებას – უანგარობას დავარქმევ. ბუნებრივია, განათლების მიმართულებით მოღვაწე ადამიანისთვის. თუ მომავალ თაობაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ არ გადაიქცევა, მაშინ არც ამ ქვეყნის მომავლს უწერია პროგრესისკენ სვლა.



დასასრულს კი დასძინეს, რომ შესანიშნავი მეგობარია. „60 წლის იუბილეზე ყველა კეთილი სურვილი და დასახული მიზანი განეხორციელებინოს, რამეთუ რაჭისა და ყველა რაჭველისთვის საამაყო ადამიანია. ქველმოქმედი, ოჯახის კეთილი ტრადიციების გამგრძელებელი.“

### ეტიტორი

#### რობიზონ ავალიანი-სოფ. ხოტევის ყოფილი გამგებელი

სოფლი ხოტევის ისტორია დეტალურად გაგვაცნო ადგილობრივმა მკვიდრმა, ზედმიწევნით განათლებულმა რაჭველმა რობიზონ ავალიანმა, რომელიც შესანიშნავი მოსაუბრე გახლავთ.

„რაჭაში მრავლად ვხვდებით თქმულებებს სოფლების დაარსებისა და სახელების წარმომავლობის შესახებ. გადმოცემის თანახმად, სახელწოდება ხოტევი მოდის ფრაზიდან – „ხო ეტევით ციხეში“, რომელიც მეფეს უთქვამს მეციხოვნებისთვის, შემდეგ კი სოფელსაც იგივე სახელი უწოდეს. ეს ადგილი გამოირჩევა სიძველეებითა და ხუროთმოძღვრების ძეგლებით, განსაკუთრებული ჯიშის ყურძნით, რომლითაც იშვიათი სახეობის ლვინოს აყენებენ. ფრანგმა მოგზაურმა, ვაჭარმა, მე-19 საუკუნის საქართველოში საფრანგეთის კონსულმა უაკ ფრანსუა გამბამ, ხოტევში დამზადებულ სასმელზე განაცხადა, რომ ის ფრანგულ ლვინოებსაც კი გაუწევდა კონკურენციასო.

ამ სოფლის ლირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია ხოტევის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნით თარიღდება. ეკლესია ანტირელიგიური პროპაგანდის დროს 1924 წელს დაუნგრევიათ. ტაძრის წარწერებიანი და მოხატული ქვები სკოლის მშენებლობისას გამოუყენებიათ.

ეკლესია აღადგინა დავით გურგენიძემ, რომელიც დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით სრულვყავით მეუფე ელისეს ლოცვა-კურთხევით. ხალხისგან დაცარიელებული სოფლებისთვის ეს გახლავთ სულიერი ერ-



თობის, გუნდურობის, თანადგომის მაგალითი, რომელის აღორძინებაც ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად ითვლება.“

ბატონი რობიზონ ავალიანი გვთავაზობს, ზემო თლულში ტეხისის წმინდა გიორგის ეკლესიას ვენვიოთ, რომელიც დღესაც უმნიშვნელოვანესი სალოცავია რაჭველებისთვის. თქმულების მიხედვით, როცა დამნაშავეს ვერ გამოტეხდნენ, იქ მიჰყავდათ, დააფიცებდნენ და იშვიათად, რომ ვინმეს სიმართლე არ ელიარებინა, რადგან ეს წმინდა ადგილი დიდი მორალურ და სულიერ გავლენას ახდენდა ნებისმიერ ადამიანზე. ამიტომ თამამად შეგვიძლია, ამ ადგილს „კათარზისის ციტადელიც“ კი ვუწოდოთ. ტაძარში მიმავალი გზა ვიწრო, ხვეული გზანვრილი იყო, რომლის ორივე მხარეს ფიჭვნარია. აღმართი სალოცავის აღდგენის დეტალებზე საუბრით ავიარეთ:

„1930 წელს კომუნისტებმა მიწასთან გაასწორეს ტეხისას წმინდა გიორგის ეკლესია. დავითის ბებია წარმოშობით სოფელ თლულიდან იყო, კარგად ახსოვდა საბჭოთა ეპოქის მზაკვრული ქმედებები, ადამიანების სულიერებისგან ჩამოშორების სასტიკი მეთოდები. დავითს ბებია ხშირად უამბობდა სალოცავის ცხოველმყოფელი ძალის შესახებ დავითმა კარგად იცოდა ამ სალოცავის მნიშვნელობა, ბავშვური შთაბეჭდილებები, სალოცავთან დაკავშირებული ამბები სულ





თან სდევდა და წინაპრის ხსოვნის პატივსაცემად დაიწყო ეკლესიის ხელახლა აშენება. სრულიად განადგურებული ეკლესია ბატონი რობიზონისა და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აღადგინა.

ჩვენ კი ვიხილეთ დასრულებული ტაძარი, რომელიც „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად“ დგას და დარაჯად გადმოჰყურებს ხოტევის ციხეს, ნიკორწმინდასა და მთავარანგელოზის სალოცავს.

ჩვენი ქვეყნის სულიერი მამის, ილია მეორის სტუმრობა რაჭაში სწორედ ეკლესიების რესტავრაციას უკავშირდება. სასულიერო და სამთავრობო ელიტის მასპინძლობა თავად დავით გურგენიძემ ითავა. პატრიარქმა აკურთხა ქტიოტორის უდიდესი ძალისხმევა, რადგან საქართველოს თოთოეულ კუთხეში არსებული სასულიერო კერების აღდგენა სულიერად გაძლიერების, ახალი სიცოცხლის დასაწყისს გულისხმობს. ეს უდიდესი სიხარული იყო თითოეული რაჭველისთვის.

პატრიარქი ილია მეორე მიბრძანდა დავითის მამა-პაპისეულ სახლში, იქიდან დალოცა მთლიანად ხოტევი, რაჭა- ლეჩეუმ – ზემო სვანეთი და სრულიად საქართველო....

## ქართული სუფრა აკადემიაა სოციომარშრომის გურგენიძე

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო ტაძარის მოლოცვის შემდეგ სოფელ ხოტევში დავით გურგენიძის მამა-პაპის ეულ სახლ-კარს ვესტუმრეთ. სოფრომ გურგენიძე და მისი ოჯახი დიდი სტუმართმოყვარეობით დაგვხვდნენ. მართლაც შთამბეჭდავი გარემო ვიხილეთ.

ვაკედ გადაშლილ ეზოში ორსაუკუნოვანი ხის მოჩუქურთმებული ოდა-სახლები ასწლოვანი მოხუცებივით შემოგვეგებნენ და მიმქრალ მდუმარებაში ნატიფი სხეულის ენით გვესაუბრებოდნენ. ამ ეზოში, ქვებიც კი ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე ღალადებდა. ამგვარი გარემო, მზიანი დღე და მწვანეში ჩაფლული მიდამო ეგზოტიკურ სანახაობას ქმნიდა, ქალაქის მძიმე კონსტრუქციებისგან შორს მყოფებს თავი სამოთხეში გვეგონა. ძველი, მოჩუქურთმებული ხის აივანი ზემოდან გადაჰყურებს მდინარე ხოტეულას და თვალის აყოლებაზე პატარძალივით მოჩანს მწვანეში ჩაფლული, ხოტევის მთავარანგელოზის ტაძარი, რომელსაც მეორე სიცოცხლე ჩვენმა მასპინძლებმა შთაბერეს...

ქართული სუფრა მართლაც აკადემიაა, გურგენიძეების, კობახიძეების, ავალიანების გარემოცვამ წარსულიდან მრავალი ამბავი გააცილებლა. მასპინძელმა პირველი მშვიდობის სადლეგრძელო შესვა და მშვიდობა უსურვა სრულიად სამყაროს.

შთამბეჭდავად შეისვა წინაპრების სადლეგრძელო – ბატონმა სოფრომმა გამოიტანა ორ მეტრზე მეტი სიგრძის უძველესი ჯოხი და აგ-



ვიხსნა, რომ ეს ბაბუამისის საყრდენი იყო. ლარივით წელგამართული დადიოდა ას წელს მიღწეულიო... აქ თითოეულ ნივთს თავისი ისტორია აქვს და სახელმოვან წინაპართა ხსოვნას აღვიძებს.

ამ ადამიანებისგან ერთი სევდიანი ისტორიაც მოვისმინეთ: ბატონი დავითის ულამაზესი დედა, ქალბატონი ჯილდა კალაძე, სიცოცხლის ბოლო ერთი წელი რეანიმაციულ განყოფილებაში, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო. შვილი დიდი სიყვარულით დაჰჭოფინებდა თავს საყვარელ მშობელს. მიუხედავად უიმედო მდგომარეობისა, ვიდრე ავადმყოფის გული არ გაჩერდა, მოთმენითა და მზრუნველობით იდგა მშობლის სიცოცხლის სადარაჯოზე...

სუფრასთან მრავალი მოგონება გააცოცხლეს: „საოცარი ბავშვობა გვქონდა, ყოველ ზაფხულს აქ ჩამოვდიოდით და წასვლისას შეულევლობის გრძნობით ანტებულებს ერთმანეთთან დაშორება არ გვინდოდა. იცით, როგორი ერთობა გვქონდა? – გურგენიძეებს გვეგონა, რომ ჩვენი მამები ალალი ძმები იყვნენ, ერთმანეთს არ ვარჩევდით, ერთი დიდი შტო ვიყავით. ახლაც ასე ვართ, ეს ჯაჭვი არ დარღვეულა. დრომ ვერაფერი დააკლო ჩვენს ერთობას და ამ ტრადიციას ჩვენი შვილები გააგრძელებენ“ ...

დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო გურგენიძეთა გვარის სიკეთეზე, მაგრამ როგორც ყველაფერს, ამ მოგზაურობასაც ჰქონდა დასასრული. მათ კარგად იციან, რომ ცა მიწიდან იწყება, მარადიულობა -ხსოვნიდან, წინაპართა სიმტკიცე-ოდიდან და ამიტომ მამა-პაპისეულ სახლ-კარს შვილივით ეფოფინებიან, წმინდა კერად მიიჩნივენ და პირველქმნილი იერსახით უნარჩუნებენ მომავალს... მათი საუბარი იყო გულიანი, გულითადი, მართალი და სიამაყით სავსე. ასეთი გულწრფელი სიყვარულის განცდა დიდი ხანია არ მქონია და ასე ცხადად არასდროს დავრწმუნებულვარ ადამიანზე ნათქვამ სიმართლეში.

გზად მომავალი ოთხეული რაზე არ ვსაუბრობდით: სოფლის განვითარების პერსპექტივაზე, მსოფლიო ისტორიული მისიის აღსრულებაზე, ემიგრაციაზე, ომებსა და თავდაცვაზე, მოქალაქეობრივ ვალზე, ზოგადად, ცხოვრებაზე – ადამიანად ყოფნა ხომ სულიერი და ხორციელი სარჩეოს მოპოვების საინტერესო პროცესია, ზნეობა ამ პროცესის მომწესრიგებელი ძალა და თუ შენი ქვეყნის მომავალ თაობაზე ზრუნვის წინაპირობა სიყვარულია, მაშინ ბატონ დავით გურგენიძეს ცხოვრების ფუძე-საძირკვლად სიყვარული ჰქონია.

სწორედ სიყვარულს უშენებია მტრობით დანგრეული!

**სოფი გორგილაძე  
ფილოლოგი**

## მართვა

„დედაა, რასაც პირველად ნახავ.

მამით იწყება გზებზე ფიქრები.

მერე ჩვენ ვძერწავთ საკუთარ სახეს  
იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით.“

### ოთარ ჭილაძე

ბატონი დავით გურგენიძის მშობლებზე ბევრი ადამიანი საუბრობს. მათი ავკარგიანობა საქვეყნოდ ცნობილია. ბუნებრივია, ასეთი ქველმოქმედი ოჯახის შვილი სხვანაირი ვერც ის იქნებოდა.

მამა – ბატონი ზაურ (რიმიკო) გურგენიძე, პოსტსაბჭოთა პერიოდში სოლიდურ თანამდებობაზე მსახურობდა. იგი შესანიშნავი პროფესიონალი, მეულლე, მამა, თავისი ქვეყნისა და კუთხის უდიდესი გულშემატკივარი გახლდათ. რაჭაში იშვიათად ნახავ ადამიანს, ვისაც მის მიერ მრავალგზის და მრავალმხრივ გაკეთებული სიკეთე არ ახსოვდეს.

ერთ-ერთ ოჯახურ შეკრებაზე ბატონმა დავითმა სიამაყითა და მოკრძალებით მიმართა მშობლებს:

„მე მადლიერი ვარ უფლისა და ჩემი ბედისა, რომ თქვენ შვილად დავიბადე“. ალბათ იმაზე დიდი ჯილდო დედ-მამისთვის არ არსებობს, როცა ასაკში შესული, პირმშოსგან უდიდეს მადლიერებას გრძნობ. უდავოა, რომ მშობლების ამგვარი შეფასება იმ დამოკიდებულებიდან მოდის, რასაც მყარი ოჯახური გარემო, იდილია, ერთმანეთზე ზრუნვა და უანგარო სიყვარული ჰქვია.

სწორედ ასეთი დასაბამი ჰქონდა გურგენიძეების ოჯახურ გარემოს, გვიამბობს ბატონი დავითის ბიძაშვილი და სეხნია – დავითი და დიდი სიყვარულით იხსენებს საამაყო ბიძას, ზაურ გურგენიძეს, განსაკუთრებით კი ბიცოლას, ქალბატონ ჯილდა კალაძეს, რომელიც პროფესიით ექიმი გახლდათ. მისი ზეადამიანური ურთიერთობები მხოლოდ პროფესიის სიყვარულსა და ავადმყოფთა განკურნებაში კი არა, სხვებზე წარბმეუხრელ ზრუნვაშიც გამოიხატებოდა... მოამაგე ქალბატონს შესანიშნავი მშობლები ჰყოლია და მათი ხსოვნა ჯერაც არ გამქრალა მადლიერი ადამიანების გულში.

რაჭაში, გურგენიძეების მამულში სტუმრობისას, ერთი სევდიანი

ისტორიაც მოვისმინეთ: ბა-  
ტონი დავითის ულამაზესი  
დედა, სიცოცხლის ბოლო  
წელიწადნახევარი რეან-  
იმაციულ განყოფილება-  
ში ხელოვნური სუნთქვის  
აპარატზე ყოფილა. შვილი  
დიდი სიყვარულით და-  
ფიცინებდა თავს საყვარ-  
ელ მშობელს, ვიდრე არ  
გაუჩერდა გული მოთმინებ-  
ითა და მზრუნველობით  
იდგა მშობლის სიცოცხლის  
სადარაჯოზე...

ქალბატონი ჯილდა  
მთელი ცხოვრება მუხლ-  
ჩაუხრელად ემსახურებოდა  
შვილებს, ოჯახს, ახლო-  
ბლებს, ვიდრე დასასრულამდე...

დედაშვილობა სამყაროში ყველაზე უანგარო სიყვარულია. მიუხე-  
დავად მშობლის გარდაცვალებისა, ეს გრძნობა დღითიდღე  
ბა და უკვდავდება!

დედის ხმა კურნავს, დედაშვილური სიყვარული კი მთელი სამ-  
ყაროს სიძულვილს ამარცხებს! დედა ადამიანის ცხოვრების ჯარისკ-  
აცი და მეციხოვნეა – ყველაზე დიდი ნუგეში, ყველაზე დიდი იმედი  
და სიყვარული. დედა მიწაზე მოვლენილი მისიონერია, რომელსაც  
ღმერთს ვუწოდებთ. მისი ყოფნა სამყაროს მარადიულ ტრიალში არ  
მთავრდება!

დედა მიწისა და ცის თანამგზავრი და ზესკნელის ანგელოზია !

ზოგადად, შვილისთვის რთულია გარდაცვლილ მშობელზე  
საუბარი. დედა, ბატონი დავითისთვის, ყველაზე საკრალური და  
წმინდაა. ის ყველაზე კარგი ექიმი, მრჩეველი, სიხარულის გამზიარე-  
ბელი იყო, ყოველთვის გამგები და დამცველი, მიუხედავად შეცდომე-  
ბისა და არასწორი საქციელისა. დედის ფენომენი შესანიშნავად არის  
გამოხატული შემდეგ სტრიქონებში და როდესაც დედის არყოფნით  
გამოწვეული უსასრულო სევდა შემოდის, შენდაუნებურად აგანთებს  
უკვდავი სტრიქონები:



პირველი საოცრება, დედაჩემო,  
გულია შენი.  
მეორე საოცრება – სითბოა შენი.  
მესამე საოცრება –  
შენი ლიმილია,  
მეოთხე საოცრება – ცრემლია შენი.  
მეხუთე საოცრება – რწმენაა.  
მეექვსე საოცრება – ლოცვაა...  
მეშვიდე საოცრება – სულია შენი!

დიახ, „სანამ დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ლაღობ, ვერა გრძნობ სიკვდილის მზე-რას, რადგან დედა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის, თავისი სუსტი ბეჭებით სიკვდილს წინ ეღობება და მისი მწველი მზერისა-გან გიფარავს, თვითონ იწვის სიკვდილის ალმოდებულ მზერაში. წავა დედა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით მოგვარდება, მოსვენებას დაგიკარგავს, სილალეს ჩაგიკლა-ვს და თან გეშინია, თან იმას ცდილობ, ახლა შენ აეფარო ბეჭებით შენს შვილებს, რომ დაიფარო ამ ამაზრზენი მზერისაგან.



ქართველებს შესანიშნავი სტყვები გვაქვს, რომელიც ზუსტად გა-  
მოხატავენ არსს, მაგალითად, „წუთისოფელი“ – ხანდან ცხოვრება  
ისეთი სისხარტით გაირბენს, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ...  
დედაშვილობისთვის კი რამდენი სიცოცხლეა საჭიროა?! ამ რიტორი-  
კულ შეკითხვას პასუხი არ მოეძებნება, მაგრამ ცხოვრებისეული  
კანონზომიერებაა, ამქვეყნად ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასას-  
რული, მათ შორის მშობლის ხორციელ არსებობასაც...

ახლა მასზე მოგონებებით ვცხოვრობო, გამოგვიტყდა ბატონი  
დავითი, დედაჩემი ის ადამიანი იყო, ვისაც შეეძლო უსიამოვნებები  
მყისიერად გაეფანტა, ცდილობდა, თავისი კეთილი დარიგებებითა და  
რჩევებით ადამიანების გულში სიმშვიდე და იმედი ჩაეღვარა. მისი  
გული უსასრულო სიკეთით იყო სავსე. ის დღესა და ღამეს ასწორებ-  
და, არ იღლებოდა, იბრძოდა, ოლონდ ჩვენ ვყოფილიყავით ბეჭნიერ-  
ები. მან ზუსტად იცოდა – როცა მისი სუნთქვა მესმოდა, ეს ჩემთვის  
ახალი სიცოცხლის შთაბერვის ტოლფასი იყო... დედამ განურჩევლად  
დაგვწყვიტა გული ყველას, რადგან მისი ნაწილი ვართ, დააკლდა მათ,  
ვინც უყვარდა და ვისზეც დღენიადაგ ზრუნავდა, ჩემი მშობლების  
ნასვლა დღესაც უსასრულო სევდაა და როცა ადამიანებს მცირედ-  
ით ვეხმარები, მათ მზერაში ჩემი მშობლების მადლიერებით სავსე  
თვალებს ვხედავ....

# პორტნიაშვილი მუზეუმი

ინფორმაციული მარინა თოშურია-გურგაიძესთან

შეხვედრის ადგილი ვაკე, კაფე „ლეგატო“, გარე ფლიგელში ყველა მაგიდა დაკავებულია. ძირითადად ქალბატონები სხედან... მანქანებით გადაჭედილ ქალაქში, საცობები საათობით დაგვიანების საფრთხეს ქმნის და ჩვენც რამდენიმე წუთით შევყოვნდით...

ქალბატონი მარინა უკვე გველის... მისი დანახვისთანავე არის-ტოტელეს „ფიზიონომიკიდან“ მახსენდება, რომ თვალები ადამიანის სულიერი სამყაროს მეტყველი ნაწილია და აქე, ლათინელების ცნობილი სენტენციის თანამედროვე ვერსიას სრულად ვეთანხმები ლამაზ სხეულში ნამდვილად ლამაზი სულია...

ინტერვიუს დაწყებისას უხვად მოდიოდა ყველა სიტყვა, ეპითეტი, რომელიც კომპლიმენტად ვუთხარი და მაინც ბევრი რამ დამრჩა სათქმელი, მაგრამ ფაქტი ერთია, სამყაროს დაუსრულებელ წრებრუნვაში იბადებიან ადამიანები, ვისთვისაც, გარდა სილამაზის, კარიერისა და მრავალი სხვა ცხოვრებისეული ხიბლისა, ოჯახი ყველაფერია. სწორედ ოჯახური იდილია განაპირობებს სხივსა და სილამაზეს მის მზერაში, რომელიც ქალბატონი მარინას თვალებში ზღვის-ფერ ნაკადად აირეკლება – კეთილგანწყობის ნიშნად...

ამ ქალბატონისგან დიდი სიყვარული მოედინება, რომელიც, ფუფუნებასთან ერთად, უნიკალური ძლვენიც არის და ცდილობს, ისე ისაუბროს, სითბო ყველას გაუნაწილოს, სიტყვები აწონ-დაწონოს და გაათანაბროს... არავის დააკლოს და თავადაც აივსოს ემოციებითა და გულწრფელად ნათქვამი სიტყვებით...

ცხოვრებისეულ დეტალებზე საუბრობს მშვიდად. გულგრილი და ზედაპირულად არც ერთ სიტყვას, კავშირს, შორისძებულს არ ამბობს... წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები მის საუბარში ისე ეწყობა ამოსუნთქვათა შორის, რომ სხვა, უთქმელი ამბები მსმენელის ფიქრში თავისთავად ხსნის ადამიანში იდუმალი არსის საიდუმლოს და ზუსტად ხვდები, ქალს ისე არაფერი ამშვენებს, როგორც საკუთარი თავის რჩენა...

შთაბეჭდილება მრჩება, რომ ცხოვრებისეულმა წარმატებებმა და საბეჭდისწერო დაბრკოლებებმა მის ადამიანურ თვისებებს პირველქმ-

ნიღლი სისპეტაკე, გულწრფელობა, ემპათია და სიყვარული კი არ წარსტაცა, მეტად შეამკო, გააძლიერა, საერთოდ არ შეცვლილა, პირიქით-გამოიწროთ. მისი მომხიბლაობა და სილამაზე სწორედ რომ ამის ხილული მაგალითია...

ჩვენი შეხვედრის მიზეზი ქალბატონი მარინას მეულლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის საიუბილეო თარიღია...

წლების განმავლობაში მათ ოჯახს მრავალი ბედნიერი და განსაცდელით სავსე ეპიზოდი ჰქონია... არის დიდი სიხარული, ერთობა, ბედნიერება და იყო დიდი, ძალიან დიდი განსაცდელი, რომელიც ოჯახის თითქმის ყველა წევრს შეეხო, მაგრამ მიუხედავად სიტუაციის სირთულისა, მათთვის ოჯახი ყველაზე წმინდა და საიმედო ნავსაყუდელად რჩება – ერთობით ერკინებიან ამ წუთისოფელს.

ქალბატონი მარინა და ბატონი დავითი არიან სამაგალითო მეულლები, მშობლები, ბებია-ბაბუა და პროფესიონალები, საკუთარ საქმეზე, ადამიანებზე უსაზღვროდ შეყვარებულები, მოამაგენი და მზრუნველები...

ბატონი დავითისა და ქალბატონი მარინას ურთიერთობაც სიყვარულით დაიწყო...

საბჭოთა ეპოქის ახალგაზრდებში გამოხატვის თავისუფლება შეზღუდული იყო. სასურველ ქალს სიყვარულში რომ გამოსტყდომოდი, თან ორიგინალურად, ამას დიდი ნიჭი და გამბედაობა სჭირდებოდა... სიყვარული ღვთის საჩუქარია, რომელიც შეუძლებელს შეგაძლებინებს, მთას გადაგადგმევინებს, ოქროს კოშკებს აგაგებინებს და სწორედ მაშინ, როცა სრულიად არ ელოდები, ისეთ თავბრუს დაგახვევს, თავი ზღაპარში გეგონება... ბატონი დავითისა და ქალბატონი მარინას სიყვარულის ამბავი სწორედ საქართველოში, ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში, სტუდენტური შიდა ყამირის დროს დაიწყო...

„ყველაფერი უცნაურად დაემთხვა, მეგობრებთან ერთად შრომით სერესტრში წავედი. რამდენიმე დღეში სტუდენტური ბანაკის იმ ზონაში ჩამოვიდა დავითი, სადაც ვიმყოფებოდი. თავიდან ერთმანეთი არც კი შეგვინიშნავს, შემდეგ კი ჩემ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა.

სტუდენტურ ბანაკში ყოფნის დრო რომ ამოიწურა, მეგობრებთან ერთად თბილისში მატარებლით გამოვემგზავრე. დავითი ხიბულაში უნდა დარჩენილიყო, რადგან ზონის ხელმძღვანელი გახლდათ, მაგრამ მატარებელს, რომლითაც თბილისში მოვემგზავრებოდი, მანქანით



უკან გამოჰყვა. დედაქალაქში ჩამოსულს კი უზარმაზარი თაიგულით დამხვდა. მანქანა, რითიც წამიყვანა, ყვავილებით სავსე იყო... თაიგული, ბუნებრივია, შინ ვერ მივიტანე და მივართვი ჩემს უახლოეს მეგობარს, რომელსაც იმ დღესვე მივულოცე შვილის დაბადება... ჩვენი ურთიერთობა წარმოუდგენლად რომანტიკულად გაგრძელდა და ქორწინებით დაგვირგვინდა.

მოვხვდი დიდ ოჯახში, სადაც სიყვარულით მიმიღეს. გურგენიძეები – ჩემი მამამთილ-დედამთილი, უზომო სიკეთითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული ადამიანები იყვნენ... ქველმოქმედება მათი ცხოვრების წესი გახლდათ და შინ ისეთივე ჰარმონია სუფევდა, როგორიც მათი ნატიფი და მზრუნველი ბუნება იყო.

პირველი შვილი, ანა მოულოდნელად დაიბადა, დათო ჯარში იყო, არც იცოდა და იქ, რაღაცნაირად, იგრძნო შვილის დაბადების სიხარული... შეუძლებელი შეძლო, დაკეტილი ზონიდან მოახერხა, გაიპარა და თბილისში დარეკა. ანას დაბადება უდიდესი ბედნიერება იყო – ოჯახს მესამე ქალბატონი შეემატა, ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაგვაერთიანა და გაგვახარა...

საერთოდ შვილების დაბადება და მათი არსებობა ცხოვრება-ში უდიდესი სტიმულია. დათო არაჩვეულებრივი მამაა, მზრუნველი,

ყურადღებიანი და მეგობრული. ჩვენი ვაჟი, გიორგი ძალიან პატარა იყო, როდესაც ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა და საავადმყოფო-ში ვიწექით. წუთითაც არ მოსცილებია ახალშობილის სასთუმალს, წარმოუდგენელ მზრუნველობას იჩენდა.

დავითი, როგორც შვილი, გამორჩეული და მზრუნველი ადამიანია. დედა, ქალბატონი ჯილდა, სიცოცხლის ბოლო ორი წელი მართვითი სუნთქვის აპარატზე იყო დამოკიდებული. დავითი ერთი წუთით არ მოშორებია ავადმყოფ მშობელს, მზად იყო ყველაფრისთვის, ოლონდ დედისთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა.

დავითი შვილების წარმატებასა და ცხოვრებისეულ ასპექტებში აქტიურადაა ჩართული. გამორჩეულად მზრუნველი მამაა. ახალგაზრდების მიმართ უნივერსიტეტშიც აგრძელებს მზრუნველობას ისეთივე შემართებითა და გულითადობით, როგორითაც საკუთარი შვილების მიმართ. ამას ოჯახშიც ვგრძნობთ, განსაკუთრებით ბოლო 4 წელია, რაც ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორია. ხშირად ამბობს, რომ ახალგაზრდებზე ზრუნვა, მათი ხელშეწყობა ჩვენი ქვეყნის პერსპექტიული მომავლის საწინდარია და ნათქვამს უცილობლად სტუდენტების გვერდში დგომით, მათი იდეების ხორცებს ხმით, საქმით აგვირგვინებს...“

გამორჩეულად საინტერესო და მომხიბლავი ქალბატონია მარინა გურგენიძე,. როდესაც პროფესიასა და კარიერაზე საუპროპს, მაშინაც დიდი მადლიერებით იხსენებს მეუღლისგან მიცემულ სტიმულს, გვერდში დგომას, მხარდაჭერას. პროფესიით ექიმს, მოუხდა ახალი სპეციალობის დაუფლება – სოციოლოგია გახდა მისი ინტერესის სფერო და წარმატებით გაართვა თავი ამ გამოწვევას. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მთელი ოჯახი აქტიურად უჭერდა მხარს და ამგვარმა თანადგომამ კიდევ





უფრო მეტი ინსპირაცია მისცა და წარმატებით დაიცვა დისერტაცია, მიენიჭა დოქტორის ხარისხი და დღეს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორია, სადაც უამრავი ახალგაზრდის მომავალზე, პროფესიულ განვითარებაზე, სულიერებასა და ხშირად პრობლემებზეც უწევს ფიქრი... მათზე საუბრისას, ამ მშვენიერ ქალბატონში აღმოვაჩინე, რომ არაჩვეულებრივი ფსიქოლოგია... ისეთი სიმშვიდე და მზრუნველობა იგრძნობა მის ხმაში, მონათხრობსა და თვალებში, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი პატონი დავითის მიერ სატელევიზიო ინტერვიუს დროს ნათქვამი უმნიშვნელოვანესი ფრაზის ჭეშმარიტებაში – იმ ძნელბედობის, პოლიტიკური დევნის დროს, როდესაც გურგენი-

ძეების ოჯახს მრავალჯერ დასწამეს ცილი, რომ არა მარინას მხნეობა, გვერდით დგომა, შეუდრეკელობა და სიმტკიცე, ამდენს ვერ შევძლებ-დიო... სწორედ ამგვარი სირთულეების უამს დაიბადა შვილიშვილი – ანას ვაჟი, ახლა უკვე 14 წლის ვაჟკაცი, რომელიც მათი ოჯახის სიმტკიცე, სიხარული, იმედი და ყველაზე ტკბილი საზრუნავია. ეს პიჭი, მის თანატოლებთან ერთად, საქართველოს ძლიერ მომავალს შექმნის, ისეთს, ყველა ქართველი რომ ნატრობს და ოცნებობს...

რთული, მაგრამ საინტერესოა ცხოვრება, მოითხოვს ხასიათის სიმტკიცეს, რათა ის შინაგანი დაძაბულობა, რომელიც გაქვს, ოჯახის წევრებთან არ შეიმჩნიო, ახლობლებს არ აგრძნობინო, გაწონას-წორებულმა, მშვიდად აკეთო საქმე... ბატონი დავითისთვის ცხოვრებისეული ქარტეხილები ქალბატონ მარინასთან ერთად გადატანილი პარმონიული, მშვიდი და ბედნიერი აწმყოა.... როცა ვკითხეთ, რას უსურვებდა მეუღლეს დაბადების 60 წლის იუბილეზე, ხმაში გა-უღერებული სიყვარულის აკორდებით, დიდხანს, დიდხანს, ერთად და ბედნიერად სიცოცხლე ისურვა ... და ყოველი სიტყვა იყო ისეთი ღრმა და მრავლისმთქმელი, რომ მხოლოდ აღტაცებასა და მის მიმართ პატივისცემას იწვევდა...

**სოფი გორგილაძე  
ფილოლოგი**

## ენერგეტიკული გზისა და ცხოვრის ენერგეტიკული

მამაჩემი, დავით გურგენიძე, განსაკუთრებული ადამიანია. დიდი გამართლებაა, რომ ცხოვრებაში გერქვას მისი შვილი. მამაჩემის ბიო-გრაფიის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი – რექტორობაა. მისგან მუდმივად მესმოდა ისტორიები ტექნიკური უნივერსიტეტის, იქ მომუშავე პროფესორ-მასწავლებლების, ახალგაზრდების შესახებ, მათზე, ვინც ამ უნივერსიტეტში ასწავლიდა და სწავლობდა. დავით გურგენიძის ურთიერთობა ტექნიკურ უნივერსიტეტთან განსაკუთრებულია და განსაკუთრებულად უყვარს ყველაფერი, რაც მის სამსახურს, სამოღვაწეო სფეროს უკავშირდება. ვფიქრობ, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრებამ მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ამიტომაც მისთვის დიდი პატივია, ამ უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო სივრცის მართვა მაშინ, როდესაც დღევანდელობა სავსეა ურთულესი გამოწვევებითა და უპირატესი მოთხოვნებით. ყვე-





ლაზე მნიშვნელოვანი ფრაზა, რაც მისგან ხშირად მესმის: „ჯერ სხვები გაითვალისწინე“ – ბუნებრივია, ბადებს განცდას, რომ მამა ყველაფრის საყრდენი და მაგალითია.

მამას ჩემს პიროვნულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაში დიდი წვლილი მიუძლ-

ვის. განათლებაზე ყოველთვის მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებდა. ის არ იბარებდა გაკვეთილებს ყოველ საღამოს, თუმცა ყოველთვის ცდილობდა, დაკავებული ვყოფილიყვავი და დრო უაზროდ არ გამეფლანგა. გარდა ამისა, წარმოუდგენელია, დავით გურგენიძის ვაჟი იყო და ადამიანებთან ურთიერთობას მისი პირადი მაგალითით არ სწავლობდე.

საერთოდ, ჩვენი ოჯახი სამაგალითოა ურთიერთობებით. ბეჭისაა და ბაბუას სიცოცხლეში ერთად ვცხოვრობდით, ვუსმენდი და ვუყურებდი, როგორი მეგობრული, უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა მამას ბაბუასთან. ეს მაგალითი იყო ჩემთვისაც, მათი ქმედებით ვხვდებოდი, როგორი ურთიერთობა უნდა დამემყარებინა არამარტო მამასთან, არამედ ადამიანებთან, საზოგადოებასთან...

შეიძლება მამის დარიგებებს, განსხვავებული აზრის გამო, შეგნებულად და გაანალიზებულად ყოველთვის არ ვითვალისწინებდე, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოველთვის საჭირო რჩევებს მაძლევს. გულწრფელად ვამბობ, გავიმარტივებდი საქმეს, რომ ჩემს შეცდომებზე კი არ ვსწავლობდე, არამედ მამაჩემის მითითებებს ვითვალისწინებდე...

პირველი პროფესიული არჩევანი სკოლის დასრულებისთანავე გავაკეთე – ეს კინორეჟისურა იყო. ვფიქრობდი, რომ დადებითად შეიძლება არ შეხვედროდა ჩემს არჩევანს, თუმცა მხარი დამიჭირა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ახალი პროფესიის დაუფლებაზე დავიწყე ფიქრი, მამა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სამართალმცოდნეობა მირჩია. მაშინ ასეთ არჩევანზე არც მიფიქრია, რადგან ოჯახში არც ერთი იურისტი არ გვყავდა. დღემდე მიკვირს და უსაზღვროდ მადლიერი ვარ, როგორ შეძლო და მირჩია ის პროფესია,

რომელიც ასე ძალიან მიყვარს.

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც მისგან ვისწავლე, სხვებისათვის სიკეთის კეთება, პატიება, ადამიანის სიყვარული და სამართლიანობაა. ეს ის ღირებულებებია, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანია. როდესაც ვფიქრობ, საიდან მოდის ამ ღირებულებების მნიშვნელობა, ცალსახაა, რომ მამის გავლილი გზისა და ცხოვრების ანაბეჭდებია. ის დაკვირვებული კაცია, ალბათ ძალიან ცოტა რამე თუ გამოეპარება მის თვალს. მისი სამართლიანობა იქ კი არ მთავრდება მხოლოდ, ვინ არის სწორი და მართალი, არამედ იქ, რა არის ყველაზე ადამიანური გამოსავალი. ეს კი ფრიად რთულია. სირთულის მიუხედავად, მამას ეს შესანიშნავად გამოსდის.



მამასგან განსხვავებით, გრძნობების გამოხატვა მიჭირს. მამა ყოველთვის ძლიერად გამოხატავს სიყვარულს შვილების მიმართ. ვულცავ 60 წლის იუბილეს და მინდა ვუთხრა – უსაზღვროდ ამაყი ვარ, რომ დავით გურგენიძის შვილობა მხვდა წილად.

**გიორგი გურგენიძე**

## ოქანი ეთევრისი

ჩემთვის ყველაზე ძლიერი ადამიანი მამაჩემია, „არაფრის შეგეშინდეს, მე შენ გვერდით ვარ!“ - ეს ის ფრაზაა, რომელსაც ხშირად მეუბნება... ამ სიტყვებს იმსელა ძალა და ენერგია აქვს, სიხარულით ცას ვწვდები, მგონია, მთებს გადავდგამ...

მამაჩემის შესახებ უამრავი კარგი რამის თქმა შემიძლია, ძალიან ვგავართ ერთმანეთს, არა მხოლოდ ფიზიკურად. ის ჩემთვის ძლიერების სიმბოლოა, არ მევულება მამაზე შეუპოვარი და მებრძოლი ადამიანი. თაობათა შორისი განსხვავების მიუხედავად, ვფიქრობ, საკმაოდ კარგად გვესმის ერთმანეთისა. გვაქვს ძლიერი კავშირი. ერთ მაგალითს მოვიყვან, როდესაც მშობიარობა დამეწყო, მამამ ინტუიციით იგრძნო ჩემი ამბავი.

მამაჩემი ჩემი ცხოვრების საყრდენი კედელია, რომ არა ჩემი მშობლები, არ ვიქნებოდი ის, ვინც ვარ დღეს. დედას უპირობო სიყვარულმა და მამას მზრუნველობამ მომცა თავდაჯერებულობა, ცხოვრების ძალა და რწმენა, რომ სიმართლისთვის ყოველთვის ღირს ბრძოლა.

მამას სიტყვებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მას ძალიან დიდ პატივს ვცემ. მიუხედავად ბევრ საკითხზე განსხვავებული აზრისა, ნამდვილად ვითვალისწინებ მის რჩევებს.

დიდი ინტერესითა და გაგებით შეხვდა ჩემს პირადულ არჩევანს.

მამა მუდამ გვერდში მიდგას, მამხნევებს. მისი წყალობით ვგრძნობ, რომ ოჯახი ყველაფერია, ნაცსაყუდელია, რომელიც დიდ ენერგიას მაღლევს ყველაზე კრიზისულ სიტუაციაში.

მამა მაშინ არის ბედნიერი, როცა ადამიანების ცხოვრებაში პოზიტივი შეაქვს... სიკეთის კეთების დიდი ნიჭი აქვს, უშურველად შეუძლია ყველას გადაუნაწილოს სითბო, სიყვარული და თანადგომა.





სამწუხაროდ, ვერ დავარქმევ ჩემს თავს ყველაზე თბილ შვილს, მიჭირს გრძნობების გამოხატვა. ამასთანავე, ხანდახან მიჩნდება შიში, რომ ჩემ საყვარელ ადამიანებს ვერ დავნახებ, რამდენად მნიშვნელოვანნი არიან ჩემთვის. მამა ძალიან მიყვარს და ამ სიყვარულთან ერთად, უდიდეს პატივს ვცემ, როგორც პიროვნებას.

მისგან ძალიან მნიშვნელოვანი რამ ვისწავლე – ეს სიმართლისთვის შეუპოვარი ბრძოლაა. ცხოვრების გზა ყოველთვის არ არის ვარდებით მოფენილი, ხანდახან ეკლებზე გავლაც გვიწევს... ის ამ გზასაც ღირსეულად და სამაგალითოდ გადის...

ქრისტიანული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებ, მინდა, მამასავით პატიება ვისწავლო, თუმცა ჯერ მიჭირს.

ჩემმა ოჯახმა – მამამ, დედამ, ბებიებმა და ბაბუებმა, რა საკვირველია, დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე. ჩემი პიროვნული თვისებების ნაწილია მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, მათი ისტორიები, რომელსაც დიდი ინტერესით ვუსმენდი ბავშვობიდან, ასევე ცხოვრების გზა, რომელიც ყველამ ერთად გავიარეთ.

ჩვენ, როგორც ყველა ოჯახს, საკუთარი ისტორია გვაქვს, ამ გენეტიკურ გამოცდილებას აუცილებლად მომავალ თაობებსაც დიდი სიამაყით გავუზიარებთ.

იყო დავით გურგენიძის შვილი, ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და გამართლებაა, სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის მისი იმედი მაქვს.

ჩემი ვაჟის და მამაჩემის ურთიერთობაც, ცხადია, თბილი და მეგობრულია. ვფიქრობ, ბევრი საერთო აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მამა შედარებით მკაცრი იყო ჩემთან და ჩემ ძმასთან, შვილიშვილთან, როგორც ხშირად ხდება, საოცრად ჰარმონიულ ურთიერთობაშია.

დავით გურგენიძისთვის ოჯახი უმთავრესია, მაგრამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც თავად პრძანებს, ცხოვრების წესია, ვფიქრობ, რექტორობა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. მას გულწრფელად უყვარს თავისი საქმე და ახალგაზრდები. გამოგიტყვდებით, ადრე ვეჭვიანობდი კიდეც, რადგან ახალგაზრდებს „მამათი“ მიმართავს.

ახლა, როცა მისი დაბადების 60 წელს აღვნიშნავთ, მინდა ყველაზე თბილი სიტყვებით მივეფერო-მამი, ძალიან მეამაყები, იმაზე გაცილებით მეტად, ვიდრე ოდესამე გამომიხატავს. ჩემთვის ყველაზე ძლიერი ადამიანი ხარ! სიტყვები ვერ გადმოსცემს იმ გრძნობას, როგორ მიყვარხარ და უსაზღვროდ მადლიერი ვარ შენი. დიდხანს იყავი ძლიერი, მხნე და ჯანმრთელი!

ანა გურგენიძე – დიპლომატი,  
უენევა,  
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

## სახეობის გარეშე – ეპიზოდი გერმანიაში

ოჯახი უნიკალური საჩუქარია, რომელსაც დაფასება და გაფრთხეობა უნდა. აქ ის ხალხი გეგულება, ვინც ყველაზე კარგად გიცნობს და ვისაც ყველაზე მეტად უყვარხარ, ვინც პატივს გცემს. მათ ერთნაირად ახარებს შენი წარმატებები და განსაცდელშიც უანგარო თანადგომას გიცხადებენ... ოჯახი ყველაფერია და რა დიდებული ამბავია, როცა ამ ერთობის წევრები ნამდვილი ადამიანები არიან: გულწრფელები – ურთიერთობაში, საიმედონი – საქმეში, ისინი ლიბოსავით ურყევნი არიან...

სწორედ ასეთი სიმტკიცეა ოჯახი, რომლის თავკაციც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დღეს უკვე 60 წლის აკადემიკოსი დავით გურგენიძეა.

გამოგიტყვდებით, ცოტა გამიჭირდა მასზე წერა. მაქვს პატივი, წარმოვადგენდე მის ოჯახს. იგი ჩემი მეუღლის მამა და ჩემი შვილის ბაბუა – საოცრად მზრუნველი, გულისხმიერი, სიკეთითა და სიყვარულით საკუთხე კაცი, ადამიანი, რომელმაც კარგად იცის, რომ ცხოვრება მაშინ არის საინტერესო, როცა იბრძვი და ხარ მარადიულ ძიებაში. ბატონ დავითს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაღები“... ამიტომ, ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე, რადგან, ცხოვრებისეული კანონზომიერებიდან გამომდინარე, ლირსება მარტო გამარჯვებაში როდია... მიუხედავად ცხოვრებისეული სირთულეებისა, მხნედ და ამაყად მიაბიჯებს იქ, სადაც ყველაზე სახიფათო ბენვის ხიდია, მისთვის არ არსებობს დაუძლეველი რამ, გადაუჭრელი პრობლემა და მოუგვარებელი საქმე.

როგორც კაცს, ადამიანს, თანამებრძოლს, ხშირად დამინახავს მისგან განცდილი ბედნიერების შეგრძნების განუმეო-



რებელი ნიჭი, მოპოვებულის ფაქიზად მოპყრობა და გაფრთხილება. იგი მზად არის თავი ანაცვალოს მოყვასს, ქვეყანას, ხალხს, საკუთარ საქმეს, სტუდენტებს, ოჯახს, მეგობრებს...

მე, როგორც მისი შვილების თაობის წარმომადგენელი ადამიანობის გასაოცარ მაგალითს ვიღებ დავით გურგენიძისგან... სანდოობა-ეს გახლავთ ის მთავარი თვისება, რაც ყველაზე დიდ ხიბლს იწვევს მასში.

უფროსებისგან არაერთგზის მსმენია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა ქვეყნის დაუნდობელი ცენზურა არსებობდა, იგი არ ექცეოდა საბჭოთა ადამიანის სტერეოტიპის ჩარჩოში. ამ შეფასების სიზუსტეში არაერთხელ დავრწმუნდი მაშინ, როდესაც ჩვენს ოჯახზე უსამართლო პოლიტიკური დევნა ხორციელდებოდა. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი შიში, საკუთარი სიმართლის იმედად არასდროს ნებ-დებოდა ლაქია ცენზორებს, არ დაუკარგავს ბრძოლის უინი სამარ-თლიანობისთვის ბრძოლაში. ამით გამარჯვების უპრეცედენტო იმედ-სა და რწმენას გვაძლევდა...

როგორც თითოეული ჩვენგანისთვის, ასევე ბატონი დავითისთ-ვის, ცხოვრება მამაც არის და მამინაცვალიც, ბერვის ხიდია, ჭირიც არის და ლხინიც ისიც კარგად ესმის, რომ „წუთისოფელი მკვიდ-რი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“ და მიჰყება დროს ისე, რომ არც ჩამორჩეს და არც გაუსწროს... მიზანსწრაფუ-ლად, დინჯად ახორციელებს დასახულ მისიონერულ მიზნებს შშობ-ლიური ასწლოვანი უნივერსიტეტის პოპულარიზაციისთვის. კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ჭეშმარიტ ლირსებას ყვირილი არ უნდა და ბრძნული შემართებით ერკინება თანამედროვე გამოწვევებს. დამსახურებულად უდგას სათავეში უძველეს საინჟინრო სკოლას და ახალი ნარატივით, თანამედროვე პერსპექტივებით, ახალგაზრდებთან საქმიანი კოლაბორაციებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ-ის სახელი მსოფლიო საგანმანათლებლო არეალში გააქვს.

ბატონო დავით, უდიდესი პატივისცემითა და საუკეთესო სურ-ვილებით გილოცავთ 60 წლის იუბილეს... გახსოვდეთ, რომ ჩვენ, თქვენი ოჯახის წევრები, დიდი სიამაყითა და სიყვარულით ვამბობთ – მრავალუამიერ თქვენი სიცოცხლე!

**თორნიკე კიზირია**

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის**

**საერთაშორისო პროექტების დაგეგმვისა და ტექნიკური**

**ზედამხედველობის დეპარტამენტის**

**უფროსის მოადგილე**

## ბაბუ, სენაჟური მცი მცილევებისა

მე და ბაბუ დღოს ხშირად ერთად ვატარებთ. ერთხელ, სეირნობისას, მან მითხრა – ამ შარას რომ უუურებ, მარტო სავალი ბილიკი არ არის. ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა, ამიტომ წინ გადავიხარე, ისე, რომ მისი თვალები კარგად დამენახა. მან საუბარი განაგრძო – გზა მთელი ცხოვრებაა ბაბუკა, ადამიანი მუდამ გზაგასაყარზე დგას და არ იცის, რა გზას დაადგეს. ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ წასული ვერ ბრუნდება. მეც ჩემს გზას გავდივარ, ბევრჯერ წავედი და მოვედი, ყოფნა-არყოფნის გზიდანაც დამაბრუნა გამჩენმა, ამ გადასახედიდან უკვე ვიცი, რომ მხოლოდ წასვლა იყო ჩემი ნება, უკან დაბრუნება – უფლის! შენ რომ 60 წლის გახდები ბაბუ და შვილიშვილს მოუყვები, რა არის გზა, ოღონდ დიდაქტიკა კი არა, შენი წაკეთები საქმეები უნდა გაატანო საგზლად... ბედნიერება თვითონ უნდა მოიპოვო და შენ თვითონ დაუწესო თავს ცხოვრებ-



ის სამართლიანი, კეთილი და მზრუნველი ზღვარი. შემდეგ ორივე დავდუმდით, მე კი დუმილის დარღვევის შემეშინდა...

მას შემდეგ ხშირად მეფიქრება ბაბუს ნათქვამზე. მან მასწავლა, რომ მთავარი სწორი გზით სიარულია და თუ ძალიან მოინდომებ, შეუძლებელს შეძლებ! მთელი გულით ვცდილობ ბაბუსნაირი ღირსეული ადამიანი გავხდე, შეუცდომლად გავიარო მის ნაკვალევზე, რომელიც შორიდან მოდის და უსასრულობამდე გრძელდება. ბედნიერი ვარ, რომ მყავს ასეთი ბაბუ, ის ჩემი ნავსაყუდელია, მისი გულის კარი ჩემი უდროო სტუმრობისასაც მუდამ ღიაა... მჯერა, მისი გამოცდილება ცხოვრების გაკვეთილებია, ისიც ვიცი, მისი სიყვარული სიძნელეებს გადამალახვინებს...

მანამდე კი... ჯერ 14 წლისა ვარ და უკვე ვფიქრობ, რა ვუთხრა შვილიშვილს, როცა 60 წლის გავხდები.

### ირაკლი კიზირია

# ჩემი სახელი ჩემი ციხესიმაგრე

ადამიანის ცხოვრების წები-სმიერი დრო თავისებურად გა-მორჩეულია, ისევე, როგორც რეალისტური, აბსტრაქტული ან ორნამენტულ ხელოვნება. რასაც თვალით აღიქვამ და მეხსიერე-ბაში ღრმად ინახავ, რაც შთამ-ბეჭდავ ეპიზოდებს გიქმნის, რაც დროის უწყვეტი კავშირის შესა-ბამისად სულ თან დაგდევს—ეს ადამიანის მეხსიერების, განცდის ანაბეჭდებია... დაუკინყარი ემო-ციები ჩვენი ბავშობიდან მოდის და ყველაზე ლალ, მხიარულ, უდარდელ დროს გახსენებს იმ ადამიანებთან ერთად, ვისთანაც ოჯახი გაერთიანებს... ჩემი სახ-ლი ჩემი ციხესიმაგრეა და შინ საოცარი ადამიანები ცხოვრო-ბენ... დედა და მამა წავიდნენ, მარადიულ სამყოფელში გადასახლდნენ, თუმცა მათი სიყვარული-თა და სიკეთით გაჯერებული სივრცე დღესაც უშრეტი ენერგიით მავსებს—შევყურებ ჩემს ძმას და საოცრად ამაყი ვარ მისით... მარ-თალია, დედმამიშვილებს არ ირჩევენ, მაგრამ გამართლებაც არის და გამართლებაც—დავით გურგენიძე ჩემი ძმაა—გვარის, ოჯახის ლირსეული წარმომამადგენელი. ის ამაყად ერკინება წუთისოფელს და ერთი წუთით არ დაუკარგავს სიყვარულის, ერთგულების, სიკეთის უნარი. ჩემთვის, როგორც დისთვის, ცხოვრებისეულ სირთულეებთან მისი შემართული და იმედიანი ჭიდილი ფანტასტიკური აღმოჩენა იყო! ამით ახალი ადამიანი დაიბადა, რომელიც ჩემი სისხლი და ხორცია. იმხელა ძალა ვიგრძენი, ისე გავიხარე, რომ სიცოცხლის განუმეორე-ბელი ხიბლი მთელი სიცხადით შევიგრძენი... უნდა გითხრათ, რომ დათოს ფენომენი ჯერაც გამოუმჟღავნებელია. მისი დამაჯერებელი, იმედიანი, ესთეტიკური ლირებულებებით სავსე ბუნება ორგანულადაა



შერწყმული თანამედროვე სამყაროს ყველაზე კეთილ გამოწვევებთან. თანდათანობით ვრწმუნდები, რომ მისი ადგილი სწორედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიდერის პოსტია, სადაც უძველესი საინჟინრო სკოლის ტრადიციებთან სინთეზური კავშირით ახალ, თანამედროვე ხედვებზე დაფუძნებულ პალიტრას ქმნის. ამგვარი დამოკიდებულებით, მომავალ თაობასთან თანამშრომლობით, სამაგალითო აწყოს აქანდაკებს უდიდესი ტრადიციების საგანმანათლებლო კერაში. ლათინელები ამბობდნენ – *Festina lente* (იჩქარენელა), რასაც, ხშირად იმეორებდა რომის იმპერატორი ავგუსტუსი. ამ გამონათქვამს იმიტომ გაუსვი ხაზი, რომ დროის სწრაფ და დაუნდობელ დინებაში, დათო შესანიშნავად ახერხებს ყველა იმ სასიკეთო საქმის სრულყოფას, რომელიც მრავალ ადამიანს აბედნიერებს და კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას გაუკვალავს გზას ცოდნის მისაღებად.

მხატვარი გახლავართ, დათო ჩემი ხელოვნების ობიექტური შემფასებელი და შესანიშნავი მრჩეველია. პროფესიით ინჟინერი, ადამიანთა სულის ინჟინერიას შესანიშნავად ფლობს და ზუსტად იცის, როგორ მოგვანიჭოს სიხარული თითოეულ ჩვენგანს. ამბობენ, დედმამიშვილობაზე უფრო საიმედო და მყარი კავშირი არ არსებობსო... ჩვენი ცხოვრება ერთმანეთთან სავსე... ეს არის ჩვენი ოჯახური იდილიის ანი და პოე. სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ვაგრძელებთ წინაპრების დანატოვარ ერთობას... დავით, გულითადი სურვილებით გილოცავ იუბილეს, სიკეთე, დღეგრძელობა და წელთა სიმრავლე გქონდეს უმშვენიერეს ოჯახთან და კეთილსაიმედო ადამიანებთან ერთად.

ეკა გურგენიძე



# საინდენტო მილიური



## ბზე ტექნიკის...

ბევრი ადამიანი მინახავს ჩემი არც თუ ისე მოკლე ცხოვრების გზაზე, ბევრ ქვასა და ლოდს დავუსეტყვივარ, მაგრამ ადამიანი, რომელსაც ამდენი უსამართლობისთვის მართლაც წარმოუდგენლად ვაჟკაცურად, წარბშეუხრელად, დაუჩინქებლად გაეძლოს, იშვიათად შემხვედრია! არა, მე იმიტომ კი არ ვამპობ, რომ დათო გურგენიძე ჩემი მეგობარია და რაიმეს ვაჭარბებ, პირიქით, მიხარია, რადგან როცა ასეთი მეგობარი გყავს გვერდით, ვერავინ დაგამარცხებს, თვით ეშმაკიც კი!

ყმაწვილობიდანვე ასეთი იყო, მეგობრული, უღალატო, სამართლიანი, უშიშარი და სულით გაუტეხელი. სადაც არ უნდა ყოფილიყო, უკან არ დაიხევდა, უსამართლოდ დაჩაგრულს დაიცავდა, მჩაგვრელს ყურს აუწევდა, თანაც ისე კაცურად, რომ მოწინაარმდეგეს თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო. ახალგაზრდობაში გვქონდა ასეთი მომენტებიც, იშვიათად, მაგრამ გვქონდა! ადამიანი ხომ სწორედ ასეთ სიტუაციაში იცნობა, მეგობრობაც ხომ მანდ ყალიბდება და მტკიცდება.

დათომ ყველაფერი შეძლო, შეძლო ყოფილიყო ბრწყინვალე მშობლების კარგი შვილი, შეძლო ყოფილიყო კარგი სტუდენტი, ახალგაზრდობის წარმატებული ლიდერი! შეძლო ყოფილიყო კარგი ხელმძღვანელი და ავტორიტეტული თანამდებობის პირი ვაჟკაცური და ადამიანური თვისებებით! შეძლო ყოფილიყო წარმატებული ბიზნესმენი და ყველა შეჭირვებულის დამხმარე, ეკლესიების მშენებელი, ქართული საქმის მკეთებელი და მეცენატი. რაც მთავარია და რაც დათოს განვლილ ცხოვრებას ყველაზე მეტად ალამაზებს და საზოგადოებაში მისაბაძ ადგილს უმკვიდრებს, ეს არის სიყვარულით გამთბარი და ადამიანური ღირებულებებით სავსე მისი ოჯახი.

ჩვენ 46 წელია ერთად მოვდივართ, ერთი ინსტიტუტის კედლებში აღვიზარდეთ. ნიმანდობლივი და ძალიან საამაყოა ჩემთვის, რომ



დათო გურგენიძე 60 წლის იუბილეს ხვდება, როგორც მშობლიური უნივერსიტეტის რექტორი და წარმატებული მეცნიერი, რომელმაც გპის ახალი სული შთაბერა და ძველი დიდების დაბრუნებისაკენ გზას გაუყენა, გზას, რომელიც ძალზე რთულია, საპასუხისმგებლო, მაგრამ ამავე დროს ძალზე საპატიო!

წარმატებები ჩემო მეგობარო!

ბევრი ქარტეხილი გადაგივლია და გამარჯვებული გამოსულხარ, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გააგრძელებ გზას, რომელსაც ვა-ჟკაცობის, მეგობრობის, ერთგულებისა და კაიკაცობის გზა ჰქვია, გზას, რომელიც ყველას ერთად მიგვიყვანს ტაძრამდე!

კარლო კოპალიანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
კანცლერი, პროფესორი

## ხიდის განვითარების რეაგირების სამსახური

ქართველ ინჟინერ-პიდროტექნიკოსთა თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, სახელოვნად განვლილი გზით ამაყი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე ინტელიგენტთა იმ წრეს ეკუთვნის, რომლის წარმომადგენლები თავისი მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის ერთგული არიან, არ შეუცვლიათ რწმენა და პრინციპები, ცხოვრების განმავლობაში დიდი ეროვნული საქმე უკეთებიათ, ფასდაუდებელია მათი ღვაწლი მეცნიერების წინსვლასა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილედ, ვიცე-რექტორად მუშაობისას, უფრო მეტად დავუახლოვდი ამ შესანიშნავ ადამიანს, რომელიც ჩემთვის ყოველთვის ეტალონია ქართველი ვაჟეაცისა, ჭეშმარიტი მეცნიერისა და ულალატო მეგობრისა. საქმიან და მეგობრულ გარემოში ხშირი შეხვედრები გვქონდა, რომლის დროსაც ვისმენდი ცხოვრების ქარტეხილებში გამონრთობილი ქართველი კაცის გონივრულ აზრებსა და შეხედულებებს. მთელი გულწრფელობით მინდა განვაცხადო, რომ ყოველი ასეთი შეხვედრა ჩემთვის ნამდვილი ინტელექტური დღესასწაული იყო. წლების განმავლობაში, რექტორად არჩევამდე, შესანიშნავად უძლვებოდა სამ-



შენებლო ფაკულტეტს. იგი დაუღალავად იღვწოდა პერსპექტიული ახალგაზრდების შემოსაკრებად, რომელთაც უნდა განესაზღვრა ფაკულტეტის მომავალი. ბატონ დავითს არაერთხელ გაუწევია რეკომენდაცია ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, მას ცხოვრებისეული ალღო არ ღალატობდა და თითქმის ყოველთვის ამართლებდა მისი პროგნოზი. იგი უტყუარი ინტუციითა და პრინციპებით ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ახალი კადრებით შევსების პროცესს. სწორედ ამიტომ ჰყავს მრავალი ერთგული და მადლიერი თანამოაზრე, სიკეთისა და სამართლიანობის დამფასებელი.

ბატონი დავითი უაღრესად გულისხმიერი, ყურადღებიანი და ბუნებით მოკრძალებული ადამიანია, მისთვის დამახასიათებელია ყველა ის თვისება, რომელიც პიროვნებას ხიბლს მატებს, საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას უმკვიდრებს.

ადამიანის ცხოვრებაში დაბადებიდან 60 წლისთავი, განვლილი გზის გაცნობიერების უამია, დროსა და სივრცეში საკუთარი აზრის გაზიარების, ნაღვანის თვითშეფასების უამი. ასეა ბატონი დავითის შემთხვევაშიც-მას, ზნეობრივ ქარცეცხლში გამობრძმედილ კაცს, თამამად შეუძლია იამაყოს სწორედ თავისი გავლილი გზით.

ერთხელ, მასთან საუბრისას, ასეთი სიტყვები მოვისმინე: „ყოველთვის ერთგული ვრჩები ყოველი სტრიქონისა, რომელიც დამინერია და ყოველი წინადადებისა, რომელიც წარმომითქვამს“. ეს, შეიძლება თქვას მხოლოდ იმ პიროვნებამ, რომელსაც ღრმად სჯერა, რომ ობიექტური რეალობის ამსახველი საინჟინრო აზრი და მეცნიერული თეორია არ შეიძლება შეიცვალოს არავითარი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური დინების ზეგავლენით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჭეშმარიტად საინჟინრო აზროვნებაზე დაფუძნებული კონცეფციები ისეთივე მარადიულია, როგორც სამყარო, რომლის ლიბოც ისეთი ღრმა და მტკიცეა, ისეთ ფუნდამენტებზე დაშენებული, რომელიც დროის დინებაში არ კარგავს აქტუალურობას, როგორც ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობები.

მინდა ჩვენს დავითს მივულოცო 60 წლის იუბილე, მადლობა გადავუხადო გამორჩეული ღვანლისთვის, რაც ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის განვითარებასა და მისი ავტორიტეტის ამაღლებას მიუძღვნა.

ლევან კლიმიაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ვიცე რექტორი, პროფესორი

## მოგვარა

ბატონი დავით გურგენიძისა და ჩემი ურთიერთობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკის სამინისტროში მისი მოღვაწეობის შესახებ ბევრი რამ მსმენია.

გასული საუკუნის 90-იანი წლები, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ურთულესი პერიოდი იყო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტელიგენცია რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა. ბატონი დავითი ყოველთვის ზრუნავდა მათზე. მისი მისამართით არაერთი პედაგოგისაგან გამიგონია სამადლობელი სიტყვები. ნათქვამია, „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“. ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც ამ პრინციპებით ცხოვრობს, სწორედ ბატონი დავითია, მას დიდი სამეგობრო ჰყავს და მათზე ზრუნვა ბედნიერებას ანიჭებს. ამავე გრძნობითა და დამოკიდებულებით პასუხობენ ისინიც. მრავალ გასაჭირში დავითი სამეგობროს გვერდში ედგა. მახსოვს, ჩემს მეგობარ, ივანე გორგიძეს გულზე ოპერაცია დასჭირდა, ბატონმა დავითმა მთელი ქალაქი შეძრა და დაფინანსება მოიპოვა.

მშობლების სიყვარული და მათზე ზრუნვა ქართველი კაცისთვის მთელი ცხოვრების თანმდევია. მე მინახავს მისი სიყვარული და მოწინება დედის მიმართ, ქალბატონი ჯილდა კალაძის ავადმყოფობის პერიოდში, ერთი წამით არ დაუსვენია, რამდენიმე თვე უძილო ლამეებს ატარებდა საავადმყოფოში საფიცარ დედასთან, მაგრამ სამწუხაროდ ვერ უშველა.. რას არ გაიღებდა ოლონდ ასე არ მომხდარიყო, მაგრამ ბუნების განგებას რა შეცვლის...

ბატონმა დავითმა, როგორც დეკანმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამშენებლო ფაკულტეტის განვითარებაში. მთელი ჩემი სტუდენტობა ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გავატარე.



ეს კორპუსი საბჭოთა პერიოდშიც მახსოვს, როცა უნივერსიტეტს უზარმაზარი სახელმწიფო დაფინანსება ჰქონდა. დღეს კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსი გამოირჩევა საუკეთესო ინფრასტრუქტურით, არქიტექტონიკითა და ახალი სასწავლო თუ სამეცნიერო ტექნოლოგიებით.

რექტორობის პერიოდში ბატონმა დავითმა შეძლო, გაეძლიერებინა კლასტერული ინტეგრაცია უნივერსიტეტის კვლევით სფეროსთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მოუგვარა ინფრასტრუქტურული პრობლემები, სრულად გამოიცვალა ბევრი ფაკულტეტის ინტერიერი, ჩამოყალიბდა არაერთი სახელობითი აუდიტორია და ლაბორატორია, ხოლო ადმინისტრაციული კორპუსი თავისი დანიშნულებითა და ესთეტიკური იერსახით დაემსგავსა მსოფლიო სტანდარტების ტიპის ნაგებობას.

მახარებს, რომ კორპუსის კედლებს ამშვენებს საქართველოს ლირსეული წინაპრების—ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორეს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას, დიდი ეროვნული მოღვაწის, მერაბ კოსტავას, ეროვნული გმირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აღზრდილი შიული შარტავას, საქართველოს უახლოესი ისტორიის უდიდესი ადამიანების, ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძემდებლების ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე დიდებულიძის პორტრეტები.

უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე გახლდათ უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომელიც უნივერსიტეტმა ბატონი დავითის ხელმძღვანელობით იზიდა. იუბილეზე ჩამობრძანებული იყვნენ მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო კოლაბორაციის ხელმძღვანელები ცერნიდან (შვეიცარია) კეკიდან (იაპონია), იულიხიდან (გერმანია), ფერმილაბიდან (აშშ) და სხვა.

ვულოცავ უნივერსიტეტს აკრედიტაციას „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვან პროგრამაზე, რასაც ბატონმა დავითმა არაერთი უძილო ლამე შესწირა.

ვულოცავ ბატონ დავითს 60 წლის იუბილეს, ვულოცავ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობას. ვუსურვებ ახალ-ახალ მიღწევებს, დღეგრძელობას, ჯანის სიმრთელეს, პროფესიონალთა გუნდს და ნოვატორული იდეების განხორციელებას სტუდენტ ახალგაზრდებთან ერთად.

ზურაბ გასიგაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი, რექტორის მოადგილე

## აუდიტორი ახორციელები

დავით ბატონი! მთელი ჩვენი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. 60 წელი არც ბევრია და არც ცოტა. უფრო სწორად, მცირეა და წინ სიცოცხლის ყველაზე საინტერესო ეტაპი გელით...

ერთმანეთს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დავუახლოვდით. გამოგიტყვდებით, მრავალ საინტერესო ადამიანთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ თქვენი სახით გამორჩეული პიროვნება გავიცანი, რექტორი, რომელსაც შესანიშნავად აქვს დაგეგმილი ჩვენი სასწავლებლის მომავალი, ამავე დროს, ერთი წუთითაც არ ავინწყდება, როგორ ძლიერ საძირკველზე დგას უნივერსიტეტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე გაიხსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მიმართვით და ზემო გაგრძელდა უამრავი ღონისძიებით, რომელთა ინიციატორი და სულის ჩამდგმელი თქვენ იყავით. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება, მსოფლიოში აღიარებულ, სტრატეგიული მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობითაა, განსაკუთრებული საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, განათლების სამინისტროსთან, საქართველოს მთავრობასთან, პარლამენტთან, ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან – ის მცირე ჩამონათვალია, რომელსაც თქვენ ახორციელებთ უახლოესი 4 წლის განმავლობაში. სრულიად დამსახურებული იყო თქვენთვის აკადემიკოსის წოდების მინიჭება (ჩემი დათო, როგორც ამბობენ აკადემიკოსობა და გენერლობა არა მარტო წოდება, არამედ დიდი პასუხისმგებლობაა მთელი სიცოცხლის განმავლობაში).

დათო! შესანიშნავ ოჯახს, ძვირფას მეუღლეს, ქალბატონ მარინას, შვილებსა და შვილიშვილს ვულოცავ ამ ბედნიერ დღეს. გაიხარეთ, გამრავლდით და მრავალუამიერი იყოს თქვენი თანამგზავრი.



არ დაილევა გულითადი სურვილების ჩამონათვალი, რომელსაც უხვად გავიმეტებდი თქვენთვის, ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია – ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება, არც ჩემი და თქვენი შეხვედრა ყოფილა შემთხვევითი... მინდა გავიხსენო ჩვენი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რამაც თქვენს ადამიანობასა და კაცურ კაცობაზე კიდევ უფრო მეტად გამიმყარა შეხედულება...

### შევეძრის დაფალები

ერთ დღეს, მასთან ზოგად თემებზე ვსაუბრობდი, ვუთხარი, რომ მსურდა წამეკითხა მოსკოვში, მის მიმართ სააპელაციო სასამართლოს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი. აღმოჩნდა, რომ არ ჰქონდა ეს დოკუმენტი, რადგან ასლი არ აუღია. ასეთი რაღაცები არ ხდება ცხოვრებაში, რადგან განაჩენი და, მით უმეტეს, გამამართლებელი, ფრიად მნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტია. არ დაგიმაღლავთ, ამან ძალზე გამაოცა. ვკითხე კიდეც, რანაირად მოხდა ასე-მეთქი, მან კი მიპასუხა:—რა ვიცი, კაცო, მე ხომ მართალი ვარ და რა მნიშვნელობა აქვს ქალალდსო. ისეთი დარწმუნებული იყო და იმდენად მართალი ამ საქმეში, რომ გამამართლებელი განაჩენის ასლიც კი არ აუღია. გაძალიანების მიუხედავად, მისგან ნებართვა მაინც მოვიპოვე, დაახლოებითი თარიღი ვკითხე, როდის მოხდა ეს ამბავი—მეთქი და პრინციპულად გადავწყვიტე, მომეპოვებინა და გავცნობოდი ამ დოკუმენტს. ძებნის პროცესი მარტივი არ აღმოჩნდა. ჩემი ახლობელი, ჩვენი თანამემამულე, ერთ-ერთი დიდი რაიონის პროკურორია რუსეთში, მას ვთხოვე დახმარება. აღმოჩნდა, რომ მოსკოვის არქივები არეულია, ჩემმა მეგობარმა ნამდვილად გულთან მიიტანა თხოვნა და ორი თვის ძიების შემდეგ მოიპოვა დოკუმენტი, რასაკვირველია, იგი რუსულ ენაზე იყო, ამიტომ აუცილებელი გახდა მისი თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება, რათა იურიდიული ძალა მისცემოდა. ერთი ბატონ დავითს მივეცი, მეორე ეგზემპლარი კი ჩემთან დარჩა. განაჩენის კითხვისას დავრწმუნდი, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ფაქტობრივად იმ ადამიანებს გამოუტანა, რომლებმაც ეს საქმე შეუთითხნეს ბატონ დავითს. იქ მოხსენიებული იყო პროკურორი, ოპერატიული მუშაკები, გამომძიებელიც, ნათლად ჩანდა ის სიყალბე, რითაც დატვირთული იყო ეს სისხლის სამართლის საქმე. მოსამართლემ მართლაც სამართლიანი განაჩენი დაადგინა და თქვა, რომ დავით გურგენიძე ამ საქმეში არ იყო დამნაშავე და უნდა გამართლებულიყო. საკითხი ძალიან საინტერესო იყო, ჩემი ახალგაზრდობა გამახსენა... ოცდახუთი წელი ვიმუშავე საგამოძიებო

ორგანოებში, ყოველთვის ვცდილობდი, სინდისის ხმისთვის არ მეღ-  
ალატა. გულში ვბობოქრობდი, უფლება რომ მქონოდა, ამ საქმის გა-  
მომძიებელს, საქმის ფალსიფიცირებისთვის პასუხისმგებაში მივცემდი,  
რადგან უდანაშაულო კაცს კინაღამ ცხოვრება დაუნგრიეს, უდიდესი  
მორალური ზიანი მიაყენეს, მაგრამ, საბეჭიროდ, ვერ გატეხეს...

ვეხუმრე კიდეც – ამ დოკუმენტს ან ოქროს ჩარჩოში ჩავსვამ-  
დი, ან მოოქროვლიში და ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე განვათა-  
ვსებდი, შენ კი ასე უდიერად მოექაცი-მეთქი... მან თავისი ჩვეული  
პირდაპირობით იგივე პასუხი გამცა – ჯემალ, მე მართალი ვარ და  
რად მინდა ეს ქალალდებიო. აი, ასეთი ხასიათი დავიჭირე ადამიანში  
და კიდევ ვიმეორებ, ეს ჩემთვის გარკვეული სიახლე და მიგნება იყო...  
ჩვენი რექტორი იმდენად ალალ-მართალია, რომ სხვებისთვის სიმარ-  
თლის მტკიცებას არ ცდილობს...

ერთი შეხედვით, მკაცრი გამომტყველების დავით გურგენიძე,  
სიკეთითა და სიყვარულით სავსე, უშრეტი ენერგიის, დაუდგრომელი,  
მუდმივად ახლის მაძიებელი კაცია. მან საოცარი თანადგომა იცის,  
ამაზე მანამდეც არაერთხელ მსმენია, მაგრამ ხომ იცით, ადამიანის  
ბუნება, ვიდრე პირადად არ გამოსცდი, დასაჯერებლად ძნელია.  
საკუთარ თავზე გამოვცადე მისი გვერდში დგომა და ერთგულება.  
ეს ბატონი რექტორის დიდსულოვნებისა და უდიდესი პიროვნული  
ლირსების დასტურია.

**ბატონი დავით!**

კიდევ ერთხელ გილოცავთ 60 წლის იუბილეს, გისურვებთ დიდ  
წარმატებებს. იმედს ვიტოვებ, რომ სრული მხარდაჭერა გექნებათ  
ახალ არჩევნებში! ერთი გუნდის წევრები ვართ, ერთ დიდ საქმეს  
ვაკეთებთ, ვფიქრობ, თქვენი თაოსნობით საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი დროსთან, თანამედროვეობასთან შესაბამის, კიდევ  
უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს ნებისმიერ გამოწვევაში და იქნე-  
ბა გამორჩეული უნივერსიტეტი კვლავაც, არამატრო საქართველოში,  
არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ვფიქრობ, ჩვენს გუნდს წინ სერი-  
ოზული წარმატებები ელოდება და ამ ყველაფერში, პირველ რიგში,  
თქვენი უდიდესი წვლილი იქნება!

**ჯემალ გახოკიძე**  
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**  
**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი**

# ესალი იღვიპის განვითორი

„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

მარტინ ლუთერი

არიან ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული უნარი, შესაძლებლობები და თვისებები აქვთ. სწორედ ამიტომ, ისინი ადამიანებთან მრავალმხრივ საინტერესო ურთიერთობებით, შემოქმედებითი საქმიანობით, საზოგადოებაში მყარად იყავებენ ღირსეულ ადგილს და თანამედროვე ეპოქაში წარმატებულ პიროვნებათა რიგს მიეკუთვნებიან.

დავით გურგენიძე, თავისი აზროვნებით, შემოქმედებით, პრაქტიკული საქმიანობით თავისთავადი, უნიკალური და ინდივიდუალურია. ბუნებრივია, რომ პიროვნება მრავალმხრივობისა და მრავალფეროვნების გარეშე საინტერესო და მიმზიდველი ვერ იქნება, მაგრამ ამ სისრულეში დაცული უნდა იყოს მდგრადი, ფუნდამენტური სუბიექტურობა, პათოსით განსაზღვრულობა. ამასთან, მისმა დომინანტობამ მთლიანად არ უნდა წაშალოს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, პირიქით, ფაქტობრივად, ხელი უნდა შეუწყოს, სულიერი მრავალფეროვნების რეალიზაციას, თავისუფლებასა და შემოქმედებას.

ასეთი პიროვნებაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი დავით გურგენიძე, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა.

ტექნიკური ცივილიზაციის შედეგად ადამიანის გაუცხოების პირობებში, როდესაც ბევრი რამ არსებითად გადაფასდა, თანდათან უკან იწევს ადამიანური ურთიერთობები, ბუნებრივ მოვლენად იქცა ადამიანების შინაგანი განცალკავება. ეს პიროვნების ნიველირებითა და სტანდარტიზაციითაა გამოწვეული, რის გამოც ფაქტობრივად თანდათან ფერხდება ადამიანის მიერ ჰუმანიზებული, კულტურული სამყაროს შექმნის პროცესიც. ბატონი დავითი ყოველთვის რჩებოდა და რჩება ერთგული ლირებულებების, ტრადიციებისა და ფუნდამენტური ზნეობრივი პრინციპების მიმართ. სწორედ ამიტომ აქვს მოქმედებისა და მოღვაწეობის ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული გზა, მოქმედების ფართო არეალი,



სადაც უკვე რამდენი წელია შეუცდომლად მოღვაწეობს, არა მარტო გონიერითა და განსჯით, არამედ საოცარი სიყვარულითაც.

ბატონი დავითი ყოველთვის მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით ეხმიანება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ყველა მოვლენას.

აკადემიური საბჭოს სწავლული მდივნის თანამდებობაზე ჩემი არჩევის შემდეგ მითხრა, რაც გაფრთხილებას უფრო ჰგავდა, ჩემთან მეგობრობა უფრო ადვილია, მუშაობა კი ძნელი, კარგად დაიმახსოვრება გააცნობიერეო. 4 წელი გავიდა ჩვენი თანამშრომლობიდან. დასკვნა ასეთია: ნუ იცრუებ, ნუ ითვალისწიებ, ყოველთვის იყავი გულწრფელი და მიუკერძოებელი და ამ შემთხვევაში არც მეგობრობა გაგიჭირდება და არც თანამშრომლობა.

დიდი ინგლისელი მწერლის, ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის ჯეიმს ალენის აზრით, ადამიანი ცხოვრობს ისე, როგორც აზროვნებს. ბატონობრივი დავით, თქვენი აზროვნება და ცხოვრების წესი ურთიერთჰარმონიაშია, თქვენ ცხოვრობთ ისე, როგორც აზროვნებთ.

სამყაროს ყველა სულიერი კანონი იმის მხარეზე დგას, ვინც სიკეთის ერთგულია, რამეთუ სიკეთე იფარავს და იცავს. ბოროტების კანონები არ არსებობს. მისი არსი დაწერევა და ყველაფრის განადგურება.

თქვენ სიკეთის გზით დადიხართ. ეს გზა გრძელი და რთულია, თუმცა ნაყოფიერი. პიროვნების გამძლეობა, სიმყარე, აქტიურობა, ეს თქვენი განუყოფელი თვისება და პიროვნული მახასიათებელია.

ბატონი დავით გურგენიძის რეკტორობის პერიოდში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თვისებრივად ახალ, განახლებულ ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. არ დამავიწყდება უნივერსიტეტის მე-100-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ უცხოელ სტუმართა გაკვირვებული მზერა და აღტაცება, გამოწვეული ჩვენი უნივერსიტეტის, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმის არსებითი ცვლილების გამო. ეს კი ყველა ჩვენგანში განსაკუთრებულ აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევდა.

ბატონი დავით,

სულითა და გულით გილოცავთ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას.

იყავით მხნედ, ემსახურეთ მარადიულ ღირებულებებს ისევე ერთგულად, როგორც აქამდე და გისურვებთ გონითი ადამიანის საუფლო დამკვიდრებულიყოს ამქვეყნად.

**იაშა (კოკა) კუტუბიძე**

აკადემიური საბჭოს სწავლული მდივანი,  
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი,  
პროფესორი

## ჩოტე ხელიშვილი მარი გამობარის

ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები ყველაზე ფასეული რამ არის. ამგვარი ურთიერთობისას იკვეთება კაცის მთავარი ღირსება და ღირებულება, დადებითი თვისებები, ყველაფერი, რაც მას განსაკუთრებულს ხდის, როგორც ლიდერს, პროფესიონალსა და მეგობარს.

ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობ, დროსთან დაკავშირებული ფენომენია, რომელიც ადამიანის პიროვნულ აღქმაში ზუსტი ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. კარგი მეგობრის სტატუსიც დროის პერსპექტივაა, რომელიც „ნარსული მზერიდან“ უამრავ საინტერესო და ემოციურად სავსე ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებად გვახსენდება.

დროის დინებას განსხვავებული აღქმა აქვს და სწორედ 21-ე საუკუნის დაუნდობელ და სიძულვილით სავსე სამყაროში ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც თავისი მისიონერული ცხოვრებით წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს მეხსიერებაში. ამ მეხსიერების მთავრი გმირი—ადრესატი გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოს დავით გურგენიძე.

ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, უამრავ ადამიანს შევხვედრივარ, მათ შორის ძალიან ცოტას თუ ვუწოდებ მეგობარს. როდესაც მეგობარი შენი ხელმძღვანელია, ამას კიდევ უამრავი პასუხისმგებლობა და ვალდებულება ემატება.

დავით გურგენიძე გამორჩეულად სანდო მეგობარია, მზიდი კედელივითაა საუკუნოვანი ტექნიკური უნივერსიტეტის მმართველ ელიტაში. იგი პროფესიონალი ადამიანების ობიექტურად შემთასებელი, მათი ნიჭისა და შესაძლებლობების უშურველად მაღიარებელი და ნოვატორული იდეების მუდმივი მხარდამჭერია. ზუსტად იცის, როგორ გადაანაწილოს ადამიანური რესურსი იმ მიმართულებით, სადაც ადამიანი ბოლომდე ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს საზოგადოებრივ საქმიანობაში. გენდობა და მოგცემს ყველა ბერკეტს იმისთვის, რომ დაიხარჯო და განახორციელო ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტები და იდეები, როგორც აკადემიურ სექტორი, ასევე სტუდენტ ახალგაზრდებში.

განსაკუთრებით საინტერესოდ ვიხსენებ პერიოდს, როდესაც დათოვ გურგენიძე ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი გახდა. როგორც ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი და მმართველი რგოლის წარმომადგენელი დიდი პასუხისმგებლობით შევუდექი საქმიანობას.

ამ გადასახედიდან, თამამად ვიტყვი, რომ ბატონი დავითის უშუალო ძალისხმევით, უნივერსიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე წარსდგა, როგორც უძლიერესი ნოვატორული გუნდი. ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები კონკურენციას უწევს მსოფლიოში ცნობილ და პოპულარულ საუნივერსიტეტო პროგრამებს.

დათო გურგენიძე არის ლიდერი, რომელსაც განსაკუთრებული ხედვა აქვს. მისი მთავარი მიზანია, უნივერსიტეტის მუდმივად მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს.

ბატონი დავითის რექტორად დანიშვნიდან 10 დღეში დაიწყო მსოფლიო პანდემია. კაცობრიობა, მათ შორის, ჩვენი უნივერსიტეტიც, დადგა უდიდესი გამოწვევის წინაშე. მახსენდება რექტორთან პირველი საქმიანი შეხვედრა, მაშინ ონლაინ სწავლებაზე საუბარი არ ყოფილა, შეგვკრიბა და გვითხა: უნდა მოვემზადოთ, სანამ მდგომარეობა გართულდება, შევქმნათ ელექტრონული სწავლების პლატფორმა, სადაც 20000-ზე მეტი სტუდენტი და 4000 პროფესორ-მასწავლებელი შეძლებს შეუფერხებლად მიიღოს სასწავლო რესურსიო. ამას ცოტა დაბნეულობა მოჰყვა ჩვენი მხრიდან, ვფიქრობდით, რომ წარმოუდგენელი იყო, მცირე დროში მოგვეხრებინა დავალების შესრულება. ამ შეხვედრიდან 10 დღეში უნივერსიტეტი გადავიდა ფორსმაჟორულ რეჟიმზე. რექტორის ხელძღვანელობით სტუ-მა, პირველმა შეძლო სასწავლო პროცესი ონლაინ რეჟიმში წარემართა.

პანდემიამდე უნივერსიტეტმა გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ გაგზავნა ათობით სტუდენტი. მოგეხსენებათ, იტალია პირველი ევროპული ქვეყანა იყო, სადაც გამოვლინდა კოვიდ-19. ჩვენი სტუდენტები დარჩნენ მარტო, ყურადღების გარეშე. ზოგს საერთოდ ამოენურა საარსებო წყარო. ბატონი რექტორი, სათითაოდ ყველა სტუდენტს, როგორც მზრუნველი მამა, ისე ელაპარაკებოდა, მუდმივად კომუნიკაციაში იყო საგარეო საქმეთა სამინისტროსა და იტალიის საელჩოსთან. მან თითოეულ სტუდენტზე იზრუნა და ვისაც დაბრუნების სურვილი ჰქონდა სპეციალისით ჩამოიყანა საქართველოში. დარჩენილ სტუდენტებთან კი ყოველ საღამოს ჰქონდა კომუნიკაცია.

ბატონო დავით, გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანის სიმრთელესა და წარმატებებს. ქვეყნისა და უნივერსიტეტისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში მარად მოგემართოთ ხელი.

თამარ წერეთელი  
სწავლების დეპარტამენტის უფროსი,  
პროფესორი

## ქართალი ისტორიაზების თვალსარისო ნარმორაზების

ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებიდან 100-წლიან პერიოდში მრავალი წარმატებული, ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საინჟინრო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ისტორია, მოვლენა თუ ფაქტი აღინიშნა. ყველა მათგანი ჩვენი ინჟინრების, ტექნოლოგების, მეცნიერების, პროფესორ-მასწავლებელთა და კურსდამთავრებულთა მოღვაწეობის იმ ძირითად ეტაპებს მოიცავს, რაც ქვეყანაში არაერთი დარგისა და პრიორიტეტული მიმართულების დაარსება-განვითარებისა და, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის განვითარების საფუძველი გახდა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ ცნობილი რექტორები – ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო და აღიარებული წარმომადგენლები, გამორჩეული თავიანთი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით, განსაკუთრებული ორგანიზატორული უნარით, კეთილშობილებით, მომხიბვლელობითა და კომუნიკაბელურობით. ჩვენდა საამაყოდ, ღირსეულ რექტორთა შორისაა ამჟამინდელი რექტორი დავით გურგენიძე, რომელიც ნამდვილად იმსახურებს პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, გარშემომყოფთა გულწრფელ პატივისცემასა და სიყვარულს.

ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდებულმა ადამიანმა გამომიცხადა ნდობა და მომცა შესაძლებლობა, რომ მეც, საქართველოს ტექნიკური



უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, გავმხდარიყავი ჩემი მშობლი-ური უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლის – საზოგა-დოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამით ყოველდღიური ურთიერთობა მქონოდა სტუდენტებთან - ჩვენს ახალგაზრდა თაობასთან და მათთან ერთად აქტიურად ჩავრთულიყავი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუკუნოვანი ტრადიციები დღეს რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის ხელმძღვანელობით გრძელდება: უნივერსიტეტში მიმდინარეობს არაერთი რეფორმა როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო მიმართულებით – ისტორია და მოდერნიზდება სასწავლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, ფუძნდება და ენყობა უახლესი აპარატურით აღჭურვილი სამეცნიერო-კვლევითი საექსპერტო ლაბორატორიები; ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან, უდიდეს სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან კოლაბორაციით მუშავდება ახალი პროექტები; ჩვენი მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევრები ჩართული არიან მსოფლიოში მიმდინარე ყველა გლობალურ ექსპერიმენტში; უდიდესი პერსპექტივა იქმნება სტუდენტებისთვის, როგორც სწავლისა და კვლევის, ასევე გაცვლითი პროგრამების მხრივ, ასევე, მათი მრავალმხრივი ნიჭისა გამოვლენის მიმართულებითაც, რაც, ცხადია, საუნივერსიტეტო ახალგაზრდული თვითშემოქმედებისა და სპორტის განვითარებასაც მოიცავს.

ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, საესტრადო მუსიკისა და ჯაზის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელგანთქმულმა ორკესტრმა და ვაჟთა კაპელამ; მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ტექნიკური უნივერსიტეტის ორკესტრთან თანამშრომლობით, აქტიური საესტრადო კარიერა დაიწყო და საქვეყნო აღიარება მოიპოვა ძველი და ახალი თაობის თითქმის ყველა ცნობილმა მომღერალმა, კომპოზიტორმა და ინსტრუმენტალისტმა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ლეგენდარული ნანი ბრეგვაძე იყო. იგივე შეიძლება ითქვას საუნივერსიტეტო სპორტზეც – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ოდით-განვე იყო განვითარებული სპორტის სხვადასხვა სახეობა, იქმნებოდა ძლიერი საუნივერსიტეტო გუნდები, იკვეთებოდნენ უძლიერესი სპორტსმენები, რომლებმაც მრავალი საერთაშორისო გამარჯვება მოუტანეს საქართველოს. მეტიც, უნივერსიტეტი არა მხოლოდ აქტი-

ურ პოპულარიზაციას უწევდა სპორტის განვითარებას, არამედ ჩვენს ქვეყანაში სპორტის ახალი სახეობების შემომტანიც ხდებოდა – ამის ნათელი მაგალითი ქართული რაგბია.

დღეს რექტორის, დავით გურგენიძის უდიდესი მხარდაჭერით, მრავალმხრივ წარმატებულია საუნივერსიტეტო ორკესტრი, ვაჟთა კაპელა, თითქმის 80-წლიანი ტრადიციის მქონე ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“, სტუდენტური ბენდები, მოქმედებს განთქმული სტუდენტური თეატრ-სტუდია „მოდი-ნახე“, რომელსაც წელს 76 წელი შეუსრულდა და დღემდე არაერთხელ უსახელებია უნივერსიტეტი. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპორტული ცხოვრების პოპულარიზაცია დღესაც აქტიურად მიმდინარეობს: ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები ხდებიან დედაქალაქის, საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, სხვადასხვა ადგილობრივი, საერთაშორისო და პრესტიული ტურნირის პრიზიორები.

რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის 60 წლის იუბილე მართლაც ღირსშესანიშნავი თარიღია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის.

ვულოცავ ბატონ დავითს იუბილეს, ვულოცავ ადამიანს, მეგობარს, რომელიც დროსა და ენერგიას არ იშურებს უნივერსიტეტის განვითარებისთვის, ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლებისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის.

მრავალუამიერ, ბატონო დავით, ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ჯანმრთელობა და წარმატებები ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი!

დავით ოქიტაშვილი  
სტუ საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი,  
საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი

## ინოვაციური კაპიტალი

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტები მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება როდია, ის ჩვენი ცხოვრების წესია“ - ეს სიტყვები ამავე უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს ეკუთვნის. ბუნებრივია, როცა ადამიანი სახალხოდ ასეთ ამბიციურ და საპასუხისმგებლო განაცხადს აკეთებს, ზურგს უდავოდ სანდო, საიმედო, პროფესიონალ და საქმისთვის თავ-დადებულ ადამიანთა გუნდი უმაგრებს.

ქალბატონ თამარ ლომინაძესთან ექსკლუზიური საუბარისას მივიღეთ საინტერესო ინფორმაცია, საიდანაც საზოგადოება ნათლად დაინახავს, რაოდენ პერსპექტიულ და ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან კვლევებსა და ნოვაციებს ეყრდნა საფუძველი სტუდენტებთან კოლაბორაციით. მათი იდების მატერიალიზების უშუალო მხარდამჭერი და ქომაგი კი ბატონი დავით გურგენიძე გახლავთ.

ქალბატონი თამარის გულწრფელი მონათხრობი მრავალი ასპექტით უაღრესად საყურადღებოა: მეგობრული, კრიტიკული, მასშტაბური, ტრენდული, გუნდური, მაღალპროფესიული – ეს ის თვისებებია, რომელითაც ქალბატონი თამარი საუნივერსიტეტო ცხოვრებას ახასიათებს.

### შტრიხები ნარსულიდან

სულ პატარა ვიყავი, მამამ, ნოდარ ლომინაძემ, მაშინდელი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაულტეტის დეკანმა, უნივერსიტეტში რომ მომიყვანა. სწორედ მაშინ გაიხსნა ჩემთვის ეს მომხიბლავი სამყარო. ამიტომ, ზუსტად მესმის, რას ნიშნავს, როდესაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს სტუდენტებს არიგებს – დრო გავა და ეს კედლები შეგიყვარდებათო.

ჩემ შემთხვევაშიც ასე იყო ...

ბატონ დავითთან თანამშრომლობით კი დავრწმუნდი, რომ ყველაზე მტკიცე, უღალატო თანამოაზრეობა ყალიბდება მაშინ, როდესაც ადამიანი საკუთარი ქმედებით, მის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯით სხვებისთვის მაგალითი ხდება უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მისიის შესრულებისას.



## სცორი სტრატეგიისა და დამოკიდებულების შემთხვევაში გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს

ბატონი დავითის რექტორად არჩევიდან სულ ორი კვირა იყო გასული, როდესაც კაცობრიობას წარმოუდგენელი განსაცდელი დაატყდა თავს – დაიწყო კოვიდპანდემია. ჯერ კიდევ არავინ არ იცოდა, როგორი ხანგრძლივი და დაუნდობელი გამოცდა ელოდა წინ მთელ მსოფლიოს. გაურკვეველი მომავლის საფრთხე წარმოუდგენელს ხდიდა ფიქრსაც კი განათლებაზე, განვითარებაზე, ხვალინდელ დღეზე.

ბატონ დავითს ცხოვრების განმავლობაში ძალიან ბევრი გამოცდისა და განსაცდელის გადალახვა ხვდა წილად, მაგრამ ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გამოწვევა იყო. სწორედ მის გადაწყვეტილებებზე, მის შეუპოვრობასა და გაბეჭდულ ნაბიჯებზე იყო დამოკიდებული მრავალათასიანი უნივერსიტეტის–სტუდენტებისა და პროფესიონალ-მასწავლებელთა ბედი.

დავით გურგენიძის, როგორც ლიდერის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიჭი ადამიანებში საუკეთსო თვისებებისა და უნარის აღმოჩენა და მათი სწორად და დროულად ჩართვაა საერთო მიზნის მიღწევის პროცესში. ამგვარი სტრატეგიით, პანდემიის ურთულეს პირობებშიცა და ახლაც, შედეგზე ორიენტირებული გუნდური მექანიზმი ამუშავდა და უნივერსიტეტმა ახლებურად ცხოვრება დაიწყო.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ხშირად დავსწრებივარ შეხვედრებსა და თათბირებს, სადაც ბატონი დავითი მიღწეულ შედეგებს განიხილავს და აჯამებს და ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ ის კრაფტილი ყოფილიყო მიღწეულით. მისთვის ყოველი მიღწეული მიზანი შემდგომი წარმატების საფეხურია, რომელსაც ბატონი დავითის მიერ დასახულ უპირატეს მიზნამდე მივყავართ – დაუბრუნდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ის პატივი და დიდება, რაც მას ჰქონდა დაარსებიდან.

### **ინოვაციების კვალდაკვალ**

ბატონი დავითი ხშირად იმეორებს, რომ თანამედროვე ციფრულ ეპოქაში, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი უნივერსიტეტის ხერხემალია. მე, როგორც 21-ე საუკუნის ყველაზე ტრენდული ფაკულტეტის დეკანი, ვალდებული ვარ, მცირე კომენტარი გავაკეთო ყველა იმ პერსპექტიულ წამოწებაზე, რომელიც უშუალოდ ბატონი დავითის პატრონაჟითა და მხარდაჭერით ხორციელდება, მათ შორისაა სტუდენტური პროექტები, გამოგონებები და სხვ.

ABET-ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესიონალურ-მასწავლებლთა წინაშე იდგა, შეიძლება ითქვას, ჩვენი პრესტიჟის საკითხია და ამერიკული ABET (Accreditation Board for Engineering and Technology) აკრედიტაციისთვის პროგრამების მომზადებას მოითხოვს. დღეს ძალიან ამაყები ვართ, რომ 2023 წლის სექტემბერში უნივერსიტეტში მივიღეთ შეტყობინება ბიოსამედიცინო ინჟინირის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სრული აკრედიტაციის შესახებ.

ABET აკრედიტაცია ქართული საინჟინრო სკოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღიარებაა არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო მასშტაბით და თვისებრივად იზრდება ABET აკრედიტებული პროგრამების კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე. ეს არის ხარისხის საერთაშორისო ნიშანი, რომელიც არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის, არამედ მისი განმახორციელებლი ინსტიტუციის მაღალ დონეს ადასტურებს. ბიოსამედიცინო ინჟინირის საბაკალავრო პროგრამაზე ABET აკრედიტაციის მიღებას წინ უძლოდა კოლოსალური შრომა, რომლის სულისჩამდგმელი და ინსპირატორი ბატონი დავით გურგენიძე იყო. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა ვთქვა, რომ ამ პროგრამის

წარმატებული აკრედიტაცია, უპირვევლეს ყოვლისა, ბატონი დავით გურგენიძის დამსახურებაა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი ჩვეული ოპტიმიზმის გამო, ბატონ დავითს არც ერთი წუთით არ შეჰქარვია ეჭვი იმაში, რომ ჩვენ, უნივერსიტეტი და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მისი პროფესიონალური და სტუდენტები, შევძლებდით ამ დიდი გამოწვევის წარმატებით დაძლევას. ბატონი რექტორის რწმენა ჩვენს შესაძლებლობებში ძირითადი მოტივაცია იყო ამ ურთულეს გზაზე.

### **ფაკულტეტის დღე**

რექტორის, დავით გურგენიძის ინიციატივით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კიდევ ერთი სიახლე დამკვიდრდა—უნივერსიტეტში ფაკულტეტის დღეები ყოველწლიურად აღინიშნება.

პირველივე წელს აშკარა გახდა, რამდენად მნიშვნელოვან ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ეს გახლავთ დღე, როდესაც ფაკულტეტი, მისი ყოველი წევრი—პროფესორი, მასწავლებელი, სტუდენტი განეული სამუშაოს ანგრიშით წარსდგება არა მხოლოდ საკუთარი კოლექტივის, არამედ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სხვა ფაკულტეტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებლების, მშობლების, საუნივერსიტეტო და კვლევითი მუშაობით დაინტერესებული ყველა ინსტიტუციის წინაშე. თითოეულ ფაკულტეტს ეძლევა შესაძლებლობა, ობიექტურად გაანალიზოს მიღწეული შედეგები, სწორად განსაზღვროს, სად არის დღეს და დასახოს განვითარების მიზნები და პერსპექტივები.

ჩვენი სტუდენტების, მათი ხელმძღვანელების შექმნილი კვლევითი, პრაქტიკული პროექტები და ნაშრომები, რომლებიც ფაკულტეტის დღეზე იყო წარმოდგენილი, სრულად პასუხობს დროის მოთხოვნას, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ამართლებს ბატონი რექტორის ნდობას და არ თმობს ლიდერის პოზიციებს. ეს ქმნის იმის საფუძველს, რომ ხვალ, ჩვენზე უკეთესი, უფრო თამამი და ამბიციური თაობა შეგვცვლის და ფაკულტეტის უფრო საინტერესო ისტორია დაიწერება.

აღსანიშნავია, რომ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დღეზე სტუმრად იმყოფებოდა დელეგაცია დრეზდენის გამოყენებითი უნივერსიტეტიდან მისი რექტორის ქალბატონ კეტრინ ზალპერტის მეთაურობით. ქალბატონი რექტორი აღფრთოვანებული დარჩა ბატონი დავითის ამ ინიციატივით და გამოთქვა სურვილი, მის უნივერსიტეტშიც დაინერგოს ასეთი შესანიშნავი პრაქტიკა.



### თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან

ბატონი რექტორის თანადგომითა და ძალისხმევით სულ სხვა, თვისებრივად მაღალ დონეზე გადავიდა უნივერსიტეტისა და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტთა თანამშრომლობა მსოფლიოს ისეთ წამყვან კვლევით ორგანიზაციებთან, როგორიცაა CERN (შვეიცარია), KEK (იაპონია), FermiLab (აშშ) და იულიხის კვლევით ცენტრთან (გერმანია).

2022 წელს ბატონი რექტორი პირადად იმყოფებოდა შვეიცარიასა და იაპონიაში და გამართა მაღალი დონის შეხვედრები ცერნისა და კეკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან.

ბატონი დავითი პირადად შეხვდა ცერნის დირექტორს პროფესორ იოაპი მნიხსა და იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლის კვლევის ორგანიზაციის (KEK) გენერალურ დირექტორს მასანორი იამაუჩის. ეს შეხვედრები წამყვანი კვევლითი ცენტრების ხელმძღვანელებთან უდიდესი სტიმული და მხარდაჭრა იყო ჩვენი მკვლევრებისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც დღეს მსოფლიოს მასშტაბით უმნიშვენლოვანეს ცენტრებში მუშაობენ და აღიარებული არიან კოლეგების მიერ.

ბატონი დავითის პირადი სტუდენტები, რომლებიც გუშინ ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდნენ და იღებდნენ საწყის ცოდნასა და გამოცდილებას, დღეს უკვე თვითონ არიან ის მკვლევრები, რომ-

ლებიც მსოფლიოს მომავლის განმსაზღვრელ უდიდეს ექსპერიმენტებში მონაწილეობენ, მაგრამ რჩებიან ტექნიკური უნივერსიტეტისა და ქვეყნის პატრიოტებად. მათ ასეთ პიროვენებებად ჩამოყალიბებაში, როგორც თავად აღნიშნავენ, სწორედ ბატონი დავითის მამაშვილურმა დამოკიდებულებამ მოახდინა გავლენა, იმ ადამინურმა და პიროვნულმა თვისებებმა, რაც რექტოოთან ურთიერთობისას დაინახეს და მთელი ცხოვრების განმავლობაში მათი თანმდევი იქნება.

ბატონი დავითის მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა იულიხის კვლევით ცენტრთან. სულ მალე, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტში იულიხის კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით Biomedical Imaging SmartLab ლაბორატორია შეიქმნება. ლაბორატორიის მუშაობის სფერო დაკავშირებული იქნება სამედიცინო ფიზიკისა და საიუნინრო ფიზიკის პროგრამებთან, ასევე სხვა საინჟინრო და სამედიცინო მიმართულებებთან, ამავდროულად გააძლიერებს STEM მიმართულებას, ხელს შეუწყობს მათ პოპულარიზაციას, რათა შევძლოთ ყველა იმ რესურსის სრულად გამოყენება, რასაც ეს ლაბორატორია ჩვენს მკლვევრებსა და ახალგაზრდებს სთავაზობს.

## გიორგი ნიკოლაძის მანეჯერი

უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ სტუ-ის 100 წლისთავზე, რექტორის, დავით გურგენიძის მხარდაჭერით, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მკვლევართა ჯგუფმა აღადგინა გიორგი ნიკოლაძის მიერ 1928 წელს საფრანგეთში დაპატენტებული პირდაპირი გამრავლებისა და გაყოფის ელექტრული არითმომეტრი და შექმნა მისი სრული ასლი.

ბატონი დავითი საოცარი ენთუზიაზმით შეხვდა მკვლევართა ჯგუფის ამ ინიციატივას და, შედეგად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დღეს დღას გიორგი ნიკოლაძის მიერ შექმნილი უნიკალური ელექტრული მთვლელი მანქანის ასლი, რომელიც შეცვლის გამოთვლითი ტექნიკის ისტორიის დასაბამს საქართველოში.

## ინტერნაციონალიზაცია

ბატონი რექტორის თითოეული გადაწყვეტილება და გადადგმული ნაბიჯი ჩვენი ახალგაზრდა თაობის სწორად აღზრდას, მათთვის აქამდე წარმოუდგენელი შესაძლებლობების გახსნასა და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას ემსახურება. უცვლელია მისი პოზიცია, ყველანაირად შეუწყოს ხელი სტუდენტებს, რომლებსაც

მსოფლიოს წამყვან ცენტრებსა და უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობა ეძლევათ. მისი მხარდაჭრით იმ საერთშორისო კონტაქტების მეშვეობით, რომელთა შექმნასა და განმტკიცებაზე პატონი დავითი ყოველდღიურად მუშაობს, უნივერსიტეტის, მათ შორის ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ სხვადასხვა ტიპის სტაურება მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში, ისეთებში, როგორიცაა ცერნი, იულიხის ცენტრი, სანდიეგოს უნივერსიტეტი და მრავალი სხვა. შესაბამისად, ჩვენს უნივერსიტეტში იზრდებიან ახალგაზრდა პროფესიონალები ფართო თვალსაწიერით, რომლებიც შექმნიან ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს.

## 60 ცლის იუბილარს

ბატონო დავით! ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სახელით გილოცავთ ლირსშესანიშნავ თარიღს.

გისურვებთ უფლის მფარველობას იმ რთულ გზაზე, რომელიც აირჩიეთ. თქვენი ხელმძღვანელობით კიდევ მრავალ გამორჩეულ წარმატებას მიაღწევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ჩვენთვის საამაყო და საპატიოა, რომ ამ გზაზე თქვენი თანამოაზრეობისა და თანამეგზურობის შესაძლებლობა მოგვეცა. სიკეთით საესე მომავალს გისურვებთ, დიდხანს ყოფნას ჩვენი დედა-უნივერსიტეტისა და ქვეყნის სამსახურში!

**თამარ ლომინაძე**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფესიონი**

## გამოცემის გენერიზაცია

ცხოვრებამ ბევრ გამორჩეულ ადამიანს შემახვედრა, მათ შორისაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე.

ჩვენი ურთიერთობა მრავალი წლის წინ, მაშინდელ პოლიტიკიკური ინსტიტუტის კედლებში, სტუდენტობის პერიოდში დაიწყო. მახსოვს ახალგაზრდა, ნიჭიერი, ენერგიული, საქმისა და მეგობრებისადმი ერთგული დათო გურგენიძე...

ჯერ კიდევ მაშინ, როცა პარტიული ნომენკლატურა ახალგაზრდა თაობას კოლექტიურ, დაშტამპულ აზროვნებას გვაიძულებდა, იგი არ ექცეოდა საბჭოთა ადამიანის სტერეოტიპის ჩარჩოში. ყოველთვის ბობოქარი, თავისუფლებისმოყვარე, კრეატიული და ამავდროულად უდიდესი სიკეთის მატარებელი ახალგაზრდა გახლდათ. ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ღირსეულად ერკინებოდა ბედსაც და უბედობასაც. ადამიანური ურთიერთობებით დაწყებული, პროფესიული და კარიერული წინსვლის ეტაპებით დამთავრებული, მუდამ ღირსეულ და უკომპერომისო ადამიანად გვეღლინება.

კოლეგებთან და სტუდენტებთან მისი დამოკიდებულება გახლავთ საოცრად საქმიანი და გულისხმიერი, ამავდროულად იგი ნებისმიერი ნოვაციის მხარდამჭერია.

ბატონ დავითს არერთხელ გამოუხატავს გულითადი დამოკიდებულება ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიმართ თანადგომა განათლების საკითხებში და სტუდენტური პროექტებისთვის მხარი აქტიურად დაუჭრია. ზოგადად, მისთვის უპირველესი პრიორიტეტია.

მიუხედავად იმისა, რომ რექტორის თანამდებობაზე ბატონი დავითის მოღვაწეობა რთულ პერიოდს-კოვიდპანდემიას დაემთხვა, მან გამოავლინა მისთვის ჩვეული მიზანსწრაფულობა და ორგანიზატორული ნიჭი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამაღლდა უნივერსი-



ტეტის საერთაშორისო ცნობადობა, კიდევ უფრო გაღრმავდა თან-ამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, რასაც ლოგიკურად მოჰყვა კიდეც მისი ღვაწლის დაფასება—არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად, არაერთი საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, მიენიჭა საერთაშორისო ჯილდოები და ა.შ.

ძნელია ამ მოკლე წერილში სათქმელის ჩატევა, მაგრამ უდავოა, რომ დავით გურგენიძეს აქვს სრულიად განსაზღვრული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოქმედების გეგმა, რაც მნიშვნელოვანია სტუ-ის შემდგომი განვითარებისათვის.

ისტორიის გადასახედიდან 60 წელი არაფერია, მაგრამ ამასთანავე ერთი თაობის ადამიანთა აზრიანი ცხოვრების თითქმის მთელი ეპოქა-ცაა. ბევრი რამ იცვლება, დრო აყალიბებს პიროვნებას, პიროვნებები კი თვითონ ქმნიან საზოგადოებას.

ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ის მოვალეა დაემორჩი-ლოს ცხოვრების მკაცრ კანონებს. ზოგი საკუთარი თავისთვის ცხოვ-რობს, ზოგი—სხვებისთვისაც. ყველას აქვს თავისი ხელწერა, ბატონი დავითი, თამამად შეიძლება ითქვას, დიდი კაცია, ყველაფერს სიყვარ-ულით აკეთებს, თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში თანაბრად და სიღრმისულად, მაღალპროფესიულ დონეზე ემსახურე-ბა ქვეყანას, ეპოქის სუნთქვით, დროის მძაფრი განცდით ცხოვრობს და მოღვაწეობს. უდავოა, რომ მის მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზა მხოლოდ მისიონერთა ხვედრია.

მთელი გულით გისურვებთ ღვთის მადლსა და წყალობას, წარ-მატებებითა და სიკეთით სავსე მომავალს, უდიდესი და ურთულესი საქმის ღირსეულად აღსრულებას.

რუსუდან ქუთათელაძე  
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი,  
პროფესორი

## შემთხვევის მართვის ორგანიზაციის და სამსახურის მართვის მინისტრი

„ყოველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება. იგი ბელადია, სარდალია და ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭისა და მეხსიერებაზეა დამოკიდებული გამარჯვება“ – ეს სიტყვები ერის დიდ განმანათლებელს, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. თანამედროვე ეპოქამ საჭეთმშეყრობელს ლიდერი უწოდა და ერისთვის ბევრად მნიშვნელოვანია, თუ იგი ღირსეული კაციც აღმოჩნდება ...

სწორედ ასეთი რექტორი ჰყავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. ბატონმა დავით გურგენიძემ საუკუნოვანი საგანმანათლებლო კერა მაშინ ჩაიბარა, როცა მსოფლიოში უდიდესი პანდემია – covid-19 მდვინვარებდა. ამ ვითარებამ სამყარო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც განათლების სექტორი ყოფილა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პანდემია გახდა ერთგვარი თრიგერი (გზამკვლევი) მყისიერი ევოლუციური ცვლილებებისთვის. მსოფლიოს მრავალ საგანმანათლებლო სისტემაში დრამატულად შეიცვალა რეალობა. უმაღლესი სასწავლო დაწესე-



ბულებების (არამარტო) ხელმძღვანელებს მოუხდათ რადიკალური ზომების მიღება, რამაც მრავალი ადამიანი დააზარალა...

მიუხედევად უმძიმესი სიტუაციისა, ბატონმა დავით გურგენიძემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სწორედ პანდემია აქცია მთავარ შესაძლებლობად, უმაღლესი სასწავლებლის სისტემაში ახალი ხედვებისა და ინოვაციების დასაწერგად.

წლების განმავლობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მრავალი გამოწვევის წინაშე იდგა. ამ შემთხვევაში სამართლიანი გადაწყვეტილების, სწორი არჩევანის გაკეთება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან ხელმძღვანელ პირს ევისრება პასუხისმგებლობა ათასობით მეცნიერზე, სტუდენტსა და ადმინისტრაციულ პერსონალზე. ბატონი რექტორის ქარიზმა კი ის გახლავთ, რომ ნებისმიერ საქმეში მიღრეკილია სიახლეებისა და მრავალფეროვნებისკენ, არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარ კოლეგებთან ურთიერთობით, მას შესწევს უნარი, ისეთი იდეა შემოგთავაზოს, რომ სხვადსხვა დარგისა და აზროვნების სპეციალისტები დასხას ერთ მაგიდასთან და მსჯელობა და კამათი წარმართოს ყველაზე კონსტრუქციული შედეგით.

საქმისადმი სწორედ ამგვარმა მიდგომებმა საუნივერსიტეტო ცხოვრება გახადა უფრო საინტერესო და ქმედითი ნებისმიერი ასპექტით, განსაკუთრებით აკადემიური პროგრამებით, რომლითაც ახალ თაბას, სტუდენტებს მიეცათ ინოვაციური იდეების განვითარების, დაფინანსებისა და განხორციელების შესაძლებლობა არამხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით ყოველწლიურად იმართება ფაკულტეტის დღე. ეს გახლავთ იდეალური შესაძლებლობა, მთელი წლის განმავლობაში ფაკულტეტზე განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვადასხვა ტიპის აქტივობების საზემოდ გასაჯაროება-დაჯილდოების ცერემონიალზე წარდგინებისა.

წელს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დაარსებიდან შვიდი წლის იუბილეზე, რექტორისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით ღირსეულად წარსდგა. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ფაკულტეტის ცნობადობა პროგრესულად გაიზარდა.

ბატონი დავითის უშუალო მხადაჭერით აქტიურად ვითარდება ფაკულტეტის სასწავლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მოქმედებს თანამედროვედ აღჭურვილი კრიმინალისტიკის, საჯარო სამართლის, მიხეილ მუსხელის სახელობის დიპლომატიური ოსტატობის, ინტელე-

ქმური საკუთრების, ეჭენ-ფრანსუა ვიდოკის სახელობის სამძებრო საქმიანობისა და პერსონალური უსაფრთხოების ღაბორატორიები.

საიუბილეო ღონისძიებაზე ბატონმა დავით გურგენიძემ ხაზგას-მით აღნიშნა: „საამაყოა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში პირვე-ლად ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა, თავიანთ პედაგოგებთან ერთად, ბავშვთა უფლებათა კოდექსის კომინტარები შეიმუშავეს, საქართველოს პარლამენტში კი არაერთი საკანონ-მდებლო ინიციატივა შეიტანეს. ეს არის მცირედი ჩამონათვალი იმ მნიშვნელოვანი საქმეებისა, რომელსაც სამართლისა და საერთაშო-რისო ურთიერთობების ფაკულტეტი ახორციელებს და დიდ ძალისხ-მევას დებს მომავალი თაობების, ახალგაზრდა პროფესიონალების აღზრდასა და კარიერულ განვითარებაში“.

დავით გურგენიძის, როგორც ხელმძღვანელისა და მეცნიერის მიღწევებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. ამჯერად კი ხაზსს მის ერთ უნიკალურ თვისებას გაუსვამ – ის სტუდენტი ახალგაზრდების უპირობო მხარდამჭერი და მათი ნოვატორული იდეების სრულსაყ-ოფად მებრძოლი ადამიანია. მისი ღრმა რწმენით, ქვეყნის მომავალი სწორედ აქ არის, საქართველოს საინჟინრო სკოლაში–საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე ეპოქის უმაღლეს საგანმანათლებლო კერათა შორის.

### ბატონო დავით!

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის სახელით გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ, მეცნიერებისა და ერ-ოვნული ღირებულებების სადარაჯოზე დიდხანს იდგეთ მხნედ და შემართებით. დარწმუნებული ვარ, თქვენი ცხოვრების მაგალითზე მომავალი თაობის მრავალი წარმომადგენელი აღიზრდება, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, ღირსეული ადამიანი და სამაგალითო მეც-ნიერი.

ირაკლი გაბისონია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის დეკანი, პროფესიონი

# ესამტაბარი კომუნიკაციის პროცესი

ადამიანი დაბადებით ოჯახს, გვარსა და მოდგმას ეკუთვნის, ნაშრომ-ნაღვანით, მით უფრო ამ ნაღვანის საზოგადოებრივი ღირებულებით – მთელ ერს. ნებისმიერი პიროვნება თავისი შექმნილის ხალხის მიერ აღიარებით იხვეჭს სახელს.

ბატონი დავით გურგენიძის – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, სტუ-ის რექტორის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის.

რამდენიმე ათეული წელია ბატონი დავით გურგენიძე წარმატებით მოღვაწეობს მეცნიერულ, პედაგოგიურ თუ სახელმწიფოებრივ სარბიელზე. რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე კარიერულ გზაზე მას არაერთი შთამბეჭდავი, ფართო საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წარმატებისათვის მიუღწევია. თუმცა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ჩვეული თავმდაბლობითა და ჭაბუკური ენერგიით კვლავაც აგრძელებს მშობლიური საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის სტატუსით მოღვაწეობას.

„მითქვამს და კიდევ ერთხელ სიამაყით გავიმეორებ: ბედნიერი ვარ, რომ დღეს წარმოვადგენ იმ უნივერსიტეტს, რომლის კურს-დამთავრებულებმაც 100 წლის განმავლობაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს საინჟინრო და ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებასა და ქვეყნის აღმშენებლობაში“ – ეს სიტყვები ბატონმა დავითმა უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქვა და მართლაც, მისი, როგორც რექტორის ყოველდღიურობაში გამოსჭვივის სიამაყე, რუდუნება, მოკრძალება და გულწრფელი პატრიოტიზმი ქვეყნისა და მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ; იმ საგანმანათლებლო კერის მიმართ, რომლის თითოეული შემადგენელი მშობლიური და ფასეულია მისთვის; ცხოვრების საუკეთესო პერიოდი – სტუდენტობაც ხომ აქ აქვს გატარებული ბატონ დავითს და შემდგომშიც, კარიერის განმავლობაში ერთი დღეც არ გაუწყვეტია კავშირი უნივერსიტეტან. საზოგადოებრივი ცნობიერების არეში გამუდმებით ყოფნა, ცხოვრების ფაქტობრივ წესად თუ ფორმად ქცევა, ადამიანში თვითკონტროლის ჩვევას ამძაფრებს

და ნებისმიერ ვითარებაში საკუთარი თავის პოვნის მოთხოვნილებას ბადებს, ამასთან იმ საზომებითა და იარღიყებით იწყებს ცხოვრებას, რითაც სახელწოდება განუსაზღვრავს ადგილს საკუთარ საარსებო სივრცეში. იგი თავის პიროვნულობას ამ საზომებს ერთნაირად უქვემდებარებს. ამის გამო პიროვნების ცხოვრება თავისი არსებობის დემონსტრირებად იქცევა. ამგვარი ყოფა კი, ცხადია, არც მარტივია და არც ადვილი, რადგან საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშგასაწევად გამუდმებული მზაობა გონიერების მიზნით და ენერგიის ჭარბ ხარჯვას იწვევს.



ასეთ მოღვაწედ გვევლინება დღეს ბატონი დავით გურგენიძე. მისი რექტორობის მოკლე პერიოდში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო მასშტაბური აღმშენებლობის პროცესი და დღემდე გრძელდება; დღითიდე ახლდება და მშვენდება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა; დღეს ტექნიკურ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ერთად სტუ-მ ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულებითაც რეგიონში აღიარებულ ლიდერად გაიმყარა სტუ-მ პოზიცია. სულ უფრო ფართოვდება უცხოელ პარტნიორთა წრე; ამჟამად ტექნიკურ უნივერსიტეტს მჭიდრო და ღრმა ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს ბევრ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრთან, სადაც „სწავლის მძებნელს“ საინჟინრო-ტექნიკური მიმართულებით ცოდნის დაუფლებასთან ერთად, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებითაც შეუძლია. ამის დასტურია ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტი – ბატონი დავითის უშუალო ინიციატივითა და ჩართულობით არათუ რეგიონსა და ჩვენს ქვეყანაში, არამედ თვალუწვდენელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად, მომავალ წელს ჩატარდება მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი – „ჰეგელის კონგრესი“, რომელიც მსოფლიოში ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. ეს ცალსახად

დიდი აღიარებაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლის ტრადიციებისა, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის.

ჩემთვის, როგორც ტრადიციული, საუკუნოვანი უნივერსიტეტის დიდი ოჯახის რიგითი წევრისთვის (31-ე წელია აქ ვმოღვაწეობ), დიდი პატივია ბატონ დავითთან მხარდამხარ შრომა და მაღლობელი ვარ განგებისა, რომ მისნაირი მასშტაბური ლიდერის ხელმძღვანელობით მიწევს მუშაობა. გულწრფელი პატივისცემითა და დაფასებით ვულოცავთ ბატონ დავით გურგენიძეს საიუბილეო მრგვალ თარიღს – დაბადებიდან 60 წლისთავს.

კვლავაც ჩვეული შემართებით გეღვანოთ, ბატონო დავით, თქვენი საფიცარი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ!

ივანე ჯაგოდნიშვილი  
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალური  
მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## გამორჩევის ხასპოვანი



ენერგეტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით მინდა მოგილოცოთ 60 წლის იუბილე, გისურვოთ თქვენი საქმიანობის არც ერთ სფეროში არ დაგლოდეთ ახალ-ახალი წარმატება, იღბალი. სიყვარული და ბედნიერება იყოს თქვენი ჭარმაგი ცხოვრების თანამდევი! იხარეთ მრავალზამინერ ქვეყნის ტექნიკური ინტელიგენციისა და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობისა და უკლებლივ ყველა თანამშრომლის საკეთილდღეოდ!

დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაიბრუნებს ძველ დიდებას და კვლავ გაბრნყინდება მომავლისათვის!

ლენა შატაკიშვილი  
პროფესორი,  
ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი

## ნორიკული ეოლი გზები

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ასწლოვანი არსებობის განმავლობაში პქონდა პერიოდები, რომელიც წარმატებულად ითვლება მისი განვითარებისა და საინჟინრო კადრების მომზადების მძლავრ და ავტორიტეტულ უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბების გზაზე. ამავე დროს, ქვეყანაში განვითარებული სოციალური თუ პოლიტიკური ვითარების გამო, მის ისტორიაში ისეთი პერიოდებიც იყო, როდესაც უნივერსიტეტის არსებობის შენარჩუნებას უკიდურესი ძალისხმევა დასჭირდა.

საბედნიეროდ, უნივერსიტეტს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ უდიდესი მეცნიერები, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ამ სასწავლებლის განვითარებაში, არამხოლოდ საქვეყნო მასშტაბით, არამედ მსოფლიო რეიტინგის თვალსაზრისითაც. სწორედ მათ მოღვაწეობას უნდა ვუმადლოდეთ უნივერსიტეტის დღევანდელ იმიჯს.

ამგვარი გასაფრთხილებელი და დროის მოთხოვნებთან შესაბამისობაში განსავითარებელი მემკვიდრეობა უდიდესი პასუხისმგებლობით მოყვრობას მოითხოვს. ამისთვის მხოლოდ სამეცნიერო მიღწევები როდი კმარა. ადამიანური ურთიერთობების, ლიდერისა და მენეჯერის საუკეთესო უნარ-ჩვეულების მქონე უნდა იყო, რომ ღირსეულად განაგრძო შენი წინამორბედების მიერ დაწყებული საშვილიშვილო საქმე.

ბატონი დავით გურგენიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს სათავეში 2020 წელს ჩაუდგა. იგი მოვიდა ნოვატორული, ამბიციური იდეებით, რომელთა ხორციელებების აუცილებლობა განაპირობა თანამედროვე მოთხოვნებმა. ცნობილია, რომ ყოველგვარი რეფორმა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საზოგადოებაში, ამავე დროს ჩნდება ეჭვი, რამდენადაა შესაძლებელი დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელება. მიუხედავად სკეპტიკური ხედვებისა, ბატონი დავითი მტკიცედ იყო დარწმუნებული ამ რეფორმების სისწორეში და ერთი წუთითაც არ გადაუხვევია დასახული მიზნის მიღწევის გზიდან. ყველას მოქსენებ, რა მძიმე სიტუაცია შეიქმნა ქვეყანაში და მსოფლიოში ავადსახსენებელი პანდემიის გამო. საფრთხის წინაშე დადგა სასწავლო პროცესის წარმართვა. ბატონი დავითის ხელმძღვანელობით შეიქმნა გუნდი, რომელმაც, სირთულეების მიუხედავად, შეძლო სასაწავლო პროცესის გადაყვანა ელექტრონულ პლატფორმაზე. ჩატარდა უამრავი ტრენინგი აკადემიურ, ადმინისტრაციულ და

ტექნიკურ პერსონალთან, გამოიძებნა საშუალებები ელექტრონული სწავლებისათვის მატერიალური ბაზის უზრუნველსაყოფად. ამგვარი ძალისხმევისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგად სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა და უნივერსიტეტმა ღირსეულად გააგრძელა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლისთავი ლირსშესანიშნავი მოვლენაა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, რადგან იგი საქართველოში საინჟინრო კადრების ერთადერთი სამჭედლოა. ბუნებრივია, ამ თარიღს უნივერსიტეტი ვერ შეხვდებოდა ძველი იერსახით. ბატონი დავითის უშუალო ხელმძღვანელობით განახლდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ინფრასტრუქტურა, გარემონტდა და ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ლაბორატორიები და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები. ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ფაკულტეტები, შეიცვალა უნივერსიტეტის სიმბოლიკა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა უნივერსიტეტის რეიტინგი. რექტორის წარმატებულმა მოღვაწეობამ ადმინისტრაციულ და სამეცნიერო სფეროში, განაპირობა ის, რომ არჩეულ იქნა საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის თავმჯდომარედ, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ იგი აკადემიკოსად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად აირჩია.

ბატონი დავითი უდიდეს ყურადღებას უთმობს უნივერსიტეტის საერთაშორისო და საპარტნიორო ურთიერთობების განვითარებას. მისი რექტორად მოღვაწეობის წლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები ევროპის, აზიის, ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან და ავტორიტეტულ სამეცნიერო წრეებთან. მისივე ძალისხმევით უნივერსიტეტში განახლდა სტუდენტური შემოქმედებითი და სპორტული ოლიმპიადები.

60 წელი ის ასაკია, რომელიც შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენს. ბატონ დავითს უამრავი იდეა აქვს და მათ განსახორციელებლად ვუსურვებ ჯანმრთელობას, მრავალი წლის სიცოცხლეს და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში.

ანზორ აბშილავა  
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი,  
პროფესორი

# ქვეყნის ეთიკური ეზირენი

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ღირსეულ მამულიშვილს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ დავით გურგენიძეს.

ცხოვრება მეცნიერს იმ აუცილებელ ტვირთს აჰკიდებს, რასაც იგი იმსახურებს. აქედან გამომდინარე, ბატონი დავითი ყოველდღიურობაში მკვლევარის, აღმზრდელის, საზოგადო მოღვაწისა და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ტვირთს ღირსეულად ატარებს. ეს ჩამონათვალი ბატონი დავითის პიროვნების ღირსებათა მხოლოდ ცალკეული გამოვლინების მიმანიშნებელია, რაც მიახლოებით თუ ასახავს მისი, როგორც მეცნიერის, პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და გამორჩეული მამულიშვილის სამაგალითო თვისებებს.

ბატონ დავითთან ჩემი სამსახურებრივი ურთიერთობა 2021 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 აპრილის N 751 განკარგულებით ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე დღის წესრიგში დადგა კავკასიაში პირველი საერთაშორისო, ევროსტანდარტის, ევროპის სამთო-საგანმანათლებლო სისტემასთან ინტეგრირებული ტრანსდისციპლინური-მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის გახსნის საკითხი, რომელიც უნივერსიტეტის ცხოვრებაში ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ თარიღს, კერძოდ, უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს დაემთხვა, რაც, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ახალი ასწლეულის გარიურაჟზე, უნივერსიტეტისათვის სასიამოვნო სახელმწიფო მისია იყო, ხოლო ჩემთვის, ფაკულტეტის ფორმირების პროცესში ახლად დანიშნული ხელმძღვანელისთვის-სერიოზული გამოწვევა.

ბატონმა დავითმა პირველი შეხვედრისას აქცენტი გააკეთა ქვეყნის მთიან რეგიონებზე, როგორც ტრადიციულად მოსახლეობის დისპერსიული განსახლების, საცხოვრებელი და ეკონომიკური საქმიანობის რთულ ბუნებრივ სივრცეზე, რომელიც მუდმივ მხარდაჭერას საჭიროებს. ის, როგორც რაჭველი და ამავე დროს სპეციალობით ჰიდროინჟინერი, კარგად იცნობს მთის თავისებურებებს.

ბატონმა დავითმა პირველ რიგში მომავალი ფაკულტეტის მისია, მიზანი და ამოცანები საქართველოს ეროვნული აკადემიის

პრეზიდიუმს გაფართოებულ ფორმატში აკადემიის სააქტო დარბაზში გააცნო: თემატურად მიმოიხილა საქართველოს მთიანეთში არსებული გლობალური, რეგიონული, ლოკალური ბუნებრივი გამონვევები და მის ფონზე მთის სოფლების შენარჩუნებისა და ნასოფლარების უკუმიგრაციით შესაძლო აღდგენის, მთის ბუნებრივი რესურუსების კონსერვაციისა და ბუნებრივი კატასტროფების იდენტიფიცირების, პროგნოზირებისა და პრევენციის საკითხები, ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია შეიქმნას პირობები მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სპეციფიკის ადეკვატური და მაღალკვალიფიციური, მთისმცოდნე ექსპერტ-სპეციალისტების მოსამზადებლად საუნივერსიტეტო სივრცე ისეთ დარგებში, რომლებიც დაკავშირებული იქნება: ადგილებზე ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების, სოციალური ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დაწერგვის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურუსების მართვისა და ექსპლუატაციის, სამთო მდგრადი ფერმერული სისტემების განვითარების, ნედლეულის ადგილზე გადამუშავება-ბრენდირების, გასაღების ბაზრის ორგანიზების, ექსტრემალურ გარემოში ანთროპოლოგიური საქმიანობისა და ბუნებრივი გარემოს გეოეკოლოგიურ რისკებთან და გამოწვევებთან.

ბატონი დავითის დავალებით ნაციონალური პრობლემების ეტაპობრივი მოგვარებისათვის ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში, აშშ-ში, კანადასა და აზის ქვეყნებში შევისწავლეთ თავის დროზე მიზნობრივად შექმნილი შესაბამისი სამთო ტრანსდისციპლინური, მთისმცოდნეობის სასწავლო-კვლევითი ცენტრების მუშაობა. ამ მხრივ, ალსანიშნავია ევროპაში, ავსტრიის ალპური მეურნეობის ინსტიტუტი, ვენის ბუნებრივი რესურუსების მართვის უნივერსიტეტი, ჩრდილოეთი იტალიაში-მთის მდგრადი განვითარების სასწავლო კვლევითი ცენტრი, ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტი, ევროპადემია, შოტლანდიაში მთის მდგრადი განვითარების სასწავლო ცენტრი, კანადაში-ალბერტას უნივერსიტეტი, აშშ-ში-მონტანას უნივერსიტეტი და სხვ.

გაირკვა, რომ, როგორც კავკასიის, ისე შუა აზია-ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, ასევე საქართველოს საუნივერსიტეტო საგამანათლებლო სისტემაში აქამდე მთის ტრანსდისციპლინური მდგრადი განვითარების სწავლება არ ხდებოდა მიზნობრივი დანიშნულებით და საერთაშორსო სტანდარტის მთისმცოდნე სპეციალისტების მომზადება, ამის გამოსწორება კი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რექტორისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ევროპის სამთო საგამანათლებლო სისტემასთან საინტეგრაციოდ ევროსტანდარტის, ტრანსდისციპლინური მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის საბაკალავრო სასწავლო-საგამანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციოდ მოსამზადებლად, ზემოთ ხსენებულ უნივერსიტეტებთან დაიწყო აქტიური ურთიერთობა მთის მცოდნე ბაკალავრის სასწავლო პროგრამების მზადებაში მათი აქტიური ჩართულობისა და გამოცდილების გაზიარებისათვის, რაც ქართულენოვანი ოთხი საბაკალავრო სასწავლო პროგრამის (მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება; მთის ორგანული ფერმერული სისტემების მართვა; მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი; მთის ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა) გონივრულ ვადაში მომზადებითა და მათი წარმატებული აკრედიტაციით დასრულდა და ტექნიკურ უნივერსიტეტში მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ფორმირების შემდგომი პროცესი დაიწყო.

სასიხარულოა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის თავისი ტრადიციული გამოცდილებით, მატერიალურ-ტექნიკური, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საგანმანათლებლო რესურუსის მქონე საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ქვეყნისათვის უაღტერნატივო საგანმანათლებლო პროექტის განხორციელების აუცილებლობა გაითავისა და 2021 წლის 7 დეკემბერს აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება უნივერსიტეტის ბაზაზე, კავკასიაში პირველი შესაბამისი ტრანსდისციპლინური, მთათა მცოდნეობის, მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის გახსნის შესახებ და ახლად შექმნილ ფაკულტეტს მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისი პროფილის ევროპის ცნობილ საუნივერსიტეტო სასწავლო ცენტრებთან ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო, ორმაგი დიპლომის გაცემის მიზნობრივი სასწავლო გაცვლითი პროგრამების განხორციელების მყისიერი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა დაეწყო.

მთის მცოდნეობისა და მდგრადი განვითარების ფაკულტეტი უცხოენების გაძლიერებული სწავლებით, აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში – მთიანეთის პრობლემით დაინტერესებულ სტუდენთა სწავლებას, საბაკალავრო სასწავლო პროგრამებზე, ბატონ დავითის მცდელობით, სახელმწიფო აფინანსებს.

ნათქვამია, დიდი პიროვნებები თავისი საქმიანობებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამოირჩევიან სხვებისგან და თავად ქმნი-

ან საკუთარ ბიოგრაფიას. ბატონმა დავითმა ეს ნამდვილად გააკეთა დაბადებიდან 60 წლისთავზე. ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და პირველ რიგში ვუსურვებთ ჯამრთელობას, შემდგომ პერიოდში— ჩვეული ენერგიით ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებას ყველა სფეროში.

ნოე ხოზრევანიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანი,  
პროფესორი

## ორსება კაცისა

ნათქვამია, ხე ნაყოფით იცნობაო, ბატონი დავითი გამორჩეული პიროვნება, მისაბაძი პროფესიონალი და კეთილსინდისიერი კაცია. დიდი ილია ამბობს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ჩვენი რექტორის ცხოვრების გზას სწორედ ეს ფრაზა გასდევს, იგი ზრუნავს მომავალი თაობის ნამდვილ ქართველ მამულიშვილებად აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე... პიროვნება ადამიანის განსაკუთრებული ტიპაჟია, ადამიანი პიროვნებად არ იბადება, იგი თანდათან ყალიბდება გარკვეულ ასაკში. პიროვნება არის თვითცნობიერების მქონე ინდივიდი. ეს ნიშნავს, რომ იგი აცნობიერებს თავის ინდივიდუალურობას, სხვებისგან გამორჩეულობას. მას სამყაროს თავისი ხედვა, მრჩამსი და მისწრაფებანი აქვს. პიროვნება არის საკუთარი „მე“-ს მქონე ადამიანი, რომელიც სხვებისგან გამოირჩევა ქცევითა და აზროვნებით. პიროვნება არა მხოლოდ აცნობიერებს თავის ინდივიდუალურობას, არამედ აქტიურად იბრძვის, რათა გამოავლინოს და დაამკვიდროს იგი. ამისთვის მას სჭირდება შესაბამისი ნებისყოფა.

როგორი უნდა იყოს პიროვნების დამოკიდებულება საზოგადოებისადმი? იგი კრიტიკულად და ობიექტურად უნდა ალიქვამდეს და აფასებდეს სოციალურ გარემოს, რაც მისაღებია, უნდა მიიღოს, ხოლო რაც დასაგმობი—დაგმოს. ის არ უნდა იყოს არც პასიურად შემგუებელი, ე.ი კონფორმისტული, მაგრამ არც უაზროდ მეამბოხე. როდესაც გარდაუვალია კონფლიქტი, პიროვნებას უნდა ეყოს ძალა, გადადგას ეს ნაბიჯი, ამას მოითხოვს მისგან ზნეობა და ხასიათის სიმტკიცე.

ბატონი დავით გურგენიძე, როგორც გამოჩენილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე, დაჯილდოებულია აღნიშნული თვისებებით. როდესაც ასეთ გამორჩეულ პიროვნებაზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა თანამედროვე საზოგადოებრივ ასპარეზზე. ნათქვამია, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო... ბატონმა დავითმა შეძლო გაეხარებინა მშობლების გული და მიეღწია იმ დიდი წარმატებისთვის, რომელიც ღირსეულად, დაუღალავი შრომის შედეგად მოიპოვა. სწორედ აღნიშნულზე მიუთითებს მისი ბიოგრაფია და განვლილი ცხოვრების გზა.

მნიშვნელოვანია ორიოდე სიტყვით შევეხოთ მის ხასიათს: უპირველეს ყოვლისა, არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ბატონი დავითი გარ-

და შრომისმოყვარეობისა და ყველა იმ პიროვნული და პროფესიული ღირსებებისა, რომელსაც ქვემოთ დეტალურად აღვწერთ, გახლავთ მორწმუნე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი;

- ხელი უდევს ეპოქის მაჯისცემაზე, ამიტომ სხვებზე ადრე და უკეთ აცნობიერებს მის მოთხოვნებს და ძირითად მიმართულებებს;
- ნამდვილი ლიდერია, შესწევს დიდი ძალა და ენერგია დასახული მიზნების მისაღწევად;
- აქვს შესაფერისი პიროვნული თვისებები: გამჭრიახი გონება, ალლო, ხალხზე ზემოქმედების უნარი, მტკიცე ნებისყოფა, გამბედაობა.

დავით გურგენიძე, როგორც მისაბაძი ადამიანი, გამორჩეული სიკეთითა და ჰუმანურობით, ნათლად აცნობიერებს განათლებისა და მეცნიერების პროგრესული განვითარების აუცილებლობას. ობიექტური თვალსაზრისით, გამოჩენილი პიროვნების საქმიანობისა და მოღვაწეობის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სამართლიანობის პოზიციიდან და, როგორც დადებითი პიროვნება, ბატონი დავითი ყოველთვის არის სამართლიანი. ამ მოკლე ბიოგრაფიული და სოციალური ექსკურსით იმიტომ ვიწყებთ ბატონი დავით გურგენიძის კონცეპტუალიზებას, რომ არსებულ ვითარებაში ძალიან დასაფასებელია მის მიერ მარადიული ღირებულებების დაცვა და მათადმი ერთგულება, რასაც ხშირად საკუთარი პიროვნული „მეს“ საზიანოდაც კი ახორციელებს.

როგორც ობიექტური და პრინციპული პედაგოგი, რექტორი საოცარი გულისხმიერებით, თანაგრძნობითა და თანადგომით გამოირჩევა სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, მთელი კოლექტივის მიმართ. მისთვის უცხოა ასაკობრივი ზღვარი.

ბატონი დავითისთვის ის ადმინისტრაციული, სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობები, რომლებიც მას სხვადასხვა დროს ეკავა, თბილი სავარძელი კი არ იყო და არის, არამედ საშუალება ჭეშმარიტი, კეთილი საქმეების საკეთებლად, რომლის ძალას ყოველთვის გრძნობენ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები, დოქტორანტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ბატონი დავით გურგენიძის პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი თავდადება და ერთგულება, კიდევ უფრო გამოკვეთილად გამოჩნდა ბოლო 15 წლის განმავლობაში. განსაკუთრებით 2012 წლიდან, როდესაც სასწორზე იდო საქართველოში დემოკრატიის არსებობა. მთელმა მისმა ოჯახმა ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილის მხარდაჭერითა და თანადგომით დაადასტურა, რომ ერთგულია იმ სასიკეთო

ძვრებისა და ტენდენციებისა, რომლის დანერგვასა და ერთგულებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა უახლოეს წარსულში.

ბატონი დავითის ცხოვრებასა და შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს უკავია. ამ უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული მისი მეცნიერულ-ტექნიკური და ჰუმანიტარული შემოქმედება, რომელიც უმთავრესად ტექნიკური, ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული კვლევებითა და ნოვაციებით ხასიათდება და ამავე დროს, კულტურასა და ადამიანური ღირებულებების პრობლემებს ეხება.

აღსანიშნავია, დავით გურგენიძის დამოკიდებულება უფროსი თაობის მეცნიერთა მიმართ, რასაც იყო გამოხატავს მათი მეცნიერული და პედაგოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნებით, მათი სახელის უკვდავყოფით. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ უფროსი თაობის მეცნიერებს მრავალი სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა. ქართული ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა, იერარქიის დაცვა, მოთმინების უნარი, ხასიათის სიმტკიცე, ქალის პატივისცემა, ნებისმიერი პრობლემის წინაშე უდრეველობა, კეთილგონიერება, ნებისყოფა, სამართლიანობა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ღვთის, სამშობლოსა და ოჯახის წინაშე, ის მახასიათებლებია, რომლებითაც შემუშავია ბატონი დავითის პიროვნება, რაც პირდაპირ კავშირშია მართლმადიდებელ ეკლესიასა და ღრმა ქრისტიანულ სულიერებასთან. მისთვის ორგანულია გამორჩეული თავმდაბლობა, სიკეთე, ქველმოქმედება. დიდია მისი როლი მართლმადიდებლური ეკლესიების ამენება-აღდგენის საშვილიშვილო საქმეში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კომუნისტური მმართველობის პირველ ეტაპზე დაიწყო ათეისტური პოლიტიკის აქტიური ქმედებები და მთელი ქვეყნის მასშტაბით ბოლშევიკ-ათეისტებმა დაანგრიეს და მინასთან გაასწორეს მრავალი ეკლესია. მათ შორის ძირფესვიანად განადგურდა წმინდა გიორგის შესანიშნავი ეკლესია სოფელ თლუღში (უძველესი ტოპონიმი „სალხინო“), უკიდურესად შეურაცხყვეს და დააზიანეს სოფელ ხოტევის ეკლესია. ორივე ტაძარი მდებარეობს ამ-ბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ბატონმა დავითმა საკუთარი სახსრებით ააშნა სოფელი თლუღის ტეხისის ეკლესია (რომელიც საძირკველად იყო დანგრეული და დაშლილი), ხოლო სოფელ ხოტევის ეკლესია საფუძვლიანად აღადგინა; ამაზე მეტყველებს შესაბამისი წარწერები ეკლესიების შესასვლელთან.

ამ ქრისტიანული ქმედებების გამო, აღნიშნული სოფლებისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მოსახლეობა, დიდ

მადლიერებას გამოხატავს, რაც აქტიურად აისახა რაიონულ და ცენტრალურ პრესაში.

რაც შეეხება ბატონი დავითის გვარიშვილობასა და გენეალოგიას, ეს ძალიან საინტერესო და მრავლისმთქმელი საკითხია, რომლის გა-სარკვევად დაგვჭირდება მცირე ექსკურსი საქართველოს ისტორიაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი მესხეთ-ჯავახეთის პრობლემური საკითხები, მათ შორის ისტორია ვაჟანის ქვაბებიასა, რომელიც გამოქვაბულების კომპლექსია, კერძოდ, უდაბნო-მონასტერი, VIII-XVI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა და კულტურის ძეგლი ისტორიულ სამცხეში, ასპინძიდან 27 კმ-ის დაშორებით, მტკვრის ზემო დინებაში, მის მარჯვენა ნაპირზე. ეს უძველესი ქვაბთა კომპლექსი, რომელიც მოიცავს ეკლესიას, თარიღდება არაუგვიანეს VIII საუკუნით. უდაბნოს ცენტრში წმინდა გიორგის ტაძარი და ქვაბ-სენაკების ჯგუფი იყო. 1089 წელს ძლიერი მიწისძვრის შედეგად ვანის ქვაბების ცენტრალური ნაწილი ტაძრიან-მონასტრიანად დაზიანდა და გადაიხარა. XII საუკუნის დასაწყისიდან 1191 წლამდე, ვანის ქვაბები გურგენიძეთა ფეოდალური სახლის საგვარეულო მონასტერია. 1186-1191 წლებში მონასტრის პატრონმა იჩქით გურგენიძემ განაახლა მონასტერი, აღადგინა და ძვირფასი ხატებით შეამკო წმინდა გიორგის ტაძარი, მის გვერდით ააგო საგვარეულო ექვტერი და ორივე შესასვლელში თავისი მოღვაწეობის ამსახველი წარწერა გააკეთა. 1204-1264 წლებში იჩქით გურგენიძის შთამომავლებმა მონასტერს დაუნესეს ახალი ტიპოკონი-ვაჟანის ქვაბთა განგება, ხოლო 1265-1283 წლებს შორის ააშენეს წმ. გიორგის ტაძარის კარიბჭე, სამრეკლო და დარბაზული ტიპის ეკლესია.<sup>1</sup>

აქ შეიძლება თამამად და მართებულად გავავლოთ ისტორიული პარალელი საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ეპოქასა და თანამედროვე პერიოდს შორის. იმ პერიოდში ეკლესია-მონასტრების აშენება-აღდგენაში აქტიურად იღვწოდნენ თავადი იჩქით გურგენიძე, მისი შვილები და შვილიშვილები, ხოლო დღეს რაჭაში ამას წარმატებით აგრძელებს ბატონი დავით გურგენიძე. ამას შეიძლება დავუმატოთ არც თუ უმნიშვნელო პატარა ნიუანსი-დავით გურგენიძე არის თავად იჩქით გურგენიძის შთამომავალი.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ გურგენიძეთა გვარი და გენი ძალზე საინტერესო შესასწავლია, რადგან მას „კარგი გვარიშვილობა“ აქვს.

1. იხ. გაფრინდაშვილი გ., არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბებში 1967-1968 წ.წ., წიგნში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმების არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. 2, თბ. 1971, 64

გვარი – გურგენიძე წარმოიშვა სახელიდან გურგენ (არაბული ენა), რაც ნიშნავს „მგლისა“, „მგლური“. ძველი არაბულითა და ირანულით გურგენ აღნიშნავდა: მუდამ ბრძოლას, რკინისებური ნერვების ფლობას, სიამაყესა და უშიშრობას, ძალა ერთობაშია, მგლურ ლირსებასა და დაუმარცხებლობას. აქედან არის ნაწარმოები გვარები: გურგენიძე, გურგენაძე, გურგენიშვილი.<sup>1</sup> გურგენიძეთა გვარი თავისი საინტერესო ისტორიით არის განთქმული. ამ გვარის გამორჩეული ადამიანები ენეოდნენ მრავალწახნაგოვან და მრავალსახოვან მოღვაწეობას, რომელიც არ იზღუდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეკლესია-მონასტრების აშენება-აღდგენით - მათ გაითქვეს სახელი ისეთ სფეროებშიც როგორებიცაა: სამხედრო ხელოვნება, პოლიტიკა, ეკონომიკა და მეცნიერება. ამაზე მეტყველებს როგორც საარქივო მასალები, ისე თანამედროვე პუბლიცისტიკა.

„თავადი გურგენიძენი ძველად იყვნენ თავადი შვილისანი, რომელნიცა გასწყდენ და არავინღა დაშთა გვართა მათგანი, რომელიც ემსახურა მეფესა ირაკლის. ოდეს ნადირშაჰმ წაიყვანა მეფე ირაკლი ინდოეთსა შინა, თან წარყვა მუნ სოლომონ გურგენიძემან. ამისთვის მეფემან ირაკლიმ უბოძა თავადობა და უნიდეს გურგენიძეობა და არიან ესენი წელსა 1714-სა წოდებულადვე თავადად“.<sup>2</sup> აღნიშნული საარქივო ნარატივი ნათლად ასახავს გურგენიძეთა გვარის მრავალსახოვან წარსულსა და დიდებულებას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ღრმად და ახლოს ეცნობი ბატონი დავით გურგენიძის პიროვნებას, მის მეცნიერულ შემოქმედებას, ადმინისტრაციულ-მმართველობით სტილს, კიდევ ერთხელ რწმუნდები იმ მარადიულ ჭეშმარიტებაში, რომ ამქვეყნად ლირებულია არა დალხენილი ცხოვრება, არამედ სულიერი სიმაღლე, რადგან იმგვარი საქმე, რომელიც არ დაიკარგება, ადამიანებისთვის დარჩება, მხოლოდ სულიერი სიმაღლის მქონე პიროვნებამ შეიძლება აღასრულოს.

ვაჟა გურგენიძე  
პროფესორი

1. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ. 1965, 322

2. ქორდანია თ., ქრონიკები, ტომი I, თბ. 2004

## მარტინი რა მოსაზღვის, მარტინი რა მთვარი

ძველ ლათინებს უტყუარი გამონათქვამები აქვთ სიბრძნეზე, ბედ-ნიერებასა და კიდევ ბევრ ცხოვრებისეულ ასპექტზე, მაგრამ რასაც სიკეთეზე ამბობენ, არსად წავწყდომივარ, კერძოდ, გასცე, რაც ზედ-მეტია შენთვის – არ არის სიკეთე, ეს მოწყალებაა და ბევრს შეუძლია, გასცე უკანასკნელი და შენ უქონელი დარჩე, ეს ალტრუიზმია, რითაც ძალიან ცოტაა „დაავადებული“, მაგრამ უდავოდ სიკეთეა – როცა თავად მოიკლებ და დაუმადლებლად სხვას მისცემ, ეს ერთეულებს შეუძლია!... სიკეთე სიცოცხლეა, სიკეთე უპირატესია, როდესაც კეთილ საქმეს აკეთებ, ერთი საფეხურით მაღლა ადიხარ, ხოლო როდესაც სცოდავ–ჩამოდიხარ.

ბატონი დავით გურგენიძის მომხრეები თუ მოწინააღმდეგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ის ყოველთვის უშურველად გასცემდა გასაცემს, პატარა ბიჭობიდან, რისი გაკეთებაც შეეძლო და არ შეეძლო, თავდაუზოგავად აკეთებდა, დღესაც მზად არის გაიღოს სული და გული, მორალურ–მატერიალური ლირებულებები, ფასის მიუხედავად. მისი თავმოსაწონი თვისება ლირსებაა, ამიტომაც არის მისი სიტყვა საქმეში მოსწრებული, ამიტომაც აქვს შეუშლელი პირი და გაუტეხელი ერთგულება. იცის, რომ თუ „კაცი კაცის წამალი“ იქნება, მაშინ ყველა ერთად ქვეყნის, თავის კუთხის წამალი და მალამო გახდება, ამიტომაც ჭარბობს მასში ღვთითკურთხეული სიკეთის ძალა.

ბედნიერებაა, როცა შენი ალმა–მატერის მთავარ მოძღვარს სრულად აქვს გათავისებული სიკეთე, რომელიც პიროვნების თავმოყვარეობის, თავმდაბლობისა და უბრალოების საფუძველია. იმას რა სჯობს, როცა ხელმძღვანელი ძლიერების დემონსტრირებას სუსტის დაჩაგვრით არ ახდენს და აქვს საკუთარი პრინციპები, სწორედ ამიტომაც არის ის სულიერად თავისუფალი და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის ამღები. ის ადამიანია, რომელმაც კარგად იცის, რომ ყველას სჭირდება ხელი, რომელსაც დაეყრდნობა და გული, რომელიც დასატევს დაიტევს და მისატევებელს მიუტევებს.

რამდენჯერაც მოვისმინე ბატონი დავითის გამოსვლა, იმდენჯერ ვირწმუნე, რომ ის ნამდვილად არის გამორჩეული რექტორი, განსაკუთრებული მენეჯერული თვისებებით, რომელიც ჩვენი, პროფესორ-მასნავლებლებისა და უპირველესად სტუდენტი ახალგაზრდების გვერდში მდგომი და თითოეულის თვითრეალიზაციის ხელშემწყობია.

და კიდევ-არც ერთი თანამდებობა და არც ერთი პროფესია არ დგას კაცის ღირსებაზე მაღლა!

უნივერსიტეტში არსებული პრობლემების რთული მოსაგვარებელი რომაა, მასზე უკეთ არავინ იცის, ამიტომაც არ ეპუება სიძნელეებს და მუდმივად ნოვატორული სიახლეების მაძიებელი და დამნერგავია! საამაყოა, რომ ასეთი მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალი, პატრიოტი, სხვისი გაჭირვებისა თუ ლხინის უბადლო გამზიარებელი და სხვა უამრავი ფასუულობის ღირსეულად მატარებელი ადამიანი უდგას სათავეში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს!

სიტყვა „მადლობა“ აქ უადგილოა, მთავარი მადლიერების უსაზღვრო გრძნობაა!

ბატონი დავით, სამოცნლიან ცხოვრების გზას ღირსებით, სიმართლითა და სიყვარულით გადიხართ, ისე, როგორც გეკადრებათ! მოგეცეთ დიდი ხნის სიცოცხლე, იარეთ დღეიდან კიდევ სამოცი და შეგრჩეთ სახელოვანი კაცის სახელი, ჩვენ კი შეგვაძლებინოს უფალმა, ჩვენდამი გამოჩენილი კეთილმოსურნეობა ერთი ათასად დაგიბრუნოთ!

გილოცავთ!

### ნანი ლომაია

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და  
საერთაშორის ურთიერთობების ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი**

**საქართველოს უურნალისტთა შემოქმედებითი  
კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი**

## ქვეყნის მომავალი მომავალი კაცი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს მჭიდრო კონტაქტები აქვს სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერებთან. იგი ჯანსაღი აზრის დასამკავიდრებლად უკან არასდროს იხევს და აღწევს მიზანს, რომელიც უნივერსიტეტისა და სტუდენტთა საკეთილდღეოდ არის მიმართული. ნებისმიერი რამ, რასაც მიზნად დაისახავს, არცთუ მარტივად და დაუბრკოლებლად მიჰყავს იდეალურ შედეგამდე.

იუბილარის მთავარი თვისებაა ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა, ზრუნვა და სიახლეებისკენ სწრაფვა. მისთვის არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია, როგორც ხელმძღვანელი, მეცნიერი, მენეჯერი, მეგობარი, ნებისმიერ ასპექტში უდიდესი ღირსების და ღირებულებების მატარებელი კაცია, მასთან მუშაობა პასუხისმგებლობაც არის და გამოცდილებაც.

აკადემიური მიმართულებების შესაბამისად (იგი არის ინჟინერ-პედიდროლოგი, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი, სამართლის მეცნიერების მაგისტრი) 2020 წლიდან ის აქტიურად არის ჩართული გლობალური კრიზისების შედეგად დამდგარი გამოწვევების, როგორც საინჟინრო-ეკოლოგიური, ისე სამართლებრივ-ეკოლოგიური, დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური პრობლემების განხილვა-გაანალიზებაში, რომლებიც თანამედროვე დასავლურ საზოგადოებას კოვიდ-19-ისა და რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული სოციალური კრიზისების შედეგად დაუდგა. ამ პრობლემებმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი ევროპული დემოკრატიული საზოგადოების ტრანსფორმაციისა, რადგან არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი ფორმები არასაკმარისი აღმოჩნდა მათი ადეკვატურად გადაჭრისთვის. ამ პერიოდში დავით გურგენიძის რედაქტორობით გამოიცა ორი ინტერნაციონალური კრებული, სადაც გამოქვეყნდა მისი სტატიები: Covid-19 – ადამიანური კრიზისი და გამოწვევა“ და „ეკოლოგია და ბუნების დაცვა-სამართლებრივი, ადამიანის უფლებრივი და ეთიკური ასპექტები“.

ორივე ნაშრომში გაანალიზებულია ბატონი დავითის ხედვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რეფორმირებისა და განვითარების, ახალი კვლევითი სტრუქტურების შესახებ. განსაკუთებით უნდა გამოვყოთ მისი კონცეპტუალური ხედვა კლასტერებთან დაკავ-

შირებით, რომელშიც დეტალურადაა გაანალიზებული: „კლასტერები, როგორც მაღალი რანგის სწავლის, სწავლებისა და კვლევის სტრუქტურები“.

უნდა აღინიშნოს უცხოენოვან ინტერნაციონალურ სამეცნიერო კრებულში Europe in the Time of Plague (Ed. By D. Engels and Z. Krasnodebski, Warsaw-Krakow 2022) მისი პუბლიკაცია “Covid-19: A Human Crisis and great Challenge“ (Ed. By Z. Krasnodebski, Bruselles 2022)“, რომელშიც გამოქვეყნდა ბატონი დავით გურგენიძის და ჩემი ერთობლივი სტატია „Nation States and Globalization“.

დავით გურგენიძემ ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ჩაატარა დისკუსიები თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფილოსოფისთან-მარკუს გაბრიელთან და სხვა უცხოელ კოლეგებთან თემაზე – „საუბარი პანდემიით გამოწვეულ კრიზის-სა და მომავლის საზოგადოების ხედვაზე“, ასევე ცნობილ ევროპელ სოციოლოგთან, ევროპარლამენტარ ზდისლავ კრასნოდებსკისთან – „პოსტკრიზისული ევროპის მდგომარეობა“.

ბატონმა დავითმა ჩაატარა სემინარები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტებთან და ახალგაზრდა მკვლევარებთან პანდემიით გამოწვეულ კრიზისსა და მომავლის საზოგადოების ხედვებზე. იგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი, სოციალური, პოლიტიკური პრობლემების აკადემიურ დისკუსიებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სწორედ მისი დიდი დამსახურებით საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მოიპოვა ჰეგელის საერთაშორისო კონგრესის მასპინძლობის უფლება, რომელიც 2024 წლის 30 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდება დევიზით - „სიკეთის იდეა და ზნეობრიობა ჰეგელის ფილოსოფიაში“.

მისივე სელშეწყობით გამომცემლობა „მერიდიანი“ მაღე გამოსცემს – გ.ვ.ფ. ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის“ ქართულ თარგმანს. ასევე, მისი მხარდაჭერით ქართულად ითარგმნა და გამოსაცემად მზადდება გ.ვ.ფ. ჰეგელის „რელიგიის ფილოსოფია“, იმანუელ კანტის „პოლიტიკური წერილები“ და პროფ. მარკუს გაბრიელის შრომები – „რატომ არ არსებობს სამყარო“ და „მორალური წინსვლა ბნელ დროებაში“.

ბატონი რექტორი აქტიურად იღვნის ქართველი ახალგაზრდა სწავლულების საერთაშორისო-აკადემიურ პლატფორმებში ინტეგრაციისათვის, მისი კონცეპტუალური ხედვა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ტრანსფორმაციის საკითხების თაობაზე, სრულ თანხ-

ვედრაშია თანამედროვეობის ყველაზე ცნობილ ევროპელ მეცნიერთა მოსაზრებებთან.

ბატონ დავითს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ დღე-გრძელობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კვლავაც სიმტკიცით, მიზანდასახულობით, პრინციპულობითა და სამართლიანობით აღეს-რულებინოს ყველა ის მიზანი, რაც კიდევ უფრო მეტ ღირსებასა და პატივისცემას შესძენს, როგორც ქვეყნის მომავალზე უსაზღვროდ მოამაგე ადამიანს.

**მამუკა ბერიაშვილი  
პროფესორი**

# პატილებანეურიაციი და კონსერვაციის ხალდოვანი

ბატონ დავითს პირველად რამდენიმე წლის წინ დისერტაციის დაცვაზე შევხვდი. როგორც საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობის სადისერტაციო საბჭოს წევრმა, რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვი. დამსწრეთაგან ერთ-ერთი, რომელიც პრეზიდიუმში იჯდა, ყურადღებით მისმენდა და გამოსვლის შემდეგ ჩემ შენიშვნებს დაეთანხმა. ოლონდ მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემი მხარდამჭერი

რექტორი იყო, რადგან მას პირადად არ ვიცნობდი. ისე მოხდა, რომ იმავე სიტუაციაში კიდევ რამდენჯერმე შევხვდით. ბატონი დავითი ამჯერადაც ყურადღებით ისმენდა ჩემს მოსაზრებებს სადისერტაციო ნაშრომების შესახებ და კვალიფიციურ აზრს გამოთქვამდა. როცა გავიგე, რომ ჩემს პოზიციებს რექტორი ეთანხმებოდა, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, რადგან ბატონი დავითი— ტექნიკური დარგის მეცნიერი – ასე ადეკვატურად აღიქვამდა საერთაშორისო ურთიერთობებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

შემდეგ იყო სტუ-ის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგადაც უვროპამცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი გავხდი, ხოლო მალევე რექტორისგან მივიღე შეთავაზება პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე დანიშვნის შესახებ. ბატონმა დავითმა გამაცნო თავისი მოსაზრება დეპარტამენტის განვითარების შესახებ და მუშაობაში მაქსიმალური მხარდაჭერა აღმითქვა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც დეპარტამენტს ვხელმძღვანელობ, ნამდვილად ვგრძნობ რექტორის მხარდაჭერას, ვიღებ საჭირო რჩევებს მისგან, რაც მუშაობის ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი საწინდარია.

თანამშრომლობამ ბატონი დავითი დამანახა, რომ ეს ერთი შეხედვით მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, კეთილგანნყობილი და კონსტრუქცი-



ული ხელმძღვანელი, ქარიზმატული პიროვნებაა. თავისი საქმიანობითა და პიროვნული თვისებებით იგი ყოველთვის გამორჩეულია და ამიტომ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

დავით გურგენიძის, როგორც წარმატებული ლიდერის საქმიანობა ნამდვილად დაეტყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. ვფიქრობ, შინაგანად იგი ესთეტი ადამიანია და შინაარსთან ერთად, მისთვის ფორმაც მნიშვნელოვანია. ამის დასტურად გამოდგება გარემონტებული და გალამაზებული ადმინისტრაციული კორპუსის ინტერიერი, რომელიც თანამშრომელთა და უნივერსიტეტის სტუმრების აღფრთვანებას იწვევს. განსაკუთრებით ღირებულად მიმაჩნია მისი ინიციატივით გამოფენილი ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული იმ ადამიანთა პორტრეტები და მათი განუზომელი წვლილის აღიარება, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით არამარტო სტუ-ის დაარსებასა და განვითარებაში, არამედ ქვეყნის აღმშენებლობაში.

წინა ხელისუფლების პირობებში საქართველოს განათლების სისტემას, მათ შორის ტექნიკურ უნივერსიტეტსაც, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ სტუ-ს არ გააჩნია ჯეროვანი რესურსი თანამედროვე საქართველოს განვითარებაში წვლილის შესატანად. ამგვარმა მიდგომამ უნივერსიტეტის და, ზოგადად, ქართველი სპეციალისტების ღვაწლის უსამართლოდ დაწინებას შეუწყო ხელი.

ბატონი დავითის რექტორად დანიშვნასთან ერთად, ალორძინდა საიცოცხლო მნიშვნელობის იდეა, რომ საქართველოს თავისი ეროვნული კადრების მეშვეობით შეუძლია გაუმკლავდეს თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებსა და გამოწვევებს. ამის ნათელი დასტურია წარმატებები, რასაც სტუ ბოლო წლებში აღწევს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მიმართულებებით.

იმედს გამოვთქვამ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს წინ კიდევ ბევრი გამარჯვება ელის ბატონ დავით გურგენიძის ხელმძღვანელობით. კულოცავ მას 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და შემდგომ წარმატებებს როგორც უნივერსიტეტის, ისე ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

### თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

# მომავლის ჩრდილო განზიარები

ბატონ დავით გურგენიძეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მრავალმხრივი და ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორია აქვს. ეს ურთიერთობა დასაბამს სტუდენტობიდან იღებს და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა კაცის არჩევანი იმთავითვე მტკიცედ და მიზანმიმართულად იყო გააზრებული მას ქვეყნის უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი, უპირველესად იზიდავდა თავისი დიდი საინჟინრო და სამეცნიერო „თავგადასავლებით“ და ამ ურთიერთობამ განსაკუთრებულ დონეს მიაღწია მაშინ, როცა 2020 წელს იგი უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ერთსულოვნად აირჩია მშობლიური უნივერსიტეტის რექტორად. მემკვიდრეობა, რომელიც მან მიიღო, განსაკუთრებულია, რადგან მას უნდა წარემართა დიდი საინჟინრო შესაძლებლობებისა და მემკვიდრეობის მქონე განათლების ერთ-ერთი უძველესი კერა საქართველოში.

როდესაც იგი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ლვანლმოსილი წარმომადგენლების მიერ ხელდასმულ იქნა უნივერსიტეტის თავკაცად, უპირველეს ყოვლისა, ბატონი დავითი დაეყრდნო იმ დიდ ნდობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, რომელიც მას აკავშირებდა ამ დიდი ოჯახის თითოეულ წევრთან. დღეს კიდევ უფრო მასშტაბურია ის იდეები, რომელთა განხორციელებას არა ერთი და ორი წელი დასჭირდება უნივერსიტეტში. აშკარაა, რომ მისი მმართველობის სტილმა და ამ მრავალწესნაგოვანმა ინტერესებმა უკვე შექმნა დიდი ნდობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე აყვანის ობიექტური კონტურები. მისი თაოსნობით გახსნილმა ახალმა საინჟინრო მიმართულებებმა იმდენად მიიზიდა ქვეყნის ახალგაზრდობა, რომ დღეს, მთლიანად და სავსებით სამართლიანად, აღძრა მათი ინტერესი ტექნიკური მეცნიერების მიმართ.

აქტუალურმა სამეცნიერო და სასწავლო ცვლილებებმა განუმეორებელი ხიბლი შესძინა უნივერსიტეტის როგორც შინაგან, ასევე გარეგანიერსახეს. ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი ლვანლმოსილ პროფესორ-მასწავლებელთა და მოტივირებულ ახალგაზრდა ინჟინერ-მკვლევართა კონტიგენტისგან შედგება. საერთაშორისო ასპარეზზე მათ გაყვანას, ბატონი დავითი უძლვება მეცნიერთა გუნდთან ერთად. დღეს აშკარაა, რომ ქართული საინჟინრო მემკვიდრეობა მდგრად განვითარებას განიცდის და ამ პროცესის ფლაგმანი ტექნიკური უნივერსიტეტია.



ორმხრივი თანამშრომლობით უნიკალური პროექტები ხორციელდება უნივერსიტეტსა და ევროპულ საინჟინრო ცენტრებს შორის. რექტორის უშუალო მონაწილეობით ურთიერთობის სრულიად ახალ ფორმებს ჩაეყარა საფუძველი ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, რაც იმდენად მაღალი დონისა აღმოჩნდა, რომ დღეს უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა და ლაბორატორიები, არაერთი ევროპელი თუ ამერიკელი ცნობილი მეცნიერისთვის სასურველი სამოღვაწეო ობიექტი გახდა. ცვლილებისა და გარდაქმნების ფონზე, ბატონი რექტორის ძალისხმევით, უფრო და უფრო ვითარდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მსოფლიოს მრავალი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ურთიერთობა, მათ შორის აშშ-ის ერთ-ერთ გამორჩეულ უმაღლეს სკოლასთან, კერძოდ, სან-დიეგოს უნივერსიტეტთან, რამაც ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მსურველთა ოდენობა უცხოეთში მკვეთრად გაზარდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების უმრავლესობას ეუფლებიან ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერები, რომელთა შორის ახალგაზრდა მკვლევარ-მეცნიერთა წილი შთამბეჭდავია. მთავარი ამჟამად ქართული ინჟინერიის განვითარებაზე პერმანენტული ზრუნვაა. ხვალინდელი დღის სწორად აღქმამ, საშუალება მისცა უნივერსიტეტს, დაარსებულიყო ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც ლოგიკურ შედეგზეა ორიენტირებული.

დღეს არაერთმა ახალგაზრდა ინჟინერ-მკვლევარმა სწორედ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პპოვა თავისი ნოვატორული მეცნიერული აზროვნების განვითარების მყარი საფუძველი. ხორციელდება ახალი საინჟინრო-ტექნოლოგიური პროგრამები, რომელთა ამოქმედებაში ბატონ დავითს, როგორც თანამონაწილესა და ორგანიზატორს, მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი უკავია.

მომავლის რწმენით გააზრებული სამეცნიერო-პედაგოგიური ცხოვრება, რომელიც უნივერსიტეტის ყველა დეპარტამენტს მოიცავს, ქართულ საინჟინრო ტრადიციებზე დაყრდნობით ვითარდება. სრულიად ახალი სამეცნიერო ინტერესები გაუჩნდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაერთიანებულ მრავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რაც ადასტურებს, რომ დღეს ტექნიკური უნივერსიტეტი არამხოლოდ უმაღლესი სასწავლო კერაა, არამედ უმსხვილესი სამეცნიერო ცენტრების მძლავრი გაერთიანებაც და ქართული სახელმწიფოს აკადემიური შესაძლებლობების წარმოჩენის ასპარეზიც.

სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ახლებური სინთეზი, რომელიც რეგულირის მესვეურობით განხორციელდა, უპირველესად მიანიშნებს იმ ახლებურ შეხედულებებზე, რომელიც ძალუმად აღიქმება მისი ხელმძღვანელობის ოთხი წლის განმავლობაში. აზროვნება ახლებური მაშინაა, როცა ადამიანი ხედავს იმ შესაძლებლობებს, რომლის გააზრებაც სხვათათვის ნაკლებად ხილულია. აღქმის მომადლებული ბუნება ქმნის იმ რეალურ არქიტექტურას, რომელიც დღეს ბატონი დავითის ხელმძღვანელობით ხორციელდება საქართველოს უპირველეს ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში. უდიდესი დათმენითა და რუტინული შრომით უნივერსიტეტში შეიქმნა აღორძინებისა და განვითარების სრულიად ახლებური სისტემა. უაღრესად გახშირებული, თითქმის ყოველდღიური სამეცნიერო ურთიერთკავშირი ეპროპელ და ამერიკელ კოლეგებთან, მათი რეალური დაინტერესება უნივერსიტეტის მეცნიერული პოტენციალით, გახდა იმის საფუძველი, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთა რეიტინგში ბოლო წლებში მუდმივად და დამაჯერებლად იზრდება.

ბატონი დავით გურგენიძის უდიდესი პოტენციალი მის ყოველდღიურ საქმიანობაში აისახებ, მისი მშობლიური უნივერსიტეტი კი ის დიდი და მასშტაბური სურათია, რომელიც არასდროს ჩამოიხსნება მისი სულის კედლებიდან.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა და რექტორი – როგორ კლასი-

კურად გამოიყურება ეს ერთიან იდეაში ჩაკირული და ჩადუღაბებული ტანდემი! ბიბლიოთეკა რექტორის მზრუნველობისა და დიდი ყურადღების ქვეშაა მოქცეული. ყოველდღიურად, როდესაც ის უნივერსიტეტში შემობრძანდება, ჩვენი ჩუმი დაკვირვებით, მისი პირველი მზერა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისაკენაა მიმართული და სამუშაო დღე, რომელიც ყველა მის კოლეგაზე დიდხანს გრძელდება, კვლავაც ბიბლიოთეკასთან გამომშვიდობებით მთავრდება.

ამიტომაც, მოკეთისა თუ ნაკლებადმოკეთის ალიარებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ერთ-ერთ გამორჩეულ სივრცედაა ალიარებული-ყოველი მნიშვნელოვანი სამთავრობო და სამეცნიერო დელეგაციის მარშრუტი აუცილებლად ამ სივრცეში გადის. და კიდევ ერთი დაკვირვებაც-ბატონი დავითი შესანიშნავად „ფლობს“ საბიბლიოთეკო-საგამოფენო სივრცეს, ზედმიწევნით იცის ექსპონატების ისტორია და, რაც მთავარია, ჩვენთან ერთად, თვალის ჩინივით უფრთხილდება ყველა იმ უნიკალურ გამოცემას, რომელთა შორის უძველესი 1770 წელს პარიზში დასტამბული მათემატიკაა. საოცრად სასიამოვნო სამზერია, როდესაც რექტორი დაწვრილებით უყვება სტუმრებს XVIII-XIX საუკუნის წიგნების, განსაკუთრებით კი იმ უნიკალური ენციკლოპედიების შესახებ, რომლებიც იმ ქვეყნებშიც კი, სადაც გამოიცა, უკვე იშვიათ გამოცემათა წუსხაშია შეტანილი.

სიჭარმაგეში შესვლა არის ის ხანა, როდესაც ნებისმიერი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მათ შორის აკადემიკოსი დავით გურგენიძე, დამსახურებული სიამაყით გადახედავს თავის განვლილ გზას და იმავდროულად კვლავაც იგრძნობს უდიდეს პოტენციალს, მაღალი ღირსებით განახორციელოს უნივერსიტეტისა და სახელმწიფოს სამსახური, ასევე მისთვის ჩვეული მამობრივი მზრუნველობით გააცილოს ყოველი სტუდენტი ცხოვრების დიდ გზამდე.

მრავალუამიერ, ბატონო დავით!

ვაჟა პაპასკირი  
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორი,  
პროფესორი

# ორსაული პიროვნება და გაცისხირი ხალაზანი

ადამიანისთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, უძღვებოდე შესანიშნავი ტრადიციების მქონე უმაღლეს სასწავლებელს -საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. რექტორის თანამდებობაზე ბატონი დავით გურგენიძის აირჩევა COVID-19-ის პანდემიის ურთულეს პერიოდს დაემთხვა. მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დადგა. საუნივერსიტეტო ცხოვრება ახალი დღის წესრიგისა და სასწავლო პროცესებში არსებულ კომუნიკაციის პრობლემების გადაჭრის მექანიზმების შემუშავებას მოითხოვდა. ამ დროს, სახელმწიფოები და საზოგადოება გარკვეულ პროგრამებს ადგენენ. დიდი და ძლიერი (ეკონომიკურად და პოლიტიკურად) სახელმწიფოები თავის თავზე იღებენ არა მხოლოდ პრობლემების გადაჭრის გეგმების შემუშავებას, არამედ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას. სტუ-ის რექტორმა შესანიშნავად გაართვა თავი სრულიად ახალ გამოწვევას და უნივერსიტეტში ონლაინ სწავლების პლატფორმები მყისიერად ამოქმედა, ისე, რომ პანდემიის დროს ჯერ დისტანციური, შემდეგ კი ჰიბრიდული სასწავლო პროცესი სრულყოფილად მიმდინარეობდა.

შეიძლება ჩამოვთვალო დავით გურგენიძის რექტორობის დროს განხორციელებული მრავალი სიახლე, რომელიც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სასიკეთოდ განხორციელდა. ჩემთვის, როგორც ამ სასწავლებლის პროფესორისთვის, ყველაზე დასამახსოვრებელი უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება იყო, რომელიც აღინიშნა „ფაკულტეტის დღის“ ფარგლებში. ბატონი დავითის ამ შესანიშნავმა ინიციატივამ დიდი მოტივაცია მისცა ყველას. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის ორგანიზებით ეს თარიღი საზიმოდ აღინიშნა. ღონისძიებებზე სტუმრებს აცნობდნენ ფაკულტეტების ისტორიასა და წვლილს უნივერსიტეტის წარმატებაში.

ბატონმა დავითმა დიდი გულისხმიერება და მადლიერება გამოხატა ყველა თანამშრომლის მიმართ და დამსახურებულ, ღვაწლმოსილ ადამიანებს ჯილდოები გადასცა. მათ შორის მეც-დავჯილდოვ-დი ოქროს მედლით: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე განეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის“, რაც ჩე-

მთვის დიდი სტიმულის მომ-  
ცემია და ბატონ დავითს დიდ  
მადლობას უუხდი დაფასები-  
სათვის.

დარწმუნებული ვარ, ბა-  
ტონი რექტორის შესანიშნავი,  
ადამიანური თვისებები მისი  
გულითადი დამოკიდებულე-  
ბა პროფესორებისა და სტუ-  
დენტებისადმი, კიდევ მრავ-  
ალჯერ გამოვლინდება. ეს  
უდიდესი პასუხისმგებლობაა  
თითოეული ჩვენგანისთვის.

ბატონ დავითს გულითადად ვულოცავ საიუბილეო თარიღს. ვუ-  
სურვებ უფლის წყალობას ძვირფას ოჯახთან ერთად და ხანგრ-  
ძლივ, ნაყოფიერ შემოქმედებით და პრაქტიკულ საქმიანობას.



**გუგული ყურაშვილი  
პროფესორი**

# ლამაზერის ფილო

## ნარისტურის ქადენაცაც

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი 2017-20 წწ.-ში იყო დავით გურგენიძე-სამაგალითო ლიდერი, რომლის ხელმძღვანელობითაც ფაკულტეტმა არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. სტუდენტური წარმატებების ერთგული თავკაცი დავით გურგენიძე პრიორიტეტს ანიჭებდა სამშენებლო ფაკულტეტის თითოეული სტუდენტის კეთილდღეობასა და წარმატებას, გამოირჩეოდა სწავლების უახლესი მეთოდებისა და ინოვაციური კვლევების დანერგვით, დაუღალავად მუშაობდა ფაკულტეტის სრულიად ახალი ინფრასტრუქტურული გარემოს შესაქმნელად.

დავით გურგენიძის ღია კარის პილიტიკამ და ურთიერთთანამშრომლობისადმი მიდგომამ, წარმატებით გააერთიანა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მკვლევარები და სტუდენტები და შექმნა ძლიერი აკადემიური საზოგადოება.

აკადემიური მიღწევების გარდა, დავით გურგენიძემ გადამწყვეტი როლი შეასრულა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობასა და მეცნიერული კავშირების დამყარებაში, რამაც უზრუნველყო, ფაკულტეტი დარჩენილიყო მშენებლობაში მიღწევების სათავეში.

დავით გურგენიძე არის დიდი მეცნიერი, რომლის წვლილი სამშენებლო სფეროში ფართოდ არის აღიარებული.

დავით გურგენიძე სამშენებლო ფაკულტეტისთვის დარჩება, როგორც ლიდერობის საუკეთესო მაგალითი. მისმა ხედვამ, ფაკულტეტისადმი თავდადებამ და სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვამ, ფასდაუდებელ ლიდერად აქცია. ის ყოველთვის იჩიევდა განვითარების ისეთ კურსს სამშენებლო ფაკულტეტისთვის, რომელიც ხასიათდებოდა ინოვაციებით, წინდახედული, აკადემიური აზროვნებით.

დავით გურგენიძე, რომელიც ყოველთვის დინამიკური ლიდერია, მადლითა და დიდი ენთუზიაზმით ეჭიდება აკადემიურ სირთულეებს. მისი უნარი, მოერგოს ცვალებად გარემოს და დაარწმუნოს გარშემომყოფები იმაში, რომ მიუღწეველი არაფერია, ნამდვილად დასაფასებელია.

დავით გურგენიძე ხელს უწყობს გარემოს, სადაც ხორციელდება იდეები, ინტერდისციპლინური თანამშრომლობა და ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი წვლილი შევიტანოთ სამშენებლო ფაკულტეტის კოლექტიურ წარმატებაში.

დავით გურგენიძემ, როგორც ABE აკრედიტაციისთვის ინოვაციური კურიკულურების შემქმნელმა, განახორციელა სამშენებლო ფაკულტეტის საგანმანათლებლო შეთავაზებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მუდმივად განვითარებად სამშენებლო ინდუსტრიაში წარმატების მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევებითა და ცოდნით აღჭურვას.

დავით გურგენიძის გამორჩეული მიღწევების, მისი ურყევი თავდადების, ლიდერობისა და დამსახურებული აღიარებების დასტურია სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად და საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩევა.

რექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობა კიდევ უფრო უსვამს ხაზს მის გავლენას ფართო საგანმანათლებლო ლანდშაფტზე. მისმა საქმისადმი ერთგულებამ, სტრატეგიულ შეხედულებებთან ერთად, არა მხოლოდ აამაღლა სამშენებლო ფაკულტეტის სტატუსი, არამედ წარუშლელი კვალი დატოვა მშენებელთა ფართო აკადემიურ საზოგადოებაში. თქვენთან ურთიერთობა არის შთაგონება ყველასათვის, ვისაც თქვენთან ერთად მუშაობის ბედნიერება ჰქონია.

დაე, თქვენი მომავალი კვლავ სავსე იყოს იმავე დონის წარმატებებითა და ინოვაციებით, რამაც მიგიყვანათ ამ დამსახურებულ ეტაპებამდე.

მარინა ჯავახიშვილი  
სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

# ლ ი ქ ნ ე ბ ა ი მ ი ხ ი ს ნ ა კ ა რ ა ბ თ ა ც ლ ა რ ი ც ი ს ხ ა ს ა ვ ი ტ

ბუნებაში ერთმანეთზე ისე პირდაპირ არაფერია დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე მისი ერის ბედ-ილბალი, ხოლო მოქალაქის ზნეობაზე-სახელმწიფოს ავ-კარგი. ისინი ერთმანეთთან დიალექტიკურ კავშირში იმყოფებიან. ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, პირად მოთხოვნილებებს ერისა და სახელმწიფოს საჭიროებებს უსადაგებს.

ადამიანებისადმი ღირსეული მოპყრობა ყოველგვარ ცოდნაზე მაღლა დგას. პიროვნება, რომელშიც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძნობა სხვა თვისისებებს ჭარბობს, შეუძლებელია არ იყოს ღირსეული პედაგოგი და შემდეგ ხელმძღვანელი, რა ზომითაც არის ხსენებული ღირსებები მასში მოცემული....

ბატონი დავითი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი ლიდერია. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, რა თანამდებობა ან წოდება აქვს, რამდენს გამოიმუშავებს, რამდენად პოპულარული ან ცნობილია. ის მზად არის ყოველგვარი საზღაურის გარეშე აკეთოს სამშობლოსათვის, საზოგადოებისათვის ღირებული საქმეები, გახდეს მაგალითის მიმცემი სტუდენტებისთვის, დაეხმაროს პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობების გამოვლენაში, გაამხნევოს და სტიმული მისცეს ადამიანებს, საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა, შეუპოვრად იაროს დასახული მიზნისკენ. ის მოქმედებდა და მოქმედებს პრინციპით: „სიმართლისთვის ტანჯვაც რომ მოგიწიოთ, ნუ შეშინდებით და ნურც შეძრნუნდებით“.

გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ლიდერი არის მხოლოდ პოლიტიკური ფიგურა ან ორგანიზაციის ზედა რგოლის მენეჯერი, ვინც პასუხისმგებელია სახელმწიფოს ან კომპანიის განვითარებაზე. ეს მიდგომა მცდარია, ლიდერი არ ჯდება თანამდებობის ან ტიტულის ჩარჩოებში, იგი ისევე არის პასუხისმგებელი ქვეყნის კეთილდღეობაზე, როგორც რომელიმე პოლიტიკური ფიგურა.

ინიციატივის გამოჩენა და ღირებული საქმეების კეთება შესაძლებელია მრავალი მიმართულებით, შესაბამისად, კითხვაზე-როგორი უნდა იყოს ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი უმაღლებელი სასწავლებლის პირველი პირი, ამაზე უნივერსალური პასუხი არ არსებობს, ეს დამოკიდებულია არსებულ სიტუაციასა და ადამიანთა მზაობაზე. მიუხედა-

ვად ამისა, არსებობს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა წარმატების მიღწევაში.

აღნიშნული თვალსაწირიდან სტუ-ის რექტორისათვის უმნიშვნელოვანესია ადამიანთა ნდობის მოპოვება. ნდობა კი განისაზღვრება, როგორც ორი ელემენტის კომბინაცია: ხასიათისა და კომპეტენციისა, რაც უხვად აქვს მომადლებული ბატონ დავითს. ხასიათში გამოიხატება, რამდენად შეესაბამება ამა თუ იმ პიროვნების მოქმედებები მის ფიქრებსა და ზრახვებს, კომპეტენცია კი ტექნიკური და საოპერაციო ცოდნაა საქმისა, რომლის განხორციელებაც იგეგმება. ხასიათი დაკავშირებულია პიროვნული ღირებულებებთან. შესაბამისად, ხასიათის ფორმირება შესაძლებელია სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებით, რაც გამოიხატება შემდეგ ქმედებებში: მყარ პოზიციაში, ხშირად აზრის არშეცვლაში, დაპირებების შესრულებაში, ეთიკის ფარგლებში მოქმედებაში, თუნდაც არაპოპულარული, მაგრამ საქმისათვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმაში, სამართლიანობაში, საკუთარი მანერების კონტროლში – მოსმენაში და ამით სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის იმის ჩვენებაში, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია. ანუ ეს არის გზა, რომელიც მას აქვს არჩეული სამშობლოს მსახურებისათვის. ეს გზა კი აღინიშვნება სიტყვებით – „არა იმისთვის, რომ ემსახურონ, არამედ იმისთვის, რომ თავად ემსახუროს“.

ჩვენი უნივერსიტეტის პირველ პირს, ხასიათან ერთად, აქვს შესაბამისი კომპეტენცია; ის აყალიბებს სტუ-ის განვითარების მიზნებს; სახავს გეგმებს და აცნობს ამ საქმით დაინტერესებულ ადამიანებს; გვერდს არ უვლის პროფესორ-მასწავლებლებს, ეძებს მათი გადაჭრის გზებს. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს უზიარებს ახალ იდეებს; საჯაროდ ხსნის, რა განაპირობებს მის მოტივაციას; ყოველთვის მზად არის მოისმინოს განსხვავებული აზრი, რითაც აძლევს სხვებს საშუალებას, წარმოაჩინონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.

აკადემიკოს დავით გურგენიძეს ერთ-ერთი, რაც სხვებისგან გამოარცევს, ძლიერი ემოციური ინტელექტია. ეს არის საკუთარ თავზე დაკვირვების ხელოვნება – როგორი რეაქცია გაქვს მოვლენებზე, რა შედეგები მოჰყვება სხვადასხვა ემოციების გამოვლინებას.

სხვათა ემოციების მართვის საწყის ეტაპზე იგი წარმატებით ახ-ერხებს სხვათა უარყოფითი ემოციების აღმოჩენასა და შეჩერებას. ამისთვის ყურადღებას აქცევს მისი გუნდის წევრების მოტივაციას, ენას ჯგუფური მუშაობის დროს, ურთიერთობის ნორმებს, არ ერიდე-

ბა თანაგრძნობის გამოხატვასა და სხვების მიერ გაწეული შრომის სათანადოდ შეფასებას.

ბატონი დავითი ყოველ ინდივიდს ხედავს, როგორც უნიკალურს, რომელიც, შესაბამისად, განსხვავებულად აღიქვამს სამყაროს, ამიტომ პერიოდულად მიმართავს „მათ ენაზე“ საკითხების ახსნას, რის მეშვეობითაც აღწევს შეთანხმებას. მას სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან დამოკიდებულება აქვს არა მხოლოდ, როგორც ხელმძღვანელს, არამედ, როგორც მეგობარს. არ არსებობს ვინმე რჩევისა და დახმარებისთვის მისულიყო და ჩვეული ყურადღებით არ მოპყრობოდა, არ გაეწიოს დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში

ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელად დავით გურგენიძის არჩევა დროში დაემთხვა საქართველოს ამ სახელოვანი სასწავლებლის დაარსებიდან საუკუნოვან იუბილეს, რაც რექტორის ხელმძღვანელობით დიდებულად აღინიშნა. ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანეს-მა ცოდნის კერამ მიზნად დაისახა ისეთი რეალური პერსპექტივები, რომლებიც დიდად წაადგება დამოუკიდებლობის გზაზე მყარად მდგარ სახელმწიფოს მშენებლობას.

ამიტომაცაა ფსალმუნში ნათქვამი:

„და იქნება იგი წყლის ნაკადებთან დანერგილი ხესავით, თავის დროზე რომ იძლევა ნაყოფს, ფოთოლი მისი არ ჭენება და ყოველივ-ეში, რასაც იქმს, წარმატებულია“.

**ედიშერ გვენეტაძე  
პროფესორი**

# გელათის კედები ხახულიშვილი

დავით გურგენიძე—ამ სახელსა და გვარს ამშვენებს ჩვენი დროის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩემი მოღვაწეობა ორ ათეულ წელს ითვლის. დავით გურგენიძის რექტორად მოსვლამდე ბევრი მსმენია მის შესახებ და როცა პირველად შევხვდი, მეგონა, რომ უკვე დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით.

ჩვენი გაცნობა საერთო მეგობრის, აკადემიკოს როინ მეტრეველის ინიციატივით მოხდა და იმთავითვე მივხვდი, რომ დავით გურგენიძე საქმის პროფესიონალი და განსწავლული მეცნიერია, ასევე მიზანს-წრაფული, პირდაპირი, საკუთარ საქმეზე შეყვარებული, დაუდეგარი და სულით მებრძოლი კაცი. მოგეხსენებათ, ასეთი ადამიანები სხვადასხვაგვარ შეფასებას, ურთიერთსა წანინააღმდეგო მოსაზრებებს იწვევენ და ამით არიან საინტერესონი.



სახელ „დავითთან“ ჩემი დამოკიდებულება განსაზღვრავს ზოგადად პიროვნულ შეხედულებებს ამ სახელის მქონე პერსონებისადმი, მით უფრო, თუ დავითი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხიდან—ჩემი მშობლიური რაჭიდან არის.

ამდენი წელი გავიდა და ბაბუაჩემის, ილია ლობჟანიძის ნათქვამი გონებაში ცისკრის ვარსკვლავივით მინთია: „ბაბუ, ვაჟი რომ შეგეძინება, აუცილებლად დავითი დაარქვი“... მის დაბარებულს ისედაც შევასრულებდი, მაგრამ, თავისებური განმარტებაც დამიტოვა შეკითხვაზე, რატომ მაინცდამაინც დავითი-მეთქი-ჯერ ერთი, ქართველებს დავით აღმაშენებელზე ღირსეული არც მეფე და არც კაცი არ გვყოლია, მეორეც – დავითის სახელით ცუდი კაცი ცხოვრებაში არ შემზედრიაო... ჩემი ვაჟი, დავით ლობჟანიძე, კარგი პიროვნებაა და რაც მთავარია, ამ სახელის ადამიანებს ნეტარხსენებული ბაბუჩემისა და ხალხის იმედები არასდროს გაუცრუებიათ.

\* \* \*

დავით გურგენიძის ბიოგრაფია და განვლილი ცხოვრების გზა კი მიპიძებს, დავადასტურო პატივისცემა იმ შრომისადმი, რაც მას პროფესიული სრულყოფილებისათვის გაუწევია. ვაფასებ წლების განმავლობაში მის ძალისხმევას – ეღვანაა, რთული ცხოვრების ყოველი წინააღმდეგობა და დაბრკოლებებიც ღირსეულად გადაელახა და ესწავლა ცოდნის მაღალი დონის მისაღწევად. ეს დასაფასებელი სწრაფვა დაუცხრომელია, რაც მისადმი პატივისცემას ზრდის.

ამასთან, დავით გურგენიძე ზოგადად ადამიანების კეთილგანწყობას იმითაც იმსახურებს, რომ მშობლიურ რაჭას არ ივიწყებს, რაც მისაპაძია სხვებისთვის, მით უფრო მომავალი თაობებისთვის, რადგან, გარდა იმისა, რომ არაერთი „ღვთის სახლის“ მშენებლობაში აქვს წილი დადებული, ასევე ხელს უმართავს გასაჭირში მყოფ თანამემამულეებს.

\* \* \*

დღეს წინ რომ წარუძლვე ქვეყნის ტექნიკური ინტელიგენციის სამჭედლოს, დამეთანხმებით, იოლი საქმე არაა, მაგრამ დავითი აქაც გამორჩეულია, რომლის სამეცნიერო ნაშრომები გასცდა ეროვნულ საზღვრებს, მისი შრომითი და პროფესიული საქმიანობა არაერთგზის არის დანახული და ღვაწლი არაერთი ჯილდოთი დაფასებული.

ბატონი დავითი მუდამ მაოცებდა სამართლებრივი თემების ცოდნით, ხშირად მიფიქრია, საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმო-

მადგენელი იურიდიულ საკითხებში ასე კარგად გარკვეული როგორ არის-მეთქი, შემდეგ გავიგე, რომ სამოქალაქო სამართლის მაგისტრის ხარისხიც ჰქონია.

\* \* \*

დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ჯერ კაცობა და მერე დანარჩენი“, დავით გურგენიძის სახელი კაცობით იწყება და კაცობით გრძელდება.

დაუშრეტელი ენერგიის მქონე ადამიანმა ექვსი ათეული წლის განმავლობაში იმდენის გაკეთება შეძლო, ღვთის წყალობით, კიდევ მეორე ამდენიც რომ იცოცხლოს, მესამე იმდენისთვის სამყოფი ენერგია კიდევ დარჩება.. ამიტომ, გულით ვუსურვებ დიდხანს იყოს ქვეყნის, საქმისა და სწავლის მსურველთა ქომაგად.

**გივი ლობუანიძე  
პროფესორი**

## პველი ჩანაწერის გვერდი ...

ძველ ჩანაწერებს ფრთხილად ვფურცლავ, გულს ბაგა-ბუგი გააქვს, თითქოს არ მინდა ერთბაშად გავიგო, რაც იქ წერია, გამოზოგვით, ნელა ვათვალიერებ. მშობლების ნივთებთან და მით უფრო, ჩანაწერებთან შეხება წარსულის ტკივილსა და სიხარულს მიცოცხლებს. მეოცე საუკუნის 60–70-იანი წლების შავ-თეთრი ფოტოებიდან მიმზირებნ წაცნობი სახეები, მისალოცი ღია ბარათები – სოხუმის, გაგრის, ბიჭვინთის ხედებით, სავსე კეთილი სურვილებით, მოკითხვის წერილები სტრიქონებს შორის გაფანტული, წაგულისხმევი სიყვარულითა და მონატრებით. ფურცლები გაყვითლებულა, გაცრეცილა, მაგრამ ნაწერს მაინც დაჰკრავს ყმაწვილური მგზნებარება. 1971 წელია, დედა წერს მამას, რომ ენატრება, რომ ოჩამჩირეში მზიანი დღეებია თავსხმა წვიმების შემდეგ, ირგვლივ ყველა აფერი „მოამბემ“ თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა გამოაცხადა და თავს გაუფრთხილდეს, არ გაცივდეს...

მამაჩემის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ-შალერი ბენიას 90-იანების დღიურს ვშლი... უიმედო ჩანაწერები მამცნობს – „სოხუმი დაეცა, საყვარელი მეულლე და გვარის გამგრძელებელი ვაჟი ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა, გალში ჩემი ფუძე აფხაზებმა გადამიწვეს, მოხუცი დედა ცოცხალია თუ არა, ისიც არ ვიცი და რა ფასი აქვს ანი ჩემს სიცოცხლეს?“ ამ დროს აფხაზეთიდან აყრილი და მიმოფანტული ნათესაობა გვერდში დგომას, დახმარებას საჭიროებს, სად სცალია სასოწარკვეთისთვის, დევნილები უნდა დააბინაოს, ზოგი ჩვენთან დატოვა, ზოგი მეგობრებს შეუკედლა. თვითონ მოსკოვში მიდის, იქ ბიძაშვილი ჰყავს – როლანდ ბენია, მხოლოდ მას ანდობს თავის ნატკენ გულს სამკურნალოდ. მოვლის ნათესავებს, მეგობრებს და უქებენ ქართულ სათვისტომოს, რომელთა შორის გამორჩეულად ასახელებენ პატრიოტ ახალგაზრდა კაცს დავით გურგენიძეს, რომელიც ქართულ საქმეს აკეთებს რისკის ფასად. აფხაზეთის სასახელო შვილის ოთარ ზუხბაიასგან მანამდე გაგონილი ჰქონდა დავით გურგენიძის სახელი. მამას მუდამ ეამაყებოდა უცხო მხარეში ქართველების ავტორიტეტი, ცხადია, შეეხმიანებოდა, შალერ ბენიას რა მოასვენებდა – თავისიანებს რომ არ დახმარებოდა იქაც. გალიდან და ოჩამჩირიდან დევნილ ჩვენს ნათესავებსაც გასწვდა პატრიოტი ადამიანის, დავით გურგენიძის თანადგომა. ხელისუფლების მხრიდან დევნისა და შევიწროების მიუხედავად, არ შეუწყვეტია თანამემამ-

ულეთა გვერდში დგომა, რაზეც მამა წერს დღიურში – „როგორი გაბეჭული ახალგაზრდაა, გულანთებული ქართველი, ადამიანის დასახმარებლად უკან არ იხევს. დიდ სარბიელზე გავა, მთავარია, ამ განუკითხაობას არ შეენიროს ჩემი ბაკურივით, დიდი ასპარეზისთვისაა დაბადებული, დიდი გულის ადამიანი“.

მამას მკაცრი ხასიათი ჰქონდა, იშვიათად იცოდა შექება, წესრიგის მოყვარული, ნათესავებისა და მეგობრების ქომაგი და იმედი იყო. მისთვის გადაუჭრელი ამოცანა არ არსებობდა, ყველას ეხმარებოდა, სხვაშიც ძალიან აფასებდა ნიჭიერებას, სიმამაცესა და კაცომოყვარეობას. ადამიანის უპირველეს მოვალეობად თვლიდა მეგობრის თანადგომას: როგორც რუსთველის უკვდავ პოემაშია „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, მეგობრობა გზად და ხიდად“. ვისაც ეს სტრიქონები გულს უჩქროლებს და მოყვასის დასახმარებლად უხმობს, დაე, მათი გულები ფეთქავდეს მრავალუამიერ.

ამ ჩანაწერებიდან თითქმის 2 ათეული წელი გავიდა. ერთ-ერთი ინტერვიუში, ან უკვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა დავით გურგენიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩვენი ცხოვრების წესიაო. მათ შორის ჩემიც, რადგან თავად გახლავართ ამ უნივერსიტეტის პროფესორი და როცა მომიწია საჭირო დოკუმენტებზე ბატონ დავით-თან ვიზიტი, ყოველგვარი ბიუროკრატიის გარეშე, ძალიან სწრაფად გაარკვია საკითხი, დამარიგა, როგორ მოვქცეულიყავი და ყველაფერი ძალიან სწრაფად მოგვარდა. რექტორად ახალი არჩეული გახლდათ, სოხუმის დაცემის დღეს, აფხაზეთის მთავრობის ლონისძიებაზე შევხვდით პარლამენტში, თბილად მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა, მოგვიკითხა. სტუ-ის საიუბილეო საღამოზეც არავინ დაგვტოვა უყურადღებოდ, თვითონ გამოიჩინა ინიციატივა ფოტოების გადასაღებად, რამაც ძალიან გაგვახარა. რექტორის გაბეჭულმა ნაბიჯებმა უნივერსიტეტს სხვა პრესტიუზი შესძინა. ყველა ინოვაცია, რაც მკვიდრდება, ჩვენს მომავალ თაობაზე აისახება. ეს კი ბატონი დავითის ნოვატორული ხედვაა, რომელიც ფოკუსირდება ჩვენი ქვეყნის მომავლი თაობის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი განათლების მიღებაზე.

ამბობენ, ძლიერ სურვილს ძლიერი ძალა აქვსო და საიუბილეო, მე-60 წელს, ბატონ რექტორს ვუსურვებ დიდ წარმატებას მისიონერულ გზაზე.

**მაია ბენია  
პროფესორი**

## თიბის მომავალი

საზოგადოების განვითარების, სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის არსებითი ტვირთი მოდის განათლებაზე, რომლის მნიშვნელობაც განუზომელია. ის, თავის მხრივ, სახელმწიფოს კეთილდღეობის, ქვეყნის განვითარების უპირობო საფუძველს ქმნის.

უკვე საუკუნეა, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საინჟინრო კადრების სამქედლოა. უნივერსიტეტის ახლანდელი რექტორი, ღირსეული, სამართლიანი, მშვიდობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღსავსე პიროვნება, აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი დავით გურგენიძეა, რომელიც ჩვეული შემართებით იღვნის ქვეყნისთვის მაღვალკვალიფიციურ ინჟინერ-სპეციალისტთა მოსამზადებლად, საფუძველს უყრის სოლიდარული საზოგადოების შექმნას, უზრუნველყოფასა და განვითარებას.

ლიდერის უდიდესი პასუხისმგებლობაა, ემსახურო განათლებისა და მეცნიერების სისტემას, ამავდროულად შეინარჩუნოს მტკიცე ხასიათი.

ვულოცავ ბატონ დავით გურგენიძეს საიუბილეო თარიღს, უდავოდ პატივია მასთან ურთიერთობა, მჯერა, რომ კვლავ წარმატებული იქნება, როგორც მისი აკადემიური მოღვაწეობა, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა.

ალუდა ლუდაშაური  
საქართველოს პარლამენტის წევრი,  
ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო  
ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე,  
სტუ-ის დოქტორანტი

## ლევაზისური ცრთი ეტა

ინგლისურ ენაში არსებული ტერმინი The Multifaceted ზედმიწევნით შეესატყვისება ქართულ საზოგადოებაში ცნობილი მოღვაწის, ცივილიზაციათა ჰუმანისტური იდეალების ერთგულის, მეცნიერებაში დამსახურებული ადამიანის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის პიროვნებას. ემსახურო განათლებისა და მეცნიერების სისტემას, აღზარდო საზოგადოების ღირსეული წევრები, უდიდესი პასუხისმგებლობაა, ვინაიდან ეს, ერთი მხრივ, ქვეყნის კეთილდღეობის, სახელმწიფოებრიობის განვითარების უპირობო საფუძველია, ხოლო მეორეს მხრივ – „საშიში საზოგადოების“ ფორმირების წინაპირობა. განათლების უფლება ადამიანს დაბადებიდანვე აქვს მინიჭებული, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი კანონით განმტკიცებული ფუნდამენტური ღირებულებაა!

განათლება არის საზოგადოებაში თვითრეალიზაციისა და ეფექტური მონაწილეობის საფუძველი, რომელიც, თავისთავად, როგორც ადამიანის, ასევე სხვათა უფლებების რეალიზების აუცილებელი საშუალებაა. ამიტომაც, საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს უფლებებზე დაფუძნებულ მიღებობას, უკეთ უზრუნველყოს ძირითადი მისის გახორციელება, რაც მაღალი ხარისხის ცოდნის თანაბარ მისაწვდომობას გულისხმობს.

განათლების ხარისხის ამაღლებისა და გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, უდიდესი პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს შესაბამისი სტრატეგიების განხორციელებას და მაღალი კვალიფიციურობით ღირსეულად აგრძელებს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ასწლოვან ტრადიციას. მქონდა პატივი, სტუმრად ვწვეოდი მის მშობლიურ, საქართველოს ისტორიულ მხარეს – რაჭას, რომელიც ასოცირდება განსაკუთრებულ ბუნებასთან, უნიკალურ კულტურასა და კიდევ უფრო შთამბეჭდავ სტუმართმოყვარეობასთან. ერთმა დღემ, რომლიც იქ გავატარეთ, წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ცხოვრებაში. მოვინახულეთ უნიკალური ეკლესია-მონასტრები, მოვისმინეთ მხარის ყოფილი რწმუნებულის ნაამბობი საოცარი ისტორიები, ტრადიციულ რაჭულ სუფრას ვეზიარეთ კოლორიტულ ოჯახში, სადაც უფრო მეტად შევიცანით ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი დავით გურგენიძე-

ერთია იცნობდე ადამიანს და მეორე-თავად გახდე მისი განვლილი ცხოვრების გზის შესახებ სხვათა მონათხრობის მსმენელი. თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ის არის კაცი, მათ სწამთ, რომ, როგორც რჩეულზე, ხვალ კიდევ უფრო მეტი ექნებათ სათქმელი. გულწრფელად მჯერა, რომ წარმატებული იქნება დავით გურგენიძის როგორც აკადემიური მოღვაწეობა, ისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, და რაც მთავარია, ის ნაბიჯები, რომელთაც განათლების სისტემის დახვენისა და განმტკიცებისათვის გადადგამს. ვულოცავ ბატონ რექტორს იუბილეს და ვუსურვებ კვლავაც ასე შემართებით ეცხოვროს და ელვაწოს!

სოფიო დემეტრაშვილი  
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## რეალ უფროსი მაგრძელი

ადამიანების ცხოვრებაში არიან ისეთი პიროვნებები, რომელთა სახელიც ერთბაშად აცოცხლებს იმ სამყაროს, რაც მათთან ურთიერთობისას შექმნილა. დავით გურგენიძე სწორედ იმ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, შექმნა ის მიკროსამყარო, რომელიც დღემდე თითოეულს მოგვყვება. მისი თავდაუზოგაობა და განსაკუთრებული სიბეჭითე, ხალასობა, ნიჭი, არაერთი ახალგაზრდისთვის გამხდარა სამაგალითო. ამაყი ვარ, რომ იგი ჩემი უფროსი მეგობარია, რომელმაც ქართულ ინჟინერიაში თავისი სიტყვა თქვა, ჩუმად, თავდადებით, ღირსებით ემსახურება ქვეყანას და ზრდის თაობებს იმ კედლებში, რომელიც სალოცავად მაჩინა. ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სწორედ ბატონი დავითის მსგავსი პიროვნებები, რომლებიც გვეხმარებიან, დავინახოთ საკუთარი უნარი, ძლიერი და სუსტი მხარეები. ადამიანები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციით, გამოცდილებით ბევრად ზევით დგანან, მაგრამ ისე გვესაუბრებიან, საერთოდ არ გვაგრძნობინებენ, რომ ჩვენ შორის რაიმე ბარიერია. ასეთი დამოკიდებულება გიმძაფრებს რწმენას, რომ წარმატების მიღწევას შეძლებ. ყველაზე სასიამოვნოა, როდესაც უნივერსიტეტის რექტორს ახალგაზრდების შეხედულებები და მოსაზრებები აინტერესებს, მასთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს. უნდა ითქვას, რომ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა, შექმნა, რომელთაგან აღსანიშნავია სტუდენტური სერვისების ცენტრი.

ბატონი დავით, თქვენთან ურთიერთობის ყველა წუთი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. რაც შეეხება მის გამორჩეულ პიროვნულ თვისებას, ეს კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობაა. „დიდ არს ძალა სიყვარულისა“-ძველი ქართველი მოღვაწის არსენ ამარტოლის ამ სიტყვებს ხშირად იმეორებს ბატონი დავითი, ჭეშმარიტად დიდია ძალა სიყვარულისა. ჩვენს ასწლოვან უნივერსიტეტს ღირსეული პიროვნება ხელმძღვანელობს, რომლის ირგვლივ ყოველთვის სუფევს სითბო და სიყვარული. ამ სიტყობოთი გევლოთ, ბატონი დავით, კიდევ მრავალი წელი. გულწრფელად მსურს მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი—დაბადებიდან მე-60 წელი!

ლევან ფიფა  
სტუდენტური სერვისების ცენტრის უფროსი

## მთავარი ღირსება

ცხოვრების ყველაზე დიდი გამართლებაა, იპოვო საკუთარი თავი, ხოლო ყველაზე დიდი გონიერება—ცოდნის დაუფლება! ამის შემდეგ იწყება ცხოვრებისეული ქარტეხილები, რომლის უშეცდომოდ გავლა აუცილებლად მიგიყვანს ჭეშმარიტებამდე.

ბატონ დავით გურგენიძეს უფლის ნაბოქებმა ნებამ აპოვნინა საკუთარი თავი და ადგილი საზოგადოებაში, მან სწორედ მისი ურყევი ნებითა და თავდადებით მიაღწია რექტორობამდე. როგორც მოქანდაკე აყალიბებს ქმნილებას, ის ისე ქმნის ცოდნის საყრდენებს, გზას უნათებს სტუდენტებს, შეიძლება ითქვას, ის გახლავთ მათი ოცნებების არქიტექტორი.

ბატონი დავითი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება აკადემიური სფეროს ფარგლებში გაიარო არა მხოლოდ კლდესავით მყარი და უდრეკი დერეფნები, არამედ ჩასწერე ახალგაზრდების გულს, გონებასა და არნახული ოსტატობით, მოხერხებულად გაუძლვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ახალი პორიზონტებისკენ, ჩამოაყალიბო ის ცოდნის სამჭედლოდ, სადაც ინტელექტური ცნობისმოყვარეობა ერწყმის სრულყოფილებისკენ სწრაფვას. მთავარია, ეს აკეთო ყოველდღიური რუდუნებით, მჭევრმეტყველებით, ლიდერის თმენითა და ჰუმანურობით. ადამიანიში მთავარი მისი ღირსება და სინდისია, რომელიც ბატონ დავითს მთელი ცხოვრება უკვალავს გზას...

ბატონი დავით, გულითადად გილოცავთ იუბილეს, გმადლობთ საუკეთესო ხელმძღვანელობისათვის, ჩვენი და სტუდენტების პრობლემების მოგვარებისათვის!

**ლია ნახუცრიშვილი**

## მარიამ სტერეოპისენი

იუბილეს გილოცავთ ბატონო რექტორო! თქვენთვის 60 წელი ჯა-დოსნური ასაკია, ჩვენს უნივერსიტეტში თქვენი ყოფნა კი-ნოვატორული იდეების, გაუმჯობესებული სასწავლო და აკადემიური გარემოს, ახალი საგანმანათლებლო პერსპექტივებისა და მათ განხორციელებაში სტუდენტთა ჩართულობაის გარანტიაა, ყველაზე ნიშანდობლივი კი-ამ ყველაფერში თქვენი მონაწილეობა. ჩემი აზრით, სწორედ სტუდენტი ახალგაზრდებისა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო ძალისხმევით იკვეთება უნივერსიტეტის პერსპექტივები. მადლობა ამ შესაძლებლობებისათვის!

ბატონო დავით, თქვენ ბრძანდებით ქვეყნაზე მოფიქრალი, მისი ერთგულების, ტრადიციებისადმი მოწინების, თაობათა შორის მჭიდრო კავშირის, მარად ახლის ძიების, თავდადებული შრომის, წინაღობათა დაძლევის მაგალითი. ამ ყოველივემ წარუშლელი კვალი დატოვა და მომავალშიც ღირსეულ სათქმელს იტყვის მეცნიერებაში და

არამარტო... განვლილმა წლებმა ბევრი სიხარული გაჩუქათ, თუმცა, წარმატებებთან ერთად, იქნბოდა სირთულეებიც-განა რამე შეედრება სირთულეთა დაძლევით გამოწვეულ სიხარულსა და კმაყოფილებას?! გარდა იმისა, რომ შესანიშნავი ლიდერი ბრძანდებით, სტუდენტების მეგობარი, საყრდენი, მამოძრავებელი ძალა ხართ...

გილოცავთ! დაე, დასახული მიზნებისთვის მიგეღწიოთ...

**ამირან ბროლაძე**  
სამართლისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის სტუდენტი





„ჩემი, როვორც სტანდუროს  
ფეხისუրი ღნიველისთვის რეზონის  
მიზანის, უძლები კულტითი ინიციატივის  
და ინფერის წახლისას და  
მართვებულის, ღნიველისთვის, როვორც  
ფეხოლოგიური პროცესის და წინაშე  
წარმართული ტექნიკის პოზიციონირება  
ჭრასს და მოვლაიონში“

ლევით გურგენიძე

ဟိုခေါ်သူ၏ ဒေသကြောင်းများအတွက် စုစုပေါ်လိမ့်ဖြတ်  
 (ပေါ်များ၊ ပျော်များ၊ ရှုပ်ဆွဲများ) ဖြစ်လိုက်လိုက်၏။  
 အပေါ်မှတ်များက လုပ်လျှော့လှုပြန်၏ အာဏာအားလုံးကိုဖြစ်စွာ  
 ဒေသ နှင့် ပြောမြန်မာစုံ၊ နှင့်မြန်မာနှင့် တော် မြန်မာနှင့်  
 တိရှိတော် မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့်၊ ဒါး နှင့်မြန်မာနှင့်  
 နှင့် ကုန်လျှော့လှုပြန်၏ အာဏာအားလုံးကိုဖြစ်စွာ  
 ရှုပ်ဆွဲလိမ့်ဆောင်၏၊ ယင်းများများက ပြုလုပ်ဆောင်  
 လုပ်လျှော့လှုပြန်၏ ပြုလုပ်ဆောင် အာဏာအားလုံးကိုဖြစ်စွာ  
 မြန်မာနှင့်၊ မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့် နှင့် မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့်  
 မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့် အာဏာအားလုံးကိုဖြစ်စွာ ပြုလုပ်ဆောင်၏။  
 ဒေသကြောင်းများ၊ လုပ်လျှော့လှုပြန်၏ အာဏာအားလုံးကိုဖြစ်စွာ  
 ရှုပ်ဆွဲလိမ့်ဆောင်၏ အာဏာအားလုံးကိုဖြစ်စွာ မြန်မာနှင့်  
 မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့် မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့် မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့်  
 မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့် မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့်မြန်မာနှင့်

J. J.

## ცრთგალება ჩვენი ელექტრონული გვირგვინი

გული მევსება სიამაყით, სიხარულითა და მადლიერებით, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში დავით გურგენიძე ჩემთვის ძალზე ახლობელი ადამიანი იყო და არის. მქონდა პატივი, 1999 წელს, ჯვარი რომ დაიწერა მის მშვენიერ მეუღლეზე ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარში, დავითის ხელისმომკიდე ვყოფილიყავი.

ის არის შესანიშნავი დედისა და მამის შვილი, არაჩვეულებრივი სამეგობროს წევრი. მათ შორის არიან ის ადამიანებიც, რომელთა გვერდითაც ჩამოყალიბდა დავით გურგენიძის პიროვნება და ხასიათი, ბევრი მათგანის ცხოვრება სამაგალითო გახდა მისთვის... განსაკუთრებით აღსანიშნავია დავითის დედა, უკეთილშობილესი ქალბატონი ჯილდა, რომელიც დავითს ასწავლიდა ადათ-წესებს, ტრადიციებს, უნერგავდა რწმენას, ყურადღებას უმახვილებდა ცხოვრებისეულ დეტალებზე და სულიერ ნიუანსებზე. თავის მხრივ, დავითიც დიდ ინტერესს იჩენდა ცხოვრებისადმი: ყოველთვის ამჟღავნებდა „მიზნის მიღწევის, საქმეთა აღსრულების უინს“. მისი ოცნებაა, იყოს ისეთი მართალი და ვაჟკაცური, როგორიც იყვნენ მისი მშობლები. მიაჩნია, რომ ცხოვრებაში მათი შეგონებითა და მაგალითებით უნდა იხელმძღვანელოს. ბატონ დავითს კარგად ესმის, როგორია ტრადიციის ძალა



და როგორ გადადის ეს ძალა თაობიდან თაობაზე. თვლის, რომ საჭიროა ნიადაგ შემართული ყოფნა, თავგადაკლული ბრძოლა, საკუთარ თავთან და ხვედრთანაც მუდმივი ჭიდილი და მიზნის მიღწევის, საქმეთა ბოლომდე მიყვანის, აღსრულების უინი.

დავით გურგენიძის ბიოგრაფიის ყოველი ფურცელი სამშობლო-სათვის თავდადებული მამულიშვილის მატიანეა. თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ თავისი ვალი ბოლომდე მოიხადა ქვეყნის წინაშე-კიდევ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი. მას განვლილი აქეს მეტად საინტერესო, ამავე დროს წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება. მან წამოიწყო მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება თბილისში, წინა მთავრობამ დევნა დაუწყო, მთელი აქციები ჩამოართვა. ეს შოკის-მომგვრელი ფაქტი იყო ჩვენთვის; თავი დაალწია თუ არა მარწუხებს, აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო. პირველ რიგში ეს იყო სამეცნიერო ასპარეზზე ძალზე ეფექტური გამოჩენა, რაც საბოლოოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორობით დასრულდა. ჩემთვის, როგორც გპი-ის პატრიოტისთვის, ეს მოვლენა ძალზე სასიხარულო იყო. ვიცი, რომ ეს არის უდიდესი ენერგიის მქონე ადამიანი და აქვს ამბიცია, ალადგინოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ძველი დიდება. დავითს ხშირად ვხვდები და ვსაუბრობთ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე, მის გეგმებზე. უნდა ვაღიარო, რომ კმაყოფილი ვარ მისი მოღვაწეობითა და გეგმებით.

ბატონო დავით, მინდა იცოდეთ, რამდენს ნიშნავს ჩემთვის თქვენთან მეგობრობა-არ ხართ მხოლოდ მეგობარი, ჩემი ოჯახის წევრი ხართ!

ბევრი კარგი მომენტის გახსენება შეიძლება ჩვენი ურთიერთობიდან. შენი ენერგია და სიბრძნის ასაკი გაერთიანდება და მრავალ ღირსშესანიშნავ და სერიოზულ საქმეებს გააკეთებ კვლავაც. უნდა დაგეთანხმო იმაში, რომ ქვეყნისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია განათლების სისტემის გაძლიერება. რაც შექება ასაკს, ისეთია, რომ შენს საქმიანობას უფრო ღრმა, უფრო შემოქმედებითი, მრავალფეროვანი ხასიათი მიეცემა. უსაზღვროდ გაქვს შემოქმედებითი პოტენციალი არა მარტო თეორიულ სარბიელზე, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებაშიც, ადამიანებთან ურთიერთობაშიც. დაუოკებელი ენერგიის წყალობით წარმატებით უმკლავდებით ცხოვრების ყველა იმ გამოწვევას, რასაც სხვაზე უკეთ ხედავ და გრძნობ. ერთდროულად ხარ პრაგმატიკოსიცა და იდეალისტიც. როდესაც ერთგულებაზე ჩამოვარდება საუბარი, სამართლიანად თვლი, რომ ერთგულება გულივით არის დაფარული. ის ჩნდება მხოლოდ საქციელით. ერთგულება, მეგობრობა



თავგანწირვა, გმირობა თანაბარი სიმაღლისანი არიან. ვაი, რომ ბევრს უნარი არ შესწევს, ასეთი იყოს. არადა ერთგულება, ყველაზე ადამი-ანური, ყველაზე უმწიკვლო, ყველაზე მაღალი თვისებაა. შენთან ურთიერთობისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ერთგულება ჩვენი მარადიული და საპატიო ტვირთია, ჩვენი ადამიანობის გვირგვინია!

დავით, როგორც ლეგენდარული გპი-ის რექტორს, ჩვეული ჭაბუკური ენერგიითა და ვაჟკაცური შემართებით გევლოს, გისურვებ წარმატებებსა და ადამიანურ ბედნიერებას. შენ ირგვლივ ყოველთვის სითბო და სიყვარული სუფევს. ამ სითბოთი, კიდევ მრავალი წელი იყავი საყვარელი საქმისა და ქვეყნის სამსახურში.

ნიკო ლეკიშვილი  
თბილისის საპატიო მოქალაქე

## მომავალი მოფიქრაცი და ეზონური კაცი

ზოგიერთ ადამიანზე ამბობენ, რომ მთელი ცხოვრება მოუსვენრად, მუდმივად სიახლეთა ძიებაში გაატარაო. ეს ურთულესი საქმეა. სიახლეთა ძიებას, მიზნის მიღწევას, ცხადია, სჭირდება არა მარტო დიდი ენერგია და მონდომება, არამედ მრავალმხრივი განსწავლულობაცა და მომავლის უშეცდომო ჭვრეტაც. ყველა ეს უნარი ჭარბად აქვს დავით გურგენიძეს, ამიტომ არის პროფესიონალი, ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, მომავალზე მოფიქრალი და მზრუნველი კაცი.

მის პორტრეტს მარტო პირადი ცხოვრებით ვერ ამონურავ. ყველასათვის საამაყოა, რომ იგი არის უძლიერესი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, მეცნიერი, ნიჭიერი ორგანიზატორი, კოლეგებისადმი მხარში მდგომი. ამასთან, დიდი ქველმოქმედი, სხვათათვის სიკეთის მსურველი, ეროვნულ პოზიციაზე მყარად მდგომი, მაგრამ თუ არ წარმოვაჩინოთ მის მთავარ საამაყეს, არ შევეხებით მის დამოკიდებულებას და განსაკუთრებულ პატივისცემას მეუღლის, მშობლების, შვილების, წინაპრებისადმი, მის სრულყოფილად წარმოჩენას ნამდვილად ბევრი დააკლდება... მისი წინაპრები უდიდეს პატივს მიაგებდნენ ოჯახის სიმტკიცეს, მის ავტორიტეტს. ასეთ გარემოში აღზრდილი და დავაუკაცებული დავითი, ოჯახური ურთიერთობების მოყვარული და პატივისმცემელია. დავითის მეუღლე, მარინა თოფურია ის ადამიანია, რომელმაც ყველა იმ წარმატებაში, რასაც დავითმა ცხოვრებაში მიაღწია, უდიდესი წვლილი შეიტანა. იგი გახლავთ განათლებული, ერუდირებული, კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი. მარინას თვისებებიდან ოჯახის, მეუღლის სიყვარულთან ერთად, განსაკუთრებით გამოვყოფი უდიდეს თავმდაბლობასა და მოწინებას, როგორც თავისიანების, ასევე მისი მეუღლის მშობლების, ახლობლების, ნათესავების მიმართ. ამ თვისებების გამო საოცარი ურთიერთობა ჰქონდა მას დავითის მშობლებთან-ჯილდასა და რიმიკოსთან. აღსანიშნავია, რომ მათ ოჯახში მისული სტუმარი, ახლობელი, თუ მეგობარი, დიდ სიამოვნებას იღებდა მარინასა და დავითის გულდია მასპინძლობით და მათ ოჯახში მიღებული შთაბედჭილება თითოეული სტუმრისთვის დიდი სიამოვნება იყო. ქალბატონი მარინა და დავითი დიდი ქველმოქმედებათაც გამოიჩინა - ისინი. სოფელ ხოტევში ახლობლებსა თუ მეზობლებთან ყოველთვის ხელდამშვენებულნი ჩადიან. დავითს ყოველთვის ახსოვს, რომ - „იყო ადამიანი – ეს არის ყველაზე ძნე-

ლი პროფესია“ და აქედან გამომდინარე, იგი ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდება ამ მოთხოვნას.

... ქვეყანაში მოშურნებს რა გამოლევს და განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა უანგარო, პატიოსანი მუშაკი იშვიათობა იყო... წინა მთავრობამ უანგარობა და პატიოსნება არ აპატია, ასალგაზრდა კაცისადმი გვერდში დგომისა და მხარდაჭერის ნაცვლად, გამოიყენა შურისა და ღალატის მეთოდები, ყველაფერი გააკეთა, რომ მისი პატიოსანი სახელისთვის ჩირქი მოეცხო. ყოფილი მთავრობის წევრების ინტრიგების შედეგად ახლაგაზრდა კაცი ჯერ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, შემდეგ კი სისხლის სამართლის საქმე შეთხზეს მის მიმართ—ფაქტობრივად, ყველნაირად განირქს, ჩამოაშორეს პროფესიულ საქმიანობას. ამ უმძიმესი სტრესისგან თავის დაწნევა რთული იყო, მაგრამ დავითმა შეძლო უახლოესი ადამიანების მხარდაჭერით ფეხზე წამომდგარიყო.

მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი იქნა გამოტანილი და კვლავ აღდგა იგი ფენიქსივით!.. ეს შეძლო თავისი ნიჭისა და მონდომების წყალობით (მას ჩინოვნიკების, ე.წ „კრიშების“ მხარდაჭერა ზურგს არ უმაგრებდა). აქედან დაიწყო აღმასვლა იერარქიულ საფეხურებზე. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ დავითმა, სისოცხლის 60 წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ეს დასაწყისია იმ დიდი საქმისა და მეცნიერული კვლევებისა, რომელიც მომავალში უნდა განახორციელოს. თითოეული ადამიანის ცხოვრება მთლიანად იმ გარემოზე, ტრადიციებსა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მშობლებისა და წინაპრების ცხოვრების გზაზეა დამოკიდებული. თითოეული პიროვნების, განსაკუთრებით ქართველი კაცის მთელ ცხოვრებას გასდევს ვიცოდეთ – საიდან მოვდივართ – “ვისი გორისანი ვართ“. დავითის მშობლები და წინაპრები, თავიანთი ცხოვრებით, ხასიათით, საქმიანობითა და მოღვაწეობით ღირსეული პიროვნებები იყვნენ. დავითი ყოველთვის ამაყობს ამ ადამიანებით. მე და დათო დაახლოებით ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ. გვაერთიანებს ყველაზე ძლიერი რამ-ჩვენი დედები. ჩიტო და ეთერ კალაძეები ბიძაშვილები იყვნენ, მათი მამები კი-ღვიძლი ძმები. ჩვენ დიდ ბებიასა და ბაბუას (სალომესა და პეტრეს) ექვსი შვილი ჰყავდათ-5 ვაჟი და ერთი ქალიშვილი-ქალბატონი ქსენია. სალომესა და პეტრეს ცოლ-ქმრობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, ზრუნვა ყველა ახლობელზე – ეს იყო რაღაც განსაკუთრებული, როგორც იტყვიან – „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“. ჩვენი ოჯახი იმერეთის ერთ ღამაზ სოფელში, ენერში ცხოვრობდა. ამ სოფელმა ბევრი გა-

მორჩეული ადამიანი აღუზარდა ქვეყანას, მათ შორის, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრები: ილია კოპალეიშვილი და ერმალოზ კალაძე. ცნობილი პოეტები: კარლო და ამირან კალაძეები. დათოს ბაბუა, ამბაკო კალაძე ძალზე ნიჭიერი, განათლებული კაცი გახლდათ. ერთი პერიოდი ის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს განათლების მიმართულებას ედგა სათავეში. ჩვენი ოჯახის წვერები, თითქმის ყველა პედაგოგი იყო და ბევრი მათგანი გვერდით დაუდგა ბატონ ამბაკოს და მისი თხოვნით გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის სკოლებში დაიწყო მოღვაწეობა. დათოც მისი დიდი ბაბუის კვალს გაჰყვა და აკადემიურ სფეროში მიაღწია უდიდეს წარმატებას. როგორც ლვიძლ ძმას, მინდა მივულოცო იუბილე. ლმერთმა გაასაროს ლამაზ ოჯახთან ერთად!

გივი ჭიჭინაძე  
პარლამენტის წევრი

## ეპონარიები თრი ციცის ცხოვრის ბიბი

„არ იარო ჩემ უკან, ლიდერი არ ვარ. ჩემ წინაც ნუ ივლი, მე არ მოგყვები. უბრალოდ, ჩემ გვერდით იარე და იყავი მეგობარი“ – ამბობდა მე-20 საუკუნის დიდი მწერალი, ფილოსოფოსი, უურნალისტი ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერ კამიუ

ანტიკური ხანიდან დღევანდლამდე ადამიანურ ურთიერთობებს, მეგობრობას უდიდესი და უპირველესი ადგილი უჭირავს პოლიტიკაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში. მეგობარი ცხოვრების საყრდენია. სწორედ ამ უდიდესი მისით მოქმედებდნენ უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გმირები: „ოდეს კაცსა და ეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.“

21-ე საუკუნე გამორჩეულია დაუნდობლობით, სისასტიკით, უსიყვარულობით, მტრობით, საინფორმაციო და სისხლისმღვრელი ომებით. კაცობრივმა გონმა განვითარების პიკს მიაღწია, ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიზაციის მეშვეობით ადამიანური რესურსიც კი ჩანაცვლდა. ყოველივე ამან გამოიწვია იმ მნიშვნელოვანი ფასეულობების უკანა პლანზე გადატანა-გადაფასება, რაც ადამიანის სულიერი განვითარებისთვის, ემპათიისა და ურთიერთთანადგომისთვის საჭიროა.

რაც არ უნდა ბევრი ვიმსჯელოთ ცივილიზაციებისა და ტექნოლოგიურ პროგრესზე, გონებისა და გრძნობათა სისტემებზე, მეგობრობა ფუნდამენტურ აბსტრაქციად რჩება. მის მაგიურ ძალას სიტყვებით ვერავინ გადმოსცემს, თუმცა, ჭეშმარიტი მეგობრის თანადგომას ყველა ერთნაირად გრძნობს. მეგობარი ის ადამიანია, რომელიც ჩვენი ცხოვრების საყრდენია და უპირობოდ სჯერა ჩვენი. იშვიათია იპოვონ ნამდვილი მეგობარი, მაგრამ ისტორიებმა, ლეგენდებმა, ზოგადად ლიტერატურამ, დღემდე მოიტანა თავგანწირული მეგობრობის უკვდავი ამბები-სწორედ ეს არის ის, რაზეც დგას კაცობრიობის მთავრი არსი

„ადამიანი, ადამიანისთვის დღეა“ – ამბობდა დიდი გურამ დობანაშვილი. ეს სიტყვები მახსენდებოდა, როდესაც ჩვენი თანამედროვეობის ორი ლიდერი მეგობრის ისტორიას ვისმენდი. მთხოვთ ეს მარტინ ლინკოლნის მიერთებული სიტყვები, რომელიც დაუმდინარებულია 1863 წლის 22 მარტის მოხარულ მოედაზე. ეს მოედა დაუმდინარებულია მეგობრობის უკვდავი ამბები-სწორედ ეს არის ის, რაზეც დგას კაცობრიობის მთავრი არსი

ბატონი მამუკა (ივანე) გიორგაძე გახლდათ: 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ედპ-ის წევრი; სახალხო პარტიის თავჯდომარე; ორი მოწვევის პარლამენტარი; პროფესიონალი მორაგბე; ამჟამად სტუ-ის პროფესორი. მასთან ინტერვიუ შთამბეჭდავი აღმოჩნდა სწორედ იმის გამო, რომ საუბრობდა მეგობარზე, როგორც ლიდერზე ადამიანობის, მეგობრობის, პროფესიისა და, ზოგადად, ცხოვრებისეულ ასპექტებში. იგი დღეს გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, როგორც მას ჩვენი რესპონდენტი უწოდებს დათო.

### მთავარი ამპსი ექსაოზიცია

დათოზე რომ ვისაუბროთ მეტ – ნაკლებად მისი ტიპაჟი უნდა წარმოვიდგინოთ იმ რთულ, ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდში, როდესაც სისტემა ებრძოდა და სასტიკად უსწორდებოდა გამორჩეულ, მოაზროვნე, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანებს. მაშინ ცენზურა და ცენზორები ანადგურებდნენ ადამიანური გონიდან დაწყებული, ყველაფერ ფასეულს, რაც საბჭოთა ნომენკლატურისთვის მიუღებელი იყო. სწორედ ამ პერიოდში გავიცანით ერთმანეთი. დათო ჩემთვის იმთავიდანვე საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი გახლდათ, მკვეთრად გამოირჩეოდა ანუ იმ ორდინალურ, უსახურ ტიპებს, რომლებიც კომკავშირში იყვნენ, არაფრით ჰგავდა. მასში ჭარბად იყო ლიდერის თვისებები. ამ თვისებებს კი ვერ შეიძენ – ის ან გაქვს, ან არა, ბუნებრივად უნდა იყო ასეთი.

ლიდერობა დღეს ყველაზე მოთხოვნადი უნარია. ის საჭიროა ცხოვრების ყველა ეტაპზე და ნებისმიერ საქმიანობაში – პირად ცხოვრებასა და ბიზნესში, რადგან სირთულეების დასაძლევად, პრობლემის გადასაჭრელად, პრინციპული გადაწყვეტილების მისაღებად ინიციატივათან ერთად, საჭიროა შეუპოვრობაც.

დათოს განსაკუთრებულობა პოსტსაბჭოთა სივრცეში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა კომკავშირელთა რიგებში. მას ჰქონდა ეპოქისგან გამორჩეული კრეატიულობა, შემოქმედებითი მიდგომები, განსაკუთრებული ლიტერატურული გემოვნება – ამან დაგვამეგობრა.

მისი განსხვავებულობა გამოიხატებოდა ნებისმიერ ქცევაში – ადამიანის მიმართ ყურადღებაში, გამორჩეულად მოაზროვნეთა აღიარებაში, ქართული სუფრის ტრადიციების პატივისცემაში, იმდროინდელი აკრძალული ლიტერატურისა და პოეზიის შედევრების გაუღერებაში, ნათქვამი სიტყვების მიღმა რომ არის დაბუდებული რაღაც ისეთი

მნიშვნელოვანი, რომელიც შენი ერის, კულტურის, ხალხის ინდივიდუალიზ-უალურობას გამოხატავს და რაზეც ხმამაღლა საუბარი დანაშაულად ითვლებოდა.

აშკარა იყო დათოს შინაგანი მოწესრიგებულობა, ინდივიდუალიზ-მი ჩაცმასა და ქცევაში – როცა არ გინდა რეჟიმის, უსახური მასის ნაწილი გახდე. ამაზე ყურადღებას ვამახვილებ ერთი რამის გამო, ვინც ეს სისტემა იცის, ახსოვს, თავი რომ გადაგვერჩინა და „ფეხი აგვენტი“ მაშინდელი ყოფისთვისთვის ან რამე თანამდებობისთვის მიგვეღწია: უფროსის თვალებში უნდა ამოგვეკითხა, რა სურდა მას, უნდა გვეგრძნო, როგორი უნდა ყოფილიყო ხვალინდელი დღეს. შენ უნდა შეგეთავაზებინა მისთვის, რაც მას მოეწონებოდა. შეფარული „ძალადობით“ მოქმედებდა გარემო ფაქტორები საბჭოეთის მცხოვრე-ბლებზე. ამგვარ ყოფიაში გამოიკვეთნენ ადამიანები, რომლებსაც მი-ვიჩინევდი თანამოაზრებად, ვისთანაც შემეძლო აზრი თამამად და თავისუფლად გამომეხატა, რისი სახალხოდ თქმაც სიცოცხლეს სა-ფრთხეს უქმნიდა. დათო სწორედ ის ადამიანი გახლდათ, ვინც ამ სასტიკ ეპოქაში, რამდენადაც შესაძლებელი იყო, თავისუფლების მაქსიმალური ხარისხით გამოირჩეოდა და საკუთარ თავზე იღებდა იმ სიმძიმეებს, რასაც ვერ გაპედავდა, ვერ წარმოიდგენდა სხვა, სის-ტემის შემადგენელი ნაწილი.

### მეგობრობის სათავეებთან

პოლიტიკური საქმიანობის გამო, 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებულ მანიფესტაციაში მონაწ-ილეობის მოტივით გამრიცხეს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. შეს-აპამისად, შემიფარდეს სასჯელი და დამაპატიმრეს.

გავიდა ხანი, დღის წესრიგში დადგა ინსტიტუტში ჩემი აღდგე-ნის საკითხიც. გარიცხვის მიზეზად აკადემიური დავალაზება ჩამ-ინერეს და აღსადგენად „შიდა ყამირის“–მესამე სემესტრის მონაწ-ილედ გამამგზავრეს სოფელ ნოჯიხევში. სწორედ სოფელი ნოჯიხევის შრომით სემესტრში ჩასულმა გავიცანი ბატონი დავითი, რომელიც გახლდათ „რაზმის ხელმძღვანელი“. მაშინდელი პოლიტექნიკური ინ-სტიტუტის (გპი) ხელმძღვანელი ზურაბ გუდავაძე და გოგა გიორგობი-ანი გახლდათ. აი, იქ გავიცანით ერთმანეთი. საუბრისას გამოიკვეთა საერთო ინტერესები. ახალგაზრდები ვიყავით, მასისგან განსხვავე-ბული ხედვებით, მისწრაფებებით, იდეებით, მსოფლმხედველობით – ხან რას ვაკეთებდით, ხან სად ვიპარებოდით. გაგიკვირდებათ და, იმ პერიოდში, ხობში გახსნილი იყო ღამის კლუბი თავისი ვარიეტეთი,



საცურაო აუზით, ზღვით. სწორედ ასეთ „მოწესრიგებულ ორომტრი-ალში“ დავმეგობრდით. შემდეგ კი ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტზე გაგრძელდა ჩვენი თანამშრომლობა და მეგობრობა.

### სამხედრო სამსახური

მე და დათოს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლაც ერთად მოგვიხდა. ახალქალაქში ორთვიანი სამხედრო ბანაკი იყო შეკრებილი. სწორედ იქ ყოფნის პერიოდში დაიბადა დათოს უფროსი გოგონა ანა. ახალშობილისა და დედის ამბის გასაგებად ლამე გავიპარეთ მავთულხლართებით შემოლობილი ბანაკიდან.

ჩვენმა მშობლებმაც ამ პერიოდში გაიცნეს ერთმანეთი.

მეგობრობას, უპირველესად, მაინც ოჯახური გარემო განაპირობებს. აქაც დამთხვევა იყო – ჩვენი მამები იყვნენ საბჭოთა ეპოქისთვის გამორჩეულად განსხვავებული ადამინები, სტუმართმოყვარეობით, პროფესიონალიზმით, ოჯახის ერთგულებით, შვილებთან ურთიერთობისას მეგობრული მიდგომებითა და სხვა იმ თვისებებით, რაც მათშიც ურთიერთნდობასა და კეთილგანწყობას იწვევდა.

„გადლი ქენი, ქვაზე დადე“...

### ცხოვრების სული სირთულეები

ბატონი დავითი ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრში არ მდგარა, მაგრამ ყოველთვის იყო ეროვნული საქმის, სხვადასხვა მნიშვნელოვანი დავალების შესრულების ინიციატორი და შემსრულებელი.

ეს მრავალჯერ გაუკეთებია, მაშინ, როცა საჭირო იყო.

90-იან წლებში დათო მიხვდა, რომ აქ რთულად მიდიოდა პროცესები. მოსკოვში წავიდა, იქ დაიწყო სამეცნიერო საქმიანობა მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთან, ფიზიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელ ალექსანდრე სუვოროვთან. მოსკოვის ოლქში ქ. სახოვსკში ბიზნეს-საქმიანობას ეწეოდა. იმ პერიოდში საქართველოს სათვისტომოს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი. სამშენებლო საქმიანობიდან გარკვეული წილითა და სხვა შემოსავლებით, დათოს ინიციატივით ეხმარებოდნენ ქართველთა სათვისტომოს, რამეთუ იქ აფხაზეთიდან დევნილი მრავალი ადამიანი იყო. მაშინდელმა რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა მითითება მისცეს, რომ მსგავსი დახმარებები არ გაეცათ, მაგრამ ეს ბრძანება არ აუსრულეს „ბატონებს“. დათო ღირსეული ადამიანია...

ცნება „ღირსება“ ნიშნავს, როგორ აღვიქვამ საკუთარ თავს. ღირსება შეიძლება ნებისმიერ ადამიანს ჰქონდეს, მაგრამ გააჩნია, რა მოთხოვნებს უყენებ თავს ამ თვისების საპირონედ. ზუსტად ეს მომენტი იყო მოსკოვშიც-საკუთარი ღირსების ღირსეულად წარმოჩენა და შენარჩუნება: 90-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში, ელცინის დაცვის უფროსი, ე.წ. კგბ-ს გენერალი ალექსანდრე კორუაკოვი იყო, რომელიც არაფორმალურად განაგებდა რუსეთს და ნებისმიერი თემის „მომგვარებელი“, ლობისტი გახლდათ კრიმინალებთან ურთიერთობით. ბატონმა დათომ ღირსების საკითხი უმთავრეს წინაპირობად დააყენა და კორუაკოვთან მოუხდა კონფლიქტი, მან კი საქმეში ჩართო რუსეთის სახელისუფლებო კავშირები და დაიწყო დაპირისპირება. დათომ მცირედი შეურაცხყოფაც კი არ აიტანა, დიდი ფულადი მოგებისა და პატივის წილ არ მოიხარა ქედი კორუაკოვის წინაშე და როგორც ხდება, ჩაუდეს ხელყუმბარა და ამ მოტივით აღმოჩნდა საპატიმროში.

დახმარება, რომელსაც ის გასცემდა ემიგრაციაში მყოფი ქართველი დევნილებისთვის – ეს მისთვის ცხოვრების წესი და სამშობლოს წინაშე ერთგვარი ვალდებულება იყო.

ზოგადად, თუ არ შეგწევს ძალა, დაიბრუნო შენი ქვეყნის დაკარგული ტერიტორიები, მაშინ ღირსეული ნაბიჯით, ქმედებით დაეხმარე ადამიანებს და ამით აღასრულე მამულიშვილური ვალი, რომელიც

წყალივითა და ჰაერივითაა საჭირო ადამიანის სულიერი განვითარებისთვის, ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების სრულსაყოფად.

აფხაზეთი და სამაჩაბლო უდიდესი ტრაგედია იყო ქართველებისთვის. დათო ამას ძალიან მძაფრად განიცდიდა და ცდილობდა, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა სამშობლოდან დევნილი ადამიანების მძიმე ხვედრი. ადამიანობა ოდნავ მაინც თუ გქონდა შერჩენილი, არ დახმარებოდი დავრდომილს და უსახლეკაროს, ყოვლად შეუძლებელი იყო. დათოს ამგვარ ქმედებაში მნიშვნელოვანია ის, რომ მას პოლიტიკური ამბიციები არ ჰქონია და არც სავალალო შედეგებზე უფიქრია. არ მოელოდა დივიდენდებს, მაგრამ როგორც ჩანს, რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთ თვალში მოხვდათ ეს აქტივობები. მათ ჩათვალეს, რომ სამომავლოდ ამგვარი ქმედება ბატონი დავითს უფრო დიდი პოლიტიკურ და ფინანსურ ამბიციებს გაუჩენდა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო მანქანა ჩაერთო.

90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ციხეში ღირსების დაცვით დაიმკვიდრო ადგილი, ეს არ არის მარტივი საქმე. ვისაც არ გამოუცდია, უნდა იცოდეს, რომ ეს ადგილი ცნობილი იყო თავისი სისასტიკით, შიდა ბრძოლებით, სიცოცხლისთვის საბედისწერო ურთიერთობებით, გაუსაძლისი კომპონენტებით, რომელიც თან სდევს პატიმრის ყოფას. მიუხედავად ამისა, იქაც მშვიდ ბუნებრივ მდგომარეობაში იყო და შესაბამისად, გარკვეული დროის შემდეგ, მოხდა მისი გადმოყვანა საქართველოში. იყო არაერთი საკითხი, ხიფათი—ციხიდან გაპარვის ეპიზოდებიც. მაშინ, როცა ადამიანის სიცოცხლე, თვით ადამიანი ჩალადაც არ ფასობდა, დათოს დაეხმარა მისი კრეატიული უნარი—სწორად დაგველაგებინა ურთიერთობები, რომელმაც საშუალება მისცა, ლავირება მოეხდინა ისე, რომ ოდნავადაც არ დაეკარგა ღირსების შეგრძნება.

და კიდევ ერთი, არც ერთს არ გვიცხოვრია სოფელში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივეს დიდად გვიყვარდა ჩვენს ფესვებთან და მამა-პაპის სამოსახლოსთან ურთიერთობა.

განგრძობით დროში ეხმარება თავისი რაიონის, ამბროლაურის მაცხოვრებლებს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტიპის ქმედებაში. ეს მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა — დაუგეგმავი და უანგარო, რომელიც მისი ცხოვრების წესად იქცა.

## სამობლოვი

სელმძღვანელობდე ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტს, ამის საშუალებას მარტო კანონი და კანონმდებლობა ვერ მოგცემს. ამისთვის საჭიროა მაღალი ზნეობრივ-მორალური თვისებები, რომელიც სწორ

კოორდინაციას გაძლევს სხვადასხვა ხასიათის, ზნის, თვისებების, დამსახურების ადამიანებთან ურთიერთობისას.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ ბატონი დავითი დაუბრუნდა მშობლიურ ტექნიკურ უნივერსიტეტს, როგორც ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი და ამ მიმართულებით განაგრძო სამეცნიერო მუშაობა. არც ამ პერიოდში ჰქონია პოლიტიკური ამბიციები. უნივერსიტეტი იყო და არის მისი სულის ნაწილი, მისი ყოველდღიური ცხოვრების წესი.

ბედისწერა იყო ისიც, რომ სამშობლოში დაბრუნებული კვლავ გახდა პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი. 90-იანი წლებიდან, მოსკოვში და შემდეგაც, პოლიტიკა არ სცილდება მას. წამოვიდა სამსახურიდან, განავითარა ბიზნესი და მოუხდა შეჯახება პიროვნებებთან, რომლებიც მოქმედებდნენ სახელმწიფოს სახელით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და ვიტყვი, სახელმწიფოს რომ დაეჯახო, ეს შეიძლება შინაგანად არ გამართლებდეს, აյ სხვა რამებეა საუბარი – აյ არის კლანი, ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც სახელმწიფოს სახელით გებრძვის. არადა შენ ხარ სახელმწიფო, რადგან ამ ვითარებაში საკუთარ თავს კი არ იცავ, კლანებითა და კრიმინალებით მართული ქვეყანა ჯანსაღ გარემოსა და ურთიერთობებს ვერ შექმნის. სააკამპვილის მოდელის საქართველოც საბჭოთა სისტემით ეპრძოდა ადამიანებს, როგორც რუსეთი 90-იანი წლების დასაწყისში. აქაც ერთად ვიყავით გარკვეული მიზეზების გამო, შემდეგ ისევ საკუთარ თავზე აიღო ის პასუხისმგებლობა, რომელიც მას არ ევალა და ისევ პატიმრობაში აღმოჩნდა ორთაჭალის – გუბერნისკის ციხეში, სადაც ისტორიული ფაქტის მონაწილე გახლდათ-ბოლო პატიმარი იყო, რომელიც გადაიყვანეს გლდანის ციხეში.

დღეს დათო გამართლებულია! ამ უსამართლო დავამ აჩვენა, რომ ადამიანი არ იცლება, იგი ზუსტად ისეთივედ რჩება, როგორსაც უფალი ქმნის. დათოს რომელი ეპიზოდიც არ უნდა გავიხსენო, ყველგან ერთნაირია მისი ხელწერა-ქმედება, რაც მთავარია, ღირსეული ადამიანის საქციელს ექვემდებარება.

ის არის კაცი, ვინც მუდამ სასიკეთო საქმით გამოირჩევა და ბენვის ხიდზე დამარცხებასაც ღირსეულად უსწორებს თვალს, მაგრამ ერთი წუთით არ კარგავს ბრძოლის უინს, იბრძვის მისიონერული საქმეების აღსასრულებლად.

რაც დასათმობი არ არის, არ თმობს. მთავარი მატრიცა რაც არის, დათოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ რჩება.

ძნელია ამხელა უნივერსიტეტს უხელმძღვანელო, ყველასა და ყველაფერს მოუარო, გაუფრთხილდე, შეინარჩუნო და ახალი თაობისთვის შექმნა ის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, რაც მათი

და შენი ქვეყნის აღმშენებლობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებითაც ლიდერია და ცდილობს ყურადღება არ მოაკლოს, გაუფრთხილდეს იმ უნიკალურ გუნდს, ვისთან ერთადაც სათავეში უდგას ასწლოვან უნივერსიტეტს, რამეთუ მთელი ქვეყნის ინდუსტრიული აღმშენებლობა ამ უნივერსიტეტის მესვეურებზე, სამეცნიერო ელიტაზე დგას. დათო ამ მხრივაც საინტერესოა, როგორც შემოქმედებითი ადამიანი-სწამს, თუ გაჩერდები ერთი მოთხოვნის დონეზე, ვერ განვითარდები. უმაღლესი სასწავლებლის რექტორობა დიდად საპასუხისმგებლო საქმეა, რამეთუ მომვალ თაობასთან, ათასობით ნათელ აზრთან, გონიან, პიროვნებასთან გაქვს ურთიერთობა. ახალი თაობა ნერგივითაა, რომელსაც მუდამ სჭირდება სასიცოცხლო ენერგია, ხელშეწყობა, წახალისება, დახმარება. უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსის შერჩევაც მნიშვნელოვანია, სწორი მიღვომები და მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმები ესაჭიროება. დავითის მიზანიც ეს გახლავთ— შეინარჩუნოს და მეტიც, განამტკიცოს უნივერსიტეტის სახელი ყველაზე მაღალი სტანდარტებით. ეს ურთულესი პროცესია, მარტივად ვერ მოაგვარებ, მაშინ, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესი განათლების მრავალი თანამედროვე, ტრენდული კერაა და ჩვენს სახელმწიფოშიც უდიდესი კონკურენციაა ამ მხრივ.

საინჟინრო მიმართულებების მხრივ, ვერ განვითარდება ქვეყანა, თუ **ამბიციურ გეგმებს** არ დაისახავ. დავითი ამ კუთხითაც მუდმივი განვითარების, სიახლეების მაძიებელია და ცდილობს, უნივერსიტეტი გახადოს ერთ-ერთი ნოვატორი მთელ მსოფლიოში.

### საიურიკო სურვილები...

ამ დროს არის სტანდარტული სიტყვები გილოცავ, გისურვებ, მრავალს დაესწარი...

დათოს ვუსურვებდი, რომ იყოს ასეთი დაუდგრომელი ბოლო წუთამდე. კიდევ ერთი რამ მინდა ვუთხრა: ახალგაზრდობა ეს არ არის ასაკობრივი განზომილება, ეს არის სულის მდგომარეობა. სულ მუდამ ასეთი ახალგაზრდა და შემართული იყოს. ბედნიერი ხალხი ვართ, რომ ეს წლები ერთად გავატარეთ და მომავალშიც ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტის კიდევ მრავალი წარმატების მოწმეები გავხდებით.

ივანე (მამუკა) გიორგაძე  
პროფესორი, სამართლისა და საერთაშორისო  
ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

## გყველეს ეკონომიკურ ენვირონმენტურის სიმართვის და ფინანსების

ჩვენი ურთიერთობის ქვაკუთხედი ჩვენი შვილები – ბაქარი და გიორგი არიან. ისინი პირველი კლასიდან მხარიმხარ მოდიან და მეგობრობის ქრესტომათიული ისტორია აქვთ. მათ უკვე ჩვენზე დიდი მეგობრობა აკავშირებთ და ამით ვხარობთ მეცა და დათოც.

ორივე გარეგნულად, ერთი შესედვით, პირქუში და ზედმეტად ზვიადნი ვართ. თუმცა, როგორც კი საქმე ეხება ან ბაქარის, ან გიორგის წარმატებას, ორივენი სენტიმენტალურნი და თვალცრულიანნი ვხდებით. ასე იყო წლების წინ, როცა ამ 25 წლის ბიჭების პროექტმა „DEEHUBS“ ელვის სისწრაფით დაიპყრო ევროატლანტიკური სივრცე და სიდწეიმი (აშშ) დაიდო ბინა. ასე აღმოჩნდა 2015 წელს ჟურნალ Forbes-ის ყდაზე ჩვენი შვილების ფოტო.

ასე იყო მაშინაც, როცა დუბაიში ერთად გავემგზავრეთ ორი „ჯარისკაცის მამა“ და ჩვენი შვილების ტრიუმფალური მიღწევები ვიზეიმეთ სტარტაპელთა მსოფლიო ფორუმზე. ეს ფოტოები ამ სიტყვებზე მეტად გამოხატავს მამაშვილობის ზეიმს.

მე ერთი ვიცი, მარადისობის კანონის ლოგიკით ჩემი და დათოს მეგობრობა საუკუნეებს გადასწვდება, რადგან ამ ძმობას ჩვენს თვალწინ ჩვენი შვილები აგრძელებენ და ახლა უკვე შვილიშვილებმა აიღეს ეს მექვიდრეობა ხელში.

დათო გურგენიძე, გილოცავ 60 წლის იუბილეს, ვამაყობ შენით!

**ზაზა მარუაშვილი**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე,  
პროფესორი**



# „ძღვის ერთობლივობა, მაგრამ უკანონობა“

კონფუცი

ჩვენი მეგობრობა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სა-თავეს და 40 წელზე მეტია გრძელდება. დავმეგობრდით მაშინ, როცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ვიყავით. ერთმანეთი ჩვენმა საერთო მეგობარმა შესანიშნავმა ახალგაზრდა კაცმა (ან გარდაცვლილმა) გოგა გიორგობიანმა გაგვაცნო. შემდეგ ჩვენს საერთო სამეგობროს შემოუერთდა ახალგაზრდების დიდი არმია. ამ გუნდის წევრთა უმრავლესობა მაშინდელი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (გპი) ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი და ხელმძღვანელი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სიცოცხლით, ენერგიით, სიყვარულითა და სიკეთით გამსჭვალული სტუდენტური წლები. თითოეული ჩვენთაგანი ვგრძნობდით სერიოზულ პასუხისმგებლობას, როგორც საკუთარი თავის, ასევე იმ 30 ათასიანი სტუდენტური კოლექტივის წინაშეც, ვისი ხელმძღვანელებიც ვიყავით. ერთი გუნდის პრინციპით ვმონაწილეობდით ინსტიტუტის საქმიანობაში. ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ კიდევ ფერადი სათვალით უყურებ გარემოს, გაქვს იდეები და მისწრაფებები.

ბატონი დავითი სამეგობროში ლიდერის თვისებებით გამოირჩეოდა. მიუხედავად უმცროსი ასაკისა, ის ყოველთვის იღებდა თამამ და გაბედულ გადაწყვეტილებებს, რაც მთავრია, ეს გადაწყვეტილებები ყოველთვის იყო სამართლიანი და სიკეთით ნაკარნახევი.

ასეა დღესაც, უბრალოდ, დღევანდელი გადაწყვეტილებები ველარ არის ისეთივე სწრაფი, როგორიც ადრეულ ასაკში, ვინაიდან წლებთან ერთად, ამ გადაწყვეტილებებს გამოცდილება და გაზრდილი პასუხისმგებლობა ახლავს თან.

მას შემდეგ, რაც ბატონი დავითი რექტორი გახდა, ხშირად იცის თქმა: „ძალიან მიჭირს და მეშინია გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება, დიდხანს ვფიქრობ, ვინაიდან ჩემი ქმედების უკან უდიდესი ისტორიის მქონე სასწავლებელი და მრავალრიცხოვანი გუნდი დგას“.

ჩვენი მეგობრობის დასაწყისში ვერც ერთი ჩვენგანი ვერ წარმოიდგენდა იმას, რაც შემდგომ პერიოდში მოხდა.



მიმაჩნია, რომ ქვეყნის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1989 წლის 9 აპრილი, რომელმაც შეცვალა როგორც ჩვენი სამშობლოს, ასევე თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრება და მსოფლმხედველობა. ცხოვრების შემდგომმა პერიოდმა, კერძოდ, 90-იანმა წლებმა, არაერთი განსაცდელის წინაშე დააყენა თითოეული ჩვენთაგანი. ამას დაერთო ადრეულ ასაკში ტრაგიკულად გარდაცვლილი მეგობრების ტკივილით გამოწვეული განცდა და ფიქრი მათი ოჯახის წევრებზე, განსაკუთრებით შვილებზე.... აქაც ბატონი დავითი ერთ-ერთი პირველი იყო და ეს დღემდე ასე გრძელდება. მიუხედავად მისი დატვირთული გრაფიკისა, იგი ყოველთვის იცლის ამ ადამიანებზე ზრუნვისა და ყურადღებისათვის.

90-იან წლებში ბატონი დავითი საცხოვრებლად და სამუშაოდ ქალაქ მოსკოვში გადავიდა და მოსკოვის ფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ამავე ინსტიტუ-

ტის დირექტორის ალექსანდრე სუვოროვის ხელმძღვანელობით. პარალელურად მოახერხა საკუთარი ბიზნესის წამოწყებაც.

მახსენდება, ამ პერიოდში მეცნიერებათა აკადემიდან აკადემიკოსი გივი სანაძის, აკადემიკოსი ოთარ ნათიშვილი, გია შუბლაძე და მე საქმიანი ვიზიტით მიგვიწვიეს აშშ-ში, ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტში. ვინაიდან თბილისში არ იყო აშშ-ის საელჩო, ვიზებისთვის მოსკოვში გადავფრინდი. პირველი, ვინც დამხვდა, პრობლემის მოგვარებაში დამეხმარა და ორი კვირის საქმე, ფაქტობრივად, ოთხ დღეში მოგვიგარა, დავით გურგენიძე იყო. საკუთარი თვალით ვნახე მის გვერდით და მისი ხელმძღვანელობით შეკრებილი თანამზრახველების გუნდი, რომლებიც იქ, მოსკოვში სერიოზულ პატრიოტულ საქმეს აკეთებდნენ ჩვენი თანამემამულეებისათვის. ეს ის პერიოდია, როდესაც მოსკოვში, გარდა ქართველთა სათვისტომოსი, მრავლად იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი ადამიანები, რომელთაც ყოველდღიური დახმარება სჭირდებოდათ. სწორედ ბიზნესის გარკვეული წილით ეხმარებოდა ბატონი დავითი მათ. ეს დახმარება და ბატონი დავითის შეუპოვარი ხასიათი იყო მიზეზი მისი დაპირისპირებისა იმდროინდელი რუსეთის ხელისუფლების ზედა ეშელონების წარმომადგენლებთან, რომელთა მოთხოვნაც იყო ამ ქველმოქმედების შეწყვეტა. ეს დაპირისპირება საბოლოოდ ბატონი დავითის დაპატიმრებითა და შემდგომ პერიოდში საქართველოში დაბრუნებით დასრულდა.

ბატონი დავითი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თავიანთი კაცობითა და განსაკუთრებული მიდგომით, ირგვლივ მყოფთ საოცარ ყურადღებასა და სითბოს უზიარებენ, მთავარ თვისებად კი მაინც მისი მიზანდასახულობა მიმართია. ვფიქრობ, ეს დახმარა მას ყველა იმ სიძნელის გადალახვაში, რაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეხვდა.

სამშობლოში დაბრუნებული მშობლიურ უნივერსიტეტს დაუბრუნდა და განაგრძო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. პარალელურად განავითარა და სერიოზულ სიმაღლეზე აიყვანა მის მიერ დაწყებული ბიზნესსაქმიანობა. ბედის ირონიაა ალბათ, და აქაც კვლავ სახელმწიფო მანქანასთან მოუხდა შეჯახება. წინა ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანების კლანმა, პირადი გამორჩენის მიზნით, ყველაფერი გააკეთა, როგორც ბიზნესის, ასევე თავისუფლების წასართმევად. მიუხედავად ყველა ამ განსაცდელისა, დღეს ბატონი დავითი გამართლებულია სასამართლოს ყველა ინსტანციის მიერ.

მიუხედავად არაერთი სერიოზული განსაცდელისა, მან მოახერხა, არ დაეკარგა ბრძოლის შინი, მიეღწია დასახული მიზნისათვის.

დღეს აკადემიკოსი დავით გურგენიძე ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყნის ასწლოვან უნივერსიტეტს, ძალსა და ცოდნას არ იშურებს მის ასაღორძინებლად და როგორც ჭეშმარიტი ლიდერი, ცდილობს კიდევ უფრო მეტ სიმაღლეზე აიყვანოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

იყო ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი უნივერსიტეტის რექტორი, ეს, გარდა დიდი პატივისა, უდიდესი პასუხისმგებლობაცაა, ამ ყველაფრის უკან კი დგას უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის მხარდაჭერა, სიყვარული და პატივისცემა მისდამი.

როცა არ გინდა მოუცლელობისა და ყოველდღიური რუტინის გამო ზედმეტად შეანუხო, ხვდები, რომ ეს ადამიანი შენზე ფიქრობს, შენზე ზრუნავს და განიცდის.

ასე იყო ჩემი ბოლო განსაცდელისა დროსაც, როდესაც გულზე არსებული პრობლემების გამო ისე შეშფოთდა, რომ სასწრაფოდ დაურეკა მის მეგობარ სულხან ლომინაძეს და იმავე დღესვე ოპერაციის ჩატარება სთხოვა. სამთვიანი მკურნალობის შემდეგ, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა და პირველი, ვინც რეანიმაციაში ჯერ კიდევ ნარკოზიდან იმ წუთას გამოსულს ქირურგის ტელეფონით მესაუბრა, სწორედ ბატონი დავითი იყო.

ზოგჯერ ფიქრობ, საიდან მოდის ეს უსაზღვრო ენერგია, კეთილი საქმის კეთების სურვილი და ხვდები, რომ ეს ყველაფერი მისი ფესვებიდან, წინაპრებიდან მოდის და როგორც ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არ იზომება, არამედ ფესვებიდან, ასე ადამიანებშიც. ბატონი დავითის ფესვები საქართველოში, კერძოდ, მის მშობლიურ რაჭაშია, რომლის ყოველ კუთხე-კუნტულზეა შეყვარებული და უდიდესი რუდუნებით უფრთხილდება ამ ფესვებს. იგი ყველაფერს აკეთებს ამ მხარის სულიერი და ინფრასტრუქტურის გაძლიერებისათვის.

საკუთარი კულტურის რწმენის, ადათ-წესების, სტუმარ-მასპინძლობის არდავიწყება ისაა, რაც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

დათოს მამა ზაურ (რიმიკო) გურგენიძე ინჟინერ-მშენებელი, ყოველთვის მნიშვნელოვან და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა შესაბამისი დარგის სამინისტროში.

დედა, ულამაზესი ქალბატონი ჯილდა კალაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ.

ფალიაშვილის ქუჩის 48 ნომერში გურგენიძეების ბინაში, რომელიც, თამამად შემიძლია ვთქვა, დათოს სამეგობროს მეორე ოჯახი იყო, ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული გარემო გვხვდებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა, უჭირდათ თუ ულხინდათ, ამ სახლში ყოველთვის გულთბილად მიგიღებდნენ, მოგისმენდნენ და რაც ყველაზე მთავარია, გაგიგებდნენ.

დღემდე ლამაზად მახსენდება ქალბატონი ჯილდას მიერ მომზადებული უგემრიელესი კერძებით გაწყობილი სუფრა, რომელიც სადღესასწაულო ელფერის მიუხედევად, არანაირ უხერხულობას არ გვიქმნიდა ოჯახის ახალგაზრდა სტუმარს.

სწორედ ამ გარემოში იზრდებოდნენ და პიროვნებად ყალიბდებოდნენ ბატონი დავითი და მისი და ეკა.

მინდა გავიხსენო ბატონ დავითის მიერ ქალბატონი ჯილდას წლისთავზე სადღეგრძელოსას წარმოთქმული სიტყვები: „მადლობა უფალს და ჩემს მშობლებს, რომ მე მათი შვილი ვარ“. ეს იყო უდიდესი მადლიერებით, პატივისცემითა და სიყვარულით ნათქვამი.

სწორედ ეს პატივისცემა და სიყვარულია დღესაც ბატონი დავითის ოჯახის დევიზი. მისი მეუღლე, ქალბატონი მარინა გურგენიძე (თოფურია), თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო უნივერსიტეტის პროფესორია, რომელიც, გარდა ფიზიკური სილამაზისა, სულიერი სიძლიერითა და მტკიცე ხასიათითაც გამოირჩევა. მათი შვილების-ანასა და გიორგის, წარმატებაც დიდი ხანია გასცდა ერთი ოჯახის საზღვრებს, დღეს კი ბატონი დავითისათვის ყველაზე „მთავარი კაცი“ შვილიშვილი ირაკლია, რომელიც მისი სიყვარულის, სითბოსა და ბედნიერების უშრეტი წყაროა.

და ბოლოს, გარდა ბანალური მილოცვის სიტყვებისა და სურვილებისა ჯამრთელობა, სიყვარული, ბედნიერება... ბატონ დავითს მინდა ვუსურვო ბევრი გულწრფელი და შრომისმოყვარე ადამიანი მის გვერდით, იმ დიდი საქმეებში, რასაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმატება და წინსვლა ჰქონდა.

ზაზა ბუჩქიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების  
ფაკულტეტის მენეჯერი

## „ბახესოვის, ჩორ ხარ ენერგიი!“

ცხოვრებისეულმა გზაგასაყარებმა მრავალ შესანიშნავ ადამიანთან ურთიერთობის შანსი მომცა. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ჩემს ბავშვობის მეგობარ დავით გურგენიძეს. ის გახლავთ ადამიანი, ვისთან ურთიერთობაც გვასწავლის ცხოვრებას, საქმის-ადმი სიყვარულს, საზოგადოების წინაშე მაღალ პასუხისმგებლობას, უბრალოდ, სამაგალითო ადამიანურ დამოკიდებულებებს.

ერთ უბანში, ვაკეში ვცხოვრობდით, ორივე მშენებლების ოჯახში გავიზარდეთ, ალბათ ამიტომაც, სწრაფად დავმეგობრდით.

დავითს ჰყავდა შესანიშნავი მშობლები, მამა-ბატონი რიმიკო (ზაური) ლირსეული პიროვნება, ნამდვილი პროფესიონალი; დედა-ქალბატონი ჯილდა, გამორჩეული განსაკუთრებული კეთილშობილებითა და სილამაზით. მათი ტრადიციული ოჯახი დიდი პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში. 80-იანი წლებიდან დაწყებული ჩვენ ერთად მოგვიწინა მუშაობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჰედვიგორგენიკის ფაკულტეტზე, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპლექსში“ და სხვ. სტუდენტობიდანვე გამოიკვეთა მისი ორგანიზატორული და ლიდერის თვისებები, მიდრეკილება სამეცნიერო საქმიანობისადმი, ის სტუდენტობიდანვე მონაწილეობდა სამეცნიერო კვლევებში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო თბილისის საქალაქო კომიტეტის სამეცნიერო და სტუდენტი ახალგაზრდობის სამსახურის უფროსად, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ინიციატივიანმა ხელმძღვანელმა, მრავალი სიახლის ავტორმა. დიდია დავითის წვლილი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომპლექსის“ განვითარებაში, რომელიც 90-იან წლებში, საყოველთაო დეფიციტის პირობებში, ახერხებდა საქართველოს მცირე ჰესების უზრუნველყოფას აუცილებელი დანადგარებითა და მაკომპლექტებლებით.

შემდეგ იყო ბიზნესის პერიოდი, აქაც სერიოზული წარმატება, ქველმოქმედება, უპოვართა დახმარება, სამართლიანობისთვის ბრძოლა... ამის გამო ხშირად პრობლემები და განსაცდელიც ჰქონდა, თუმცა არასდროს უღალატია თავისი რწმენისა და პრინციპებისთვის.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი უშრეტი ენერგიით რაინდული და უზადო კაცობით ირგვლივ მყოფთ საოცარ სითბოს უზი-

არებენ, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებენ, ზნეობრივი ქმედებით ავსებენ ყოველდღიურობას. დავით გურგენიძე მისაბაძი პიროვნებაა საზოგადოებისთვის, გულანთებული მამულიშვილი, სამაგალითო მეგობარი და ყოველივე ამას თან ერთვის არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებები და საქმისადმი ერთგულება.

ბატონი დავითის მიერ განვლილი ცხოვრების გზა არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს, თესო სიკეთე და იყო მართალი კაცი. ამიტომაც აქეს ძალა მის სიტყვას. ბატონი დავითის ცხოვრების გზა სიძნელეებთან ჭიდილის, დიდი და კეთილი საქმეების უანგაროდ კეთების, სიკეთის უშურველად გაცემის, კეთილშობილებისა და მიმტევებლობის შთამბეჭდავი მაგალითია. ყველა, ვინც იცნობს, დამეთანხმება, რომ მას საქმის გულგრილად კეთება არ შეუძლია. უკომპრომისო გახლავთ, უპირველესად საკუთარი თავისადმი. ასეთია ყველგან და ყველაფერში–საზოგადოებაშიც, სამეცნიერო მოღვაწეობაშიც, ადამიანურ ურთიერთობაშიც.

მის ცხოვრებაში იმედგაცრუებაც იყო. დიდი ბრძოლებიც გადაიტანა, მაგრამ არ გატეხილა, ფარ-ხმალი არ დაუყრია, არ ჩაკეტილა. შეძლო ის, რასაც ბევრი ვერ გაუმკლავდებოდა – ქვეყნისთვის საჭირო, სულიერადაც ძლიერ და გაუტეხელ კაცად დარჩა...

### კორტრეტული შტრიჩი ეპილოგისთვის

80-იანი წლები მთავრდებოდა. დაწყებული მქონდა მცირე მშენებლობა, თუმცა საშენი მასალების დეფიციტის გამო, დროებით შევფერხდი. ვხედავ, ეზოში შემოდის მასალით დატვირთული ავტომობილი და მოჰყვება დავითი. ქსანში მივაგენი ამ მასალებსო (ჩვენი საერთო მეგობრისგან გაუგია ჩემი პრობლემის შესახებ და მამამისის–ზაური ბიძიას დახმარებით გამიკეთა სიურპრიზი).

ახალგაზრდობაში ტრაგიკულად დაიღუპა მისი მეგობარი, რომელსაც დარჩა მცირენლოვანი შვილები. დავითი მეგობრის დაღუპვის დღიდან მხარში უდგას მეგობრის ოჯახს... თუმცა ამაზე ხმამაღლა არასდროს საუბრობს...

თემურ ბულია  
ბავშვობის მეგობარი

## სტატობის ეპოგი

თითოეული ადამიანი ინდივიდუალური და უნიკალურია. ყველას გვაქვს ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები, როცა სრულად შევი-გრძნობთ ამქვეყნად მოვლენის მთავარ არსს. პირადად ჩემთვის ეს ეპიზოდი სტუდენტობას უკავშირდება. ვგონებ, ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ არის ბედნიერი, როცა დასახული მიზნისკენ, თუნ-დაც პროფესიის სრულყოფისკენ მიიწევს წინ და ამ გზაზე არანაირი წინაღობა არ აბრკოლებს. სწორედ ამ ეტაპზე ხვდები, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესინალად ჩამოყალიბებას შენი პიროვნული და სულიერი განვითარებისთვის.

სტუდენტობა თავისთავად უმნიშვნელოვანესი ეტაპია, დიდი როლს ასრულებს გარემო, რამდენად ჯანსაღია ის, ფასეულობათა და ლირე-ბულებათა რა სისტემა აქვს. მე და დავით გურგენიძე სტუდენტობის წლებში დავმეგობრდით და მას შემდეგ ერთად მოვდივართ, ძალიან ბევრი მოგონება, ერთად გატარებული დღეები და მნიშვნელოვანი საქმეები გვაკავშირებს.

მრავალი კარგი რამ შემიძლია გავიხსენო დავითის პიროვნული თვისებებიდან, თუმცა მთავარი მაინც სიკეთის კეთების გამორჩეული მოთხოვნილებაა, რომელიც მასში ბუნებრივად სახლობს. ამ განსაკუ-თორებული თვისებით გამოირჩეოდა იგი სტუდენტობის უამსაც.

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანა ახალ რელსებზე გადავიდა. ადამიანებმა წამოიწყეს კერძო ბიზნესი. დავითმაც სცადა ამ საქმეში ბედი და წარმატებით გამოუვიდა... წარმატებაში კი იმას ვგულისხ-მობ, რომ ერთ დღეს, მეგობრებს გამოგვიცხადა – ყველა მზრუნ-ველობამოკლებული ბავშვთა სახლი შემოვიაროთ და პატარები გავახ-აროთ. ბუნებრივა, ადამიანი მაშინ შეიცნობა, როცა ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე არ ივიწყებს სხვადასხვა სოციალური ფენის ადა-მიანებს, მათთადმი თანადგომასა და სიკეთის კეთებას ცხოვრების წესად აქცევს. ამ მხრივ, ბატონი დავითი ჩვენთვის უდიდესი სტიმ-ულის მომცემია და ქველმოქმედი ბუნებაც შთამომავლობით ერგო... ამბობენ, სიკეთე სიცოცხლეში უნდა თესო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უკან მიდევნებული ლამპარივითაა. ამგვარი იგავური ასპექტები დავითს ცხოვრების მთავარ არსად აქვს გადაქცეული და მიუხედავად ასაკისა, სხვისთვის სიხარულის მინიჭების დიდი უნარი აქვს.

სხვადასხვა დროსა და ვითარებაში საჭირო ინვენტარით დატვირ-თული ავტობუსით შემოვიარეთ ჯერ კახეთის, შემდეგ მესხეთ-ჯა-

ვახეთის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლები. არასდროს დამავიწყდება პატარების სიხარულით ანთებული თვალები და თავად დავითის ბედნიერი სახე.

დავითმა ასპინძის ბავშვთა სახლში ჭადრაკის ჩემპიონთან ტურნირი გამართა—ორივენი წარმოუდგენლად ბედნიერები იყვნენ.

გავიდა წლები და სრულიად შემთხვევით, ასპინძის საფეხბურთო გუნდის მწვრთნელს შევხვდი. საუბარში გავიხსენე, როგორ ჩავუტანეთ ბავშვებს სპორტული ინვენტარი, მან კი დიდი მადლიერებით აღნიშნა, რომ არა თქვენ, იმ გაჭირვების წლებში, ასე სრულფასოვნად ვერ ვივარჯიშებდითო...

დავითს უამრავი საქველმოქმედო პროექტი აქვს რაჭაში განსორციელებული—ესაა გზის დაგება თუ ეკლესიების აღდგენა... მან ბევრი ადამიანის პრობლემა ოჯახის წევრებზე უკეთ იცის.

საქართველოში პრობლემური პერიოდის დროს საზღვარგარეთაც ვცხოვრობდით. იმ პერიოდში, ჩვენი ოფისი მაშველი რგოლი იყო უამრავი ქართველისთვის, განსაკუთრებით ლტოლვილებისთვის. ყველამ იცოდა, რომ დავითის იმედი უნდა ჰქონოდა, უგვარებდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აფინანსებდა მათ ოპერაციებს.

დღითიდღე ისეთი წარმოდგენა მექმნება, რომ ეს ადამიანი გუშინ უფრო კარგი ადამიანი იყო, ვიდრე გუშინინ და დღეს უკეთესია, ვიდრე გუშინ. იმისიც მჯერა, რომ კიდევ უფრო კარგი იქნება ხვალ...

დათო იყო ჩემი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი. ამ მიმართულებით ის გახლავთ მომთხოვნი, კრიტიკული, კრეატიული და რაც მთავარია, ნებისმიერი საინტერესო სიახლის გამზიარებელი და მხარდამჭერი. საქართველოში ჩვენი გუნდი იყო პირველი, რომელმაც დავითის ხელმძღვანელობით ყურადღება მიაქცია ისეთ სერიოზულ და აქტუალურ საკითხს, როგორიც არის ჩამდინარე წყლების მედიკამეტებით დაბინძურება.

დავითს მინდა მივულოცო იუბილე და კიდევ ბევრი წარმატება ვუსურვო ჩვენი ერის და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ზაალ ცინაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერი

## მართვის პრინციპები

დავით გურგენიძის ადამიანურ თვისებებზე შეიძლება ბევრი ილ-აპარაკო, რომელთა სიმრავლე ხიბლავს და მის მიმართ სიმპათიით განაწყობს გარშემო მყოფთ.

ჩვენი ნაციონალისა ათეულობით წლის წინ დაიწყო, მაშინ, როცა ორივე პოლიტიკური ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტის ახალ-გაზრდა ლიდერები გავხდით. მაშინ ფაკულტეტებს შორის კონკურენ-ცია იყო აკადემიურ მოსწრებაში, სამეცნიერო კონფერენციებში, შრომით სემესტრებში, მხატვრულ-თვითშემოქმედებით კონკურსებსა თუ სპორტულ შეჯიბრებებში. თავთავისი ინტერესებიდან გამომდინ-არე, შეიძლება ითქვას, „ვხოცავდით“ ერთმანეთს და მეგობრობა-ზე არც ვოცნებოდით, არც საქმიანი ურთიერთობის დროს გამომ-უდავნებულ ნიჭიერებასა და კრეატიულობას ვაქცევდით ყურადღებას.

თუმცა, ჯანსაღმა კონკურენციამ, დათოს გამორჩეულობამ, ინ-დივიდუალიზმა, უმოკლეს დროში დაგვამეგობრა და დღემდე ასე გრძელდება, რადგან დავით გურგენიძე გახლავთ ადამიანური ურთი-ერთობების მეტრი. მან კარგად იცის, რომ უნდა უხაროდეს მაშინ, როცა მის მეგობარს უხარია, წუხდეს მაშინ, როცა მისი მეგობარი წუხს და ეძებოს გზები და საშუალებები, რომ შეაშველოს ხელი.-

დავით გურგენიძემ ნაბიჯ-ნაბიჯ, ნარმატებით გაიარა ყველა საფეხური სტუდენტობის პირველი დღიდან დამსახურებულ აკადე-მიკოსობამდე. მისი პირველი სამეცნიერო ხარისხი თარიღდება 2006 წლით და გვირგვინდება 2023 წელს მისთვის საქართველოს მეც-ნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის წოდების მინიჭებით. შთამბეჭდავია მის მიერ მიღებული ჯილდოები და პრემიები.

დამეთანხმებით, რთული და ძნელია, როცა შენ თვალწინ ინგრევა სისტემა. მომაკვდინებელია, როცა შენი ქვეყანა დროებით, მაგრამ დაუდგენელი ვადით კარგავს ტერიტორიებს იმის სანაცვლოდ, რომ სული მოითქვას და უსამართლო და უთანასწორო ბრძოლამ არ აღ-გავოს მიწიდან.

დავითი ვერ ეგუება, როცა უძლურებისგან გმინავს მისი პატა-რა ქვეყანა და ყველა ღონეს ხმარობს, ფეხზე ნამოდგომაში ხელი შეაშველოს მას.

ასეთ დროს, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის მნიშვნელო-ვანია ბიზნესის ნამონება და განვითარება. დავითმა არც ამ ეტაპ-ზე იყოყმანა, თუმცა ამით, გარდა მოყვასისა, მტერიც მოიმრავლა.

სწორედ ფეხზე დაყენებული ბიზნესის არდათმობა გახდა არაერთგზის მისი უსიამოვნების მიზეზი ბიზნესზე მონადირეებთან.

თავი და თავი კი ის გახლდათ, რომ ის ქედს არ უხრიდა სახელმწიფოს ინტერესების ვითომ დამცველი, კორუმპირებული, კრიმინალური კლანების უსამართლო და ულირს მოთხოვნებს. ადამიანური ღირსების დაცვა მისი ერთ-ერთი თვისებაა და ღირსეული უბრუნდებოდა ხოლმე საქვეყნო საქმეებს და მეტი და მეტი საინტერესო იდეითა და პროექტით იკრებდა ირგვლივ თანამოაზრებს, რომელთაც ქვეყნის განვითარებისა და უკეთესი მომავლის დაჩქარება მოსვენებას უკარგავდა.

დავითისთვის, სხვა იდეალებთან ერთად, პრიორიტეტია აგრეთვე მოძღვარი და შეგირდი. მრავლისმეტყველია მისი დამოკიდებულება უფროსი თუ ახალი თაობის მიმართ, თაობათა ცვლის მიმართ, რათა უფროსი თაობების მეცნიერული ცოდნა და გამოცდილება მიზანმიმართულად გამოიყენოს ახალმა თაობამ. დიდია მისი დამსახურება ახალგაზრდების წინაშე. მან მრავალ ახალგაზრდას გაუხსნა გზა და აპოვნინა საკუთარი თავი.

აღსანიშნავია დავითის თვისება, სწრაფად აუღოს ალლო სირთულეებს. სულ რაღაც სამიოდე კვირის არჩეული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად, რომ სამყარო უცნობმა ვირუსმა შეაჯანჯლარა და საყოველთაო შეზღუდვებს რომ არ დაეზარალებინა საგანმანათლებლო პროგრამები, მან უნივერსიტეტში შექმნა კომპეტენტური, აკადემიური, საიმედო გუნდი, რომელიც დილიდან საღამომდე ძალისხმევას არ იშურებდა, გამკლავებოდა იმ გამოწვევებს, რაც სწავლების ახალფორმას-ონლაინსწავლებას უკავშირდებოდა.

აქვე გავიხსენებ პირველ დღეს პანდემიური რეგულაციების მოხსნის შემდეგ. თუ სამუშაო საათი, რეგულაციის თანახმად, საღამოს 8 საათზე მთავრდებოდა, მოჭარბებული სამუშაოების გამო სამუშაო პროცესი შემდეგ ლამის 12 საათამდე გახანგრძლივდა და ლამის რეგულაციების პერიოდი მოვინატრეთ. ეს, რა თქმა უნდა, კეთილი ხუმრობაა, მაგრამ ამით ხაზს ვუსვამ იმ რეალობას, რომ დავით გურგენიძესთან მუშაობის პირობები, ჩვეულებრივ, ვერ ეგუება მუშაობის სტანდარტულ რეგლამენტს.

დავითს ერთნაირად სტკივა თავისი თუ სხვა ხალხის სატკივარი. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ომის პირველსავე დღეებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაციასთან ერთად ჩავიდა უკრაინაში საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისა და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად.

ასევე ერთ-ერთმა პირველმა გააგზავნა უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარება. ჰუმანიტარული ტვირთის ადრესატი იყო ივანო-ფრანკოვსკში მდებარე ვ. სტეფანიკის სახელობის კარპატისპირა ეროვნული უნივერსიტეტი, რომელთანაც ტექნიკურ უნივერსიტეტს მრავალწლიანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს.

არ შემიძლია, გვერდი ავუარო ერთ შტრიხს დავითის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. სადაც არ უნდა მუშაობდეს, თითქოს ჯალოსნურ ჯოხს იშველიებსო, უმოკლეს დროში სამოთხეს ემგვანება იქაურობა. მან აიხდინა დიდი სურვილი, მისი ალმა-მატერი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გაბრნეინებული შეხვედროდა 100-წლოვანი იუბილეს და არა მარტო შეხვედროდა, არამედ უნივერსიტეტის აკადემიურ სივრცეს თვითონ მოეთხოვ დაარსების დღიდან გავლილი პერიოდის უნივერსიტეტულ ერთსაუკუნოვან ცხოვრებაზე.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება...

ძნელია პრინციპების არჩევა, მაგრამ უფრო ძნელია ამ პრინციპების დაცვა. დავით, შენ ერთხელ არჩეული პრინციპების ერთგული და დამცველი ხარ!

ძნელია, იყო კარგი შვილი, კარგი მეულლე, კარგი მამა, ამავე დროს – 30 ათასიანი სასწავლო დაწესებულების კარგი ხელმძღვანელი, უფრო ძნელია, იყო კარგი ადამიანი, მაგრამ უძნელესი მაინც ჭეშმარიტი მამულიშვილობაა. შენში ეს ყველაფერი ჰარმონიულადაა შერწყმული!

ცხოვრების არსი საკუთარი თავის პოვნა არ არის, საკუთარი თავის შექმნაა. ადამიანს უნდა შეეძლოს, ძალის პოვნა საკუთარ თავში და შემდეგ მისი საქმედ რეალიზება. შენ ნამდვილად შექმნი საკუთარი თავი!

დღეგრძელობას გისურვებ, მეგობარო!

ხათუნა უვანია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს წევრი,  
პროფესორი

# კოლეგიასთვის მისამართი მართვითი

ცხოვრება ამაღლვებელი თავგადასავლებით, ზოგჯერ კი ქარტებილებით სავსეა. წინასწარ არავინ იცის, ვინ სად, როდის და როგორ იქნება... დავითისა და ჩემი მეგობრობა წლებს ითვლის. პროფესიდან გამომდინარე, არაერთხელ გვქონის საქმიანი შეხვედრები. იგი ტექნიკურ უნივერსიტეტში გავიცანი, მას შემდეგ წლები გავიდა და ერთად მოვდივართ მყარად, ამაყად, უღალატოდ... არ არსებობს სიტყვები, რომელიც ჩვენს ურთიერთობას სრულყოფილად აღნერს, მისი მსგავსი სამაგალითო მეგობარი, სამწუხაროდ, სამყაროში იშვიათად დადის.

ცოდნისკენ დავითის სწრაფვა და საქმისადმი გულანთებული დამოკიდებულება ყოველთვის შთაგონების წყაროა. მისი მოღვაწეობა არაერთ წარმატებას ითვლის, მაგრამ თანამდებობას არასდროს შეუცვლია, გზიდან არ გადაუხვევია, ძმობისთვის არ უღალატია, დასახულ მიზნებს ყოველთვის აღწევდა და ახლაც ასეა. მისთვის არც დღევანდელი თანამდებობა-რექტორობა გახლავთ ფუფუნება, შეიძლება ითქვას, რომ პირიქით, ერთგვარი თავგანწირვაა სამშობლოსთვის, რადგან ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. მისი უპირველესი მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე უნივერსიტეტის საუკეთესოდ წარმოჩენაა და ამისთვის ძალისხმევას არ იშურებს... ბევრი გეგმა აქვს, სურს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იკავებდეს საერთაშორისო რეიტინგში წამყავან ადგილს. მჯერა, ეს აუცილებლად გამოუვა, რადგან არ არსებობს ისეთი რამ, რაც მას გულით სურდა და არ გამოსვლოდა. ყველაფერს აკეთებს, თავს არ ზოგავს, სწორედ ამიტომ არის ის კოლეგებისთვის მისაბაძი მაგალითი... მასზე ფიქრისას მახსენდება აბრაამ ლინკოლნის სიტყვები—„მომავლის წინასწარმეტყველების საუკეთესო გზა, მისი შექმნაა“. დისკიპლინის მოყვარული, მკაცრი, მომთხოვნი, ობიექტური და სამართლიანია. უნდა ითქვას, რომ დეკანობის დროს მაგალითის მიმცემი იყო სამშენებლო ფაკულტეტისთვის, ახლა კი მთელ უნივერსიტეტს აძლევს ასეთ მაგალითს. მისი ხელმძღვანელობა და მენტორობა ფასდაუდებელია უამრავი სტუდენტისა და უახალგაზრდა სპეციალისტის. ბატონმა დავითმა მოზიდა ცნობილი მეცნიერები და უნივერსიტეტი საკმაოდ სოლიდურ, ინტელექტურ ძალად აქცია, რომელსაც ანგარ-



იშს უწევენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ჩემო დავით, ძალიან ამაყი ვარ, რადგან შენი მეგობარი მქვია, ის გამძლეობა, მიზანდასახულობა, სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, რაც გაქვს, ყოველთვის იყო მაგალითის მომცემი ჩემთვის და გარშემო მყოფთათვის. 60 წელი არა მხოლოდ დროს ნიშნავს, არამედ სიბრძნის, გამოცდილებისა და მიღწევების დაგროვებას, რაც ნამდვილად უხვად გაქვს მომადლებული. ასაკი კი არის მხოლოდ წლების რაოდენობა, რაც მეტია, მით უკეთესი... გისურვებ სიხარულს, წარმატებას, ყველა იმ მიზნის ასრულებას, რომელიც დასახული გაქვს. გისურვებდი, ეს წელი ყოფილიყო აკადემიური შემოქმედების მწვერვალების კიდევ მეტად დაპყრობის უამი.

ლავრენტი (ზურაბ) გუდავაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (პრეზიდენტი)

## გზა ქცევის საკუთრივო

დრო ძალიან სწრაფად გარბის, იმდენად სწრაფად, რომ წუთი-სოფელი მართლაც თვალსა და ხელს შუა ნახევარ საუკუნეს გადასცდა... დღეს მე და ჩემი მეგობრები სასიქადულო იუბილარის დავით გურგენიძის 60 წლისთავს ვზეიმობთ. ექვსი ათეული წელი, ჩვენს მშოფოთვარე საუკუნეში, რასაკირველია, არც ისე ცოტაა, მაგრამ ეს წლები ძალზე მცირედ მეჩვენება ისეთი ულევი შემოქმედებითი ენ-ერგიით დამუხტული მოაზროვნისთვის, როგორიც ბატონი დავითია. ძვირფასო მეგობარო!

მადლიერი საზოგადოება კვლავაც ელის შენგან ბევრი სასიკეთო საქმის კეთებას მეცნიერებისთვის, სტუდენტი ახალგაზრდობისთვის. უდიდესი გულწრფელობით მინდა მოგეფერო არაორდინალურ, გამორჩეულ პიროვნებას, გისურვო დიდხანს გააგრძელო ის გზა, რომელიც აქამდე ლირსეულად განვლე ჩვენი ერის საქმეში. შენი მთელი ძალა და მომხიბლაობა იმ უბრალო საიდუმლოებაშია, რომელიც ყველა ჭეშმარიტი ადამიანისთვის ნათელი და სავალდებულო უნდა იყოს. ესაა უკიდეგანო, ვაჟააცური სიყვარული შენი ხალხისა და სამშობლოს მიმართ.

საამაყო და იშვიათია შენნაირი მეგობარი – საიმედო და ერთგული, სამართლიანი და სახელიანი, კარგი მრჩეველი და ყოველთვის გვერდით მდგომი და ახალგაზრდებისთვის მისაბაძი.

საზი მინდა გავუსვა შენ განვლილ გზას, რომელიც თავისი შინაარსით განსაკუთრებით სამაგალითოა ახალგაზრდებისთვის. რეტროსპექტიულად რომ გადავხედოთ ამ გზას, თვალწინ წარმოგვიდგება მიზანდასახული პიროვნება, ჭაბუკობიდან 60 წლის ასაკამდე. საამისოდ მხოლოდ ერთი რამ, ხანგრძლივი ჯანმრთელი სიცოცხლეა საჭირო, რასაც მთელი გულით და სულით გისურვებ. შენი ცხოვრება და შემოქმედება ერთი საზრისით განიზომება-ამას სიყვარული ჰქვია. სწორედ ამაზე მეტყველებს ნამდვილი ვაჟააცური სული და ბუნება, ხალხზე ზრუნვა, ჭეშმარიტად კეთილშობილი, ქართველი მამულიშვილის სახელი. შენი მეგობრები შენს საიუბილეო თარიღს დიდი ხანია ველოდებით.

იუბილეზე თამამად ვიტყვი, რომ დიდია შენი დამსახურება უნივერსიტეტის წინაშე, რადგან მთელი ცხოვრების განმავლობაში ემსახურები მომავლის აღზრდასა და ცხოვრების სარბიელზე გაყვანას. შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთ უდიდესი ტრადიციის მქონე

უნივერსიტეტს ხელმძღვანელობ. როგორც გამორჩეულმა ლიდერმა, ძალ-ღონე არ დაიშურე, მოგეზიდა ცნობილი მეცნიერები და უნივერსიტეტი ქვეყნის პერსპექტიული განვითარების საყრდენ ძალად გექცია.

გილოცავ სამოცი წლის იუბილეს! უმნიშვნელოვანესი თარიღია. ნაბიჯს ვდგამთ ასაკისკენ, რომელიც ცხოვრებით ტკბობის პერიოდად უნდა გვექცეს. სიბერე ჯერ შორს არის ან რა მოსატანია შენთან, რომელსაც ახლაც ისევე გიჭრის მკლავი და გონება, როგორც აღრე. გისურვებ ჯანმრთელობას, რაც ასე გვჭირდება აქტიური და ნაყოფიერი სიცოცხლისთვის ბედნიერ წელთა სიმრავლეს, ოჯახის, შვილების, შვილიშვილისა და ძვირფასი ადამიანების კარგად ყოფნას, ხვავსა და ბარაქას, ბევრ წარმატებულ საქმეს, მშვიდობას ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში. ჩემს პატარა მოლოცვას სათაურად შევურჩიე – „გზა ძნელად სავალი“, დასასრულს კი მივაწერ:

ჩემო მეგობარო, კიდევ ერთი 60 მომელოცოს და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ!.

ღმერთმა გვისმინოს!

**მერაბ ბალათურია**

## ოკულისტ ევროპანს



ჩემი და დავითის ურთიერთობა არის მეგობრული და ურთიერთპატივისცემაზე დაუფუძნებული. ვმეგობრობთ ოჯახებით და ასევე გვყავს საერთო დიდი სამეგობრო წრე. ხშირად ვიკრიბებით ოჯახებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სიამოვნებით, სიხარულით ვატარებთ დროს ერთმანეთთანაც და ჩვენი საერთო მეგობრების საზოგადოებაშიც, ვუსმენთ ერთმანეთს და ვითვალისწინებთ ერთმანეთის რჩევებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც დავითის ხასიათისთვისაა დამახასიათებელი, არის ის, რომ გახლავთ შინაგანად თავისუფალი ადამიანი ნებისმიერ მძიმე სიტუაციაში, ფსიქოლოგიურად გაუტეხელი, ოპტიმისტი და სჯერა ხვალინდელი დღისა!

ის არის მოწოდებით ლიდერი და წარმატებაზე ორიენტირებული კაცი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მისთვის მშობლიური ადგილია, ამიტომ რექტორის პოსტი დათოსთვის პატივიცაა და მისიაც.

ურთიერთობაში დათო მეგობრული და უშუალოა, რაც ძალიან დიდ ხიბლს სძენს მას, ასევე აღსანიშნავია მისი კარგი იუმორი და ლალი ხასიათი.

ყველაზე დასაფასებელია მისი კეთილშობილება და სხვათა პრობლემების გაზიარების უნარი, ასევე, პატიების უნარი.

ერთი სიტყვით, დათო გურგენიძე არის ღირსეული კაცი და საზოგადო მოღვაწე!

გულითადად გილოცავ 60 წლის იუბილეს.

ზაალ იაკობიძე

## მოგონებაზე განესახელ ძლიერი

არსებობენ ადამიანები, რომლებიც გამუდმებით სიახლეების ძიებაში არიან. ამ პროცესში საჭიროა არამარტო დიდი ენერგია და მონდომება, არამედ მრავალმხრივი განსწავლულობაცა და მომავლის უშეცდომოდ განვირებაც. სწორედ ამგვარი უნარით არის დაჯილდოებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი დავით გურგენიძე.

ძნელია ახლობელ ადამიანზე საუბარი, მით უფრო ისეთზე, რომელიც აშკარად გამოირჩევა პიროვნული თვისებებითა და ღირსებებით, სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი აქტიურობითა და შემართებით, პატიოსნებით, სამშობლოს სიყვარულით, ოჯახისადმი ერთგულებითა და, რაც მთავარია, დაუცხრომელი საზოგადოებრივი თუ სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობით.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პიდროტექნიკურ ნაგებობათა ფაკულტეტზე, ამ დალოცვილი ინსტიტუტის კედლებში გავიცანი დათო გურგენიძე. ჩვენი ორმოცი წლის მეგობრობაც აქ დაიწყო: 1983 წლის სექტემბერში, ინსტიტუტში ჩემს მეგობარ სოფრომ გურგენიძეს შევხვდი, რომელსაც თან ახლდა ჩემთვის უცნობი, გამორჩეული გარეგნობის ახალგაზრდა კაცი. სწორედ ამ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრული ურთიერთობა, რაც დღემდე გრძელდება.

დავით გურგენიძე სამეცნიერო მეგობარია, ჭირსა და ლხინში ადამიანის გვერდით მდგომი, სხვისი სიხარულისა და წარმატების გულით-ადი გამზიარებელი, სიახლეების მაძიებელი, სხვისი ნიჭიერების მაღიარებელი და, რაც მთავარია, სტუდენტი ახალგაზრდების გვერდში მდგომი სწავლა-განათლების საქმეში. მან ზუსტად იცის, რომ აწმყოში იქმნება ქვეყნის მომავალი, რაც ახალგაზრდების ხელშეწყობისა და წახალისების გარეშე, ყოვლად წარმოუდგენელია.

ალბათ გასგებია, რომ დათოსთან დაკავშირებით უამრავი მოსაყოლი მაქვს. რამდენი საინტერესო ისტორია გადაგვხდენია, მხიარულიც, სასიხარულოც, გულდასაწყვეტიც... ცოტა ხომ არ არის ორმოცნელიანი ურთიერთობა! ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მეგობრობა ერთი წუთითაც არ შენელებულა, დღემდე უფრო და უფრო ძლიერდება. ერთ ამბავს გიამბობთ:

სტუდენტობისას აფხაზეთიდან ჩამოსული გალელი ბიჭი ოთარ კუხალეიშვილი დაგვიმეგობრდა. ერთხელ მან თავისი საიდუმლო გაგ-

ვიმულავნა, გვითხრა, რომ ზუგდიდელი გოგონა მოსწონდა, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე სწავლობდა. დახმარება გვთხოვა. ჩვენც მეტი რა გვინდონდა, გამოცდილი შუამავლებივით დავტრიალდით. ყველაფერი ჩვენს მარიფათსა და მოხერხებაზე იყო დამოკიდებული. მათ შესახვე-დრად ათასგვარ მიზეზებს ვიგონებდით.

გამოხდა ხანი და საქმეც „გაიჩარხა“. ორივე ოჯახი თანახმა იყო მათ დაქორწინებაზე, ქორწილის დღეც ჩაინიშნა. ქორწილის პირველი ნაწილი ზუგდიდში, პატარძლის ოჯახში უნდა შემდგარიყო, მეორე კი-გალში. ოთარი დილემის წინაშე აღმოჩნდა-მეჯვარე ან მე უნდა ვყოფილიყავი, ან დათო. ამასთან ოთარი იმასაც ითვალისწინებდა, რომ ზუგდიდში ღვინოს დაგვაძალებდნენ და თადარიგი უნდა დაეჭირა. ბოლოს ასე გადაწყვიტა, რომ მეჯვარე მე ვიქნებოდი, ხოლო დათო მასპინძლების გამოწვევებს უნდა გამკლავებოდა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სიძეკაცს ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ გადაუდებელი ოჯახური პრობლემის გამო იძულებული გავხდი, თბილისში დაბრუნებულიყავი. გალში უკვე დათოს მოუწია ჩემ ნაცვლად ხელისმომკიდედ ყოფნა.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ზუსტად 20 წლის წინ დავქორწინდი და დათო იყო ჩემი მეჯვარე.

და ბოლოს, მინდა ალვნიშნო, რომ დათო მაგალითა იმისა, როგორ შეიძლება ცხოვრებამ არ გააბოროტოს ადამიანი და იყოს ამაღლებული. მას არასდროს განუცდია შური სხვათა წარმატების გამო, მუდამ ცდილობს, ახლობლებს ხელი გაუმართოს და დაეხმაროს წარმატების მიღწევაში. მას თხოვნა არ სჭირდება, თვითონ სთავაზობს ყველას თავის სამსახურს.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყველა კეთილ საქმეში. იხარე და იძენიერე, ვიდრე შენიანებს და შენს გულშემატკიცვრებს არ გაუნელ-დებათ შენდამი სიყვარული და პატივისცემა... გილოცავ 60 წლის იუბილეს სიხარულით, დღეგრძელს და ჯანმრთელს აგესრულებინოს შენი ღვაწლი და მისია ამ სამყაროში ...

და მაინც:

„ჰეი, ბავშვობის დღეებო,  
დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“

**რამაზ მუსერიძე**

## მცხოვრის განვითარების დაცვის მინისტრი

მე იმ ბედნიერ ადამიანთა  
შორის ვარ, რომლებსაც განგებამ  
ბატონ დავით გურგენიძესთან  
ურთიერთობა ბედად არგუნა.  
მასზე ბევრის თქმა შემიძლია.  
უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით  
უნდა აღინიშნოს, რომ უშრეტი  
ენერგია და სიყვარული მშობლი-  
ური უნივერსიტეტის შენებასა  
და ევროპულ უნივერსიტეტად გარდაქმნას მიუძღვნა.



ჩვენი მეგობრობა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში განმტკიცდა. ბუნებას ბატონი დავითი კაცისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებით დაუჯილდობია, თუმცა მასში პედაგოგის უშრეტი ენერგია, მეგობრობა და ვაჟყაცობა ყოველთვის ჭარბობს და თვალში საცემია. ბევრისათვის მისაბაძია მისი გონიერება და კეთილშობილება. ამ ადამიანში შესანიშნავადაა შერწყმული ორგანიზატორული ნიჭი და მეცნიერისათვის დამახასიათებელი მასშტაბური აზროვნება, რომელსაც ცხოვრებამ სიხარულიც არგუნა და უსამართლობაც, აღტაცებაცა და გულწრფელობაც, უძილო ღამეებიცა და ლამაზად გათენებული იმედი-ანი დილაკ.

აკადემიკოსს, თაობების აღმზრდელსა და პედაგოგს, შესანიშნავ მეგობარს, გილოცავ დაბადების მე-60 წელს, გისურვებ სიმბნევეს, კვლავაც უშრეტ ენერგიას, დღეგრძელობას, პროფესიულ და პირად წარმატებებს, ლამაზ სიბერეს, გამრავლებასა და გახარებას შვილებთან და შვილიშვილთან, საყვარელ ოჯახთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. არა-სოდეს გაგმრუდებოდეთ სიმართლის სასწორი, რომელიც ყველგან და ყველაფერში კეთილშობილებას გმატებთ.

გელა ყიფიანი  
საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს  
დამსახურებული მშენებელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესიონი

## სიცოცხლის განმავლობაში ვინც განსაკუთრებულ პერსონას წარმოადგენს, ვისი ქმედება და გამოცდილებაც შენთვის ცხოვრების გაკვეთილად იქცევა ხოლმე, უნებურად იმახსოვრებ მისგან მოსმენილ მნიშვნელოვან ფრაზებს. გამოგიტყდებით და ჩემი მრავალრიცხოვანი სანაცნობო წრიდან, გამორჩეულ ადამიანთა შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძეა, რომელიც ხშირად ამბობს, რომ ადამიანისთვის სამართლიანობა ყველაზე წმინდა რამაა. ეს სიტყვები ჩემთვის, როგორც მისი შეგირდისა და უმცროსი მეგობრისთვის, მეტად ძვირფასია, რადგან კარგი რჩევა და მრჩეველი მილიონზე მეტად ფასობს, პირდაპირ ვიტყვი, შეუფასებელია ...

ვინც ბატონ დავითს იცნობს, იცის, რომ მისთვის გამოუვალი მდგომარეობა, გადაულახავი დაბრკოლება არ არსებობს. ამიტომ, როცა მსგავსი სიტუაცია ჩემს ცხოვრებაშიც დგება, ყოველთვის ვითვალისწინებ მის რჩევებს, რადგან უდიდესი გამოცდილების ადამიანია და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩეული სიდარბაისლით ისმენს და აფასებს ჩემს მოსაზრებებს – ეს კი მისი პიროვნების უნიკალური თვისებაა.

არ მინდა, ჩემი სიტყვები გადაჭარბებულ აპოლოგიად უღერდეს, რადგან თავად ბატონი დავითი სისადავის, გაუხმაურებელი სიკეთის არქიტექტორია და ამგვარი ცხოვრებისეული ინჟინერის კვალდაკვალ ხშირად უხდება ბრძოლა სიმართლისთვის. მისი შეუპოვრობა, დაუყოვებელი სწრაფვა სიახლეებისკენ, მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ბრძოლა როდია. ეს არაერთხელ გამომიცდია მასთან ურთიერთობით: ბატონი დავითის პირადი მაგალითი კარიერული და პირადი ცხოვრების ყველა ეტაპზე ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ინსპირაცია იყო. მისმა მოწოდებამ, გამეგრძელებინა უნივერსიტეტში მუშაობა, ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადამადგმევინა.

ანტიკური ხანიდან დღევანდლამდე, მასწავლებელი იყო და არის ცოდნის, პიროვნული პატიოსნებისა და კულტურის, თაობათა შორის მეკავშირე; სწორედ დავით გურგენიძე გახლავთ ჩემი ცხოვრების დიდი მასწავლებელი, მისი ცხოვრებისეული ისტორია სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია, სადაც უსათუოდ იმარჯვებს სიმართლე და საღი აზრი, რომელიც ერთეულების კეთილდღეობაზე კი არა, მომავ-

ალი თაობის აღზრდასა და მათ განათლებაზეა ორიენტირებული. ამიტომ არის, რომ რექტორის თანამდებობა მისთვის დიდი პასუხისმგებლობაა საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, რასაც უნიკალურად უძლვება, ახალი ნარატივით წარადგენს და გარდაქმნის თანამედროვე მოთხოვნებს, ისე, რომ არ გასცდეს ეროვნულ ღირებულებებს.

მისი წარმატების მთავარი მიზეზი კი ქვეყნისა და ქართველობის სიყვარული, მამულიშვილობა, ოჯახისა და საზოგადოების პატივის-ცემაა.

ბატონო დავით, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ იუბილეს, უმრავლოს თქვენისთანა მამულიშვილები ჩვენს ქვეყანას!

ვასილ ხორავა  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## მარკეტინგის კვლევათაც

მამაჩრემისთვის, კახა კალანდაძისათვის, დავით გურგენიძე უფრო მეტი იყო, ვიდრე მეგობარი. მათი ურთიერთობა ადრეულ ბავშვობაში დაიწყო. ჩვენ, მათი შვილები, მეგობრობის მაგალითზე გავიზარდეთ. დავით გურგენიძემ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში, იგი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე ყოველთვის ფასდაუდებელ რჩევებს მაძლევდა.

ბავშვობიდან ბევრი დასამახსოვრებელი მოგონება მაკავშირებს ბატონ დავითთან და მის ოჯახთან, თუმცა განსაკუთრებული შთაბეჭდიდება დატოვა მისმა შემართებამ და შეუპოვარმა ბრძოლამ უსამართლობასთან. წინა ხელისუფლების მიერ მასზე და მის ახლობლებზე განხორციელებულმა ზეწოლამ ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა მის ღირებულებებზე, იგი იმ პერიოდშიც ახერხებდა ადამიანებზე ზრუნვასა და ძნელბედობის უამს მათ გვერდში დგომას.

მისი, როგორც მეგობრის როლი, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემი ცხოვრების ურთიულეს ეტაპზე-2011 წელს, ახალგაზრდა ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა მამაჩრემი. ამ როლ პერიოდში იგი ერთგულად გვედგა გვერდში და დიდ ყურადღებას იჩინდა თითოეული დეტალის მიმართ.

მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა და უამრავი საზრუნავისა, იგი ყოველთვის მზად არის ადამიანებს მეგობრობის ხელი გაუწოდოს და უმურველად გაუზიაროს ცხოვრებისეული გამოცდილება.

ბატონ დავითს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დასახული მიზნების განხორციელებას.

ნუგზარ კალანდაძე

## ქვეთების დამატების შეცვლის შემთხვევაში

სიკეთის კეთება ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილია, რომლის გარეშეც სიცოცხლეს ფასი ეკარგება. უდიდესი ბეჭნიერებაა, როცა შეგიძლია ცოტათი უკეთესი გახადო ადამიანის ცხოვრება. ერთ კეთილ სიტყვას შეუძლია სხვისი ყოფის უკეთესობისკენ შეცვლა. ამბობენ, კაცი კაცის წამალია და, მართლაც, უსიყვარულო და გულცივ სამყაროში რამხელა მაღლია, როდესაც ძალგიძს, გამოთქვა მაღლიერება სიკეთის წილ... სათქმელი ნამდვილად ბევრია, როგორც იტყვიან, „ენა დაშვრების“, მაგრამ ოჯახი, ვისზეც ახლა გიამბობთ, სიყვარულის ნავსაყუდელია, ქველმოქმედება მათი ცხოვრების წესია და ეს ისეთი მაღალადამიანური კულტურით კეთდება, რომ ადრესატი ბეჭნიერებისა და სიხარულისგან ბრწყინავს...

დავით გურგენიძე ჩვენთვის, დავით და ზურაბ გიორგობიანებისთვის, გარდაცვლილი მამის – გოგა გიორგობიანის მეგობარია. მამა უკვე 30 წლია ჩვენთან აღარ არის და ამ დროის განმავლობაში მას ერთი წუთითაც კი არ შეუწყვეტია ჩვენზე ზრუნვა. აქ მარტო თანადგომაზე არ არის ლაპარაკი, ნარმოდგენაც შეუძლებელია, როგორი სიხარულით აკეთებს ყველაფერს... ადამიანთა გაბეჭნიერებით კი თვითონაც ბეჭნიერია.

ჩვენ, ძმებს, დამერწმუნეთ, ერთ დღეც არ გვახსოვს დათოს მოკითხვის გარეშე: „მამა, როგორ ხართ, რამე ხომ არ გჭირდებათ?“ ისეთი მზრუნველი და მშობლიური ხმით გვეკითხება, ისე გვითბობს გულს, რომ ადამიანად გაჩინის ბეჭნიერების უდიდეს განცდას გვანიჭებს და უნებურად სიკეთის კეთების გადამდები გრძნობა გვიპყრობს.

მისი ზრუნვისა და თანადგომის მაგალითების ჩამოთვლაც კი მიჭირს, იმიტომ, რომ ამას ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს და ვერც დაიკვეხნის. დათომ ზუსტად იცის რა გინდა, რას გრძნობ და რა გჭირდება.

სასიათით საოცრად თანამედროვე და მაქსიმალისტია. ჩვენთვის, ძმებისთვის, მეგობარი და მამასავით მოამაგეა.

სკოლაში რომ ვსწავლობდით, დათო მოსკოვში მოლვანეობდა, იქიდან ამანათებს გვიგზავნიდა, სასწავლო ნივთებიდან დაწყებული არაფერი გამორჩებოდა, მთელი რუდუნებითა და გემოვნებით გვირჩევდა საჭირო ნივთებს.

ყოფილი კალათბურთელი ვარ და ახალგაზრდული ნაკრების წევრი, მან ჩემს სპორტულ კარიერაშიც დიდი როლი შეასრულა. 19 წლის

ვიყავი, ოჯახი რომ შევქმენი, მაშინაც მშობლიური მზრუნველობა გა-  
მოიჩინა დათომ. ნერვიულობდა, ვინ იქნებოდა ჩემი რჩეული – მეო-  
რე ნახევარი. ამბობენ, შემთხვევით არაფერი ხდებაო – ჩემი მეორე  
შვილი, მისი დაბადების დღეზე – 16 ოქტომბერს დაიბადა, რაც დიდი  
სიხარული იყო დათოსთვის, ჩვენთვის ხომ თავისთავად...

განსაცდელსა და სიხარულში ჩვენთან არის... იშვიათია მისი  
მეუღლის, უკეთილშობილესი მარინა გურგენიძის როლი ჩვენი ოჯახ-  
ების მეგობრობის განმტკიცებაში.

დათო დიდი ადამიანია – სიტყვები კი არ მყოფნის, არც მოიძებნე-  
ბა მისი ქველმოქმედებისა და უანგარობის წარმოსაჩენად...

ძმებს–სიხარული, ბავშვობა, სტუდენტობა, ოჯახის შექმნა, ქუჩა  
ერთად გვაქვს გავლილი დათოსგან სწავლებასა და დარიგებაში. მისი  
ზრუნვა, სიყვარული დღესაც გრძელდება. საოცრად მოტივირებუ-  
ლია, ჩვენგანაც იმავეს ითხოვს, უყვარს ინტელექტური თაობა და  
გვთხოვს, რომ ჩვენც აქტიურად ჩავეპათ სამეცნიერო საქმიანობაში.

ვამაყობთ დავითით და ალბათ მასაც ვეამაყებით, ამას ვგრძნობთ  
მისი სიხარულით სავსე გამოხედვაში.

ძვირფასო ადამიანო! გილოცავთ იუბილეს, გვინდა დიდხანს იცო-  
ცხლო მხნედ და ჯანმრთელად. შენ ჩვენთვის იქეცი მაგალითად, რო-  
გორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი.

**დავით და ზურაბ გიორგობიანები**

## ხელისი მართვა



ქალაქურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით გასულ საუკუნეში, თავისებური, დამახასიათებელი ხიბლი აქვს. თანამედროვე ყოფაში ხშირად გაიგონებთ ფრაზას: „მაშინ სხვა დრო იყო, სხვანაირი ურთიერთობები გვქონდა“ – ამგვარი სიახლოვის მთავარი გასაღები კი ადამიანური ურთიერთობების განსაკუთრებული ფენომენი გახლდათ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში თბილისი ერთბაშად შეიცვალა და განწყობა, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა შორის სუფევდა, განსაკუთრებით კი სხვადსხვა ეროვნების წარმომადგენლებსა და ქართველებს შორის, მკვეთრად დაიძაბა.

ამგვარმა დაპირისპირებამ „თბილისურ ურთიერთობებს“ მთავარი ხიბლი დააკარგინა. იყვნენ მოქალაქეები, რომელთათვის ადამიანური ურთიერთობები მთავრი ღირებულება იყო, სწორედ მათ მოიტანეს დიდი ხნის ნაშენი მეგობრობა დღემდე.

ეს მხოლოდ გამორჩეული და ფენომენალური პერსონებისთვისაა დამახასიათებელი. ბატონი დავით გურგენიძის ცხოვრება იმით არის გამორჩეული, რომ ნებისმიერი სოციალური მდგომარეობის ადამიანთან შეუძლია სამაგალითო ურთიერთობის დამყარება, ისე, რომ მათში სიკეთის, მადლიერებისა და სიყვარულის დიდი კვალი დატოვოს.

საკმარისია რამდენიმე წუთით გაესაუბრო მის პირად მძღოლს, ბა-

ტონ **ხაჩიკ დანელიანს**, რომ ერთბაშად, მთელი სიცხადით იგრძნობთ უანგარო მეგობრობის სენტიმენტებსა და მომავლის რწმენას – საიმე-დო მეგობრის განსაკუთრებულობას...

ცხადია, მკითხველი გადაჭარბებულად არ ჩათვლის სიტყვასი-ტყვით ჩაწერილ ფრაზებს, რომელსაც ხაჩიკ დანელიანი ერთი ამო-სუნთქვით, გულწრფელად ამბობს: „მთელ ქალაქში დათოსნაირი ადამიანი არ მეგულება. ის თბილისში გავიცანი, უკვე სამი ათეული წელია, რაც მისი მძღოლი ვარ. საოცარი დედა ჰყავდა, ინტელიგენტი მამის შვილია, ცოლ-შვილი კი-გასაოცარი. მთელი ცხოვრებაა ერთ-გულად მიდგას გვერდით, გაბრაზებულიც კი ლმობიერია ჩემ მიმართ. ჩემთვის ღმერთივით არის და მთელი ცხოვრება დავითის ერთგული ვიქები“. ხაჩიკ დანელიანმა ერთი მნიშვნელოვანი რამ თქვა, რითაც ხაზი გაუსვა ბატონი რექტორის ერთგულებასა და სიყვარულს ტექნი-კური უნივერსიტეტის მიმართ: „ჯერ კიდევ მაშინ, როცა დავით გურ-გენიძე სტუ-ის ხელმძღვანელი არ იყო, ხშირად მოდიოდა ამ შენობაში და ამბობდა, რომ მთელი მისი ახალგაზრდობა და უმნიშვნელოვანესი წლები ამ უნივერსიტეთან იყო დაკავშირებული.“

ხშირად ადამიანები სიტყვაკაზმულობით არ გამოირჩევიან, მაგრამ ემოციურად მონათხრობი, თუნდაც მცირედი ამბები პაუზებითა და ინტონაციებითაც მიგახვედრებს, რომ ეს ისტორია იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, ისეთი მართალი და გულწრფელია რომ ვერცერთი ერის ლექსიკა ვერ შეძლებს მისი მნიშვნელობის ზუსტად გადმოცე-მას.

**ესაუბრა  
სოფიო გორგილაძე**

# საკრიტიკო არეალი



# საქართველოს ტერიკური ენივერსიტეტის ჩატორი ეპით გარემონტის დისტანციურ პრიზირების გახდა



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე, ლიეტუვოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მისმა აღმატებულება გიტანას ნაუსედამ, ლიეტუვოსადმი დამსახურებისათვის რაინდის ჯვრით დააჯილდოვა.

ბატონი დავით გურგენიძე, ლიეტუვის რესპუბლიკის პრეზიდენტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიწვევით, ვილნიუსში იმყოფება. დაჯილდოების ცერემონია ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში დღეს გაიმართა.



# ემოციური მოსახლეობის განვითარების და ინტერკულტურული

2022 წელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ისტორიული მნიშვნელობის იყო – ჩვენს უნივერსიტეტს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ განსაკუთრებულ თარიღს უნივერსიტეტი შეხვდა, როგორც თანამედროვე, ავტორიტეტული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუცია. ყოველივე ეს, საქართველოსთვის არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე USESCO-ს ღირსშესანიშნავ თარიღთა სიაშია შეტანილი და ის უნივერსიტეტმა UNESCO-ს ეგიდით ჩატარა.

1. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ქვეყნის პრემიერ-მინისტრსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრს სრული მხარდაჭერისათვის საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზების პროცესში, ბატონი ირაკლი ლარიბაშვილისა და ბატონი მიხეილ ჩხერიელის მიერ გაუღერებული ისტორიული გადაწყვეტილებისთვის, სტუ-ის მეექვსე კორპუსის სრული რეაბილიტაციის შესახებ;
2. ულრმესი მადლობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესასა და უნეტარეს ილია მეორეს. გასულ წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეს გადაწყვეტილებით და საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის სინოდის მხარდაჭერით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გადმოეცა ქართული ეკლესიის უმაღლესი ჯილდო-წმინდა გიორგის ოქროს ორდენი;
3. ულრმესი მადლობა სტუ-ის პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს ნდობისთვის, გვერდში დამისათვის იმ ურთულეს პერიოდში, რაც ჩვენ ერთად გავიარეთ, უნივერსიტეტის ერთგულებისთვის, თავდადებული შრომისთვის;
4. მადლობა პარტნიორებს;
5. ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დღის დაწესება უნივერსიტეტში თითოეული ფაკულტეტისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის მნიშვნელოვანი იქნება. ამ დღეს ისინი უნივერსიტეტის წინაშე მთელი წლის განმავლობაში განეული საქმიანობის ანგარიშით წარსდგებიან. ეს იქნება დღე,

- როდესაც მათ შეეძლებათ კიდევ ერთხელ ისაუბრონ თავის მიღწევებსა და შედეგებზე, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე;
6. ხორციელდება კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზება, სამეცნიერო ინსტიტუტების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში.
  7. შეიქმნა ტექნოლოგიების ტრანსფერისა და საგრანტო პროექტების ოფისი, რომლის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის საერთაშორისო და ადგილობრივი საგრანტო პროექტების მომზადებისა და წარდგენის ხელშეწყობა, ინოვაციური სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაცია. ამ ოფისმა, დროის მოკლე მონაკვეთში მოიტანა მნიშვნელოვანი შედეგები გამარჯვებული პროექტების სახით, როგორც ადგილობრივ დონეზე, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის, ჰორაიზონ ევროპის საგრანტო პროგრამაში;
  8. სტუ-ის მკვლევრებისა და სტუდენტების წარმატებული მონაწილეობა თითქმის ყველა გლობალურ საერთაშორისო კოლაბორაციაში – ცერნი, კეკი, ფერმილაბი, იულიხი (ზვიად წამალაიძე, ლაშა შარმაზანაშვილი, იური ბალათურია, ირაკლი ლომიძე, სანდრო მელქაძე, ბესიკ კეკლია); ევროპის ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი (CERN), შვეიცარია – ექსპერიმენტები ATLAS, CMS; მაღალი ენერგიის ამაჩქარებლის კვლევის ორგანიზაცია (KEK), იაპონია – ექსპერიმენტი COMET; ფერმის სახელობის ლაბორატორია (Fermilab) აშშ – ექსპერიმენტი DUNA; იულიხის ბირთვული კვლევების (უულიცპ დესეარცპ ჩენტერ) ცენტრი, გერმანია; ჰელმიცოლცის ცენტრი დრეზდენ-როსენდორფი (HZDR), გერმანია;
  9. ორდიპლომიანი პროგრამები ისეთ წამყვან ქვეყნებთან, როგორცაა იტალია, საფრანგეთი, იაპონია და სხვა;
  10. უნივერსიტეტში ABET (ამერიკული აკრედიტაციის სააგენტო ინჟინერიასა და ტექნოლოგიებში) აკრედიტაციისთვის მზადდება 6 პროგრამა. გასულ წელს სტუ-ში განხორციელდა ABET-ის ექსპერტების ვიზიტი ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე – “ბიოსამედიცინო ინჟინერია” და ველოდებით პირველ ABET აკრედიტებულ პროგრამას უკვე ზაფხულში;
  11. უნივერსიტეტში პირველად მოხდა აკადემიური და დამხმარეპერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევა უნივერსიტეტის მიერ. ამ ღონისძიებით ჩვენ შევძელით ჩვენი თანამშრომლებისათ-

- ვის საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის სერიოზული ტვირთის მნიშვნელოვნად შემსუბუქება, და ამით არცთუ იშვიათად კი მათი სიცოცხლის დაცვა და გადარჩენაც;
12. გასულ წელს, საგრძნობლად გაიზარდა აკადემიური და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, დაგეგმილია ხელფასების კიდევ უფრო მეტად გაზრდა;
  13. უნივერსიტეტში, ანალიზ-ხელსაწყოს ბაზაზე შეიქმნა პროფესიული გადამზადების ცენტრი, რომელსაც მხოლოდ გასულ წელს, 5 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა შეემატა. მზადების პროცესშია კიდევ ახალი პროგრამები, რომლებიც კონკრეტულად მსხვილი საწარმოების მოთხოვნით შემუშავდა;
  14. სტუდენტთა დასაქმების ფორუმი ჩატარდა ძალიან დიდი წარმატებით, მასში მონაწილეობა მიიღო 62-მა წამყვანმა კომპანიამ, რომლებმაც სტუდენტებს 500-ზე მეტი ვაკანტური სამუშაო ადგილი შესთავაზეს;
  15. აკადემიური და წარმომადგენლობით საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამის ხელმძღვანელებს გამოუთავისუფლდათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული აკადემიური დატვირთვის მნიშვნელოვანი პროცენტი ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობის წარმართვისათვის;
  16. მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან;
  17. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტში შეიქმნა დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი 2 საბჭო – საბუნებისმეტყველო, საინჟინრო-ტექნოლოგიური და სოციალურ-ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებებით. ორივე საბჭო დაკომპლექტებულია დარგში გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო მიღწევების მქონე მეცნიერებით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, უნივერსიტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აქტიურადაა ჩართული სადოქტორო ნაშრომების განხილვისა და დაცვის პროცესში;
  18. დაარსდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიური განვითარების ფონდი, ბატონი დავით ხიდაშელის ხელმძღვანელობით. ამ ფონდის საქმიანობის მთავარი მიზანი უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის კიდევ უფრო მეტად განვითარება, კვლევითი პროექტების კომერციალიზაცია და, რაც უმნიშვნელოვანესია, გამორჩეული სტუდენტების მხარდაჭერაა;
  19. საქართველოს მთავრობის, პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი

- ღარიბაშვილის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბატონ მიხეილ ჩხერიმელისა და ქალაქ თბილისის მერის ბატონ კახა კალაძის უშუალო ჩართულობით, უნივერსიტეტს დაუბრუნდა მიტაცებული საცურაო აუზი, რომელიც დღეს ისევ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სამსახურშია;
20. საუნივერსიტეტო სპორტული ცხოვრების აღამავლობისათვის იგ-ეგმება სპორტული ინფრასტრუქტურის—სპორტული მოედნებისა და სტადიონის მშენებლობა;
  21. დღემდე წარმატებით მოღვაწეობს ვაჟთა ცნობილი კაპელა, რომელმაც გამორჩეული შემსრულებლების არაერთი თაობა აღუზარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს;
  22. შემოქმედებით საქიანობას აგრძელებს გეპეის კვარტეტი – გურამ ბზგანელი, შოთა ხარაბაძე, თამაზ ცინცაძე, გურამ ბაკურაძე;
  23. აღსანიშნავია ვოკალური ტრიო – ივიკო საყვარელიძის, მერაბ მახარაძის, ჯემალ სუხიშვილის მონანილეობით; უნივერსიტეტის ორკესტრი – ჩამოაყალიბა ნიკოლოზ თევზაძემ 1932 წელს, როგორც შაპანაზაროვი, კოტე კარგარეთელი, დორიან კიტია, იოსებ ტუღუში, კონსტანტინე პევზნერი, ნანი ბრეგვაძე, ირმა სოხაძე, “ცისფერი ტრიო”, ტრიო “სიმი”; ახალ ენერგიას იკრებს თეატ-რი-სტუდია “მოდინახე”, ხალხური ცეკვის შემოქმედებითი კოლექტივი “მერანი”, იოსებ ტუღუშის სახელობის ჯაზი და სხვები. რაც უმთავრესია, ყველა ეს კოლექტივი უნივერსიტეტის ცხოვრებაში სრულფასოვნად არის დღეს ინტეგრირებული;
  24. სტუ-ის სტუდენტებმა წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში, მათ შორის, „თბილისის სტუდენტური ფესტივალი–2022“, უნივერსიადაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ქვიშის ფრენბურთში და სხვ; ჩვენი სტუდენტები გახდნენ სხვადასხვა საერთაშორისო, მსოფლიოსა და ევროპის სხვადასხვა ტურნირის პრიზიორები სპორტის სხვადასხვა სახეობებში;
  25. სტუ-ის 100 წლის იუბილის აღსანიშნავად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა აღპინისტებმა აღმართეს სტუ-ის დროშა მყინვარნვერზე, ზღვის დონიდან 5054 მეტრზე;
  26. ჰუმანიტარული დახმარება გაუნია უკრაინელ ხალხს, შეგროვდა ჰუმანიტარული ტვირთი უკრაინაში გასაგზავნად, სტუ დაეხმარა ივანო-ფრანკოვსკის უნივერსიტეტს; უნივერსიტეტის დელეგაცია იმყოფებოდა ომის მდგომარეობაში მყოფ უკრაინაში და გამოუცხადა მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს;
  27. უკვე 10 წელია უნივერსიტეტში წარმატებით ფუნქციონირებს

- ლიეტუვური ენისა და კულტურის ცენტრი, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს ჩვენი ორი სახელმწიფოს დაახლოებასა და მეგობრობის განმტკიცებაში;
28. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო ფუნქციონირება იტალიური ენისა და კულტურის ცენტრმა, რომელიც, დაწევ ალიგიერის საზოგადოების ეგიდით მუშაობს. ჩვენი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა პირველი ჯგუფი უკვე უსასყიდლოდ ეუფლება იტალიურ ენას;
  29. მონაწილეობა მივიღეთ პეგელის კონგრესში 2022 წელს. პეგელის მორიგ მსოფლიო კონგრესს, რომელიც 2024 წელს გაიმართება და მისი დაარსებიდან 70 წლისთავს მიეძღვნება, საქართველო, კერძოდ კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი უმასპინძლებს;
  30. ჩვენი უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ერასმუს + მობილობის პროექტებით, რომელიც უნივერსიტეტს ევროპის მრავალ უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული. ჩვენი სტუდენტები და თანამშრომლები აქტიურად სარგებლობენ უცხოეთის უნივერსიტეტებში მობილობის ამ შესაძლებლობით;
  31. ვთანამშრომლობთ ბრიტანეთის იმპერიალ კოლეჯთან და პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსები შევთავაზეთ ინგლისურ ენაში;
  32. გასულ წელს არაერთი ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. მათ შორის იყო ცენტრალური საზემო ღონისძიება, რომელიც ოქტომბრის პირველ დეკადაში მიმდინარეობდა. ამ დღეებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სტუმრობდნენ მსოფლიოს უმსხვილესი სამეცნიერო ცენტრების, უნივერსიტებსა და კვლევითი დაწესებულებების პირველი პირები;
  33. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნა კავკასიის რეგიონში პირველი განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიების ლაბორატორია;
  34. ამოქმედდა უფასო ონლაინ კურსები აბიტურიენტებისთვის STEM საგნებში მოსამზადებლად;
  35. ჩვენი პროფესორების მიერ მომზადებულმა სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს ათასწლეულის ფონდის გამოცხადებულ კონკურსში და მიდიან ნასაში, აშშ-ში. სკოლის მოსწავლეებთან წარმატებით მუშაობენ ჩვენი პროფესორები დავით სონდულაშვილი და თემურ ჩიჩუა. ამგვარ გამარჯვებებს რეგულარული ხასიათი აქვს;

36. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ინფრასტრუქტურული მიმართულებით. დაიწყო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიების რეკრეაციული ზონების მშენებლობა, მეორე კორპუსის განახლება;
37. განხორციელდა უნივერსიტეტის რებრენდინგი, შეიქმნა ახალი ვიზუალი, ახალი ლოგო. სულ მაღლ საბოლოო სახით გაეშვება ახალი ვებ-გვერდი, როგორც უნივერსიტეტისთვის, ასევე, თითოეული ფაკულტეტისთვის;
38. საიუბილეო წლის დაგვირგვინება იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრებიდან 45 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საზეიმო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც უმაღლესი სასულიერო იერარქიის პირებმა და მკველვრებმა, ასევე ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდებმა.

## სამომავლო გენერაცია

ჩვენ დიდი და ამბიციური გეგმები და მათი რეალიზაციის საჭირო რესურსი გვაქვს, განვლილმა წელმა ამაში მყარად დაგვარწმუნა, პროექტების განხორციელება კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით გაგრძელდება შემდგომ წლებშიც. ამის გარდა, ვგეგმავთ:

1. იწყება მეექვსე კორპუსის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც ეს იყო გაცხადებული ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ლარიბაშვილისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი მიხეილ ჩხერიელის მიერ;
2. დასრულდება მიმდებარე პარკებისა და ბაღების კეთილმოწყობა;
3. საუნივერსიტეტო ოლიმპიადის ჩატარებას;
4. დაიწყება სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მშენებლობა;
5. შევწყვიტეთ ხელშეკრულება კონტრაქტორთან, რის შედეგადაც უნივერსიტეტმა დაიპრუნა კუთვნილი ტერიტორია, ხოლო ე.წ „მაკამაურმა“-ს მოუწია ტერიტორიის დატოვება;
6. სტუ-ის ტექნოლოგიური განვითარების ფონდი, ბატონი დავით ხიდაშელის ხელმძღვანელობით, იწყებს პროექტების დაფინანსებას;
7. ვეგემავთ წყალბადისა და ალერგიის საწინააღმდეგო ჰაერის იონიზაციის აპარატების წარმოება;
8. ვიწყებთ მუშაობას ტყის ხანძარსანააღმდეგო შორს გასაფრქვევა ჩამქრობ თანამედროვე სისტემებზე, რომლებიც იმუშავებენ მშრალი წყლით;
9. განხორციელდება მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების დაფინანსება, რომლებიც ვერ ახერხებენ სწავლის საფასურის გადახდას;

10. ჩატარდება კონკურსი “საუკეთესო არქიტექტურული პროექტი” (ადმინისტრაციული კორპუსის წინ დასადგმელად) არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის;
11. სტუდენტები ჩაერთვებიან ამ და სხვადასხვა პროექტში, შემოსავლების 10 პროცენტი დაბრუნდება ფონდში;

ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი მისია ღვთისა და ქვეყნის წინაშე – აღვუზარდოთ ქართულ სახელმწიფოს პასუხისმგებლობიანი მოქალაქეები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საქართველოს მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად!



# საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის ჩატორის ეპიზოდი გარემონტის აზერბაიჯანის ჩატორის განათლაბის მინისტრ ვაჟა ერისენის უძღვის



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრ ემინ ამრულაევს შეხვდა. მათ განიხილეს ერთობლივი საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტების განხორციელების პერსპექტივები და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებთან სამომავლო ურთიერთობის შესაძლებლობები.

შეხვედრას ესწრებოდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დელეგაციის წევრები, საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი საელჩოს პირველი მდივანი ანარ რასულოვი, აზერბაიჯანის საელჩოს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში რექტორმა დავით გურგენიძემ აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრს უნივერსიტეტის 100-წლიანი ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უახლესი აპარატურით აღჭურვილი სასწავლო-საექსპერტო ლაბორატორიული კომპლექსი დაათვალიერებინა.

ლაბორატორიულ კომპლექსში უნივერსიტეტის მეცნიერებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა სტუმრებს მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ამსახველი ფოტოექსპოზიცია წარუდგინეს და იმ სამეცნიერო კვლევების, გამოგონებებისა და გლობალური ექსპერიმენტების შესახებ ესაუბრნენ, რომლებშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევრებთან ერთად სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

შეხვედრაში ონლაინ მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერები შვეიცარიიდან და ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციიდან (CERN), აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრს გააცნეს CERN-ში სამეცნიერო კოლაბორაციის ფარგლებში მიმდინარე ის სამეცნიერო ექსპერიმენტები და მიღწეული შედეგები, რომლებშიც უნივერსიტეტის მკვლევრები მონაწილეობენ.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საინჟინრო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დარგებში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პერსპექტივები და სამომავლო სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხებიც. ყურადღება გამახვილდა აღნიშნულ პროცესში საერთაშორისო პრაქტიკის, უახლესი სტრატეგიებისა და ინოვაციური მიღვომების დანერგვაზე. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახალგაზრდების სწავლებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და იმ მხარდამჭერ პროექტებს, რაც მათ სრულფასოვანი უმაღლესი განათლების მიღების, საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და სამეცნიერო კვლევებში აქტიური ჩართულობის და, რაც მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირების შესაძლებლობას აძლევს.

როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დავით გურგენიძემ აღნიშნა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრისა და აზერბაიჯანის დელეგაციის უნივერსიტეტში ვიზიტი მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი, რადგან მომავალი თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა არაერთი სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიება.

„სტუმრებს გავაცანით ის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროე-

ქტები, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერები გლობალური კოლაბორაციის ფარგლებში წარმატებით ახორციელებენ მსოფლიოს ისეთ წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან და ორგანიზაციებთან ერთობლივად, როგორიცაა: CERN-ი შვეიცარიაში, KEK-ი იაპონიაში, Fermilab-ი ამერიკის შეერთებულ შტატებში; ვისაუბრეთ იმ სამომავლო გეგმებსა და პროექტებზე, რომლებიც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიონელებისა და სტუდენტების მონაწილეობით იგეგმება. ასევე, განვიხილეთ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტებთან საინჟინრო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დარგებში სამომავლო თანამშრომლობისა და აზერბაიჯანელი სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრირების საკითხები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1000 -მდე აზერბაიჯანელი სტუდენტი იღებს განათლებას. მათ შორის ბევრია მოტივირებული ახალგაზრდა, ისინი მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან და აქტიურად არიან ჩართული, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე, სამეცნიერო კვლევებში. დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ის სტუდენტები, რომლებიც ჩვენს უნივერსიტეტს დაამთავრებენ, გახდებიან ორ ქვეყანას შორის მომავალი ურთიერთობის დესპანები და მათი ძალისხმევით საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის პარტნიორობა კიდევ უფრო მტკიცე და მრავალმხრივი გახდება“, – განაცხადა დავით გურგენიძემ.

შესვედრის დასასრულს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრი ემინ ამრულაევი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აზერბაიჯანელი ერის წარმომადგენელ სტუდენტებს გაესაუბრა.

# EDUARIS.GE-ს გაკითხვებას პასუხისმის საჭიროების ტექნიკური უნივერსიტეტის ჩატორი პროფესიონალი ღარისები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **რექტორი დავით გურგენიძე** – პროფესორი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ოთხი წლის განმავლობაში იყო ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), საქართველოს პარლამენტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ევროპის მშენებელ ინიციურთა საბჭოსა (ECCE) და მსოფლიოს მშენებელ ინიციურთა საბჭოს (WCCE) ოფიციალური წევრი, საქართველოს სამოქალაქო ინიციურთა საზოგადოების საპატიო წევრი, აკადემიკოს ი.ვ. ეგიაზაროვის სახელობის წყლის პრობლემებისა და ჰიდროტექნიკის ინსტიტუტის საპატიო დოქტორი (სომხეთის რესპუბლიკა), 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ოთხი მონოგრაფიისა და სამი სახელმძღვანელოს ავტორი, არაერთი სამეცნიერო, მათ შორის, საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის ავტორი და რედაქტორი, მისი ხელმძღვანელობით დაცულია სამი სადოქტორო დისერტაცია და სამაგისტრო ნაშრომები.

– რამ განაპირობა თქვენი სურვილი, მონაწილეობა მიგელოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში?

– ფაქტობრივად, 30 წლის წინ გადაწყვიტა ბატონმა ნიკოლოზ მოწონელიძემ, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა და მეცნიერმა, ჩემი მომავალი საქმიანობა და იცით როგორ? – მითხრა, კათედრაზე უნდა იმუშაო, კარგი კადრი ხარო. ნახევარ განაკვეთზე მიმიღო. არადა, იმ დროს მე უკვე დასაქმებული ვიყავი. იმ დროიდან მოყოლებული, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რექტორად არჩევამდე, ოთხი წლის განმავლობაში, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი ვიყავი. ეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უძველესი ფაკულტეტია. ვფიქრობ, ამ ოთხი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა სამშენებლო ფაკულტეტისა და მისი სასწავლო ინფრასტრუქტურის განვი-



თარებისთვის, მისი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ყველაფერი, რაც ტექნიკურ უნივერსიტეტს უკავშირდება, ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ბევრი მიფიქრია და ვიცი, რა სჭირდება უნივერსიტეტს, რა გამოწვევების წინაშე დგას და როგორ არის შესაძლებელი მისი შემდგომი განვითარება. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა სწორედ ამით იყო განპირობებული.

**– რა არის ის ძირითადი მიზანი, რისი შესრულებაც გსურთ თქვენი რექტორობის პერიოდში?**

**–** როგორც ზოგადად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ისე პირადად ჩემი – უნივერსიტეტის რექტორის მიზანია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი უმოკლეს დროში გახდეს ერთიანი ევროპული აკადემიური სივრცის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი წევრი. ამ მიზნის მიღწევას კი მხოლოდ სურვილი არ ჰყოფნის. ამისთვის, სისტემურ-სტრუქტურული რეფორმების გატარებაა საჭირო, ახალი პრიორიტეტები და სტრატეგიები უნდა განისაზღვროს და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გატარდეს. როგორც ვიცით, ეს პრიორიტეტები და სტრატეგიები, თანამედროვე ევროპულ აკადემიურ სივრცეში მოიცავს ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლებ-

ის, სწავლების, სწავლისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვრივალობის პრინციპებს. რადგან უმაღლესი სასწავლებლის მიზანია მეცნიერული ცოდნის დანერგვა, გავრცელება და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, ამიტომ, აუცილებელია, შეიქმნას ისეთი სტრუქტურები და, შესაბამისად, ისეთი აკადემიური გარემო, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის ერთიანობას. სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ უნივერსიტეტი მზრუნველობას იჩენდეს მეცნიერთა ახალგაზრდა თაობისადმი ცოდნის ტრანსფერის დახმარებით. ამისათვის სწავლისა და სწავლების პროცესში მუდმივად უნდა იყოს გათვალისწინებული კვლევის უახლესი შედეგები, რაც სწავლას უფრო სილრმისეულსა და მრავალფეროვანს გახდის; ამავე დროს, ეს სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ დატვირთვას შესძენს, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასანერგად. ამ შემთხვევაში სტუდენტები ერთვებიან კვლევის პროცესების გაანალიზებაში, რაც ხელს უწყობს მათ ისე აღზრდას, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ როგორც აკადემიურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამგვარად, სტუდენტი არ განიხილება მხოლოდ სწავლების ობიექტად, არამედ გამოიკვეთება მისი თანასწორი მონაწილეობა, როგორც სასწავლო, ისე კვლევით პროცესებში. ამასთან, უნივერსიტეტის საქმიანობა – განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო, ზუსტი და საინჟინრო მეცნიერების კუთხით, დიდწილად მიმართული უნდა იყოს პროფესიულ საჭიროებებსა და თავისუფალი ბაზრის მოთხოვნებზე, რაც სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა; მაგრამ, იმავდროულად, კვლევისა და სწავლების თვითკმარი მნიშვნელობის როლი არ უნდა დაკნინდეს.

როგორც საზოგადოებრივ-საჯარო დაწესებულება, თანამედროვე უნივერსიტეტი კულტურული ინსტიტუციაა. ამაში კი განსაკუთრებულ როლს ასრულებს კულტურისა და სოციალური მეცნიერებები, რომელიც საზოგადოებაში ჰქონისტური იდეების გავრცელებასა და განხორციელებას უწყობს ხელს. ამდენად, მთლიანობაში, უნივერსიტეტი წარმოადგენს არა ვიწრო აკადემიურ ორგანიზაციას, არამედ საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებასაც რაც მისი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

ჩვენი უნივერსიტეტისა და პირადად ჩემი მიზანი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ეს ევროპული საზოგადოებრივ-ჰქონისტური

მიდგომა შეძლებისდაგვარად სწრაფად განხორციელდეს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც.

– **აპირებთ თუ არა უნივერსიტეტში ცვლილებებს, რას მიიჩნევთ პრიორიტეტულად?**

– უნივერსიტეტში, ზოგადად, რამდენიმე კარდინალური ცვლილებაა მოსალოდნელი. ეს ცვლილებები, პირველ რიგში, შეეხება ტრადიციული საუნივერსიტეტო აკადემიური სტრუქტურების დახვენასა და განვითარებას და იმავდროულად ახალი სტრუქტურული ერთეულების შემოღებას, რომლებიც თანამედროვე აკადემიური სივრცის განვითარების აუცილებელი კომპონენტებია. როგორც ცნობილია, თანამედროვე ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის განვითარება ამ ორი ნიშნით ხასიათდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის ტრადიციული შიდა საუნივერსიტეტო სტრუქტურების განვითარება, როგორებიცაა ფაკულტეტები და მისი სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტები, სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებები, აკადემიური დეპარტამენტები და ასევე, ე.წ. სხვადასხვა ტიპის ფაკულტეტებს მიღმა ან ფაკულტეტებს შორის, ან რამდენიმე ფაკულტეტის ბაზაზე წარმოქმნილი ახალგანვითარებული ინსიტუციები, ე.წ. კოლეგიები ანდა კლასტერები. ეს ინსტიტიტუციები განკუთვნილია სწავლების სხვადასხვა საფეხურისთვის, როგორიცაა მაგისტრატურა და დოქტორანტურა, ასევე მაღალი რანგის „წარჩინებული“ (excellent) კვლევის უზრუნველყოფის სტრუქტურები. ახალი სტრუქტურების უპირატესობა, გარკვეულწილად, განპირობებულია იმით, რომ ისინი უფრო მოქნილი ორგანიზმებია მაღალრეიტინგული კვლევის განსახორციელებლად. ამ ახალ ორგანიზაციებში სწავლება და კვლევა საგნებზე კი არ არის დამყარებული, არამედ თემებზე დაფუძნებული მოდელები გამოიყენება. ეს კვლევის იმპულსის მიმცემი სტრუქტურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალი ინტერდისციპლინურ თემებსა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პრობლემებს. ინტერდისციპლინურობა კი თანამედროვე ევროპული აკადემიური სივრცის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან მზარდი მეცნიერული სპეციალიზაცია დიდ კვლევით ჩაღრმავებას და დისციპლინების დიფერენციაციას მოითხოვს, მაგრამ კვლევის გარკვეულ ეტაპზე, დიფერენცირებული კვლევის ექსპერტული დასკვნები კოოპერაციის გზით უნდა შეივსოს. ეს ინვევს ინტერდისციპლინური ტენდენციების განვითარებას კვლევისა და სწავლების პროცესში. აქედან იწყება ცოდნის ახალი ველის განვითარება. ეს მოითხოვს ერთობლივი სამეცნიერო პროექტებისა და კოოპერაციუ-

ლი სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სწორედ ამის გამო, უახლოეს მომავალში ვგეგმავთ კლასტერული ორგანიზაციული ერთეულების განვითარებასა და ახლების შექმნას.

დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს ორი სასწავლო-კვლევითი კლასტერი, ერთი – მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე, მეორე – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე, სადაც კვლევა და სწავლება ხორციელდება დოქტორანტებისა და მაგისტრანტების მონაწილეობით და კვლევის შედეგები შეიძლება სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების სალექციო კურსებშიც აქტიურად იქნეს გამოყენებული.

იმისათვის, რომ თანამედროვე ევროპულმა უნივერსიტეტმა გამართულად და ეფექტიანად იფუნქციონიროს, საჭიროა საზოგადოებრივი, ეკონომიკური და აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით განისაზღვროს უნივერსიტეტის აკადემიური პრიორიტეტები. ამ შემთხვევაში პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს მთლიანად რომელიმე ფაკულტეტი ან ზოგიერთი ფაკულტეტის ცალკეული დარგობრივი მიმართულება. მაგრამ იმისათვის, რომ პრიორიტეტულმა დარგებმა და მიმართულებებმა წარმატებულად იფუნქციონიროს, საჭიროა მაღალკულიფიციური პროექტების შექმნა და განხორციელება. ისეთი პროექტების შესაქმნელად, რომელსაც საერთაშორისო აკადემიური ღირებულება ექნება, აუცილებელია წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კოლაბორაცია, რაც სხვადასხვა ფორმით შეიძლება ხორციელდებოდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოელი პროფესორების მონაწილეობა სასწავლო და კვლევით პროცესებში.

– როგორ ფიქრობთ, პასუხობს თუ არა დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი თანამედროვე ახალგაზრდის მოთხოვნებსა და იმ სტანდარტებს, რომელთაც უნივერსიტეტი უნდა აკმაყოფილებდეს?

– ამ შეკითხვის ადრესატები, ალბათ, თვითონ სტუდენტები არიან. ამასთან, ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად საჭიროა ჩატარდეს შესაბამისი სოციოლოგიური კვლევები, რასაც ჩვენი უნივერსიტეტი კორონავირუსის კრიზისის დამთავრების შემდეგ გეგმავს. მე კი აქ მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას იმის შესახებ, რა სტანდარტებს იცავს ან უნდა იცავდეს ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებელი იმისათვის, რომ სტუდენტთა უფლებები და ინტერესები დაცული იქნეს და კომფორტული იყოს მათთვის საზოგადოებრივი და აკადემიური სიკეთეების მიღება უნივერსიტეტიდან. თანამედროვე უნივერსიტეტი სტუდენტთა და პროფესორთა ერთობაა და უნივერ-

სიტეტის გამართულად ფუნქციონირება სწორედ ამ ერთობის აგებაზეა დამოკიდებული. ამის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სწავლის თავისუფლების პრინციპი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ სტუდენტმა თავის შეხედულებისამებრ აირჩიოს სასწავლო ღონისძიებები, არამედ იმასაც, რომ აქტიურად ჩაერთოს, როგორც მიმდინარე სასწავლო კვლევით პროცესში, ასევე უნივერსიტეტის მართვის პროცესშიც. სწორედ ამისთვის არსებობს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის ძირითადი ფუნქცია, საუნივერსიტეტო ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან ერთად, არის ის, რომ დაცულ იქნეს სტუდენტთა ინტერესები უმაღლეს სასწავლებელსა და საზოგადოებაში. ამავდროულად, სტუდენტური თვითმმართველობის საშუალებით, სტუდენტთა გაერთიანებები საკუთარი წევრების ინტერესებს უნდა იცავდნენ კანონის ფარგლებში, მონაცილეობას იღებდნენ უმაღლესი სასწავლებლის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში; თავისუფლად გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო თუ სასწავლო საკითხების პოლიტიკისადმი. სტუდენტური თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს სტუდენტებს შორის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სამართალწრობიერების ამაღლებას. როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ისე სტუდენტური გაერთიანებები, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ მარტოხელა დედებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების უფლებების ზედმინევნით დაცვასა და მათთვის ხელშემწყობი პირობების განვითარებას. ამასთან, უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია და მისი სტრუქტურები მუდმივად დინამიკურ განვითარებას განიცდის – მათ შორის, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიც. ისინი დროის მოთხოვნების შესაბამისად, მუდმივად უნდა იხვენებოდეს, მეტად დემოკრატიული უნდა ხდებოდეს, რათა სტუდენტთა ჩართულობა, როგორც აკადემიურ, ისე მმართველობით პროცესებში უფრო მეტად ხილვადი იყოს. ამავდროულად, ჩემი აზრით, სტუდენტური ცხოვრება უფრო საინტერესო და მიზანმიმართული რომ გახდეს, მიზანშენონილია, სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით სტუდენტური სამეცნიერო კლუბების შექმნა. ამ შემთხვევაშიც სტუდენტებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერით, აკადემიური და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი პროექტების შექმნისა და განხორციელების შესაძლებლობა მიეცემოდათ. ამასთან, უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს სტუდენტთა შორის სწავლისა და კვლევის მოტი-

ვაციის ამაღლება. ამ მიმართულებით შესაძლებელია განხორციელდეს ინივაციური პროექტი, კერძოდ, სტუდენტთა მიერ გენერირებული იდეების მატერიალიზაცია სტარტაპ ბაზაზე, რაც გათვალიწინებული იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტში. რაც შეეხება ამ შეკითხვის კიდევ ერთ მხარეს, რამდენად არის სასწავლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა უნივერსიტეტში, სტუდენტების სთვის აკადემიური პროცესი კომფორტულად რომ წარიმართოს, ამაზე მოგახსენებთ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის 12-ვე ფაკულტეტზე მოქმედებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და ცენტრი. დავასახელებ რამდენიმე ასეთ ცენტრს, რომელიც გამოიჩინა თავისი ინფრასტრუქტურითა და აკადემიური ფუნქციონირების უნარით. მაგალითად, ასეთებია სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ ა. გორგიძის სახელობის მექანიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, სამშენებლო სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია. ამ ცენტრებში მაღალკვალიფიციურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. აკადემიურ სტაფს კი წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო პერსონალი და ახალგაზრდა სპეციალისტები, შესაბამისი ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე მოქმედებს გეოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრი და სასწავლო შახტი-ლაბორატორია, რომელსაც, ფაქტობრივად, ანალოგი არ აქვს. ფაკულტეტზე არის წიაღისეულის საბადოების, გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის, ასევე, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის მუზეუმები – გამორჩეულად მდიდარი და უნიკალური ექსპოზიციებით, რომელსაც ჩვენს აკადემიურ სივრცეში ანალოგი არ მოეპოვება. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო უიული შარტავას სახელობის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის შესახებ. ეს არის ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც უნიკალურია ბევრი პარამეტრის გამო. ლაბორატორიული კომპლექსი განთავსებულია 4 000 კვმ ფართობზე და აქ ინფორმაციული ტექნოლოგიის ყველა მიმართულებაა გათვალისწინებული. ლაბორატორიაში არის როგორც სქემატიკური ნაწილი, ასევე პროგრამული უზრუნველყოფა. ამ ბაზაზე შესაძლებელია 700-ზე მეტი სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რაც უნიკალური მონაცემია საერთაშორისო წამყვან ტექნოლოგიებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არის არაერთი ლაბორატორია, რომელიც შექმნილია ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მიერ.

სასწავლო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები მრავლადაა ტექნიკურ უნივერსიტეტში, ამიტომ, მათ ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. დასასრულს, მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, როგორც აკადემიურად, ისე ადმინისტრაციულად, შექმნილია ისეთ გარემო, რომლის ფარგლებშიც მკვლევარ სტუდენტებს ეძლევათ მაქსიმალური თვითგანხორციელების შესაძლებლობა.

– კორონავირუსის გამო შექმნილმა სიტუაციამ აჩვენა საგანმანათლებლო დაწესებულების მოუმზადებლობა მსგავსი კრიზისული ვითარებისათვის და ასევე, ტექნოლოგიური თვალსაზრისით არსებული ხარვეზები. რა გაკვეთილი ისწავლა აქედან ტექნიკურმა უნივერსიტეტმა? რა სახის დისტანციური სწავლება შესთავაზა სტუდენტებს და როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართულია ის?

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ კონკრეტულად კორონა-ვირუსისათვის არათუ მსოფლიოს რომელიმე უნივერსიტეტი, სახელმწიფოებიც კი არ იყვნენ მომზადებულნი, რადგან ეს, გარკვეულწილად, მოულოდნელი მოვლენა გახლდათ. იმას, რა ეპიდემოლოგიური, ბუნებრივი ან სხვა ტიპის კატასტროფა წარმოიშვება, ამის გათვლა წინასწარ რთულია და რომელიმე უნივერსიტეტის ან სახელმწიფოს დადანაშაულება მოუმზადებლობაში, არასწორად გვეჩვენება. ყოველი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს მთავრობამ გადადგა, არის კარგად გააზრებული, ორგანიზებული და დროული. ამ კუთხით პრეტენზიის წაყენება გონივრულობის ფარგლებში მასთან ყველაზე დაპირისპირებულ ძალასაც გაუჭირდება. ამ დროული და სწორი ნაბიჯების გადადგმის გამო, მსოფლიო თანამეგობრობისგან საქართველოს მთავრობამ სათანადო პოზიტიური შეფასება მიიღო. იმავდროულად, განათლების სამინისტრომ საკმაოდ მოკლე პერიოდში მოახერხა სწავლების სისტემა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში, ელექტრონულ ფორმატზე ეფექტურად გადაეწყო. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა ევროპულ სახელმწიფოებს შორის. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიმდინარე კრიზისის დაწყებამდე უკვე ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტებისათვის ლექცია-სემინარებისა და გამოცდების ელექტრონული ფორმით ჩატარების გამოცდილება. სწორედ ამ გამოცდილებას დაეფუძნა და სპეციალურად ფართომასშტაბიანი დისტანციური სწავლებისათვის განახლდა აქამდე არსებული საუნივერსიტეტო ელექტრონული პლატფორმა ელეარნინგ. გტუ.გე, რომელიც Moodle-ის სისტემას ეფუძნება.

ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი დისტანციურ-ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს, რასაც მძლავრი ტექნიკური უზრუნველყოფა აქვს. ჩვენი უნივერსიტეტი ელექტრონული კომპონენტებით სწავლებს პროცესზე მიმდინარე წლის 16 მარტიდან გადავიდა. შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმოკლეს დროში ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები. როგორც უკვე გითხარით, ელექტრონული სწავლებისთვის ბაზა უკვე არსებობდა, რამაც საშუალება მოგვცა, სწრაფად გვემოქმედა. ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პლატფორმა დღეისათვის გამართულად ფუნქციონირებს და მასზე შეუფერხებელად წვდომა სამივე საფეხურის ყველა სტუდენტისთვისაა შესაძლებელი. რაც მთავარია, ჩვენს ელექტრონულ პორტალს მძლავრი ტექნიკური უზრუნველყოფა აქვს და კარგად უძლებს სტუდენტთა დიდი რაოდენობის ერთდროულად შესვლას.

ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სალექციო კურსისა და დავალების ატვირთვის პარალელურად, ონლაინლექციები 30 მარტიდან ტარდება და მათი რაოდენობა მოცემულ ეტაპზე 4 500-ს აღემატება. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს ონლაინლექციები Zoom და BBB ვებ-საკონფერენციო აპლიკაციების საშუალებით უტარდებათ. შედგენილია ონლაინლექციების ცხრილი, რომლის მიხედვითაც სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებს საშუალება აქვთ, ჩაერთონ ონლაინლექციებში. ცხრილი განთავსებულია პლატფორმა elearning.gtu.ge-ის მთავარ გვერდზე და სტუ-ის ვებგვერდზე. ამის გარდა, ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სპეციალურად სტუდენტებისთვის, განთავსებულია განახლებული გზამკვლევი ვიდეორგოლების სახით, რომელთა მეშვეობით ელექტრონული პლატფორმით სარგებლობისა და ონლაინლექციებზე ჩართვის შესახებ ინსტრუქციების მიღება შესაძლებელია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიონალური უნივერსიტეტის მიღება შესაძლებელია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ატვირთულია elearning.gtu.ge-ზე, სტუ-ის ფეისბუქის გვერდსა და youtube-ის საუნივერსიტეტო პლატფორმაზე.

გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფეისბუქის გვერდზე ინტერაქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სტუდენტებთან ურთიერთობა, პასუხს ვცემთ მათ შეკითხვებს. ასევე, უნივერსიტეტის ელექტრონული კომპონენტით სწავლების პლატფორმაზე ტექნიკურ და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განსახილვე-

ლად, გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობს ონლაინკონსულტაციები პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროექტი და უკვე შესაძლებელია ელექტრონულ ფორმატში პრაქტიკული და ლაბორატორიული (ვირტუალური) მეცადინეობების ჩართვა. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები უკვე იყენებენ ელექტრონულ ინსტრუმენტებს სემინარებისა და კონსულტაციების ჩასატარებლად, ასევე, კურიკულუმში მითითებული ისეთი აქტივობების ჩასატარებლად, როგორიცაა: დისკუსია-დებატები, ჯგუფური მუშაობა, Case study, დემონსტრირების მეთოდი და სხვ. რაც შეეხება სასაწავლო-საწარმოო პრაქტიკასა და ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებს – ხატვა, კლაუზურა და სხვ., რაც პედაგოგისა და სტუდენტის უშუალოდ ჩართვას მოითხოვს, ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელდება საგანგებო მდგომარეობის მოხსნის შემდგომ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება და სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი შემოიღო. მნიშვნელოვანი ეტაპია ელექტრონული შეფასების სისტემის დანერგვა – თითოეულ სასწავლო კურსს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აქვს შესაბამისი შეფასების სისტემა, რომელიც აუცილებლად აისახება შეფასების ელექტრონულ სისტემაში და მოიცავს შეფასების კომპონენტებს, შეფასების მეთოდებს, რაც შეფასების კრიტერიუმებით იზომება. შეფასების ფორმაში გათვალისწინებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასება ხდება იმავე სემესტრში, რომელშიც სწავლება ხორციელდება.

– მოსალოდნელია თუ არა ახლო მომავალში ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსების განახლება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადახალისება?

– რაც შეეხება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვას, უნივერსიტეტში მაღე დაინტებს ფუნქციონირებას ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა უახლესი სასწავლო ლაბორატორია, რომელიც ავსტრიული წარმოებისაა. ფაქტობრივად, უსასყიდლოდ გადმოგვეცა 7 მილიონი ევროს ღირებულების დანადგარები. იმდენად, რამდენად-აც ეს უახლესი, 2020 წლის აღჭურვილობაა, ორგანიზაციამ, რომელმაც დანადგარები გამოვიგზავნა, გვთხოვა, რომ გარკვეული დროის მანძილზე მათი ფოტოგადაღება და ინტერნეტში ატვირთვა არ მოხდეს. ეს არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც დიდი მილწევაა. გარდა ამისა, ფუნქციონირებს ხიდსაცდელი ცენტრი. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებიც ამ

ლაბორატორიებში კვლევებით დაკავდებიან, შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო ცენტრები, რაც ჩვენი აკადემიური წრეებისა და სტუდენტებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა. უახლესი ტექნიკა-დანადგარებით აღჭურვილი სასწავლო-საექსპერტო ლაბორატორიები აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტს, საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტს, ინფორმატიკისა და მართვის სიტემების ფაკულტეტს, გამორჩეულია ჩვენი ელექტროენერგეტიკის სასწავლო-საექსპერტო ლაბორატორიები, უნიკალურია კრიმინალისტიკის ლაბორატორიული სივრცე, ყველა თანამედროვე სტანდარტს პასუხობს ჩვენი მედიალაბორატორია, სათანადოდა აღჭურვილი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტისა და დიზაინის საერთაშორისო სკოლის ლაბორატორია-სახელოსნოები და ა.შ. თანამედროვე სასწავლო ინფრასტრუქტურა აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის დანარჩენ ფაკულტეტებსაც – ამის შესახებ გესაუბრეთ კიდეც, ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს.

რაც შეეხება ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებს, მთლიანად განახლებულია პირველი, მეცხრე და მეთერთმეტე კორპუსები, ცენტრალური და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები, კომპიუტერული და საგამოცდო ცენტრები, მექენიკური უნივერსიტეტის დიდი ნაწილი. რა თქმა უნდა, ეტაპობრივად ყველა კორპუსის განახლებას ვგეგმავთ და ეს სამუშაოები ზაფხულის არდადეგების პერიოდში რეგულარულად ჩატარდება.

– რა შეგიძლიათ გვითხრათ პროფესიულ სწავლებაზე, მის მნიშვნელობასა და ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან გადადგმულ თუ დაგეგმილ ნაბიჯებზე?

– უნდა მოგახსენოთ, რომ თანამედროვე ევროპული საუნივერსიტეტო სივრცე, როგორც დინამიკურად განვითარებადი, მრავალ ახალ გამოწვევას შესაბამისად პასუხობს, მათ შორის არსებობს გამოცდილება და ტენდენციები აკადემიური და პროფესიული სწავლების ინტეგრაციისა. თანამედროვე საუნივერსიტეტო სივრცე თავის თავში აერთიანებს ამ ორ მიმართულებას, რათა როგორც აკადემიური, ისე პროფესიული სწავლა და სწავლება უფრო მეტად იყოს ორიენტირებული საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოთხოვნილებებზე. იმისათვის, რომ ამ ინტეგრაციულმა სისტემამ უფრო გამართულად იფუნქციონიროს, ერთი მხრივ, საჭიროა იმ სასწავლო-კვლევითი, პედაგოგიური მიმართულებების განვითარება-გაძლიერება, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული სწავლების

მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყალიბებაზე, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სწავლების მაღალ დონეზე წარმართვას. სწორედ ამიტომ, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტი ამ ტიპის სამეცნიერო-კვლევით-პედაგოგიური და პროფესიული სწავლების უფრო მიზანმიმართული და ეფექტური განვითარებაა. ამ მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს 27 მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სხვადასხვა პროფესიას 400-ზე მეტი სატუდენტი ეუფლება. დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და აქტუალური პროფესიული პროგრამების შემუშავება-დანერგვა, პროფესიული განათლების მესვეურებსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთთანამშრომლობის სისტემის დანერგვა და გაძლიერება, აკადემიური რესურსებისა და თანამედროვე სასწავლო მასალების მოძიება, ტრენინგების ჩატარება, გაცვლითი პროგრამების ამოქმედება. და რაც ასევე უმნიშვნელოვანესია – პროფესიული პროგრამების ეფექტიანად განხორციელებისთვის შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უახლესი ტექნიკა-დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორიული და სააუდიტორიო სივრცეების მოწყობას გულისხმობს.

**– რამდენად საკმარისად მიგაჩნიათ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში პრაქტის წილი და გეგმავთ თუ არა მის გაზრდას?**

– რა თქმა უნდა, პრაქტიკა მომავალში მეტად გაიზრდება. გათვალისწინებულია არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია და ახალი პროგრამების შემუშავება, რაშიც აუცილებლად იქნება ჩართული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ბაზარზე მოქმედი ორგანიზაციები. ჩვენი ახალგაზრდები პრაქტიკას სწორედ მათთან კოლაბორაციაში გაივლიან. გარდა ამისა, ტექნიკურ უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული მრავალ ქართულ ორგანიზაციასა და ბიზნესკომპანიასთან. ეს მემორანდუმები ითვალისწინებს სამივე საფეხურის სტუდენტთა სტაურებასა და საწარმოო პრაქტიკას დასაქმების პერსპექტივით. პრაქტიკა და სტაურება კარგი საშუალებაა სტუდენტისთვის, რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად, სამუშაო გამოცდილება და უნარ-ჩვევები შეიძინონ. ამასთანავე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს ევროპის მრავალ უნივერსიტეტთან, რაც „ერაზმუს პლუსის“ გაცვლითი პროგრამების გარდა, დამატებით მრავალმხრივ შესაძლებლობას აძლევს სამეცნიერო კვლევებით დაინტერესებულ სტუდენტებს, სამეცნიერო პრაქტიკა ევროპისა და აზიის წამყვან

უნივერსიტეტებში გაიარონ და შესაბამისად, ორმაგი დიპლომები აიღონ. მნიშვნელოვანი მემორანდუმები გვაკავშირებს მსოფლიოში ცნობილ იაპონიის სოკენდაის ეროვნულ უნივერსიტეტთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, არამედ საქართველოს სამსახურისაც. სწორედ ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სოკენდაის შორის ელემენტარული ნაწილაკების, მაღალი ენერგიების ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების დარგში კოლაბორაცია და ქართველი დოქტორანტების ერთობლივად მომზადება. ქართველ დოქტორანტებს შეუძლიათ სწავლებისა და კვლევების ნაწილი იაპონიაში ჩაატარონ და ამ მიზნით აქტიურად გამოიყენონ იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლების კვლევითი ორგანიზაციის – KEK-ის და იაპონიის პროტონების ამაჩქარებლების ცენტრის – JPARC-ის უნიკალური სამეცნიერო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა. მემორანდუმების თანახმად, იაპონიის მხარე ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტებს სრულ ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენს იაპონიაში სწავლისა და სამეცნიერო კვლევების პროცესში. პარალელურად, ჩვენს დოქტორანტებს ორმაგი ხარისხი მიენიჭებათ, და ქართული და იაპონური დიპლომები გადაეცემათ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მკვლევრები, იაპონელებთან ერთად მონაწილეობენ ცნობილ COMET- ექსპერიმენტში. ტექნიკურ უნივერსიტეტს ასეთივე მნიშვნელოვანი კოლაბორაცია აქვს ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან–CERN-თან. ჩვენი ბირთვული ინჟინერიის ცენტრი ATLAS-ის ექსპერიმენტში მონაწილეობს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს კი სამეცნიერო კვლევისა და ნაშრომების შესრულება CERN-ის პროექტების ბაზაზე შეუძლიათ. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს CERN-ში ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების სამეცნიერო სტაურებებს, საქართველოში კი CERN-ის მასტერკლასების გამართვას. ამ ტიპის მემორანდუმები ტექნიკურ უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, გააძლიეროს და განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებით, უცხოელ კოლეგებთან კოლაბორაციით მოამზადოს მაღალი დონის სპეციალისტები ბირთვული და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, ფიზიკურ ინჟინერიასა და სამოქალაქო ინჟინერიაში, ენერგეტიკასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში და ა.შ. თუ ახალგაზრდა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია და ის სწავლაზეა ორიენტირებული, უნივერსიტეტი, თავისი საშინაო თუ საგარეო კონტაქტებისა და კოლაბორაციის

საშუალებით, ნამდვილად აძლევს მას მრავალმხრივი განვითარების საშუალებას და სამომავლო რეალურ პერსპექტივასაც.

– რამდენადაა ჩართული უნივერსიტეტი კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხში, არსებობს თუ არა ამ მხრივ რაიმე სახის მონაცემი?

– რაც შეეხება დასაქმებას, ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა ნამდვილად დიდია. უკვე გესაუბრეთ იმის შესახებ, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, ბიზნესკომპანიებთან, ევროპისა თუ აზის უნივერსიტეტებთან კოლაბორაციის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, რაც ურთიერთობა მშრომლობის მემორანდუმებითაა გამყრებული. უკლებლივ ყველა მემორანდუმი ითვალისწინებს სტაჟირებას, პრაქტიკასა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივას. ტექნიკური უნივერსიტეტის არც ერთი წარმატებული და მოტივირებული სტუდენტი არ რჩება შეუმჩნეველი და როგორც წესი, იღებს შეთავაზებას დამსაქმებლის მხრიდან. ყველა ჩვენი წარმატებული სტუდენტი – მშენებელი ინჟინერი იქნება, ენერგეტიკოსი თუ ტელეკომუნიკაციის სპეციალისტი, გეოლოგი, ქიმიკოსი თუ არქიტექტორი, დიზაინერი, IT-სპეციალისტი, იურისტი თუ ინჟინერ-ფიზიკოსი ან აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული – არ რჩება დასაქმების გარეშე. გარდა ამისა, უნივერსიტეტს მრავალი ორგანიზაცია თუ კომპანია თავად უკავშირდება სასურველი კადრების მოძიების მიზნით.

– არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე ახალგაზრდები ნაკლებად ინტერესდებიან ტექნიკური სპეციალობებით. რას აჩვენებს სტატისტიკა?

– იმისათვის, რომ თქვენს შეკითხვას ზუსტი პასუხი გაეცეს, ისევ და ისევ შესაბამისი სოციოლოგიური კვლევებია ჩასატარებელი, რადგან ეს შესაძლებელია, მხოლოდ მოარულად არსებული მოსაზრება იყოს. თანაც თითოეული სასწავლო-კვლევითი მიმართულების პოპულარულობა, როგორც წესი, საზოგადოებრივი და საბაზრო მოთხოვნილების შესაბამისია. თუ აქამდე მართლაც შესაძლებელი იყო, რომ ტექნიკური აკადემიური მიმართულებები ნაკლებად პოპულარული ყოფილიყო ახალგაზრდებს შორის, ეს სწორედ ამ მოთხოვნების შესაბამისი შეიძლება ყოფილიყო. მეორე მხარე არის ის, რას აჩვენებს სტატისტიკა. ამაზე კი მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედის 12 ფაკულტეტი, 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრალური და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები, კომპიუტერული და საგამოცდო ცენტრები, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და

საექსპერტო ლაბორატორიები და სხვ. უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდება 170 საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, ქართულ ენაში მომზადებისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები; ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 21 891 სტუდენტი, აქედან 17 690 ბაკალავრი, 2 569 მაგისტრანტი, 1 363 დოქტორანტი, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას გადის 258 სტუდენტი და 312 უცხოელი სტუდენტი. ამას გვიჩვენებს სტატისტიკა და ჩვენ, ამ შემთხვევაში, შეგვიძლია მხოლოდ ამ სტატისტიკას დავეყრდნოთ, სწორედ ეს არის ჩემი პასუხი თქვენს შეკითხვაზე.

# ტექნიკური განვითარების რეალიზაცია – ჩთად ვითარებაში გავლენით სფეროს განვითარების სრული მოწყობის სისტემა მართვის მიზანის მიზანი

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, დღეის მდგომარეობით, საკარანტინო რეჟიმში ვიმყოფებით. ორგანიზაციები დისტანციურად მუშაობენ, საჯარო სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესი ონლაინ ხორციელდება.

რა ხდება ამ მხრივ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ უნივერსიტეტში, რა ახალი გამოწვევების წინაშე დგას ის და რა ინსტრუმენტებით იმართება სასწავლო პროცესი? ამ და სხვა თემებზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა დავით გურგენიძემ უნივერსიტეტის PR სასახურიდან ისაუბრა.

– პანდემიის დროს ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი დისტანციურ-ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს. ჩვენი უნივერსიტეტი ელექტრონული კომპონენტებით სწავლის პროცესზე მიმდინარე წლის 16 მარტიდან გადავიდა. შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმოკლეს დროში ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები. ტექნიკურ უნივერსიტეტს უკვე პქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ლექცია-სემინარებისა და გამოცდების ელექტრონული ფორმით ჩატარების გამოცდილება. სპეციალურად ფართომასშტაბიანი დისტანციური სწავლებისთვის განახლდა საუნივერსიტეტო ელექტრონული პლატფორმა [elearning.gtu.ge](http://elearning.gtu.ge), რომელიც Moodle-ის სისტემას ეფუძნება. ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პლატფორმა დღეისათვის ტექნიკურად გამართულად ფუნქციონირებს და მასზე შეუფერხებლად წვდომა სამივე საფეხურის ყველა სტუდენტისთვისაა შესაძლებელი. ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს საშუალება აქვთ, ელექტრონულ პლატფორმაზე მოიძიონ 2 700-ზე მეტი სალექციო კურსი, მიიღონ დავალებები და შესრულებული დავალება პლატფორმაზე შესაბამის გრაფაში ატვირთონ. რაც მთავარია, ჩვენს ელექტრონულ პორტალს მძლავრი ტექნიკური უზრუნველყოფა

აქვს და კარგად უძლებს სტუდენტთა დიდი რაოდენობის ერთდღოულად შესვლას.

– **რამდენად სისტემატიზებულია ონლაინლექციების ჩატარებისპროცესი ტექნიკურ უნივერსიტეტში?**

– ტექნიკურ უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სალექციო კურსებისა და დავალებების ატვირთვის პარალელურად, ტარდება ონლაინლექციები 30 მარტიდან და მათი რაოდენობა მოცემულ ეტაპზე 1800-ს აღმატება. ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს ანლაინლექციები Zoom და BBB ვებ-საკონფერენციო აპლიკაციების საშუალებით უტარდებათ. შედგენილია ონლაინლექციების ცხრილი, რომლის მიხედვითაც სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებს საშუალება აქვთ, ჩატოონ ონლაინ ლექციებში. ცხრილი განთავსებულია პლატფორმა elearning.gtu.ge-ის მთავარ გვერდზე და სტუ-ის ვებგვერდის მთავარ გვერდზე. ამის გარდა, ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სპეციალურად სტუდენტებისთვის განთავსებულია განახლებული გზამკვლევი ვიდეორგოლების სახით, რომელთა მეშვეობით ელექტრონული პლატფორმით სარგებლობისა და ონლაინ ლექციებზე ჩართვის შესახებ ინსტრუქციების მიღება შესაძლებელია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლებისთვისაც. ვიდეოინსტრუქციები ატვირთულია ასევე, elearning.gtu.ge-ზე, სტუ-ის ფეისბუქის გვერდსა და youtube-ის საუნივერსიტეტო პლატფორმაზე.

გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფეისბუქის გვერდზე ინტერაქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სტუდენტებთან ურთიერთობა, პასუხს ვცემთ მათი მხრიდან დასმულ შეკითხვებს. ასევე, უნივერსიტეტის ელექტრონული კომპონენტით სწავლების პლატფორმაზე ტექნიკურ და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობს ონლაინკონსულტაციები პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

– **რამდენად არის შესაძლებელი ელექტრონულ სწავლებაში პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ჩართვა?**

– შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროექტი და უკვე შესაძლებელია ელექტრონულ ფორმატში პრაქტიკული და ლაბორატორიული (ვირტუალური) მეცადინეობების ჩართვა. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები უკვე იყენებენ ელექტრონულ ინსტრუმენტებს სემინარებისა და კონსულტაციების,

ასევე, კურიკულუმში მითითებული ისეთი აქტივობების ჩასატარებლად, როგორიცაა: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, Case study, დემონსტრირების მეთოდი და სხვ. რაც შეეხება სასაწავლო/საწარმოო პრაქტიკასა და იმ ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებს – ხატვას, კლაუზურასა და სხვ., რომლებშიც აუცილებელია პედაგოგისა და სტუდენტის უშუალო ჩართვა, ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელდება საგანგებო მდგომარეობის მოხსნის შემდეგ.

შექმნილი მდგომარეობადან გამომდინარე, უნივერსიტეტში მიიღო გადაწყვეტილება და სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი შემოიღო, რაც სტუდენტის შეფასების საშუალებას მოგვცემს.

– **შესაძლებელი იქნება თუ არა ელექტრონული შეფასების სისტემის შემოღება?**

– მნიშვნელოვანი ეტაპია ელექტრონული შეფასების სისტემის დაწერვა – თითოეულ სასწავლო კურსს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აქვს შესაბამისი შეფასების სისტემა, რომელიც აუცილებლად აისახება შეფასების ელექტრონულ სისტემაში და მოიცავს შეფასების კომპონენტებს, შეფასების მეთოდებს, რაც შეფასების კრიტერიუმებით იზომება. შეფასების ფორმატში გათვალისწინებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, შეფასება ხდება იმავე სემესტრში, რომელშიც სწავლება ხორციელდება.

– **უშუალოდ ვინ არის პასუხიმგებელი ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმის მართვაზე და რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ელექტრონული სასწავლო პროცესის მონიტორინგი?**

– პირველ რიგში, უშუალოდ პასუხისმგებელია რექტორი, ასევე, ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროგრამისტთა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტთა ჯგუფი. სწორედ ეს ჯგუფი ატარებს ელექტრონული სწავლების შეუფერხებელ მიმდინარეობაზე მუდმივ დაკვირვებას და ყველა საჭირო შემთხვევაში, დროულად ეხმარება პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

რაც შეეხება იმ საკითხს, რამდენად კანონის დაცვით ტარდება ლექციები, არის თუ არა დასწრება სტუდენტთა მხრიდან, ატარებენ თუ არა სათანადო პროფესორ-მასწავლებლები ელექტრონულ ლექციებს, ყოველდღიურ რეჟიმში კონტროლდება სტუ-ის მულტიმედიური, საკონფერენციო და უსაფრთხოების სისტემების მართვისა და ექსპლუატაციის ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფების მიერ.

– **და ბოლოს, ელექტრონული სწავლების პროცესში სტუდენტების სთვის რამდენადაა ხელმისაწვდომი სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურა ელექტრონულ ფორმატში?**

– რაც შეეხება სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურასა და მის ელექტრონულ ვერსიებს, ტექნიკურ უნივერსიტეტს ეს რესურსიც აქვს და იყენებს ელექტრონული სწავლების პროცესში. ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი წიგნსაცავია, სადაც დაცულია 3,7 მილიონი ბეჭდური და ელექტრონული წიგნი, სამეცნიერო ჟურნალი და პერიოდული გამოცემა. ჩვენი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების განკარგულებაშია ისეთი ელექტრონული საძიებო კატალოგები და პლატფორმები, როგორიცაა: Koha, Science Direct, Scopus, WEB OF SCIENCE, CAMBRIDGE JOURNALS, Royal Society Publishing, IMF eLIBRARY, SAGE journals, EDWARD EIGAR Publishing, DUKE UNIVERSITY PRESS, Polpred.com და სხვ. გარდა ამისა, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით აქვთ წვდომა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგთან, სადაც შესაძლებელია სასურველი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოძიება და დისტანციური განაცხადის გაკეთება. თუ განაცხადი შეეხება ბეჭდურ ლიტერატურას, ამ შემთხვევაში, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საჭირო ლიტერატურის სკანირებასა და მომხმარებლისთვის ელექტრონული ფოსტით მიწოდებას 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

იმედი გვაქვს, სასწავლო პროცესი და, ზოგადად, ჩვენი ცხოვრება მაღლე დაუბრუნდება ჩვეულ რიტმს, მაგრამ ერთი რამ აქედანვე ნათელია – ელექტრონული სწავლების მიმართულებით დაგროვილ და დანერგილ დიდ გამოცდილებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სასწავლო პროცესში შემდგომშიც აქტიურად გამოიყენებს.

## სტა-მინისტრის ხასება ცვრალი კონფიდენციალური – „ინოვაციური პროექტების და ტექნოლოგიების ჩასახის მინისტრის მინისტრის“

2021 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა მესამე ევრაზიული კონფერენცია – „ინოვაციები ბუნებისა და ტექნოლოგიების რისკების მინიმალიზაციისთვის“. ამის შესახებ ინფორმაციას სტუ ავრცელებს.

მათივე ცნობით, კონფერენცია, რომელიც ყოველწლიურად იმართება, წელს, პანდემიიდან გამომდინარე, ონლაინრეჟიმში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღეს ევროპისა და აზიის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა. სტუ-ის ინფორმაციით, კონფერენციის ორგანიზატორები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, AMIR Technical Services Company, პონგ კონგის უნივერსიტეტი, საიმედოობის საერთაშორისო ჯგუფი – Gnedenko Forum და ტროფიმუკის ნავთობის, გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი.

კონფერენცია საქართველოს პიმინით გაიხსნა და კოლეგებს მისაალმებელი სიტყვით მიმართა კონფერენციის თანათავმჯდომარემ,



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დავით გურგენიძემ.

„უნივერსიტეტები, სასწავლო-კვლევითი ერთეულები, ეკოლო-გიური პროცესების სწორად მართვის პრინციპების დადგენის არა მხოლოდ აქტიური მონაწილეები, არამედ განმსაზღვრელები უნდა ვიყოთ. გარესამყაროს დაზიანებას, უმეტესწილად, გრძელვადი-ანი და გლობალური გავლენები და შედეგები აქვს, შესაბამისად, ჩვენ, შემუშავებული რეკომენდაციები გრძელვადიანი უნდა იყოს. ამასთანავე, ჩვენი თაობის მდგრადი განვითარება არ უნდა იყოს მიზ-ეზი იმისა, რომ მომავალ თაობას ჩამოერთვას თავიანთი საჭიროების დაკამაყოფილების უფლება“, – აღნიშნა დავით გურგენიძემ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, მეცნიერების მთავარი ამოცანა, ბუნებისა და ტექნოლოგიების რისკების მინიმალიზაციაა. მისი თქმით, ევრაზიული კონფერენცია – „ინოვაციები ბუნებისა და ტექნოლოგიების რისკების მინიმალიზაცი-ისთვის“ -კარგი პლატფორმაა ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად.

„პრაქტიკოსებმა, ინჟინერებმა, მკვლევრებმა, მეცნიერებმა და გად-აწყვეტილების მიმღებმა პირებმა მთელი მსოფლიოდან, უნდა გაცვა-ლონ იდეები და ტექნოლოგიები უახლესი ინოვაციების განვითარე-ბის მიზნით, რაც რისკის მინიმიზაციას შეუწყობს ხელს. ეს კი არის საფუძველი, თანამედროვე და მომავალმა თაობებმა ადეკვატურად შეძლონ უსაფრთხო, სუფთა გარემოს შექმნა და მდგრადი განვითარე-ბა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკოსისტემის შენარჩუნები-სათვის“, – განაცხადა დავით გურგენიძემ.

# საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის ჩატორისა და ცროპის პრინციპულური ინიციატივის, კვლევითისა და ცნობილის კომიტეტის ვიცე-თავმდებომარეს მოწილი თხლით საგარი მიეღი



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ დავით გურგენიძესა და ევროპის პარლამენტის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, ამჟამად ევროპის პარლამენტის ინდუსტრიის, კვლევებისა და ენერგეტიკის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარეს პროფესორ ზდისლავ კრასნოდებსკის შორის ონლაინსაუბარი შედგა. ამის შესახებ ინფორმაციას სტუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ონლაინსაუბარში ავსტრიიდან ჩაერთო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი ილია მარჯანიძე. საუბარი კითხვა-პასუხის რეუიმში წარიმართა, ესწრებოდნენ სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დავით მახვილაძე და სტუ-ის პროფესორი მამუკა ბერიაშვილი.

“ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო და აქტუალური ონლაინ

საუბარი ბონის უნივერსიტეტის შემეცნების თეორიის, ახალი დროისა და თანამედროვე ფილოსოფიის კათედრის გამგესთან, ფილოსოფიის ინტერნაციონალური ცენტრის ხელმძღვანელთან, პროფესორ მარკუს გაბრიელთან. დღეს კი, იმავე ფორმატში საუბარი პროფესორ ზდისლავ კრასნოდებსკისთან შედგა.”

საუბარი შექმნილი ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა: სოლიდარობა ევროკავშირის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით Covid-19-ით გამოწვეული სირთულეების დროს; ევროკავშირის მომავალსა და საქართველოს გაცხადებულ მიზანს, ევროკავშირს მაქსიმალურად დაუახლოვდეს, აგრეთვე მხარდაჭერას მისი წევრობისკენ მიმავალ გზაზე. ასევე ვისაუბრეთ პოსტტოტალიტარული საზოგადოებების ტრანსფორმაციასა და ამ პროცესში ევროკავშირის მხარდამჭერ, მნიშვნელოვან როლზე.

საინტერესო იყო ზდისლავ კრასნოდებსკის პოზიცია განათლების სფეროში, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მიმართულებით თანამშრომლობისა და განათლების როლის თაობაზე, რასაც ჩვენ, ქართული საზოგადოების ჯანსაღი, მდგრადი ტრანსფორმაციის ქვაკუთხედად განვიხილავთ”, – განაცხადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა დავით გურგენიძემ.

ცნობისთვის, ზდისლავ კრასნოდებსკი, პოლონელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, სხვადასხვა დროს იყო: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კასელის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი; ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი; პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი; ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპისმცოდნეობის სემინარის ხელმძღვანელი; ბრემენის უნივერსიტეტის პოლონური კულტურის ინტერდისციპლინური მიმართულების ხელმძღვანელი; ვარშავის კარდინალ-შტეფან-ვიშჩინსკის უნივერსიტეტის პროფესორი; 1995 წლიდან დღემდე – ბრემენის უნივერსიტეტის სრული პროფესორი; 2011 წლიდან – კრაკოვის აკადემია იგნატიანუმის საგანგებო პროფესორი; 2017-2019 წლებში – ევროპის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი.

# საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის STEM-კაცების მოსახლეობის NASA-ს პროექტის მიზანის მიზანის მიზანის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის STEM-კადემიის მოსახლეობი NASA-ს პროექტებში მიიღებენ მონაწილეობას, — ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის აკადემიურ დეპარტამენტთან არსებული STEM-კადემიის მოსწავლეებმა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში გაიმარჯვეს. გამარჯვებულ მონაწილეთა გამოვლენისა და დაჯილდოების ცერემონია 2020 წლის ბოლოს, 29 დეკემბერს, ონლაინფორმატიული შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება კელი დეგნანი ესწრებოდა.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები შეაფასა კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: პროფესორი დავით ლორთქიფანიძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი; ტუსია ლარიბაშვილი – Space Farming Project-ის დამ-



ფუძნებელი; პროფესორი ალექსანდრე თევზაძე – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი; პროფესორი ნოდარ სურგულაძე – ათასწლეულის ფონდის უმაღლესი განათლების პროექტების ხელმძღვანელი; მერაბ ლაპაძე – ინოვაციური განათლების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი; გიორგი ჭელიძე – სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი; გიორგი მირზიკაშვილი – OptioAI-ის დამფუძნებელი; თამარ რაზმაძე – აკადემია „ლეტერატოს“ დამფუძნებელი და დირექტორი.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში გაიმარჯვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის აკადემიური დეპარტამენტის ბაზაზე მომზადებულმა მოსწავლეთა გუნდმა - „მედეორი“, პროექტით – „ულტრაბგერული მდგარი ტალღის მეთოდით მკურნალობა და SMART ტექნოლოგიით მონიტორინგი პარკინსონის დაავადებაზე“. გამარჯვებული გუნდის წევრები არიან, თბილისის სხვადასხვა სკოლის ხუთი მოსწავლე: არჩილ მელიქიძე, გიორგი გოგატიშვილი, მარიამ გულაშვილი, მარიამ უმანკოშვილი, მარიამ ნინუა.

კონკურსის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხერიძე.

„მოხარული ვარ, რომ, მიუხედავად რთული წლისა და პანდემისა, შევძელით ამ კონკურსის წარმატებულად ჩატარება. საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება კიდევ უფრო გვაახლოებს თანამედროვე მსოფლიოსთან და ხელს უწყობს ახალი თაობის გამომგონებლების, ინჟინრებისა და სტარტაპების გაძლიერებას. ჩვენი მთავრობისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი ზუსტად რომ ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო განათლების განვითარებაა. ძვირფასო მოსწავლებო, გამომგონებლებო, ძვირფასო პედაგოგებო, თქვენთან ერთად და თქვენი მხარდაჭერით არის შესაძლებელი, საქართველოში კონკურენტუნარიანი ახალი პროდუქტების, აპლიკაციების შექმნა საინჟინრო და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღება. ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, ორმაგად სასიხარულოა, რომ ვხედავ ამდენ ახალგაზრდას, რომელიც უკვე ქმნის ახალ საქართველოს და დაინტერესებულია მეცნიერებით“, – აღნიშნა თავის მისაალმებელ სიტყვაში მინისტრმა.

გამარჯვებული გუნდი „მედეორი“ საპატიო სტუმარმა – ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ კელი დეგნანმა დააჯილდოვა, მხარდაჭერა აღუთქვა და წარმატება უსურვა ახალგაზრდებს.

პანდემიის დასრულებისთანავე „მედეორი“ აშშ-ში, ჰიუსტონში, ნასას კოსმოსური ცენტრის საზაფხულო უნივერსიტეტში გაემგზავრება, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ გუნდებთან ერთად ინოვაციებსა და ახალ პროექტებზე იმუშავებს. აღნიშნულ პროექტში ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობას საქართველოში აშშ-ის საელჩო აფინანსებს.

გამარჯვებული გუნდი „მედეორის“ წევრებმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ დავით გურგენიძეს წერილით მიმართეს და მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადეს.

ახალგაზრდებს, თავის მხრივ, რექტორმა საპასუხო წერილი გაუგზავნა, გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა!

„ჩემო ძვირფასო ახალგაზრდებო, ჩვენო მომავალო კოლეგებო, გილოცავთ ახალ 2021 წელს! მრავალ ახალ წარმატებას, ჯანმრთელობას, პოზიტიური შთაბეჭდილებებით აღსავსე წელს გისურვებთ! იმაზე დიდი ვალდებულება, ვიდრე მომავალი თაობის მხარდაჭერა და მათ პროფესიულ ჩამოყალიბებაში ქმედითად მონაწილეობაა, პედაგოგისთვის არ არსებობს. ეს ჩვენი უპირველესი და საპატიო მოვალეობაა, რასაც უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდებით.

ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის აკადემიურ დეპარტამენტთან და ბატონ დავით სონდულაშვილთან თანამშრომლობით თქვენ ასეთ დიდ წარმატებას მიაღწიეთ და მოგეცათ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს წარმოჩინების შესაძლებლობა. ეს თქვენი პროფესიული გზის მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს გზა რაც შეიძლება საინტერესო და შემოქმედებითი იყოს თქვენთვის და ყველა იმ ახალგაზრდისთვის, ვინც თავის არჩევანს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე შეაჩერებს.

დიდი მადლობა იმისათვის, რომ თავდაუზოგავად იშრომეთ თქვენს ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად და დიდ წარმატებასაც დამსახურებულად მიაღწიეთ. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც მრავალი მნიშვნელოვანი მიღწევა და წარმატება გელით“, – აღნიშნა თავის საპასუხო წერილში სტუ-ის რექტორმა დავით გურგენიძემ.

ცნობისთვის: ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ემსახურება ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში (STEM), რაც გაზრდის მათ მოტივაციას აღნიშნულ დისციპლინებში მიიღონ განათლება. პროექტის მიზანია, გამარჯვებული ახალგაზრდების დაკავშირება წარმატებულ მეცნიერებთან და კერძო სექტორთან, რაც სამომავლოდ, მათ პარტნიორობის დამყარებაში, გამოცდილებისა და ცოდნის მიღებაში დაეხმარება.

# საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის ჩატორის პროფესორია დავით გერგანიძე მსოფლიოს ნაციონალური სტანდარტის მიმღების სტანდარტის მიმღების მოღვაწე მინისტრის მოღვაწე მინისტრის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დავით გურგენიძემ, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სტუ-ის 100 წლის იუბილეს ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ნაყოფიერი აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობისა და უნივერსიტეტში სამეცარმეო განათლების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა კილის ბიზნესის სკოლის მეწარმეობის დირექტორს, დოქტორ კოლინ რიგბის. ამის შესახებ ინფორმაციას სტუ ავრცელებს.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესო საინჟინრო უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეა, სადაც მსოფლიო დონის მეცნიერები აღიზარდდენ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას უკეთესი მომავალი შევუქმნათ.



ამისათვის აუცილებელია ჩვენ გვერდით იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ხელთ უპყრიათ მეცნიერების სადავეები. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, საპატიო დოქტორის წოდება დღეს მივანიჭოთ დოქტორ კოლინ რიგბის. უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ფარგლებში საპატიო დოქტორის წოდება არაერთ გამოჩენილ მეცნიერს მივანიჭეთ, რაც როგორც ჩვენთვის, მათვით სასიხარულო და საამაყოა“, – განაცხადა დავით გურგენიძემ.

სტუ-ის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, სხვადასხვა დროს, საპატიო დოქტორის წოდება ასევე მიენიჭათ: CERN-ის სამეცნიერო დირექტორს, პროფესორ იოაპიმ მნიხს – საქართველოსა და ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაცია CERN-ს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და CERN-ს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის; ბელოსტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორ ლეხ დენისს – ბელოსტოკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის, ქართველი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო და ტექნიკური მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; უკრაინის ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მაქსიმ ლუცკის–საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უკრაინის ნაციონალურ საავიაციო უნივერსიტეტს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის; „თბილავიამშენის“ დირექტორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, თვითმფრინავმშენებლობის გამოჩენილ ინჟინერს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პანტიკო თორდიას – ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო ლაბორატორიის შექმნის ინიცირებისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ დავით გურგენიძის განცხადებით, ყოველწლიურად იზრდება საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერთა ინტერესი სტუ-ში მიმდინარე პროცესებისადმი და შესაბამისად, ისინი გამოთქვამენ სურვილს, მეტად იყვნენ ჩართული სტუ-ის სამეცნიერო საქმიანობაში.

კილის ბიზნესის სკოლის მეწარმეობის დირექტორის, დოქტორ

კოლინ რიგბის განცხადებით, მას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მრავალნიშნიანი თანამშრომლობა აკავშირებს. დოქტორმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ დავით გურგენიძეს და აკადემიურ საბჭოს გამოჩენილი ყურადღებისა და დაფასებისთვის და განაცხადა, რომ საპატიო დოქტორის ხარისხი მას პასუხისმგებლობას აკისრებს და ეს უნივერსიტეტთან უფრო მჭიდრო კავშირის დასაწყისია.

# საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის ელეგაზი ჩემორ ღავით გარდაცის ხასიათის პიზიტი უკრაინის იურიდიკის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია რექტორის, პროფესორ დავით გურგენიძის ხელმძღვანელობით უკრაინაში იმყოფებოდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავრცელებს.

ვიზიტის დროს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უკრაინის ტექნოლოგიებისა და დიზაინის უნივერსიტეტან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა და სტუ-ის რექტორს დავით გურგენიძეს უკრაინის ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტის რექტორმა მაქსიმ ლუცკიმ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია გადასცა.

სტუ-ის ინფორმაციით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ-



ის აკადემიური წრის წარმომადგენელთა უკრაინაში ვიზიტი საქართველოს მთავრობის მეთაურისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უკრაინელი ხალხის მიმართ მაქსიმალური მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატვის ინიციატივას უკავშირდება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, უკრაინაში სტუ-ის დელეგაცია უკრაინის განათლების მინისტრს, უკრაინაში აკრედიტებული რამდენიმე უნივერსიტეტის რექტორსა და მეცნიერებს შეხვდა. მხარეებმა უნივერსიტეტებს შორის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივა განიხილეს და დასახეს შემდგომში თანამშრომლობის გეგმა.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაციის უკრაინაში ვიზიტი კიდევ ერთი, ერთგვარი მხარდაჭერა იყო, რომელსაც ჩვენ, საქართველოს კულტურის პალატასთან ერთად, ომის დაწყების პირველივე დღიდან გამოვხატავთ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, უკრაინაში არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ სასწავლო პროცესი არ ჩავარდეს და სტუდენტებისთვის შესაფერისი გარემო შენარჩუნდეს, რაც უკრაინელი ერის სიმამაცეზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. უკრაინის ნაციონალური სააკაციო უნივერსიტეტის რექტორსა და სამეცნიერო საბჭოს, ჯერ კიდევ 2021 წლის ივნისში, ჩემთვის საპატიო დოქტორის ხარისხის მონიქებისათვის კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას. კოლეგებმა შემთხვევით ისარგებლეს და ვიზიტის ფარგლებში, საპატიო დოქტორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უკვე ოფიციალურად გადმომცეს. ეს ძალიან დიდი პატივია. ერთგვარი აღიარებაა ჩვენსა და უკრაინელ კოლეგებს შორის არსებული სამეცნიერო კავშირებისა, იმ მეგობრობისა, რაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უკრაინის არაერთ უნივერსიტეტს აკავშირებს“, – განაცხადა სტუ-ის რექტორმა.

უკრაინის განათლების მინისტრმა, სერგეი შეკარლოტმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისთვის, რასაც უნივერსიტეტი საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მიმართ გამოხატავს.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, ჩვენს მეცნიერობარ, პროფესორ დავით გურგენიძესთან ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა მქონდა. უკრაინაში უმაღლესი განათლების ახალი სტრატეგია ჩამოვაყალიბეთ. ჩვენი თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯი უკრაინასა და საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების წარმომადგენლების დიდი შეხვედრა იქნება. იმედი მაქვს, რომ ომის პირობებში

უკრაინა ძლიერი პარტნიორების დახმარებით, უფრო ძლიერი გახდება“, – განაცხადა სერგეი შკარლოტმა.

ინფორმაციისთვის, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, საქართველოს კულტურის პალატასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ერთ-ერთმა პირველმა გააგზავნა უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარება. ჰუმანიტარული ტვირთის ადრესატი ივანო-ფრანკოვსკში მდებარე ვ. სტეფანიკის სახელობის კარპატისპირა ეროვნული უნივერსიტეტია, რომელთანაც ტექნიკურ უნივერსიტეტს მრავალწლიანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო თანამშრომლობა აკავშირებს.

სტუ-მა და საქართველოს კულტურის პალატამ, ლეგენდარული სუსიშვილების ანსამბლის ჩართულობით, ერთობლივი საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. ასევე, სტუ-ის სტუდენტთა სახალხო თეატრ-სტუდიამ „მოდინახე“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საქველმოქმედო სპექტაკლების ციკლი ჩაატარა, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის ჩატორის ეკადემიკოს და მეცნიერებელის ლაურეატის საზოგადოების უძლის და გადამდებრის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი დავით გურგენიძე საქართველოში იტალიური ენისა და კულტურის გავრცელებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის დანტე ალიგიერის საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავრცელებს. მათივე ცნობით, დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც რომში, ფლორენციის სასახლეში გაიმართა, ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში კონსტანტინე სურგულაძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვატიკანში ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი, დანტე ალეგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტეტის პრეზიდენტი ნინო ცერცვაძე, აკადემიური წრეებისა



და იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ის სტუდენტები, რომლებიც Erasmus+ გაცვლითი პროგრამით იტალიის უნივერსიტეტებში იღებენ განათლებას.

საზეიმო ღონისძიებაზე სტუ-ის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს დანტე ალიგიერის საზოგადოების უმაღლესი ჯილდო და დიპლომი საზოგადოების გენერალურმა მდივანმა პროფესორმა ალე-სანდრო მაზიმ გადასცა.

დავით გურგენიძემ დანტე ალიგიერის საზოგადოების პრეზიდენტ-სა და გენერალურ მდივანს საპატიო ჯილდოსთვის მადლობა გადაუხ-ადა და მხარეებს შორის წარმატებული თანამშრომლობის შესახებ ისაუბრა.

„მადლობას ვუხდი დანტე ალიგიერის საზოგადოებას, პროფე-სორ ანდრეა რიკარდისა და პროფესორ ალესანდრო მაზის საპატიო ჯილდოს გადმოცემისთვის, რომელიც იტალიის უზენაესი პოეტის, დანტე ალიგიერის სახელს ატარებს. საქართველოს ტექნიკური უნი-ვერსიტეტის ინიციატივითა და ალიგიერის საზოგადოების მხარდაჭ-ერით, ასევე, დანტე ალეგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტე-ტის უშუალო ჩართულობითა და იტალიაში საქართველოს საელჩის თანადგომით, ერთობლივად შემუშავდა საერთაშორისო პროექტი, რის შედეგადაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიხსნა და წარმატებით ფუნქციონირებს ჰიბრიდული დიდაქტიკური ცენტრი – დანტეს კაბინეტი. შემუშავებულია იტალიური ენისა და კულტურის ეფექტური და ხარისხიანი სწავლების ინტერდისციპლინური უფასო კურსები სტუდენტებისთვის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და თანამშრომლებისთვის. გარდა ამისა, ნებისმიერ ჩვენს მოქა-ლაქეს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტს, უსასყიდლოდ შეისწავლოს იტალიური ენა და ეზიაროს ამ დიდ კულტურას. ამ ეტაპზე, დანტე ალიგიერის საზოგადოების სათავო ოფისთან ერთად, აქტიურად ვრმუშაობთ იმ მიმართულებით, რომ იტალიური ენა, სილაბუსის სახით, ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში აისახოს. შეუძლებელია, არ ალინიშნოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მჭიდრო საგ-ანმანათლებლო და სამეცნიერო კოლაბორაცია იტალიის წამყვან უნი-ვერსიტეტებთან, სადაც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში არაერთი ჩვენი სტუდენტი იღებს განათლებას და ეწევა კვლევით საქმიანობას. მადლობას ვუხდი ჩვენს ახალგაზრდებს, რომ ესწრებიან დღევანდელ ღონისძიებას. დარწმუნებული ვარ, დანტე ალიგიერის საზოგადოება-სა და ჩვენს უნივერსიტეტს შორის მეგობრობა სამომავლოდ კიდევ



უფრო გამყარდება, რაც დიდად წაადგება საქართველოსა და იტალიის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული სივრცეების მეტად დაახლოებას", – აღნიშნა რექტორმა აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ. საზეიმო ღონისძიებაზე მან დანტე ალიგიერის საზოგადოების პრეზიდენტს, პროფესორ ანდრეა რიკარდისა და საზოგადოების გენერალურ მდივანს, პროფესორ ალესანდრო მაზის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები გადასცა. როგორც დავით გურგენიძემ აღნიშნა, დანტე ალიგიერის საზოგადოების ხელმძღვანელებს, სტუ-ის საპატიო დოქტორის ხარისხი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, 2022 წლის ოქტომბერში მიენიჭა.

დანტე ალიგიერის საზოგადოების გენერალური მდივანი, პროფესორი ალესანდრო მაზი თავის გამოსვლაში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს შექმნა. მისი თქმით, იტალიასა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა, რამიც დიდი წვლილი საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, პირადად რექტორმა, დავით გურგენიძემ და დანტე ალიგიერის საზოგადოების თბილისის კომიტეტმა შეიტანეს. როგორც ალესანდრო მაზიმ აღნიშნა, ქართულ უნივერსიტეტთან კოლაბორაცია იტალიასა და საქართველოს შორის ხელმოწერილი

კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობის აღმასრულებელი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

„მოხარული ვართ, რომ დანტე ალიგიერის საზოგადოების ჯილ-დო გადავეცით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ დავით გურგენიძეს – ადამიანს, რომლის პირადი დამსახურებითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით, ასევე, ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერით, შეიქმნა იტალიური ენისა და კულტურის შემსანავლელი ჰიბრიდული აუდიტორია. ჩვენთვის ასევე დიდი პატივია ის ჯილდო და წოდება, რაც დანტე ალიგიერის საზოგადოებასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დამყარებული საუკეთესო თანამშრომლობის გათვალისწინებით, რექტორმა და აკადემიურმა საბჭომ მოგვანიჭა. გვჯერა, ჩვენი თანამშრომლობა სამომავლოდ უფრო გაღრმავდება და მრავალფეროვანი გახდება. ორივე მხარეს ღრმად გვნაშს, რომ განათლება და მეცნიერება, კულტურა და სამოქალაქო დიალოგი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს შორის, მოგვიტანს საუკეთესო შედეგებს, ჰუმანიზმსა და მშვიდობას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ჰუმანიზმი და მშვიდობა სწორედ ის კულტურული მონაპოვარია, რომელიც სკოლისა და უნივერსიტეტის კედლებში ყალიბდება“, – აღნიშნა პროფესორმა ალესანდრო მაზიმ.

სტუ-ის ცნობით, რომში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორისა და დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, დანტე ალიგიერის საზოგადოების სათავო ოფისში შედგა რამდენიმე შეხვედრა, რომლებზეც მხარეებმა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული კოლაბორაციის გაღრმავების შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

## სტენ-ში თვითმფრინავ „მერკერის“ ბაზაზე საცისალო ინიციატივის სასენაცო-პრაქტიკაზე დამრადობის მოცემობა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს საქართველოს თავ-დაცვის სამინისტრომ საგანმანათლებლო მიზნებისთვის თავდაცვის ძალების კუთვნილი საავიაციო ტექნიკა – ოთხადგილიანი თვითმფრინავი „მერკური“ გადასცა.

4-ადგილიანი თვითმფრინავი „მერკური“ 2000-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის საავიაციო-ტექნიკურ ქარხანა „ავიატონში“ ქართველმა ავიაკონსტრუქტორებმა და ინჟინერებმა ააწყვეს. თვითმფრინავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი სასწავლო მიზნებისთვის, კერძოდ, საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის განვითარებისა და სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებისთვის გამოიყენებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გუგენიძის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაცემული თვითმფრინავის ბაზაზე საუნივერსიტეტო სივრცეში, უახლოეს მომავალში საავიაციო ინჟინერიის სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორია მოეწყობა.



„ეს კიდევ ერთი ისტორიული დღეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის მხარდაჭერით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ჯუანშერ ბურჭულაძის ძალისხმევითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, გიორგი ამილახვრის უშუალო ჩართულობით, გადმოგვეცა ქართული წარმოების მცირე ზომის ოთხადგილიანი თვითმფრინავი „მერკური“, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენებს. ჩვენს ქვეყანასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დიდი ტრადიციები აქვს თვითმფრინავმშენებლობის მიმართულებით, ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ 31-ე ქარხანა, იგივე „თბილავიამშენი“, სადაც ცნობილი ავიაკონსტრუქტორები და ავიაინჟინერები მუშაობენ. ბედნიერი ვარ, რადგან ვხედავ გახარებულ სტუდენტებს, ჩვენი სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საავიაციო ინჟინერიის პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ რამინ ზუკავიშვილს, რომელმაც მთელი ცხოვრება თვითმფრინავმშენებლობას შეალია, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. თვითმფრინავი, რომელიც ჩვენმა კურსდამთავრებულმა ინჟინერებმა ააწყვეს, საუნივერსიტეტო სივრცეში დაბრუნდა. მის ბაზაზე დაფუძნდება სასწავლო-პრაქტიკიული ლაბორატორია, სადაც ახლადაკრედიტებული საავიაციო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სპეციალურ სწავლებებს მიმდინარე სასწავლო წლიდან გაივლიან. მოლოდინი გვაქვს, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს საგანმანათლებლო მიზნებისთვის გადაეცემა სხვა საავიაციო ტექნიკაც, რომელიც ასევე უნივერსიტეტის საავიაციო ლაბორატორიის შემადგენელი ნაწილი გახდება. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, იგეგმება, რომ საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა შევიდეს პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა ნუსხაში, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგრამაზე სწავლას სახელმწიფო სრულად დააფინანსებს. ეს კი საშუალებას მოვცემს, თვითმფრინავმშენებლობის დარგის განვითარების მიზნით, დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდები მოვიზიდოთ და პროფესიონალ ავიაკონსტრუქტორთა ახალი თაობები აღვზარდოთ“, – აღნიშნა რექტორმა დავით გურგენიძემ.

4-ადგილიანი თვითმფრინავი „მერკური“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის შიდა ლია სივრცეში განთავსდა. საავიაციო ლაბორატორიის მოწყობის სამუშაოების განხორციელებას კი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მიმდინარე წელსვე დაიწყებს.

# საქართველოს ინიციატივის ტექნიკური უნივერსიტეტის ჩემორჩება თანამდებობის ევროპური მოდელის ხელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი დავით გურგენიძე სტუ-ში სამუშაო ვიზიტით მყოფ მოლდოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ვიორელ ბოსტანს შეხვდა.

რექტორებმა ორ უნივერსიტეტს შორის სამომავლო კოლაბორაციის შესაძლებლობები განიხილეს. როგორც დავით გურგენიძემ და ვიორელ ბოსტანმა აღნიშნეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მოლდოვის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის კოლაბორაცია ორ ქვეყანას შორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობას გააღმავებს და მხარეებს მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ერთობლივად დანერგვის საშუალებას მისცემს.

დავით გურგენიძემ და ვიორელ ბოსტანმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მოლდოვის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

სტუ-ის რექტორის განცხადებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საინჟინრო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით, ლიდერია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მისი მეცნიერები კი ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს ახორციელებს და აქტიურად მონაწილეობენ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებსა და მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ სამეცნიერო ექსპერიმენტებში.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი საინჟინრო სკოლაა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ჩვენი საინჟინრო-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული დარგების წამყვანი მეცნიერები, ახალგაზრდა მკვლევრები აქტიურად თანამშრომლობენ ისეთ უდიდეს საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან და ცენტრებთან, როგორიცაა: შევეიცარიაში CERN-ი, იაპონიაში KEK-ი და J-Parc-ი, აშშ-ში FERMILAB-ი, ვთანამშრომლობთ უილიბის ცენტრთან და ორგანიზაცია DAAD-თან. მჭიდრო კონტაქტები გვაქვს გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა წამყვან უნივერსიტეტთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მრავალმხრივი საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაცია, მათ შორის, მოლდოველ კოლეგებთან. დღეს



ჩვენ ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, რომელიც გააღრმავებს ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას, როგორც კვლევით, ასევე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, ორი ქვეყნის ტექნიკური უნივერსიტეტების მეცნიერები, მკვლევრები და სტუდენტები ინოვაციების ერთობლივად დანერგვაზე ვიმუშავებთ, მით უმეტეს, რომ სტუ-ს აქვს ევროპული სტანდარტის შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინ-ფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უახლესი ლაბო-რატორიების სახით, რისი გამოყენებაც წარმატებული კოლაბორაცი-ისა და საერთო მიზნებისთვის შეგვიძლია“, – აღნიშნა გამოსვლაში დავით გურგენიძემ.

მოლდოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა ვიორელ ბოსტანმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ტექნიკურ უნივერსი-ტეტს, რექტორს გულთბილი შეხვედრისთვის და აღნიშნა, რომ საქა-რთველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, როგორც ორ უნივერსიტეტს, ასევე, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას გაც-ილებით მრავალმხრივს გახდის.

„მოლდოვის ტექნიკური უნივერსიტეტი არის მოლდოვის რესპუბ-ლიკის ყველაზე პრესტიული საგანმანათლებლო უმაღლესი დაწესე-ბულება, რომელიც საერთაშორისო რეიტინგით პირველ ადგილს იკავებს ქვეყნის მასშტაბით. ჩვენი უნივერსიტეტი არ არის ისეთი



დიდი, როგორიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თუმცა, აქვს დიდი მიღწევები, რომლითაც ვამაყობთ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი შესაძლებლობების დემონსტრირებას თქვენთან პარტნიორობის ფარგლებში შევძლებთ. ვისარგებლებ შემთხვევით და გეპატიურებით მოლდოვის რესპუბლიკის დედაქალაქში, ჩვენს უნივერსიტეტში. გვჯერა, რომ თანამშრომლობა დაგვეხმარება ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში. მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმება სტუდენტური სტაურება, ერთსემესტრიანი გაცვლითი პროგრამები, სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას გულისხმიერებისა და გვერდში დგომისთვის“, – განაცხადა მოლდოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა.

შეხვედრის დასასრულს მოლდოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა ვიორელ ბოსტანმა სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების უიული შარტავას სახელობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სასწავლო კვლევითი ლაბორატორია დათვალიერა.

## სტა-ის ჩეჭორი სან-იიამოს სახალიფო უნივერსიტეტის გლობალური კამპუსის ეკინც შევდე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი დავით გურგენიძე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური კამპუსის დეკანს იან გიბსონს და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანს პალილ გიუვენს შეხვდა.

რექტორმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტ-საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და სტუმრებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ესაუბრა.

სტუ-ის რექტორის თქმით, საქართველოს მთავრობისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (ABET) მიერ აკრედიტებულ ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებს საბუნებისმეტყველო-საინჟინრო (STEM) დარგებში. აღნიშნული პროგრამები საქართველოს სამ



სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელთან მათ შორის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ინგლისურენოვანმა საგანმანათლებლო პროგრამამ – ბიოსამედიცინო ინჟინერია-ABET აკრედიტაცია მოიპოვა, ეს არის წარმატებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. საერთაშორისო ABET აკრედიტაციის მოსაპოვებლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი ერთდრულად ამზადებს სამოქალაქო ინჟინერიის ქართულ-და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიმართულებითაც გვექნება წარმატება. მინდა საზოგაშიმით აღვნიშნო ბატონ ჰალილ გიუვენის დამსახურება უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის კუთხით. უნივერსიტეტს ბევრი გეგმა აქვს, რომლის განხორციელების საშუალებებიც არსებობს. ჩვენ გვაქვს თქვენი მხარდაჭერის იმედი და მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის“, – თქვა დავით გურგენიძემ.

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური კამპუსის დეკანმა იან გიბსონმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს გულთბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად ადვენებს თვალს და აღფრთოვანებულია შედეგებით. იან გიბსონის თქმით, ის გააგრძელებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრის შემდეგ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გლობალური კამპუსის დეკანი იან გიბსონი და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანი ჰალილ გიუვენი სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ფაკულტეტების დეკანებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

# საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის ჩატორის პროფესიონალური დაწილი სიტყვა, ნარმოთამაღლი საქართველოს ტექნიკური ენივერსიტეტის 100 წლის საიმპილო ღონისძიებაზე

## 2023 წლის 16 იანვარს

2022 წელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ისტორიული მნიშვნელობისა იყო – ჩვენს უნივერსიტეტს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ განსაკუთრებულ თარიღს უნივერსიტეტი შეხვდა, როგორც თანამედროვე, ავტორიტეტული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუცია.

– მილენიუმიდან უნივერსიტეტს არაფერი აქვს აღებული. ზუსტად ამ თემასთან დაკავშირებით, გუშინნინ გვექნდა ავსტრიულ მხარესთან შეხვედრა, ეს არავითარი სესხი არ არის, ეს გახლავთ უახლესი ლაბორატორიული მოწყობილობა-დანადგარები, რომელიც ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება და აღმოსავლეთ ევროპაში მისი ანალოგი ფაქტობრივად არ არის. ავსტრიულმა მხარემ უსასყიდლოდ გადმოგვცა 7 მილიონი ევროს მოწყობილობა-დანადგარები, ახლა მიმდინარეობს სამუშაოები, ინვენტარი დასაწყობებულია საბაჟო საწყობში, რომელსაც კურირებას უწევენ როგორც ავსტრიელები, ასევე ჩვენები. დაპროექტება და მშენებლობა უკვე მიმდინარეობს ამ მოწყობილობებისათვის დილომში, უნივერსიტეტის ერთ-ერთ ტერიტორიაზე, სადაც აშენდება მოდული, განთავსდება აღჭურვილობა და დაინტენსიუნიონირებას ლაბორატორია.

– ანუ არაფერი არ არის გაფლანგული?

– არა! ერთი თეთრი უნივერსიტეტს არ აულია. ჩვენ გადმოგვეცა პროგრამით, რომლის მიხედვითაც 17 წლის განმავლობაში უნდა მოხდეს გადახდა, რისი ათვლაც, როგორც მე ვიცი, დაიწყება 2024 წლიდან, ეს არის მოწყობილობა-დანადგარები. ჩვენს ქვეყანას ექნება უახლესი პიდროტექნიკის და პიდრავლიკის ლაბორატორია, რომლის ანალოგი აღმოსავლეთ ევროპაში არ არის.

– გემასოვრებათ, თქვენზე ამბობენ, რომ ახლო კავშირში ხართ პრემიერთან – ირაკლი ბახტაძესთან?

– ვისთან?

– ირაკლი ბახტაძესთან.

– ირაკლი ბახტაძე...

– მამუკა ბახტაძე ბოდიში, მამუკა ბახტაძე.

– დიახ.

**- արևս ույ արա տէպենօ նատեսազո ծագոնօ մամչուկա?**

– ծագոնօ ծաხեցած հիմո նատեսազո ար ցածլաւտ, ու արևս սայա-րտավելոս քրյուշոր շնուզերսութեւուս կյարսդամտավրեծուլո, սայմիս პրոֆյուսոնալո. րուգեսաւ ու եղանականութեալուն սայարտավելոս ռուգնութիաս, մաստան ցածրոնդա սայմիսու շրտույրունա, կյարժուած, քրյուշոր շնուզերսութեւուս ճակարտավելոս ռուգնութիս ունուագուատ մասունքնա պրոֆյուսուլո յուղաջու, րումելու աթեալաւ ունչիւնքունուրեած. ծագոն մամչուկա սանդուրյուս շեխցեալրեած կյանդա սայուղենութեան ճակարտավելուն պրոֆյուսոնալո, աթալցաթրույրունա մամչուկա եռումի.


**– յրտո նլուս ննն ացորհիոյս սփու րյայթորագ, ցայւոտ մրավալմերուզո կարույրուլո նննսվլա. սեա րամեშո ճացեմարատ մտավրոնաստան կարցո շրտույրունա?**

– մինդա ցուտերատ, րոմ րաւ սայարտավելունու համուցեած վայանա սայարտավելոս քրյուշոր շնուզերսութեւուս. մտավրոնաստան մեռլուն ունուագուատ պրոֆյուսուլուր շեխցեալրեծի ճակարտավելուն ար մյոնու. մինդա ցուտերատ, րոմ ամ շնուզերսութեւուս ար ճավաճագեծուլուրա, մացրամ ցավութարդա. հիւենո շնուզերսութեւուս պրոֆյուսուր-մասնավալլեալլեածուն շմրազլյուսոնաստան ճակարտավելուն ենու սամեցնուրյու, պորագու, պրոֆյուսուլուր, աճամունուր, շրտույրունութեալրեած մակացմուրեած ճակարտավելուն այլան ցամոմճոնարց, մատո ճորոնիուտ, շրտույրունութեալրեած մոեճա հիմո արհեցա ամ մերգագ սակասյունուսմցեալլո տանամդյանաթեած.

**– ծոլլոմճա մանց ար արևս ցամոմճուլու տէպենօ սայմե, շեյրեն-լոնա եռմ ար ցայւոտ?**

– կուգա յրտել ցութասյեած, րոմ սամրալճա կուտեցեած հիւ-մտան ճայազմուրեածուտ ար արսյունան. արայրտել ալցոնունց, սահիւզարո շեգանուն մայքս հիմո ճակարտավելուն սայելուն, սայութեած արևս ցամոսամուրեալլո. մի եղանակալունու ճակարտավելուն ցամոմճուլուն (յրտ-յրտո ցամոմճուլուն) զոն ցաս-ցա յու ճացալլեածու, ույ ար պարագա ծագոնօ կյարամանունու յուն ցաս-ցա յու ճացալլեածու, յու ույս ալճերունու սայմենո, մատ ացոն պասյուն. յու ցամալաւտ 313, 333 մուխլյուն-ցամալեածու, րումլունա մատ յուգուած նուն մունայնուս արամարտու հիմս ոչչանս, մուգա յուգուանաս, ու ուն ասրուլյուն-ճունեն ասյու պուլուսմնամեծուլուր, արաաճամունուր ճացալլեածու. կուտեցեած մե մայքս – հիմո մունայնուս ցամալաւտունու մունիչուն սնորյա արասամարտունու ծրալճա ծագուածունու իշենուն, դյունա ցամալաւտ.



# ემოციური განვითარების განვითარების



## საქმე №1-196/95

1995 წლის 15 თებერვალი მოსკოვის პრესნესკის რაიონული სასა-მართლო – გამამართლებელი განაჩენი დავით რიმიკოს ძე გურგენიძის სისხლის სამართლის საქმეზე – დანაშაული გათვალისწინებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით. საბრძოლო მასალების უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება. სასამართლომ, განიხილა, რა ღია სხდომაზე დავით რიმიკოს ძე გურგენიძის საჩივარი, უკანონოდ დაკავებისა და გასაჩივრების შესახებ იხელმძღვანელა: რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301, 303, 306 და 317-ე მუხლებით და დაადგინა: დავით რიმიკოს ძე გურგენიძეს არ ჩაუდენია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება. იგი უნდა გამართლდეს, დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო.

განაჩენი გამოტანილია რუსეთის საბჭოთა ფედერაციული  
სოციალისტური რესპუბლიკის სახელით



გვ. ზურბეგათ თბილისის სააკციურო სასამართლოს სისხლის სამსახურის საქმეთ  
პლატფორმა 2017 წლის მა აკრილის განმეორების ასლი განმოიღებულების დაკით  
გურგენიძის

დამატება: გამარტინ ალია / ე.ზ.

აქციური, მარტინ ალია  
მარტინ ალია

თბილისის სააკციურო სასამართლოს  
მთავრობის თანამშრომა

გამართლებულებს უფლება აქვთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება.

განაჩენი შეიძლება გასაჩირდეს საკასაციო წესი, საქართველოს უწერაესი  
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატში, გამოტანიდან ერთი თვის  
ვადაში, თბილისის სააკციურო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე

ნათა გარბაქაძე

მოსამართლები:

მანუჩარ კაპანაძე

ლევან თევზაძე

32

საქართველოს მთავრი პროკურატურის გენერალური ინსპექციის პირკულობის  
გვანცა გვიმრაბის შუამდგომლობის საფულეოზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო  
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2010 წლის 02 მარტის  
განაჩენი.

დავით გურგენიძე ცონიბილ იქნება უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს  
სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეაუნტებით, ამავე  
მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეაუნტებით და საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 25,381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ მრალდებებში;

02 2017 წ 17

# ეპით გარგანიპ - ნარცესი ცემ

„შევიტოდი ამ არისნ შევიტოდი,

სანამ მათ კორტელი  
მოწიფერით იხსენიერებ”

ანდრიუ მოროვი



## ესენაბაბი - მუშაობა - ნიკოლოზ მოხოცები

საუკუნეების გამოცდილებით ერის ძალა ინტელიგენციაა - გონიერი, თავშეკავებული, უკომპრომისო, საჭირო ცოდნით აღჭურვილი და, რაც მთავარია, მომავალი თაობებისთვის სწორი გზის მიმცემი. ამ გზაზე უდიდესი მისია სწორედ პედაგოგებს ეკისრება. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი, უშეცდომო სვლაგეზის მომცემი, ნდობისა და საკუთარი თავის რწმენის უდიდესი ინსპირატორი ჩემი პედაგოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ინჟინერი, მეცნიერი ნიკოლოზ მოწონელიძე გახლავთ.

ზოგადად, ჩემი ოჯახი, მშობლები და უახლოესი გარემოცვა ადრეული ასაკიდანვე მინერგავდნენ მასწავლებლის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას. პედაგოგი, გარდა თეორიული სწავლებისა, კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს. ის გახლავთ მოზარდის სოციალ-იზაციის ერთ-ერთი მთავარი აქტორი. მათზეა დამოკიდებული, რა ტიპის ადამიანები შექმნიან საზოგადოებრივ ასპარეზს; რა ლირებულებებზე დააფუძნებენ ახალი თაობის აზროვნებას; როგორ კულტურულ ნორმებსა და საზოგადოებრივ სტანდარტებს შეასწავლიან.

უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ძლევამოსილი ადამიანი - ჩერჩილი ამბობდა: „სკოლის პედაგოგებს აქვთ ძალაუფლება, რომელზეც პრემიერ-მინისტრებს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ.“ ბუნებრივია, სამთავრობო ელიტის შესაძლებლობები საარჩევნო მარათონებით არის შემოფარგლული და ძირითადად პოლიტიკოსთა დაპირისპირებით სრულდება, პედაგოგის წარმატებები და მარცხი კი სულიერი ლიდერის სიმაღლეებს უტოლდება და ათასობით მოსწავლის ცხოვრებაზე სიცოცხლის ბოლომდე ახდენს გავლენას.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ყველა დიდ მოღვაწეს მასწავლებლები ზრდიდნენ... განუზომელია მათი როლი გენიალურ ადამიანთა ბრწყინვალე მმართველობის, საზოგადოებრივი აზროვნების, დიადი იდეებისთვის უკომპრომისო ბრძოლის უნარის ჩამოყალიბებაში. ალექსანდრე მაკედონელი საკუთარ აღმზრდელზე, არისტოტრლეზე ამბობდა: მამაჩემმა სიცოცხლე მაჩუქა, არისტოტელემ-ცხოვრება მასწავლა - ამ ფრაზას საუკუნეები გვაშორებს, მაგრამ დღესაც არ დაუკარგავს ცხოველმყოფელი ძალა და რაც დრო

გადის, ამგვარ აზრთა სიდიადეში კიდევ უფრო მეტად ვრწმუნდები. ჩემი, როგორც ერთი ადამიანის, მოქალაქის, ყოფილი შეგირდის პოზიცია მასწავლებლის განუზომელი ამაგის მიმართ, შეუფასებელია. ახლა, როცა თავად მერგო მისიონერული ხვედრი, როდესაც ჩემი სტუდენტების წინაშე ვდგავარ, მათვის და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის სწორი და ზოგჯერ სარისკო გადაწყვეტილებების მიღება მიწევს, სწორედ მაშინ ვგრძნობ მასწავლებლის ამაგის განუზომელ ძალას, რომელიც ერთ დროს, ჩემ მიმარ, ბატონმა ნიკოლოზ მოწოდელიძემ გამოიჩინა. მან მომცა შანსი, ვყოფილიყავი ის, ვინც ვარ დღეს, შემმატა თვითრნმენა, გამბედაობა, დამიყენა გვერდით, თავი ტოლ-სწორად მაგრძნობინა და სრულიად გამოუცდელ ახალგაზრდას გზა გამიხსნა ქართული საიუნირო სკოლის ინტელექტურ სივრცეში. ეს ის უძლიერესი, პროფესიონალი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსების სივრცეა, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1922 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, ხოლო 1931 წლიდან-საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. 1971 წელს იგი ცალკე ერთეულად-ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტად ჩამოყალიბდა სამშენებლო ფაკულტეტიდან გამოყოფილი ოთხი მაპროფილებელი: ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, ჰიდროვლიკისა და ჰიდრომანქანების, წყალმომარაგებისა და წყალარინებისა და თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის კათედრების ბაზაზე. ფაკულტეტის ერთ-ერთი პირველი დეკანი ნიკოლოზ მოწოდელიძე გახლდათ. განუზომელია მისი ლვანლი, როგორც მეცნიერისა. უცხოეთის ქვეყნებში გამოიცა მისი მონოგრაფია: „კონტროლრსული კამბლების მდგრადობა და სეისმომედეგობა“; პირველმა შექმნა და გამოსცა ქართულ ენაზე ფუნდამენტური ორტომეული, სახელმძღვანელო „ჰიდროტექნიკური ნაგებობები“, აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელო „ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სეისმომედეგობა“. ეს ძალიან მცირე ჩამონათვალია იმისა, რაც ბატონმა ნიკოლოზ მოწოდელიძემ შექმნა სიცოცხლის განმავლობაში.

ნათლად მახსოვე ჩემი პირველი განცდა-აღმოჩენა, როცა ბატონი ნიკოლოზის ლექციას დავვესწარი. ეს არ იყო მხოლოდ თეორიული სწავლება. მე ვხედავდი და ვუსმენდი ქართველ კაცს დახვენილი მეტყველებით, რომელშიც გასიგრძეგანებული იყო პროფესიული და ადამიანური თვისებები, სტუდენტებთან, აუდიტორიასთან კომუნიკაციის კულტურა, ორატორული ხელოვნება, აზრის გამოხატვის თავისუფლება. ამან ჩემში უდიდესი აფეთქება მოახდინა. ეს გახლდათ უპირატესობის განცდა, რომ აღმოგჩნდი იქ, იმ აუდიტორიაში და მთე-

ლი სიცოცხლე მომყვება ცხოვრების მთავარ გაკვეთილად... სწორედ პედაგოთან პირველი შეხვედრა, განწყობა ქმნის დანარჩენს, რაც შემდეგ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში გიქმნის ყველა პირობასა და გაძლევს მოტივაციას...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მიუხდავად სხვა მიმართულებით კარიერული წინსვლისა, პროფესორმა ნიკოლოზ მოწონელიძემ დამტოვა მშობლიურ კათედრაზე იმ გათვლით, რომ არ დავშორებოდი პროფესიას, მეცნირულ მუშაობას და სწორედ ამ გზაზე მავალს მიმეღწია წარმატებისთვის. ბატონი ნიკოლოზის დამსახურებად ვთვლი საკუთარ პროფესიულ და კარიერულ წინსვლას, რამაც განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად ჩემი არჩევა.

მადლიერება უდიდესი გრძნობაა და ვისაც ეს არა აქვს, არც უცხოვრია. ჩემი სიცოცხლის მესამოცე წელს და მანამდეც, მრავალი ადამიანი შემხვედრია, ვისაც უშურველად ვუხდი ცხადად და გულში მადლობას იმისათვის, რომ ჭირსა და ლხინში, ერთგულად, უანგაროდ, ჩემ გვერდით იდგა... მათ რიგებში, მშობლების შემდეგ, ჩემი დიდი მასწავლებელი – ნიკოლოზ მოწონელიძეა.

ადამიანი იბადება ერთხელ, გარდაცვალებაც ერთია, არის უკვდავება, რომელიც ადამიანების ხსოვნაში აგრძელებს აბსტრაქტულ ყოფნას, ისე, რომ სულ განიცდი მასწავლებლის ნათქვამი სიტყვის ძალასა და უშრეტ ენეგიას. სწორედ ასეთი მასწავლებელი გახლდათ სულმნათი ნიკოლოზ მოწონელიძე.

**დავით გურგენიძე  
აკადემიკოსი**

# ივარი ფრანგიშვილი – საქათასო ელექტრონიკის დირექტორი მარჯანი ეზემო პიროვნება

გამოჩენილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, აკადემიკოს-მა ივერი ფრანგიშვილმა 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი ცენტრალური ელექტროსადგურებისა და სისტემების სპეციალობით. 1955 წელს ჩაირიცხა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1959 წელს–დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1969 წელს–ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის (შემდგომში მართვის პრობლემების) ინსტიტუტში, სადაც მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერების გვერდით ღირსეულად წარმოაჩინა თავისი ნიჭიერება და ურთულესი სამეცნიერო–ტექნიკური პრობლემების ფართომასშტაბიანი და ორიგინალური გადაწყვეტის უნარი.

1970 წელს ქართველი მეცნიერი აირჩიეს მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1987 წელს–ამავე ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე ბატონი ივერი სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

ივერი ფრანგიშვილი მიეკუთვნება მეცნიერთა იმ კოპორტას, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მეცნიერული მიმართულება – ავტომატური მართვის თეორია. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია ფუნდამენტური მეცნიერული კვლევები სისტემური ანალიზისა და სისტემური კანონზომიერების თეორიის, აგრეთვე დიდგაბარიტიანი და მრავალპროცესორული გამოთვლითი კომპლექსების მართვის სისტემების დამუშავებაში. სწორედ ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა მოუტანა მას მართვის სისტემების, ინფორმატიკისა და გამოთვლი-

თი ტექნიკის დარგში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის სახელი და ავტორიტეტი.

1979 წელს ივერი ფრანგიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1980 წელს რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ივერი ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი თაობის მაღალი წარმადობის მრავალპროცესორული ცვალებადი სტრუქტურის მქონე გამოთვლითი სისტემები და კომპლექსები, რომლებმაც ფართო გამოყენება პოვეს გეოფიზიკაში, ჰიდროაკუსტიკაში, კოსმოსური ინფორმაციის დამუშავებასა და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის წარმოებაში. ბატონი ივერის დამსახურებაა ისიც. რომ მისი მზრუნველობითა და ხელშეწყობით მოსკოვში ჩამოყალიბდა ამ დარგის ქართული სამეცნიერო სკოლა.

1985-2004 წლებში ბატონი ივერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მაღალ პოსტზე მოღვაწეობდა. 1992 წელს იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს საინჟინრო აკადემიას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. საინჟინრო აკადემია ბატონი ივერის დიდი ძალისხმევით ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი მაღალავტორიტეტული სამეცნიერო ცენტრი, სადაც საინჟინრო დარგების თანამედროვე მეცნიერულ მიმართულებათა განვითარების კოორდინაცია ხორციელდება. ამასთანავე შეიქმნა საქართველოს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საზოგადოება, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში ინფორმატიზაციის საყოველთაო პროცესს. ამ წამოწყების ძირითადი ბაზა იყო გაერთიანება „ალგორითმი“.

სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო პერიოდი ივერი ფრანგიშვილმა, თავის მოწაფეებთან ერთად, ბუნების სხვადასხვა მოძრავი ობიექტის გამოვლენისა და ამოცნობის ზოგად-სისტემურ კანონზომიერებათა პრინციპების შესწავლას მიუძღვნა, განხორციელდა მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც „ფონური პრინციპის“ სახელითაა ცნობილი და რამაც ფართო გამოყენება პოვა ფსიქოლოგიის, მედიცინის, ბიოლოგიის, დაცვითი ტექნიკის წარმოებისა და სხვა თანამედროვე მიმართულებებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ივერის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, იგი გახლდათ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. მისი ინიციატივითა და თანადგომით ბევრი საქვეყნო საქმე გადაწყვეტილა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მან, როგორც მოსკოვში ქართული სათვისტომოს ერთ-ერთმა თავკაცმა, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი თანამემამულების ცხოვრებისა და მოღვაწეობის პრობლემების მოგვარებაში. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის ივერი ფრანგიშვილი მრავალი ორდენითა და მედლით იყო დაჯილდოებული, 2000 წელს დაჯილდოვდა „ლირსების ორდენით“. მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო – გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი.

მადლიერმა შთამომავლობამ ფართოდ აღნიშნა აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 75-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლისთავი. საიუბილეო დღეებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბატონი ივერის ხელმძღვანელობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“, რაც, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა.

ბატონი ივერი გამოირჩეოდა საოცარი ანალიტიკური აზროვნებით, განსაკუთრებული უბრალოებითა და უშუალობით; იგი თავისი კაცომოყვარეობით ხიბლავდა გარშემო მყოფთ, უხვად გასცემდა ლვთისგან მომადლებულ სიბრძნეს, რითაც საზოგადოებაში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ჩემთვის უდიდესი პატივი იყო მასთან შეხვედრა. მოგეხსენებათ, იმ ძნელბედობის უამს ჩვენი ქვეყნიდან ათასობით დევნილი ჩადიოდა მოსკოვში და საქართველოს სათვისტომისგან სხვადასხვა სახის დახმარებას ითხოვდა. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, შემეძლო დავხმარებოდი თანამემამულებს. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და მოვალეობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტა გვიკრძალავდა ქველმოქმედებას, ბატონი ივერის უშუალო მხარდაჭერით ვეხმარებოდით დევნილებსა და ახალგაზრდებს არაერთი პრობლემის მოგვარებაში, რასაც უდიდესი წინააღმდეგობების ფონზე ვახორციელებდით და რამაც უამრავი პრობლემა შემიქმნა პირადად მე.

ბატონი ივერი მტკიცე და შეუვალი იყო თანამემამულეთა მხ-  
არდაჭერის საკითხებში, მას არც სიცოცხლის შეშინებია არასდროს  
და არც სიკვდილისა, რადგან უფრო მაღლა იდგა ამ ყველაფერზე  
და ჩვენც, თავისი გარდაცვალებით, კიდევ ერთხელ დაგვანასა, რომ  
ადამიანთა სიყვარულმა მარადიული ხსოვნა დაუმკვიდრა მსოფლი-  
ოში აღიარებულ მეცნიერს, მოაზროვნეს, ქვეყანასა და ხალხზე შეყ-  
ვარებულ, უზადო პიროვნებას ბატონ ივერი ფრანგიშვილს.

**დავით გურგენიძე**  
აკადემიკოსი

# მის გვარით ყოფილ ნამდვილ ელე ბახტიარის იური

ჩვენი სასახელო მეცნიერი, აკადემიკოსი ალბერტ თავესელიძე იმ წესს განეკუთვნიებოდა, რომლის წარმომადგენლები თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის ერთგული იყვნენ. რწმენა და პრინციპები არ შეუცლიათ მისიონერული ცხოვრების მანძილზე დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ. უნდა ითქვას, რომ ფასდაუდებელია მისი ღვაწლი მეცნიერებაში და მოაზროვნე თაობების აღზრდის საქმეში. ალბერტ თავესელიძე მუდამ გამოირჩეოდა დაუღალავი ენერგიითა და შრომისმოყვარეობით, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის მიმართ გულისმიერებით, ყურადღებითა და კეთილმოსურნეობით.



განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ალბერტ თავესელიძის ღვაწლი სამეცნიერო კადრების მომზადებაში, მისი მოწაფეები დღეს თვალსაჩინო მეცნიერები და მკვლევრები არიან.

ალბერტ თავესელიძის მოღვაწეობის ფართო დიაპაზონზე წარმოდგენა რომ გვქონდეს, უნდა გავიხსენოთ მოსკოვში არსებული ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი, რომლის მშენებლობაც, ფაქტობრივად, ბატონმა ალექომ დაიწყო, დაასრულა და მისი დირექტორიც გახდა. ეს არის მსოფლიოში ცნობილი, აღიარებული ინსტიტუტი. პრინციპული ადამიანი იყო თუ რამეს გადაწყვეტდა, ბოლომდე მიიყვანდა, განსაკუთრებით საქეუყნო საქმეებს და ყოველთვის სწორ მოქალაქეობრივ პოზიციაზე იდგა. ამის პირდაპირი გამოხატულება იყო საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობაზე გამოსვლა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით, რაც დიდი ვაჟკაცობა გახლდათ... ამ გამოსავალში ნათლად გამოიკვეთა ეროვნული სულისკვეთება საკუთარ ხალხსა და ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი კაცისა.

ალბერტ თავესელიძე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა

საქმეს. უნდა ითქვას ისიც, რომ მას შესანიშნავი სმენა და ხმა ჰქონდა—დუეტში ზურაბ სოტკილავასთან ერთადაც კი უმღერია. ბატონი ალეკოს სუსტი წერტილი მისი შვილიშვილი, მაია იყო და რა პრობლემაც უნდა ჰქონოდა, მაიაზე რომ ჩამოვუგდებდი ლაპარაქს, კარგ ხასიათზე დგებოდა. მაიას შესანიშნავი ლექსები აქვს დაწერილი, მათ შორის – ბაბუაზე. აღსანიშნავია, რომ ბატონ ალეკოს უნიჭიერესი შთამომავლები ჰყავს.

ის, რომ ალეკომ ცხოვრებაში ბევრი რამ გააკეთა, დიდწილად მისი მეუღლის ქალბატონი მაიას დამსახურებაც იყო. მინდა, ამ ოჯახს დიდი წარმატება ვუსურვო.

ბატონი ალეკო დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერების განვითარებას, თვლიდა, რომ „არ არსებობს ძლიერი სახელმწიფო, თუ ქვეყანაში მეცნიერება არ არის ძლიერი, ამიტომ, მეცნიერების აღორძინებას, ჩემი აზრით, დიდი ხელშეწყობა სჭირდება. თუკი გინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს და წინ წავიდეს, ამ სფეროს მიხედვა აუცილებელია“. მასთან დაკავშირებით გასახსენებელი ბევრი რამ მაქვს და მართლაც დიდი ბედნიერებაა, რომ ალეკო თავხელიძე ჩემი უფროსი მეგობარი იყო. უბრალო და შინაგანად ძლიერი პიროვნება გახლდათ. მისმა მეცნიერულმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი რილი შეასრულა სამყაროს აგებულების შესახებ თანამედროვე მეცნიერული შეხედულებების ფორმირებაში. მისი საქმიანობა ძირითადად, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასა და ველის კვანტურ მექანიკასთან იყო დაკავშირებული. არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თუ წამყვანი სპეციალისტი გახლდათ. ის მართლაც უნიჭიერესი, ჭკვიანი და დიდი პიროვნება იყო, რომელსაც ყველა დიდ პატივს სცემდა. ბატონ ალეკოსთან ურთიერთობა შეიძლება, ძალიან რთული იყო, მაგრამ – ძალიან იოლიც. არ შეიძლება დავივიწყოთ მისი უბადლო ნიჭი, უტყუარი ალღო და უშრეტი შემოქმედებითი ენერგია, რამაც მსოფლიოში ცნობილ მეცნიერ-ფიზიკოსთა შორის დამსახურებული ადგილი მიუჩინა.

როდესაც ბატონი ალეკოს მიერ ნაყოფიერად განვლილ გზას ვადევნებთ თვალს, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა აკადემიის ბირთვული გამოკვლევების ინსტიტუტის დაარსებაში, რომელსაც წლების განმავლობაში ედგა სათავეში. აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ფართო სამეცნიერო ალიარებასა და მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რიგით მეოთხე პრეზიდენტი (1986-2005) ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ილია ვეკუასა

და ევგენი ხარაძის შემდეგ—დიდი წვლილი შეიტანა იმ ახალგაზრდა კოლეგების აღზრდასა და წინსვლა-წარმატებაში, რომლებც დღეს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობენ.

ბატონი ალექსანდრე უალრესად პუმანური, კაცომოყვარე და უდიდესი ტაქტის მქონე პიროვნება გახლდათ. სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ის თავის მოწაფეებს უნერგავდა ოპტიმიზმსა და სიკეთის საბოლოო გამარჯვების რწმენას, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე. აღსანიშნავია, რომ დღეს სამეცნიერო ელიტაში გამოირჩევა მოაზროვნე თაობის ის ნაკადი, რომლებსაც ალბერტ თავხელიძემ დიდი სტიმული მისცა და ფართო ასპარეზი გაუხსნა სამეცნიერო სივრცეში. მათ კარგად ახსოვთ ჩემი და ბატონი ალბერტის გულითადი მეგობრობა.

ვინც იცნობდა ბატონ ალექსანდრე, არ შეიძლება არ ახსოვდეს, როგორი შრომისმოყვარე და თავდადებული ადამიანი იყო, ღრმად ემოციური, უსაზღვროდ ერუდირებული, მეცნიერთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებისადმი ერთგული, სილამაზის ყოველგვარი გამოვლინების შემფასებელი, ამავე დროს, ურთიერთობაში მკაცრი და მომთხოვნიც, კორექტული, თავის შეხედულებათა და მოსაზრებათა დამცველი, მეცნიერი და მოამაგე, რომლის დავიწყებაც ძალზე ძნელია. მისი დამოკიდებულება ნებისმიერი ასაკისა თუ მდგომარეობის ადამიანთან, გამოირჩეოდა უბრალოებით, კოლეგები და მეგობრები მას იცნობდნენ, როგორც პრინციპულ და გულისხმიერ ადამიანს, რომლის ობიექტურობასა და მხარდაჭერაში ეჭვი არასდროს შეჰქარვიათ. მას ლირსეულად დაიმსახურა მრავალი თანამედროვის პატივისცემა და სიყვარული. გულისხმიერების, ცოდნისა და ნიჭის საპასუხოდ თაობები უდიდეს პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

ალექს თავხელიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლი ისტორიის კუთვნილებაა და მას დავიწყება არ უწერია.

დავით გურგენიძე  
აკადემიკოსი

## პათილსეივოსანი პიროვნება

დრო ჩქარი ტემპით მიქრის, დროში განფენილი ტკივილი კი არ გვავიწყდება, არადა ამბობენ – დრო ყველაფრის მკურნალიაო, ან კი როგორ უნდა დაგვავიწყდეს დიდებული, უღალატო კაცის, სახელოვანი ქართველი მეცნიერის, ბატონ შალვა ნაჭყებიას სახელი. მისი გახსენებისას მონატრების გრძნობა მეუფლება. ახლაც წამომიტივტივდა მოგონებები, რომლებიც განვლილი წლების განმავლობაში დამიგროვდა და გონებაში დაიღექა. მას პატიოსნების ეტალონად მიიჩნევდნენ, ცხოვრობდა ლამაზად, შინაარსიანად, შთამბეჭდავად! იშვიათად მინახავს მწარე გამოთხოვების ისეთი ცერემონიალი, საყოველთაო აღიარება და ამდენი გულწრფელი ცრემლი, როგორიც ახლდა შალვა ნაჭყებიას უკანასკნელ გზაზე გაცილებას. მას ღირსეულად მიაგეს პატივი პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, ახალგაზრდობამ. მორიდებული, მოწამეობრივი ცხოვრებით იცხოვრა ამ უაღრესად განსავლულმა კაცმა, მთლიანად დაიხარჯა მშობლიური ქვეყნისთვის, საქმისთვის, ოჯახსა და ახლობლებს დაუტოვა დიდი ავტორიტეტი და ტკივილი, მატერიალური კი – არაფერი. ისიც უნდა ითქვას, რომ მასში მუდამ სულიერება ჭარბობდა მატერიალურს.

ბატონი შალვა ნაჭყებია იყო მაღალი რანგის მეცნიერი და შესანიშნავი პედაგოგი, ქვეყნისა და მშობლიური უნივერსიტეტისადმი თავდადებითა და თავდაუზოგავი შრომით გამორჩეული. მაღალი პროფესიონალიზმით უძღვებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას -1995-2007 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის უფროსი, აკადემიური საბჭოს წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ენერგეტიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

ბოლო ათწლეულში პროფესორების – შალვა ნაჭყებიასა და ივანე გორგიძის ინიციატივითა და თაოსნობით შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატიანე და გამოიცა უნივერსიტეტის ისტორიისადმი მიძღვნილი რამდენიმე მონოგრაფია.

ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა იყო მასთან მეგობრობა. მისი ღვაწლი შეუფასებელია, ჩვენმა უნივერსიტეტმა დაკარგა გულიანი კაცი, რომლისთვისაც ადამიანად ყოფნა ბოლომდე უფრო სევდად დარჩა.

საწყენია, რომ დღეს ჩვენ გვერდით აღარ არის უზადო ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანი, რომელიც მარტო ოჯახს, ნათესავებსა და

მეგობრებს კი არა, მთელ ქვეყანას დააკლდა. იგი იყო კეთილსინდის-იერი ადამიანი, ღვთისნიერი კაცი, ჩემი უფროსი ძმა და მეგობარი. მართალია წავიდა, მაგრამ მოგონებად დაგვიტოვა დიდი სახელი, კვალი წათელი, მგზნებარე გული.

ნალდი კაცი, ასე მივმართავდით მას ახალგაზრდები და ეს ძალიან უხაროდა... ჩვენც შევხაროდით, ახლა კი... მისი საფლავი გახდა ჩვენი შეხვედრის ადგილი.... ჩვენი უფროსი მეგობარი არასოდეს მიეცემა დავიწყებას, სანამ მისი მეგობრები ამ ქვეყნად ვივლით....

**დავით გურგენიძე  
აკადემიკოსი**

## მოგონება შეიძლება ბევრი ჰქონდეს ადამიანს, მათ შორის ტკბილიცა და მწარეც, მაგრამ დრო რომ გადის, რაც გვენატრება, ტკბილად გვახსენდება. ვანოს გარდაცვალებიდან შვიდი თვე გავიდა.

12 ივნისს ვანოს 79 წელი შეუსრულდებოდა. 79 წელი ჩვენს სინამდვილეში უკვე აღარ არის დიდი ასაკი. ვანო თბილისის ქუჩებს, ჩვენს უნივერსიტეტს დააკლდა, დააკლდა საყვარელ ოჯახს, დამაკლდა პირადად მე. მისი სული ცაში ამაღლდა და კეთილისმსურველ სხივებს უგზავნის ყველას: ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ვინც უყვარდა და პატივს სცემდა.

ბატონ ვანოსთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს შორის იოტისოდენა წყენაც კი არ ყოფილა. ზოგჯერ ფაქტებზე სხვადასხვა აზრი გვქონდა, მაგრამ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული ძვალ-რბილში გვქონდა გამჯდარი.



მარცხნიდან: მეუფე დანიელი, დავით გურგენიძე, მეუფე ანანია, ივანე გორგიძე

ძალიან განიცდიდა ამასოფლიდან მეგობრების წასვლას და ამასთან დაკავშირებით იხსენებდა სტროფს თუშური ხალხური ლექსიდან:

„ვინც მოკვდა თავსა მოუკვდა,  
ცოცხლები კვლავ ხვნენ ყანასა.“

ვანო გახლდათ ჭირთა მთმენი, სხვისთვის მხოლოდ სიხარულის გამზიარებელი პიროვნება, უფრო მეტიც სხვისი ჭირის სადად, ნათლად, მარტივად გამზიარებელი. ამის მაგალითად ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, როცა დედაჩემი მძიმედ ავად გახდა და წელიწადნახევარი რეანიმაციაში იწვა, ვანო ჩემს გვერდით იდგა და არ მომშორებია.

სამუშაო დღის დასრულებისას, სახლში წასვლამდე, აუცილებლად ჩემთან შემოდიოდა ხოლმე, სამუშაო ოთახში ვისხედით და ვსაუბრობდით უნივერსიტეტის მომავალზე, სხვადასხვა დარგისა თუ ფაულტეტის განვითარებაზე, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნაზე.

და ბოლოს, მიხეილ ქვლივიძის ლექსი გამახსენდა და ეს მოგონება ამ სტროფებით მინდა დავამთავრო:

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის  
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,  
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,  
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს  
და თითქოს ვითვლით ისევ და ისევ  
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს;

და ღმერთს ვთხოვთ,  
ღმერთო, გვაცხოვრე ისე,  
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს!“

დავით გურგენიძე  
აკადემიკოსი

## ცხისკაცების დაბეჭდის

ძნელია ისაუბრო და გამოძებნო აღმატებული ეპითეტები, რომელიც სრულფასოვნად, ყოველმხრივ დაახასიათებდა ოთარ ზუხბაიას – ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოეთის ეპოქაში იქცა კაცობის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ეტალონად.

ზოგადად, კაცი მაშინ არის ბედნიერი, როცა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შეხვდება ადამიანს, რომელიც თავისი საქციელით ადამიანობის მეტრად იქცევა შენთვის. მათ ეპოქასთან შესაბამისი დეფინიციებით გამოვხატავთ – ერისკაცებს, დიდ ადამიანებს, ღირსების ეტალონებს, კერპებსა და ლიდერებს ვუნოდებთ...

ალბათ იშვიათია ადამიანი, ვისაც სიკვდილის შემდეგ ასეთი გულწრფელი მადლიერებით, სიყვარულით, პატივისცემით, სინანულით იხსენებენ...

დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა - „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასარჩენი, მეორე – თან წასაყოლი“. მარადიული არსებობის არსი კი ნათელ ხსოვნაშია, რომელიც შენი გაკეთებული საქმეების წილ „გზად და ხიდადა“ გადებული ორ სამყაროს – სააქაოსა და საიქიოს შორის...

ბატონი ოთარ ზუხბაია, ყველა ქართველისთვის უსაყვარლესი და ამავდროულად მოუშუშებელი ტკივილის, ოკუპირებული აფხაზეთის ღვიძლი შვილია. ჩვენი სამშობლოს სამოთხისდარმა მხარემ მრავალი ღირსეული ადამიანი - გმირი აღუზარდა ერს...

აფხაზეთის საზოგადოება და ყველა, ვისაც ოთარ ზუხბაიასთან ჰქონია ურთიერთობა, ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, მომავალი თაობისთვის ის მარად რჩება ერისკაცობის მაგალითად, გამოოქვამენ უდიდეს მწუხარებას, რადგან მათ გვერდით აღარ არის ურყევი ბურჯი, ადამიანებზე, საკუთარ კუთხესა და ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი...

განა შეიძლება, ამაზე მეტი დაიმსახუროს ან ინატროს უბრალო მოკვდავმა?!



ოთარ ზუხბაია აღიზარდა საუკეთესო ტრადიციების ღირსეულად დამცველ ქართულ-კოლხურ ოჯახში, მიიღო შესანიშნავი აკადემიური განათლება და დადგა საუკეთესო სპეციალისტი მშენებლობის დარგში. გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და ორგანიზატორული ნიჭით. მისი გამორჩეულობა, ახალგაზრდული ხედვა და იშვიათი ალღო შეუმჩნეველი არ დარჩენილა იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის მამამთავრებისთვის.

მაღალ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობისას ის გახდა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. დიდია მისი ღვაწლი აფხაზეთის განვითარებაში ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობის დროს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კარიერული წინსვლის ის ეტაპი, რომელიც დაკავშირებული იყო ურთულეს პოლიტიკურ პროცესებთან. ბატონ ოთარს დიდი ძალისხმევითა და უზადო გონიერებით უწევდა გამკლავება საბჭოთა სისტემაში არსებულ პოლიტიკურ სირთულეებთან. მის მიერ სახელმწიფო ინტერესების დაცვით გადადგმული ყოველი ნაბიჯი სათაყვანებელი სამშობლოს უანგარო სიყვარულით იყო გაჯერებული. პოლიტიკურ ბრძოლასა და სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირებებში ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო.

აფხაზეთზე უზომოდ შეყვარებული დიდებული მოქალაქის, მზრუნველი მეუღლისა და მამის ცხოვრების კრედო კაცთა მოდგმის უძვირფასეს ღვთაებრივ საწყისებზე-იმედზე, რწმენასა და სიყვარულზე იყო დაფუძნებული.

ის ეროვნული ტრაგედიით გამოწვეულ უმძიმეს ტკივილს, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას დაატარებდა გულით, ამიტომ მისი ხასიათისთვის დამახასიათებელი იყო უსასრულო სევდა და ამასთანავე, უსასრულო ოპტიმიზმიც.

შეუფასებელია მისი წვლილი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალურ-ეკონომიკური თუ სამეურნეო-კულტურული მშენებლობის დარგში. იგი, უდიდესი ორგანიზაციული ნიჭის გარდა, მასების დაჯერების იშვიათი უნარით იყო დაჯილდოებული. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იშვიათი როდია, როცა ნიჭიერებასა და თავმდაბლობას მიზანმიმართულად სათანადოდ არ აფასებენ, ასე მოხდა ბატონ ოთარ ზუხბაიასთან მიმართებაშიც.

სამშობლოს სიყვარულში, ფიქრსა და დარღმი მთლიანად გაიღია

და გაიხარჯა კაცური კაცი - უღალატოს საკუთარმა გულმა უღალატა. ქართული ტევადი სიტყვა, გარდაცვალება – სრულად მიესადაგება ოთარ ზუხბაიას გასვლას ამ ქვეყნიდან. იგი მხოლოდ ფიზიკურად არ არის ჩვენთან, რადგან გარდაისახა ზეციურ საქართველოში და სულიერად შეუერთდა უკვდავ მამულიშვილთა ბრწყინვალე კოპორტას. დღეს ჩვენ გვერდით აღარ არის უზადო ნიჭისა და უნარის ადამიანი, რომელიც მარტო ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს კი არა, მთელს ქვეყანას დააკლდა. სამშობლოსათვის ბევრი სასიკეთო საქმეების გაკეთება შეეძლო. უნდა ითქვას, რომ იგი საქმიანი იდეების გენერატორი, ღვთისნიერი კაცი, ჩემი ძმა და მეგობარი, უმწიკვლო, გულმართალი და ალალი ადამიანი იყო. მან მოგონებად დაგვიტოვა დიდი სახელი, მგზნებარე გული, რომელიც მის მოსაგონრად მუდამ იგიზგიზებს, როგორც მარად ანთებული სანთელი.

**დავით გურგენიძე  
აკადემიკოსი**

# მოყვასის სიყვარეებითა და სიღრბასილით გამოჩხული ელექტონი

ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერი და პიროვნება ეპოქის შვილია. ბატონი იური ლომიძეც იმ სოციალურმა გარემომ წარმოშვა, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარმა მოუმზადა ქართულ სინამდვილეს. მიუხედავად რთული დროისა, ნამდვილი, ადამიანური ურთიერთობების სიმცირისა, მან ღირსეულად განვლო ცხოვრებისეული სირთულეები, ბეწვის ხიდზე იარა და არამარტო კეთილგონიერი მეცნიერის, არამედ კაცური კაცის სახელით გასცილდა წუთისოფელს. ბატონი იურის მიმართ, მხოლოდ ჩემი პირადი დამოკიდებულება არ არის ასეთი, მასზე აღმატებული ნათქვამი უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან, რიგითი ადამიანებისგან არაერთხელ მსმენია.



ჩემი ურთიერთობა ბატონ იურისთან 90-იან წლებში დაიწყო, მაგრამ მის დიდი ადამიანობის შესახებ ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობიდან ვისმენდი.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური ლომიძე ალიარებული იყო, როგორც კარგი მეცნიერი და პიროვნება და შეუცვლელი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი თაოსნობით დაარსებულ ჰიდრომანქანების კათედრას თავად ხელმძღვანელობდა 1997-2007წწ. 2007 წლიდან იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სრული პროფესორი და ხელმძღვანელი.

იური ლომიძე იმ არაორდინარული პიროვნული ხიბლით დაჯილდოებულ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელებიც თავიანთი ღირსებით, განსაკუთრებული არიან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იური სულითა და ხორცით ვაჟკაცი იყო, მასთან ურთიერთობისას საოცარი ჰარმონიის გრძნობა გვეუფლებოდა. მიუხედავად მისი ფიზიკური არყოფნისა, მაძლიერებს და მხნეობით მავსებს მასზე მოგონებები.

ბატონი იურის პოლიტიკური მრწამსი შორს იყო მედროვე მეცნიერთა პოზიციისგან, გამოირჩეოდა პრინციპულობით. მას არასოდეს დაუფარავს საკუთარი პოზიცია „ვარდების რევოლუციის“ მესვეურთა შეფასებასთან დაკავშირებით და ეს მაშინ, როდესაც ყველა სიფრთხილით ეკიდებოდა სააკაშვილის მთავრობის კრიტიკას. მისთვის ჭეშმარიტება უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე კეთილდღეობა. სხვათა წარმატება საკუთარივით ახარებდა, არც ობიექტურობის საზღვარს გასცდენია ოდესმე. წონასწორობიდან არასდროს გამოსულა, დამყოლი ხასიათის მიუხედავად, ჩვენთვის ყოველთვის ავტორიტეტი გახლდათ.

ვინც იცნობდა ბატონ იურის, უდავოდ დაგვეთანხმება, რომ მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი საქმე, იყო ბრწყინვალე მეგობარი. მან შთამომავლობას უმნიკვლო ცხოვრების მაგალითი დაუტოვა.

ამ დიდად კეთილ კაცს უხვად ჰქონდა მომადლებული გულლია, გულწრფელი ურთიერთობების ნიჭი, თანადგომის, ჭირისუფლობის უნარი, ამიტომ იურის ყველგან განსაკუთრებული სიყვარულით, ღია გულით, გულწრფელი ღიმილით ხვდებოდნენ, მისი სჯეროდათ და იმედი ჰქონდათ.

ბრძენკაცს უთქვამს, ადამიანს ერთხელ ეძლევა სიცოცხლე და ისე უნდა განვლოს, სანანებლად არ დარჩეს გატარებული წლებით. ეს პრინციპი ბატონ იურის ცხოვრების მეგზურად ჰქონდა არჩეული. ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე კაცური კაცის სახელით იცხოვრა და ასეთად დარჩება არამარტო მის თანამედროვეთა, არამედ მრავალი თაობის ხსოვნაშიც. სწორედ ეს არის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ტიალ წუთისოფელში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრო, ეს მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია.

ძვირფასო მეგობარო!

წლები მიდის, მაგრამ ვერაფერს აკლებს შენ ხსოვნას... ასე იქნება, ვიდრე ლომიძეთა გვარის ამაყად მდგარი ხის ყლორტები გაიშლებიან.

**დავით გურგენიძე  
აკადემიკოსი**

## მარიამ ბერიძე... ზურაბ გვარიშვილის განცხადა

ამქვეყნიდან გასულთათვის უპირატესი ჯილდო სიცოცხლეში განეული ღვაწლისა და პიროვნული თვისებების დაფასებაა... სიცოცხლე ძვირფასი რამაა, ის ერთხელ ეძლევა ადამიანს და უკან მოხედვისას ნაკლებად უნდა ჰქონდეს სინაულის განცდა. გონიერი ადამიანი მცირედი სიხარულითაც ბედნიერია. მთავარია, გყავდეს საყვარელი ოჯახი, შვილები, მეგობრები. ცხოვრების კანზნონზომიერება კი ის გახლავთ, რომ ერთ დღეს ყველაფერი მთავრდება, მათ შორის სიცოცხლეც. ძნელია, შეეგუო ძვირფას ადამიანთან განშორებას, რომელიც გვერდით გედგა, სასიკეთო საქმის კეთებით უანგარობის მაგალითს გიჩვენებდა. სწორედ ასეთი კაცი გახლდათ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ გედენიძე. მისი გარდაცვალებიდან რვა წელი შესრულდა. მასში კეთილსინდისიერება, პრინციპულობა, საქმისადმი ერთგულება, ქვეყნის სიყვარული, ვაჟკაცობა ერთმანეთს სრული სისავსით ერწყმოდა. მისი სიცოცხლის ქრონიკებმა კი მრავალი ისეთი ამბავი შემოინახა, რაც მონაბეჭდის უდიდეს პროფესიონალიზმსა და უზადო პატრიოტიზმს. თითოეულ საპასუხისმგებლო პოსტზე მსახურებისას გამოიჩინა პრიციპულობით, უკომპრომისობით, ქვეყნისათვის სასიკეთო სიახლეების დაცვითა და სამართლიანობით. ურთულეს სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების ნიჭი ჰქონდა და სიტყვები „ნარუმატებლობა“, „მარცხი“, მისი საქმიანობის ლექსიკონში არ ფიგურირებდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ხუდონპესის მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემას.

მოგეხსენებათ, რომ ბატონი ზურაბის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება გახლდათ თხელკედლიანი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მდგრადობა, სიმტკიცე და ოპტიმალური დაპროექტება. მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა მიღებული მრავალთაღოვან კონტრფორსულ და თაღოვან კაშხლებში, აგრეთვე მიწისქვეშა ნაგებობების გარსული ტიპის გადახურვებსა და ტურბინის ფრთების გაანგარიშებაში. წლების განმავლობაში გახლდათ მრავალი საპასუხისმგებლი და ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის უნმიშვნელოვანესი ობიექტისა და სახელმწიფო სტრუქტრის ხელმძღვანელი, მათ შორის, თავმჯდომარეობდა ფოთის პორტის რეკონსტრუქციის პროექტის საექსპერტო კომისიას; იყო აჭარის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისების გენერალური პროექტის თანაავტორი; მონაწილეობდა

დღანისისა და კახარეთის ჰესების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტებში; ჩირუხ-სანალიაჲესის დაპროექტებაში; მომზადებული ჰქონდა რუსთავესის პროექტის ჰიდროტექნიკური ნაწილი, საქართველოს მდინარეებზე მცირე ჰესების 50-მდე საინვესტიციო პროექტი; იყო არაერთი საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილე.

ზურაბ გედენიძის პოზიცია ხუდონჰესის მშენებლობასთან მიმართებაში უმნიშვნელოვანესია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა შეხვედრა მასა და ყოფილ პრემიერ ზურაბ უვანიას შორის. ბატონი ზურაბ გედენიძე თვლიდა, რომ დიდი ჰესები ქვეყანას სჭირდებოდა, რასაც კონკრეტული ფაქტებით პროფესიულად ასაპუთებდა კიდეც, მოჰყავდა შესაბამისი არგუმენტები, არ მიაჩნდა მართებულად გარემოს დამცველების მიერ აღტერნატიულ ვარიანტებზე მუდმივი საუბარი. იგი მიიჩნევდა, რომ სხვა არჩევანი არ არსებობდა: ან უნდა აშენებულყო დიდი ჰესი, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩებოდა ატომური ელექტროსადგურის ვერსია, რომელსაც გაცილებით მეტი რისკფაქტორი ახლდა. ამასთან დაკავშირებით მოჰყავდა პროფესიულად დასაბუთებული არგუმენტები. აღნიშნავდა, რომ მშენებლობის პერიოდში, ენგურზე 18 წელი ვიარე და მეგონა, ანაკლიაში გარეცხვები უფრო მეტი იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დიდი გარეცხვები არაა. ინტენსიური გარეცხვა რომ გამოვლენილიყო, არც პორტის მშენებლობას დაინტებდნენ და არც ბანაკისას. ენგურზე 271.5 მეტრი სიმაღლის კაშხალია, ამას გავუძელით და ხუდონში რატომ უნდა იყოს საფრთხე? ხუდონი, პირიქით, გაუზრდის ნალექის ხანგრძლივობას ენგურს და უკეთესი იქნება. არსებობდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, რატომ შეწყვიტა რუსეთმა ხუდონჰესის მშენებლობა 1989 წელს – ითქვა, რომ ეს სულაც არ უკავშირდებოდა მაშინ აგორებულ ეროვნულ მოძრაობას... ზურაბის პასუხი კი ასეთი იყო: რუსეთმა, მაგ პერიოდში იგრძნო, რომ საბჭოთა კავშირი იშლებოდა. ეს საშიშროება რომ არ ყოფილიყო, გამორიცხულია, იმპერიას ხუდონჰესის მშენებლობა გაეჩირებინა. ტურბინა-გენერატორები უკვე გამზადებული იყო და როსტოკში შემოდიოდა დასამონტაჟებლად. როცა რუსეთი მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, 11 უდიდესი მშენებლობა გააჩირა სხვა რესპუბლიკებში, მათ შორის მოხვდა ხუდონიც. იქვე გაიხსენა, ან გარდაცვლილი ვახტანგ გრძელიშვილი, რომელიც უინვალის მთავარი ინჟინერი იყო, საკავშირო მინისტრთან შევიდა და მორიდებით განაცხადა, საქართველოში ძალიან მძიმე მდგომარეობაა და უნდა შევაჩიროთ მშენებლობაო. აღნიშნულზე გაბრაზებულა მინ-

ისტრი, უკან გადმოუყრია საბუთები და უთქვამს, თუ არ გინდათ, მიპრძანდითო. ბატონ ზურაბს მიაჩნდა, რომ მათ არ უნდოდათ ერთის მხრივ, დახარჯულიყო ფული და მეორეს მხრივ, „იზრუნეს“ იმაზე, რომ არ გავმხდარიყავით ენერგოდამოუკიდებლები, კარგად იცოდნენ, რომ ჩვენი საკუთარი სახსრებით დიდ პიდროელექტროსადგურს ვერ ავაშენებდითო.

ბატონი ზურაბ გედენიძე იმაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომ ზურაბ უვანია გაპრემიერების შემდეგ სულაც არ იყო ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგი. ამ საკითხზე მას ჰქონდა შეხვედრები მაშინ-დელ პრემიერთან და დეტალურად იხსენებდა ყოველივეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ენერგეტიკოსები შეხვდნენ ზურაბ უვანიას, რომელმაც უარყო ბრალდება და თქვა, რომ ხუდონის გაჩერება მისი მითითებით არ მომხდარა, მაგრამ კაცური პირობა დადო, რომ ხუ-დონჰესის მშენებლობას მისი სამსახურებრივი უფლება-მოსილების პერიოდში დაასრულებდა.

ასე რომ, სახელმწიფოებრივი პრობლემები და ქვეყნის სასიკეთო შედეგისთვის სირთულეებთან ჭიდილი ბატონი ზურაბ გედენიძისთვის უცხო არ ყოფილა. სულ იდგა მოვლენათა ეპიცენტრში და ცდილობდა, დიპლომატით მიეღწია იმ შედეგამდე, რომელიც არავის დააზარალებდა, არავის შეულახავდა ღირსებასა და თავმოყვარეობას...

ბედნიერია ის, ვისაც, თავისი განვლილი ცხოვრების არ ეშინია-ამ სიბრძნით გაატარა მთელი ცხოვრება, კეთილსინდისიერად, უპრეტენ-ზიოდ განვლო საწუთო და უხმაუროდ შეუერთდა მარადისობას.

მართალია, ცხოვრება ერთი პატარა გაელვებაა, მაგრამ ზურაბის მსგავსი ადამიანების ნალვანი მუდამ დარჩება თაობათა მეხსიერებაში.

დავით გურგენიძე  
აკადემიკოსი

## პოლიტიკა

ცხოვრების დრამატურგია ის გახლავთ, რომ ყველაფერს – საინტერესოს, ახალს, პროგრესულს, განუმეორებელს, სასიამოვნოს, ცუდს, კარგს – აქვს დასაწყისი, განვითარება, კულტურისა და ფინანსი – დასასრული

ანუ

ბოლოსიტყვა...

ამ წიგნის ეპილოგის დაწერა გაჭიანურდა, პროცესი ძალიან რთული, მოულოდნელობებით სავსე, ცოტა დრამატული, გამორჩეულ, საინტერესო, ადამიანებთან შეხვედრის, მათი ღირსებისა და ღირებულებების სრული გამოვლენის პროცესი იყო.

კაცი, პიროვნება ფასდება არა იმით, რამდენად ლამაზად საუბრობს, არამედ იმით, როგორ საუბრობს იგი სხვაზე...

საიუბილეო წიგნზე მუშაობა, საპასუხისმგებლო და ბეწვის ხიდზე გავლის პროცესია. ეს გზა უამრავ ადამიანთან შეგახვედრებს და როგორც რეჟისორს, კადრს მიღმა, ხელისგულზე გიდევს ყველაზე ემოციური, ალალი, ჭკვიანი, ნიჭიერი, მოხერხებული, გენიალური ადამიანების გულწრფელი შეფასება და გულითადი სურვილები, რომელიც სიტყვის ძალით ერთი ასად უბრუნდება მთქმელსაც და გამგონესაც...

ამ წიგნის ადრესატი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი დავით გურგენიძეა, რომელსაც ახლახანს 60 წელი შეუსრულდა. გადაუჭარბელად შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ გაკეთებული საქმეები პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, სამეცნიერო და საქველმოქმედო მიმართულებებით, უდიდესია და ექვსი ათეული წლისთვის ძალიან ბევრი...

ბატონო დავით, გაგიმრავლდეთ სიკეთე და ენერგია, რომელსაც უშურველად მოიხმართ ადამიანთა სამსახურში...

არ იფიქროს პატიოსანმა მკითხველმა, რომ ამ წიგნის ბოლოსი-ტყვაობაში ადრესატის ბედს, ზნეობრივ და ფილოსოფიურ ასპექტებს განვიხილავთ, პირიქით, ვადასტურებთ მრავალი ადამიანის მიერ სიყვარულითა და მადლიერებით ნაამბობ ფაქტებს, სადაც არაერთგზის დავრწმუნდით, რომ ადამიანის შესაძლებლობები განუზომელია, რომ ბატონი დავითის ცხოვრება, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, პოლიტიკური დევნისა, შევიწროებისა, სტიმულია იმისა, რომ სამაგალითოდ განაგრძო ცხოვრება, ღირსეულად შეხვდა მარცხს და ასეთივე შემართებით განაგრძო სიცოცხლე...

რთულია, ამ სისასტიკით სავსე სამყაროში შექმნა და აკეთო ისეთი მნიშვნელოვანი საქმეები, რომელიც თამამად გათქმევინებს:

ქვეყნად სიცოცხლე ნამდვილად ღირდა!

ამ წიგნის გმირისთვის კი სიკეთის კეთება ღირსების საქმეა, რომელიც მუდმივად გრძელდება და მისი რამდენი ღირსეული ნაბიჯის მოწმე ვიქნებით კვლავაც მხოლოდ უფალმა უწყის...

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პროფესორ-მასწავლებლებს, ბატონი დავითის მეგობრებს, კოლეგებს, რომელთაც, გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, გამონახეს დრო წერილებისა და მოგონებების დასაწერად.

რედაქტორებისგან

ჩვენ ყოველთვი უზრით წარსულას,  
უპირ აწყოში და გვიღობდა  
მომავაზე. თითოეული ნაძიჭი,  
ოომერასუ გვიამთ, ჩვენი მოქალაქეების,  
ახლავაზნიერის წარმატებულ  
მომავათან არის დაკავშირებული...  
მათ უნდა მიგცით ყველა ძროგი  
ჭრის ერშებული იმისთვის, ეს  
ვახუაფით ჩემი, ოოვორუ ესმისნის,  
ომთავრესი მისი და ცხოვრების წერ...

დავით გურგენიძე

ISBN 978-9941-8-6340-0

A standard 1D barcode representing the ISBN number 978-9941-8-6340-0.